


სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

სამი საუნჯე



1

მარტი, 2013


SUMMARY
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე


№1(7), 2013



თბილისი
მარტი, 2013

სარედაქციო საბჭო

**ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე,
გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური,
გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.**



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერჯიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

სარჩევი

ექვთიმე თაყაიშვილი — დაბადებიდან 150 წლისთავი
ილია თავბერიძე, ექვთიმე თაყაიშვილის სამი ექსპედიცია
ტაო-კლარჯეთში 7

ნიკო ფიროსმანი — დაბადებიდან 150 წლისთავი
ვახტანგ ბერიძე, ნიკო ფიროსმანაშვილი 18

საიუბილეო თარიღი
გვანცა კოპლატაძე, ედუარდ-გიორგი შვეარდნაძე 66

ქართლის ცხოვრება
გულბაათ რცხილაძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის
ძველი და ახალი პერიორიტეტები 74
ბონდო არველაძე, დედოფალ შუშანიკის ეროვნული
წარმომავლობის შესახებ 80
მამუკა ცუხიშვილი, იაკობ თარაშვილი — ერთგული რაინდი 83
ვალერიან მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი 100

საქართველოს სიძველენი
თინა იველაშვილი, ივარქმნილი აწყურის ღმრთისმშობლის ტაძარი ... 138
ბორის დარჩია, სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია? 146
შოთა მირიანაშვილი, მყინვარწვერი, ბეთლემის გამოქვაბული
და ბეთლემის ეკლესია ნაცარქედზე 150

ანტიკურობა
გრანი ქავთარია, ნერონი. რომის იმპერიის დემონები..... 161

მომხე ერების ცხოვრება
საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდის მოწოდება ხალხისადმი 177
ქრისტეს წმინდა მართლმადიდებლური ეკლესიის „განჩინება“
ლათინთა ცრუ ნათლობის შესახებ, 1755 წ..... 182

პროზა და პოეზია
ალექსანდრე საჯაია, ლექსები 186
გოჩა შანიძე, მეფე და ადამიანი 200

მამულიშვილთა მოსახსენებელი 206

ჩვენი ავტორები 214

PE3IOME (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 217
SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 223

ექვთიმე

მიდის გემი და თან მიაქვს სევდა, არდავიწყება.
 მიდის გემი და ქართულ განძს მეგანძური მიჰყვება!
 საით მიხვალ სადაური, უკვდავების მეტივე?
 შე საწყალო ბერიკაცო, შე საწყალო ექვთიმე!
 გურიის მთებს ელვამ დაჰკრა, ლიხაურის ქარია...
 თოლიების კრიმანჭული რატომ არ გიხარია?
 გოგუაძის ჯავშნოსანზე ერთი სიტყვაც ვერ ვთქვი მე.
 გრიგალივით ცეცხლს აფრქვევდა, შენ გიცავდა ექვთიმე!
 ცრემლში ბრწყინავს საქართველო, მარად ანდამატური,
 შორით მოჩანს საფრანგეთის სანაპირო ზღაპრული...
 ქართულ განძის საკეტური არც ვის გააღებინე,
 შე უძღურო, გმირთა გმირო, ამირანო ექვთიმე!
 შენს წინაა პარიზი და ფუფუნების აფრები,
 „ოლიმპია“, „პოლი ბერჟერ“, „მულენ რუჟის“ ზღაპრები!
 ითვლი გროშებს, რაც გამოგყვა, ფრანკებსა და სანტიმებს
 ასეთ ტვირთით საშიშია, არ გაგჩხრიკონ, ექვთიმე!
 ბოლოს განძი გაიტანე, გაიცინე ლაღაღა,
 უდიდესმა განსაცდელმა მსახიობიც გაგხადა...
 არ გითქვია საბაჟოსთვის — „ერთი შენ და ერთი მე“!
 უმდიდრესო, უპოვარო, შე ღმერთკაცო ექვთიმე...
 ხან გესტაპოს დაემალე, ხან ჯაშუშთა სამყაროს —
 სთქვი, ზედ განძზედ გეძინა, თუ არც გეძინა არასდროს?
 ერის დიდი საიდუმლო არც ვის გააგებინე.
 კერძს ნატრობდი, საოცარო, საცოდავო ექვთიმე...
 ეკლიანი გვირგვინი გხვდა, მარად გვემახსოვრება...
 დასთმე ცოლი, შენი ნინო, უმდიდრესი ცხოვრება...
 ხომ შეგეძლო, რომ გეცხოვრა ბედნიერს და ნებიერს,
 მაგრამ შენი საქართველო თავს გერჩივნა, ექვთიმე!
 როცა ზურგი შეაქციე პარიზსა და საფრანგეთს,
 შენს თბილისში ქართველურად ბორკილები დაგადეს...
 ვაი, როგორ ვერ გიშველეთ! ვაი, როგორ გვეტკინე;
 დიდებულო ერისკაცო, ღვთაებრივო ექვთიმე!
 შენი ღვაწლი მისხალ-მისხალ შენგან გადახდილია,
 ჭავჭავაძის კაცი იყავ, — აღარ გვყავდა ილია!
 საქართველოს სამსხვერპლოზე დროშად გადაეფინე,
 სულიწმიდით მოგზავნილო, ღვთაებრივო ექვთიმე!
 ცრემლიც რომ ვერ შეგიმშრალეთ, ისე გამოგვეტირე,
 ქართველ ბიჭებს ქედზე ეღოთ შენი კუბო, ექვთიმე!
 რა ვიცოდი, ლექსის ნაცვლად თუ გიწერდი რექციემს,
 შე საწყალო, შე მოკვდავო, შე უკვდავო ექვთიმე!

*ქართლოს კასრაძე.
 1993 წლის 2 თებერვალი.*



*ექვთიმე თაყაიშვილი.
 მოქანდაკე ბ. ავალიშვილი.
 თბილისი, კერის ბაღი.*

ექვთიმე თაყაიშვილი – დიდი მაგალითი

ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს წინაშე მართლაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის. ისიც კანონზომიერია, რომ ეს წმინდა მოღვაწე, რომელმაც საქართველოს მართო უცხოეთში გადახვეწილი განძი კი არ შეუნარჩუნა, არამედ უდიდესი ღვაწლი დასდო ერის ისტორიული მახსოვრობის სრულად აღდგენასა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, ამიერიდან ერის მამის, წმინდა ილიას საფლავის გვერდით განისვენებს. იგი ხომ უერთგულესი მოწაფე და თანამებრძოლი იყო მისი.

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მამულიშვილური საქმე, რომლის სასიკეთოდ წარმართვაში ექვთიმე თაყაიშვილს მონაწილეობა არ მიეღოს. იგი მრავალმხრივი და მრავალი ინტერესის მქონე დიდი მოღვაწე გახლდათ: პედაგოგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნული განძის უერთგულესი მცველი, ყოველივე ქართულის ღრმად წარმომჩენი. თავადაც ხომ ქართული ნიჭის, ქართული პატიოსნების და ქართული გარჯის დიდი მაგალითი იყო. ჩვენს ისტორიას თუ გადავხედავთ, სწორედ ასეთმა გამორჩეულმა შვილებმა გადაარჩინეს საქართველო და დღემდე მოიყვანეს...

დღეს ჩვენი წმინდა ვალი მართო დიდ წინაპართა პატივისცემა კი არა, არამედ მათი საქმის გაგრძელება და მათი ანდერძის აღსრულებაა – ვუერთგულოთ საქართველოს, მის ისტორიას, აწმყოს და მომავალს.

ისე დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენი ნაოცნებარი საგანძური, როგორც დიდი ქართველი ექვთიმე თაყაიშვილი იცავდა ეროვნულ საგანძურს.

*ელუარდ შვეარდნაძე.
 2002 წ. 26 მაისი.*

**სიტყვა, წარმოთქმული მთაწმინდის პანთონში
ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას
აქ გადმოსვენებისას**


ქართულ სინამდვილეში, საქართველოს ბედუკუდმართ ისტორიაში არიან ლეგენდარული გმირები, რომელთა სახელ-დიდებას არც გაზვიადება სჭირდება და არც დაკნინება უხერხდება... გაივლიან ხოლმე ეს ადამიანები ეპოქალურ ქარტყილებს და მათი ვარსკვლავები ხელმოუწვდომელ სიმაღლეზე ბრწყინდებიან, სიტყვა-შეუბრუნებლად და სამუდამოდ, ერის ცნობიერებაში... ახალს აქ ვერაფერს ვიტყვი, ერთი ასეთი მანათობელი ვარსკვლავია ჩვენთვის დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, კაცი მეცნიერი და კაცი გმირი, რომელიც თავისი მოწამებრივი ცხოვრებით მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე და სხვა მომდევნო საუკუნეებშიც ასწავლის თავის უმაღლეს ზნეობას მომავალ ქართველობას, მომავალ თაობებს...

მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ იდეა, რომელიც ჩვენი პრეზიდენტის ნებითა და მხარდაჭერით განხორციელდა, დაიბადა პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ჩვენს მყუდრო ოფისში, თანაც პოეტების საუბარში... მოხარული ვარ, რომ მონაწილეობა მაქვს მიღებული აქ, ამ უკვდავთა პანთონში, სამუდამო განსასვენებლად კონკრეტული ადგილის შერჩევაშიც, სწორედ ილია ჭავჭავაძის და ოლღა გურამიშვილის გვერდით...

გაკვირვებული ვარ ჩვენივე გადაწყვეტილებით... შეიძლება ვითომ, შემთხვევითი იყოს ჩვენი გადაწყვეტილება, თუ სასწაულთან გვაქვს საქმე და ღვთის ხელი ურევია ამ სასწაულში?! ცნობილია, რომ 1895 წელს, თბილისში, სამების ტაძარში ჯვრისწერისას ექვთიმე თაყაიშვილსა და ნინო პოლტორაცკაიას, რომლის ნემსიც ჩვენ თან ჩავაყოფეთ ექვთიმეს ნემსს, მეჯვარეებად ახლდნენ და ახალშეუღლებულთ საკუთარი ხელით ჯვრები შეუცვალეს ილია წინამძღვრიშვილმა და ოლღა გურამიშვილმა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ პარიზიდან ძვირფასი საჩუქარი გამოუგზავნა ახალშეუღლებულთ... გადის ლამის საუკუნე და ჩვენ სასწაულის მოწმენი ვხვდებით: ორჯერ დაკრძალვისა და სხვადასხვა ცისქვეშ ორ-ორი საფლავის გამოცვლის შემდეგ, მესამედ დაკრძალვისას, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი და ნინო პოლტორაცკაია თავიანთი დიდი მეგობრების ილია ჭავჭავაძის და ოლღა გურამიშვილის გვერდით იკავებენ სამუდამო განსასვენებელს...

დიდება თქვენს ღვაწლს, სულმნათნო! თქვენზე ითქმის ეს უკანასკნელი ძნელად გასამეტებელი სიტყვა! სამუდამო ნათელი თქვენს სახელს.

მურმან ლებანიძე.
2002 წელი, 26 მაისი.



ილია თაყაიშვილი

**ექვთიმე თაყაიშვილის საბი მსახველიცა
ტაო-კლარჯეთში**

ცნობილი ფოტოა — ოშკის დიდებული ტაძრის ერთ-ერთ ბურჯთან ხელჯოხიანი ექვთიმე თაყაიშვილი დგას. ფოტო 1917 წელს, სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო ექსპედიციის დროსაა გადაღებული. ტაძრის ეს ბურჯი, სამ დანარჩენთან ერთად, დღესაც იმაგრებს ოშკის გუმბათს. ოთხივეს მორთულობა და ჩუქურთმები სხვადასხვაა და გამორჩეული. ფოტოსთან ტაძრის დღევანდელი მდგომარეობის შედარებისას თვალნათლივ ჩანს, რომ ბურჯების დიდი ნაწილი მიწას კიდევ უფრო დაუძალავს. 1917 წლის ექსპედიციის დროს კი მისი მშენიერება უფრო საჩინო იყო. სიმბოლურია ეს ფოტო — ტაძრის ბურჯთან დგას ქართველი მეცნიერი, დიდი მამულიშვილი, რომელიც თავად ედგა ბურჯად სამხრეთ საქართველოს სიძველეთა კვლევას.

როცა ექვთიმე თაყაიშვილი სამხრეთ საქართველოში თავის პირველ ექსპედიციას იწყებდა, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ შესახებ, რომელიც იერუსალიმში ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა 1902 წლის შემოდგომაზე აღმოაჩინეს. მარის ექსპედიცია ამ მხარეში 1904 წელს მოეწყო. ხოლო თავად აგიოგრაფიული ტექსტი, მის რუსულ თარგმანთან და შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებთან ერთად, პეტერბურგში 1912 წელს გამოსცა ნიკო მარმა. შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილის პირველი და მეორე ექსპედიციები სამხრეთ საქართველოში იმ სამეცნიერო შემკვიდრების გაგრძელებაა, რომელსაც მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. 1873 წელს დ. ბაქრაძემ მოინახულა ტბეთი, ოპიზა, ანჩა, დოლისყანა, არტაანისა და ოლთისის მხარეები. დიმიტრი ბაქრაძეს 1881 წელს ბანას ტაძარიც უნახავს. 1874 წელს ამ მხარეში გენერალმა გრიგოლ ყაზბეგმა იმოგზაურა და სამი თვის მოგზაურობის ანგარიში 1876 წელს რუსულად გამოსცა. რუსეთის მფარველობაში არტაანისა და სხვა ძველი ქართული მხარეების შესვლას თითქოს ხელი უნდა შეეწყო, რომ

ქართველ სწავლულებს ამ მხარის უფრო დაწვრილებით შესწავლისათვის მოეკიდათ ხელი, მაგრამ, ალბათ, პარალელურად ხელისშემშლელი ფაქტორებიც არსებობდა. 1873 წელს ცნობილ ისტორიკოს დ. ბაქრაძეს უნახავს ოლთისის ძეგლები, რომელთაც მხოლოდ მოკლედ აღწერს, მისი თანმხლები მხატვრის მიერ გაკეთებული ჩანახატები კი პრიმიტიულადაა მიჩნეული. ჩანახატები და ფოტომასალა არც უცხოელი მოგზაურებისა და მკვლევრების — კოხის, სარგისიანის და სხვათა მოგზაურობის დროს შემორჩენილა მრავლად.

ექვთიმე თაყაიშვილის სამი ექსპედიცია, ყველაზე ნაყოფიერი კვლევა-ძიება იყო ტაო-კლარჯეთის შესწავლის საქმეში. ამ ექსპედიციებმა შექმნეს მთელი ეპოქა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ძეგლების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეების, წარწერების, არქიტექტურის, ეპიგრაფიკის, ქვითმქანდაკეობისა და კედლის მხატვრობის ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსის ხელშეკრულებით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ამ რეგიონების თურქეთის შემადგენლობაში გადაცემის გამო, მომდევნო ათწლეულების მანძილზე, ჩვენი ისტორიისათვის ასე მნიშვნელოვანი ამ მხარის კვლევა-ძიება შეუძლებელი გახდა. ქართველი მეცნიერების ნაშრომები შემდგომში ძირითადად ექვთიმე თაყაიშვილის და ნიკო მარის მემკვიდრეობას ეყრდნობოდა. ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ვ. ჯობაძემ 1965 წლიდან შეძლო რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო ტაო-კლარჯეთში და მეცნიერულად სრულყოფილი მონოგრაფიები გამოაქვეყნა.

1902 წელს ექვთიმემ არტაანიდან კოლამდე იმოგზაურა, ჩილდირი, არდაგანი და ოლთისი მოინახულა, აღწერა ბანა ახლომდებარე ეკლესიებით და ჩანგლთან შეჩერდა. 1907 წელს, მეორე ექსპედიციის დროს კოლა-ოლთისი და ჩანგლი შემოიარა, 1917 წელს კი ტაოს, თორთუმის, ისპირის დიდი ეკლესიების აღწერას მოანდომა მთელი დრო.

ექვთიმემ სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიარა, გარდა შავშეთ-კლარჯეთ-იმერხევისა და ბათუმის მხარისა, ე. ი. ჭოროხის აუზისა. რამდენადაც ეს მხარე ნიკო მარმა თავისი პირველი ექსპედიციის დროს საგულდაგულოდ შემოიარა, მეცნიერმა მისი ხელმეორედ კვლევა საჭიროდ აღარ მიიჩნია და ამჯობინა ის ადგილები ენახა, სადაც მკვლევრები ჯერ კიდევ არ იყვნენ ნამყოფნი, და იქ არსებული სიძველეები შეესწავლა. ბევრ საკითხში მოსაზრებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, ექვთიმე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ნიკო მარის 1904 წლის ექსპედიციას და „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ გამოცემას. „შესანიშნავი წიგნია და მაგის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისათვის (მაგრამ რამდენი კიდევ სხვა გააკეთა), ისიც კმაროდა, რათა მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით. მხოლოდ მარს შეეძლო იმ



ექვთიმე თაყაიშვილი ოშკის ტაძრის სვეტთან.

ძეგლების ისე გამოცემა“, — წერდა მეცნიერი.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციების მიზანი არ გახლდათ მხოლოდ ტაძრების მონახულება. მეცნიერი სამხრეთ საქართველოში სხვა სპეციალისტებთან ერთად გაემგზავრა და მაქსიმალურად ზუსტად გადმოიღო წარწერები, ფრესკები, აზომა ეკლესიები და მანამდე სრულიად უცნობი ბევრი ტაძარი და ციხე აღმოაჩინა.

პირველი ექსპედიცია 1902 წელს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგა-

დოების დავალებით მოეწყო. ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი და ერმაკოვის მოსწავლე, ფოტოგრაფი ა. მამუჩაშვილი, მონინახულა და აღწერა არდაგანის, ჩილდირის ოლქებისა და ოლთისის ოლქის ნაწილის სიძველეები, მონინახულა ბანა (ახლა პენეკი) და მისი არე-მარე. ექსპედიციის მასალები 1909 წელს გამოქვეყნდა მოსკოვში, კრებულში „Материали по археологии Кавказа, т. 12“.

1902 წლის ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა მანამდე უცნობ უამრავ ძეგლს მიაკვლია. მათ შორის საინტერესოა კალმახის ციხის კლდის ქვემოთ, სოფელ ნიაკომის ხევი ადმოჩენილი მანამდე სრულიად უცნობი ვაჩიგორის დიდი მონასტერი, ლავრა და მონასტრის ირგვლივ კიდევ ხუთი პატარა ეკლესია. უცნობი მონასტერი (კინეპოსი) აღმოაჩინა ექსპედიციამ ოლთისის რაიონშიც, სადაც შემორჩენილი იყო ოთხი ეკლესია. ამ ექსპედიციების შედეგი იყო სამაბსიდიანი ეკლესიების აღმოჩენა კოლას ოთხთა ეკლესიის სოფელში, ასევე ორთულში, ბაღჩალოციშლაში.

ექსპედიციების დროს ბევრი ისეთი ძეგლი აღმოჩნდა, ჩაიხაზა, აიზომა და გადაღებულ იქნა ფოტოფირზე, რომლებიც დღეს უკვე აღარ არსებობენ. ასეთია ერუშეთის ტაძარი, რომლის ადგილზე ახლა არაფერი აღარ არსებობს. წყაროსთავის დიდი საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც აღწერა ე. თაყაიშვილმა, ასევე დანგრეულია. აფეთქებას შეეწირა ზეგანი, ერუშეთის ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი, რომელიც ე. თაყაიშვილს თითქმის პირვანდელი სახით უნახავს და აღუწერია. აფეთქებას შეეწირა ასევე გოგუბას ეკლესიაც, რომლის ფოტოები 1902 წ. ექსპედიციამ გადაიღო.

ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო ექსპედიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი ბანას შესწავლის საქმეა. ბანას კათედრალი ექვთიმე თაყაიშვილმა ორჯერ, 1902 და 1907 წლების ექსპედიციების დროს, მონინახულა. თავისი აღნაგობით გრანდიოზული ტაძარი ბანელ ეპისკოპოსს კვირიკე ბანელს აუგია ადარნასე მეორე კურაპალატის მატერიალური შემწეობით, რომელიც ქართველთა მეფედ 898 თუ 899 წელს აკურთხეს. ბანა-სოფელი პენეკში, ბანას წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. 1881 წელს, როდესაც ტაძარი დ. ბაქრაძემ ნახა, მას მხოლოდ გუმბათი ჰქონდა ჩაქცეული. 1902 წელს კი, როცა ე. თაყაიშვილი პირველად ჩავიდა იქ, ტაძარი უკვე ძალზე დანგრეული ყოფილა. მხოლოდ აღმოსავლეთის სახე იყო გადარჩენილი, პატრონიკეთი და გალერეით, გარედან მიშენებული აღმოსავლეთისა და სამხრეთის კოშკებით. გალერეის კედლები, გარდა ჩრდილოეთ ნაწილისა, დაცული იყო.

1907 წელს ე. თაყაიშვილს კიდევ უფრო სამწუხარო მდგომარეობა დახვედრია. გალერეის ჩრდილო ნაწილის ნანგრევები ბევრად უფრო გაფართოებული იყო. აღმოსავლეთ გალერეის კამარების შესანიშნავი ორნამენტები, რომელიც 1902 წ. ფოტოზე გადაიღო ექსპედიციამ, სრულიად

განადგურებული დახვდათ. უფრო დაზიანებული იყო აღმოსავლეთის შიგნითა მხარე, ძალზე ჩამონგრეული იყო კოშკებიც. ბანას ასეთი მდგომარეობა 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომს უკავშირდება. ამ დროს ტაძარში „რუსის ოტრიადი“ ჩაუყენებიათ. შემდეგ აქ ბანაკი ჰქონიათ ოსმალებსაც. როგორც ექსპედიციის ანგარიშში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რუს გენერალს მნიშვნელოვანწარწერიანი ქვაც კი წაუღია აქედან. ხუთ წელიწადში, პირველიდან მეორე ექსპედიციამდე, ბანას მდგომარეობა კიდევ უფრო სამწუხარო და სავალალო გამხდარა. ბანას კვლევას საფუძველი სწორედ ამ ექსპედიციების დროს ჩაეყარა. პირველი ანაზომები არქიტექტორმა ს. კლდიაშვილმა გააკეთა, თუმცა ექვთიმე ამ აზომების კმაყოფილი არ დარჩენილა. 1907 წელს კი ეს საქმე კალგინს მიანდეს. „საბოლოოდ, მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, — წერდა მოგვიანებით თაყაიშვილი, — რომ ვნახე და შევისწავლე ბანა — თუნდაც უკვე დაქცეული. მახსოვს კალგინს ვუთხარი: აი, ამ ტაძარში იკურთხენ ბაგრატ მეოთხე და მისი ცოლი მეთქი, და მან მიპასუხა: რა დიდებული სანახავი იქნებოდა დაუნგრეველი და გაჩირაღდნებულიო!“

მეორე ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში 1907 წელს ისევ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით შედგა. ამ ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა ის მხარე, რომელიც რუსეთმა ოსმალეთისგან ბერლინის 1878 წლის ტრაქტატის საფუძველზე მიიღო და რომელიც ორ ადმინისტრაციულ ოლქად იყოფოდა და ყარსისა და ბათუმის ოლქების ნაწილს შეადგენდა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ინჟინერი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი, თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ედუარდ ლიოზენი. თუმცა ყველა მიზნის განხორციელება მათ ვერ მოახერხეს, რადგან ექსპედიციის წევრები კალგინი და ლიოზენი ოლთისში მალარიით გახდნენ ავად და ცხენებით შემდგომი მოზაურობა შეუძლებელი აღმოჩნდა. 1907 წლის ექსპედიცია კოლა-ოლთისისა და ჩანგლში 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე გაგრძელდა და შემდეგი მარშრუტი გაიარა: თბილისი, ყარსი, ნიაკომი კოლაში, ოლთისის ოლქი, ბანა, ოლორი, ყარსი, ჩანგლი, ყარსი, თბილისი.

ამ ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა მრავალი უცნობი ეკლესია, მოგვცა იმ ეკლესიების ნუსხაც, რომლის შესახებ ინფორმაცია არსებობს, მაგრამ თვითონ ნაგებობანი უკვე დანგრეული და განადგურებულია; ანგარიშში მეცნიერი საუბრობს რამდენიმე ქართული ხელნაწერის შესახებ, რომელთა ბედი, სამწუხაროდ, უცნობია (კალკოსის სახარება ბარდუსის ხეობიდან). ექსპედიციამ აღწერა რამდენიმე სტელა, რომელთა ბედიც ასევე უცნობია; მაგალითად, ორთულის სტელა, რომლის თბილისში გადმოტანას მკვლევარი ამაოდ ცდილობდა.

განუზომელია მისი დედაწლი ეპიგრაფიკული მასალების მოძიებასა და ამოკითხვაში. დიდი ნაწილი აქ ნანახი წარწერებისა დღეს უკვე დაკარგულია. ე. თაყაიშვილი მის მიერ მოძიებულ ძეგლებს, არქიტექტურული იქნებიან ისინი, ეპიგრაფიკულნი თუ ფრესკული გამოსახულებანი, იკვლევს საისტორიო წყაროებთან კონტექსტში, ხშირად იმოწმებს ვახუშტისა და ქართლის ცხოვრებას; ასევე მიუთითებს ადრეულ მოგზაურთა და სიძველეთმცოდნეებზე. პირველივე თავში „კოლა“, ის აღწერს მტკვრის ხეობის სათავეებს, პატარ-პატარა წყაროებს და მათგან ყველაზე დიდს გამოყოფს, რომელსაც იმხანად ქრისტიანნი აიაზმას უწოდებდნენ, ხოლო სოფელს კურიუხ-ბაჩაი ერქვა. ამ წყაროს პირას აშენებული ეკლესიის ნაშთს ის უკავშირებს ცხრათა ძმათა კოლაელთა ჯერ მონათვლისა და შემდეგ მარტვილობის ადგილს, რომელსაც ქრისტიანნი ეკლესიის აუგებლად, ცხადია, არ დატოვებდნენ.

ექსპედიციის დასრულების შემდეგ მისი ანგარიშის გამოქვეყნება დაგვიანდა. არქიტექტორ კალგინს ბევრი სხვა საქმე აღმოაჩნდა და გეგმების დასაშვადებლად დრო ვერ გამოიხატა. ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით ამ საქმეში ხუროთმოძღვრები — კერნი, რიაბოვი და გ. ებრაელი ჩაერთნენ. უამრავი გაშიფრული წარწერა, ნახაზი, გეგმა, ფოტომასალა მოგროვდა, რამაც შესაძლებელი გახდა გამოფენის გამართვა. ასეთი გამოფენა თბილისში 1920 წ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მოეწყო. გამოფენისთვის ქართული კატალოგი თავად ექვთიმემ მოამზადა, მისი რუსული ვერსია კი დიმიტრი გორდეევს ეკუთვნოდა. მაგრამ კატალოგის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, საამისოდ არც ტექნიკური და არც ფინანსური საშუალებები არ მოიძებნა. შემდგომში ალბომის გამოცემა ქართული უნივერსიტეტის საბჭომ იკისრა, მაგრამ როცა ყველაფერი მზად იყო, 1921 წ. თებერვალში, ე. თაყაიშვილი ემიგრაციაში წავიდა. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი 1924 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა. ოღონდ მას, ავტორთან შეუთანხმებლად, სათაურიც შეცვლილი ჰქონდა და წინასიტყვაობაც. 1907 წლის ექსპედიციის ანგარიში ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში, 1938 წელს გამოსცა (გრაფიკული ნამუშევრებისა და ფოტოების გარეშე) და ამ წიგნში ზემოთ ნახსენები კატალოგის საკითხსაც შეეხო, თუმცა ამ საკითხის გაღრმავება, ისე როგორც მას ეს სჩვეოდა, აღარ უცდია. „ჩვენი უნივერსიტეტის პატივისცემა მავალებს ამ ჟამად არ შეეეხო ამ საკითხს, მით უმეტეს, რომ შეიძლება, ეს ყველაფერი დროთა ვითარების გამო იყოს გამოწვეული“ — აღნიშნავდა ე. თაყაიშვილი.

1907 წლის ექსპედიციის დროს ე. თაყაიშვილმა ჩანგლის ეკლესიაც აღწერა. ჩანგლი, ისტორიულ სომხეთში, ყალიზმანის მაზლობლად მდებარე დიდი ეკლესია თაყაიშვილის კვლევის არეალში მოექცა, რადგან

ის ქართული საეპისკოპოსოს შემადგენლობაში შედიოდა. ვალაშკერტში, რომელიც ყალიზმანის მხარეში მდებარეობდა, ისტორიული საბუთების თანახმად, ქართული საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. იგი აღწერს ჩანგლის დიდ გუმბათიან ეკლესიას, ინტერიერში გუმბათის ორიგინალურად შემკობილ ყელს და დასძენს, რომ, მისი აზრით, ასეთივე გალერეა გუმბათის ყელში მოწყობილი უნდა ყოფილიყო ბანაში და ფიქრობს, რომ ჩანგლი, სწორედ ბანას მაგალითით შეიქმნა. ვრცელი გამოკვლევა ეძღვნება ჩანგლის წარწერებს, რომელიც შესრულებულია 1362 წელს, და გაკეთებულია დასკვნა, რომ წარწერა ეკლესიის შენების თანადროულია. სამშენებლო წარწერაში ყურადღებას ამახვილებს ერთ უცნობ სიტყვაზე — „ლენამორისა“, რომელიც, მისი ვარაუდით, სოფელ ჩანგლის უფრო ძველი სახელი უნდა იყოს. ასევე ადგენს, რომ ჩანგლის ეკლესია უწინ ყოფილა მონასტერი და აღნიშნავს, რომ „აქ ყოფილა მართლმადიდებელ სომხების მონასტერი და ამით აიხსნება ქართული წარწერები ამ და სხვა ამგვარი ეკლესია-მონასტრებისა სომხეთში. მართლმადიდებელ სომხებს წირვა ქართულ ენაზე ქონდათ და მათი მწყემსმთავარნი ქართველი ეპისკოპოსები იყვნენ... ქართული წარწერები სომხეთში მაჩვენებელია საქართველოს ექსპანსიის, მისი პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებისა ამ პროვინციებში.“

1917 წელს, მესამე ექსპედიციის მოწყობას ტაოში წინ უძღოდა საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებული მოვლენები. პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარებმა წინსვლა განახორციელეს და 1914-16 წლებში ზედიზედ დაიკავეს ჭოროხის აუზი, ართვინი, ოლთისი და იმხანი. 1916 წლის ივნისში რუსეთის სამხედრო შენაერთები ჭოროხის ზემო წელში ბაიბურთის მიმართულებით შეიჭრნენ. ამ მდგომარეობის გამოყენება ექვთიმე თაყაიშვილმა სამხრეთ საქართველოში ახალი ექსპედიციის მოწყობისთვის გადაწყვიტა, რადგან მას ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სანახავი, აღსაწერი და გამოსაკვლევი. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ტაოს, ისპირის და თორთუმის ხეობის ძეგლებს, რომლებიც ვერ მოინახულა წინა ექსპედიციების დროს. 1917 წლის ექსპედიციაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ეწყობოდა, რომლის ხელმძღვანელი 1921 წლამდე თავად გახლდათ. სწორედ ამ საზოგადოებამ ადრეა შეამდგომლობა, რასაც მხარი დაუჭირა ქართველმა სამღვდელოებამ და, ეპისკოპოს ლეონიდეს ინიციატივით, მის შემადგენლობაში ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი იპოლიტე მიაველინეს.

მაგრამ ასეთი ექსპედიციის მოწყობას, ხარჯებთან და სურსათ-სანოვანაგესთან ერთად, ნებართვაც სჭირდებოდა. მით უფრო, როცა ექსპედიცია ფრონტისპირა რაიონებში უნდა გამგზავრებულიყო. საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა პლატონმა (როჟდესტვენსკი), რომელიც სულ სამი

წელი იმყოფებოდა თბილისში, ამ ექსპედიციის მოწყობას მხარი დაუჭირა და კავკასიის მეფისნაცვალს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ექსპედიციის ჩატარებაზე თანხმობას სთხოვდა. კავკასიის მეფისნაცვალად და კავკასიის არმიის მთავარსარდლად იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი 1915 წ. 23 აგვისტოს დაინიშნა და თბილისში სექტემბერში ჩამოვიდა. ეგზარქოს პლატონის ვრცელ მიმართვაში აღნიშნული იყო:

„იმისთვის, რომ ყოველმხრივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდეს და შესწავლილ იქნას ეს მხარე, აუცილებელია, უპირველესად შედგეს სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სპეციალისტი-არქეოლოგი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი და მხატვრები. უნდა აიზომოს ძეგლები და აღებულ იქნეს მათი გეგმა, გაირჩეს წარწერები და გაკეთდეს ფრესკების ფერადი ორიგინალები. საკმარისია ითქვას, რომ ეს მხარე საერთოდ არ არის შესწავლილი, ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით ისპირის ხეობის ძეგლების შესახებ ბაიბურთამდე და არც იმ ძეგლების შესახებ, რომლებიც ლაზისტანის მთაგრეხილის სამხრეთით მდებარეობენ. ისეთი პირველხარისხოვანი ქრისტიანული ძეგლები, როგორც არიან ხახული, იშხანი და ოშკი, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქს დაამშვენებდნენ, შეუსწავლელია. არც ერთ არქეოლოგს არ შეუსწავლია არც თურქეთის მფლობელობის პერიოდში და არც ერთი საზოგადოება სპეციალურად მათით არ დაინტერესებულა. ჩვენ მათ შესახებ ვიცით მხოლოდ ქართული წყაროებით და იმ მოკლე ცნობებით და წარწერების ფოტოებით, რომლებიც გადაღებული იყო 1854 წელს არასპეციალისტი სარგისიანის მიერ, რომელიც უფრო ცნობისმოყვარეობას ამძაფრებს და არ აკმაყოფილებს არქეოლოგის მოთხოვნებს.

აგრეთვე, აუცილებელია, რომ ხახულს, ოშკს და იშხანს დაუბრუნდეს მათი პირვანდელი ქრისტიანული სახე. იმის წყალობით, რომ თურქებმა ეს ტაძრები თავიანთ მეჩეთებად გადააქციეს და კარგად უვლიდნენ, ისინი შემონახულია დაუზიანებლად, განსაკუთრებით მათი მშენებელი არქიტექტურული სტილი და დაცულია კომპოზიცია უმდიდრესი ფრესკული მხატვრობისა და კი, რომელიც დაფარულია კირის ხსნარის თხელი ფენით. მუშაობა დასჭირდება მხოლოდ ამ მოხატულობის გაცოცხლებას და თურქების მიერ გადაღებული ფენის და მინაშენების მოხსნას. მაშინ ეს გასაოცარი არქიტექტურული ტრიადა ისევ განადიდებს ქრისტეს სახელს და რუსული იარაღის ძლიერებას ახლად შემოერთებულ მხარეში.

შეგნებული მაქვს რა ამ ორი ამოცანის დიდი მნიშვნელობა და მისი განხორციელების აუცილებლობა, არ შემოიძლია არ განვაცხადო, რომ ასეთი სამუშაო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულებებისადმი დაქვემდებარებულ მხარეში, რადგან თქვენ მთელი

სულით და გულით ამ ადგილების აღორძინების მოსურნე და მისი ქრისტიანული წმინდა ადგილების მხურვალე სიყვარულით განმსჭვალული ბრძანდებით.

აგრეთვე, დაბეჯითებით ვთხოვ თქვენს იმპერატორობით უდიდებულებას, რომ ამ საქმისადმი კეთილად განაწყობთ თქვენი უავგუსტესი ძმა, მისი იმპერატორობითი უმაღლესობა, დიდი თავადი პეტრე ნიკოლოზის ძე, რომლის ცოდნა არქიტექტურის დარგში და მეცნიერულ-მხატვრული გემოვნება გარანტიას იძლევა ამ წმინდა საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, რომლითაც ჩვენთვის, ყველასათვის, თქვენი ძვირფასი სახელი უკვდავყოფილი იქნება სამარადღეამოდ ჩვენი მხარის ისტორიაში.

თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის უერთგულესი მსახური და მორჩილი ღვთისმსახური, მწყემსი, საქართველოს ეგზარქოსი, არქიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა პლატონი. 17 ოქტომბერი, 1916 წ.

საეჭვო არაა, რომ ამ დასაბუთებული წერილის შედგენაში თავად ექვთიმე თაყაიშვილს უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. რამდენიმე პოლიტიკურ-კონიუნქტურულ წინადადებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს მიმართვა 1917 წლის ექსპედიციის სამოქმედო პროგრამად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს ეგზარქოსი პლატონი მეფისნაცვალს ასევე უგზავნის ექსპედიციის სავარაუდო შემადგენლობას და ხარჯთაღიციხვას. თავდაპირველად განსაზღვრული ყოფილა ექსპედიციაში, მონაწილეობა მიეღო ფოტოგრაფ ზანის ან მის თანაშემწეს; არქიტექტორს — ან კაპრიცევს, ან კალგინს, მხატვარ დ. შევარდნაძეს და მის ორ თანაშემწეს — მუსაევს და გუდიაშვილს. ექსპედიცია სამი თვე უნდა გაგრძელებულიყო, ხოლო მხატვარს მუშაობისთვის ხუთი თვე დასჭირდებოდა.

სულ ექსპედიციის სავარაუდო ხარჯთაღიციხვა 15.000 მანეთით იყო განსაზღვრული, მაგრამ ამ ექსპედიციის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ე. თაყაიშვილი საკუთარ ჰონორარზე თავიდანვე უარს ამბობდა. მეფისნაცვლისთვის მიწოდებული ხარჯთაღიციხვის შენიშვნაში მითითებულია, რომ თუ ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნავენ ე.ს. თაყაიშვილს, მაშინ იგი თავის ჰონორარზე უარს იტყვის, რის შემდეგაც №8 ხარჯიც შეიკვეცება (ანუ არქეოლოგის გასამრჯელო).

ე. თაყაიშვილის მიერ იშხნის ტაძარში აღმოჩენილი და მანამდე მეცნიერთათვის უცნობი წარწერა ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი გამოდგა. „იშხანში იმ დიდ ფრესკულ წარწერას ალბათ ვერც მე შევამჩნევდი, ჩემი წინამორბედივით, მაშინ რომ ძალიან მჭრელი თვალი არ მქონოდა. სანამ ზედ არ მივიყვანე და თითებით არ მოვუსხაზე ასოები, ექსპედიციის სხვა წევრები ვერც კი ხედავდნენ წარწერას! ისიც უნდა ითქვას, რომ წვიმა რომ არ წამოსულიყო და მერე მზეს აღმაცერად არ

შემოეხედა ტაძარში, მეც გამიჭირდებოდა დანახვა“. ოშკმაც, იშხანივით, დიდძალი საინტერესო მასალა მისცა ექსპედიციას.


ექვთიმე დიდად ემაღლიერებოდა ექსპედიციის წევრებს. „მიხ. ჭიაურელი რომ წავიყვანე მხატვრად, ძალიან ყოჩაღად ირჯებოდა, ყველაფერი ეხერხებოდა და თან აცოცხლებდა და ამხიარულებდა მთელ ექსპედიციას. ის ხომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია და სხვათა შორის, იმიტაციაც ემარჯვებოდა. ძალიან სასარგებლო თანამშრომელი გამომადგა იმ ექსპედიციაში დ. შევარდნაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით იყო მოსილი და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით მუშაობდა... მერე ხომ მან გამაოგნა მშვენიერი ქართული შრიფტით, რომელიც ბევრად ჯობდა ახლა გავრცელებულს“. ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილიც გახლდათ.


1945 წ. დეკემბერში საქართველოში დაიწყო ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ 1921 წ. დაკავებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა საბჭოთა მთავრობამ თურქეთს 1945 წ. წაუყენა. ეს საკითხი განხილულ იქნა ამავე წელს გამართულ პოტსდამის კონფერენციაზე. სსრკ უმართებულოდ მიიჩნევდა თურქეთთან საზღვრის მონაკვეთს — ეს ეხებოდა ყარსის, ართვინისა და არდაგანის ოლქებს. დავალებაც მოსკოვიდან მოდიოდა. სტალინი, რომელმაც მოიგო ომი, ცდილობდა თურქეთისთვის თავისი პრეტენზიები წაეყენებინა. თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების კამპანიაში 1945 წელს აქტიურად ჩაერთო ქართული მხარე. გაზეთმა „კომუნისტმა“ 14 დეკემბერს გამოაქვეყნა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილი, რომელიც 20 დეკემბერს „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ გადაბეჭდეს. ტაო-კლარჯეთის თემა ქართველი მწერლების ნაწარმოებებშიც გამოჩნდა. რა თქმა უნდა, ამ თემას გამოეხმაურა ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელიც ეროვნულ განძთან ერთად თბილისში ახალდაბრუნებული იყო. მისი წერილი „თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე“ 1946 წლის 25 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა. დიდი მამულიშვილი კიდევ ერთხელ იგონებდა მის მოგზაურობას სამხრეთ საქართველოში და იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს ტერიტორიის სამხრეთი მხარე, რომელიც თურქეთის საზღვრებშია მოქცეული, ისევ ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში დაბრუნდებოდა. საკითხი იმით დასრულდა, რომ სტალინი ბოლოს იძულებული გახდა, უარი ეთქვა ამ წინადადებაზე. ამით კიდევ ერთხელ დაკარგეთ ტაო-კლარჯეთი, კოლა-ართვინი და ლაზეთ-ჭანეთი.*

* რისი დაკარგვაც შესაძლებელია, მისი მოპოვებაც შეიძლება! (რედ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნ. ბოსტაშვილი,** ახალგანთავისუფლებულ მიწა-წყალზე / მნათობი, №11, 1990.
- ი. გივიაშვილი, ი. კობლატაძე,** ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.
ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან, თბ., 2003.
- ე.თაყაიშვილი,** არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.
- ე. თაყაიშვილი,** ემიგრანტული ნაშრომები. დაბრუნება. ტ. 1. თბ., 1991.
- ე. თაყაიშვილი,** რჩეული ნაშრომები, ტ. 1. თბ., 1968.
- ე. თაყაიშვილი,** 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
- ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.13, აღწ. 3, საქ. 1622. ფ. 1-3, ფ. 4-5.
- Материали по археологии Кавказа, т. 12, 1909.





პანტანო ბერიძე

ნიკო ფიროსმანაშვილი

ნაწილი მეორე

I. ნიკო ფიროსმანის ყველაზე მეტი სურათი – 149 – ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში*, თბილისში. აქ თავმოყრილია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები. სხვა მუზეუმებში (მოსკოვში – ტრეტაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, პეტერბურგში – რუსული ხელოვნების მუზეუმში, მირზაანში – ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში), კერძო კოლექციებში (თბილისში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და პარიზში) – თითო ან რამდენიმე ნამუშევარია. კედლის მხატვრობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაღუპულია. განადგურებულია, აგრეთვე, აბრების უმეტესობაც. რაც გადარჩა, უმცირესი ნაწილია ფიროსმანის მიერ შექმნილისა. მაგრამ ძიება დღესაც გრძელდება**.

მხატვრის ნაწარმოებთა ატრიბუცია მაინცდამაინც რთული არ არის, თუმცა ამ საკითხზე საგანგებოდ არავის უმუშავია და შემდეგში, ცალკეულ ნამუშევართან დაკავშირებით, შესაძლებელია, წამოიჭრას კიდევ ზოგი

* მონოგრაფიის პირველი ნაწილი ქურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა.
* 1987–88 წლებში, როდესაც ეს ნაშრომი იწერებოდა, მუზეუმში ფიროსმანის 149 სურათი იყო აღრიცხული. 1999–2001 წლებში სარეესტრო კომისიამ ორი ფერწერული ტილო „ალექსანდრე ზაქარაიას ძე მანუჩარაშვილი“ და „მოგზაური“ ფიროსმანის წრეს მიაკუთვნა. 1930 წელს დიმიტრი შვეარდნაძემ მუზეუმისათვის შეიძინა ფრაგმენტი სურათიდან „ნადირობა ინდოეთში“ („მონადირე“, 33X22 სმ). 1937 წელს მუზეუმ „მეტეხის“ ფონდს გადაეცა სურათი, რომელსაც ეს ფრაგმენტი ეკუთვნოდა. დღეს ხელოვნების მუზეუმში ფრაგმენტი დაუბრუნდა ძირითად სურათს და მიმდინარეობს რესტავრაცია. დღეისათვის მუზეუმში აღრიცხულია ფიროსმანაშვილის 146 ნამუშევარი (გ.მ.).
** კ. ზდანევიჩის კატალოგში ჩამოთვლილია ორმოცამდე დაკარგული და დაღუპული ნაწარმოები – ისინი, რომელთა ნახვა და აღნუსხვა მან მაინც მოასწრო, ფიროსმანთან ნაცნობობის პირველ ხანებში. ამავე კატალოგიდან ჩანს, რომ 1926 წელს რამდენიმე ათეული ნაწარმოები ჯერ კიდევ სამიკიტნობსა და ღვინის სარდაფებში იყო, დაახლოებით 70 კი – კერძო საკუთრებად რჩებოდა. ე. კუზნეცოვის 1984 წელს გამოცემულ წიგნში (ლენინგრადი, „ავრორა“) დაკარგულთა სიაში 57 დასახელებაა.

საკითხი. სურათების უმეტესობა ხელმოწერილია.* ბევრი სხვა მნიშვნელოვანი სურათის ავტორი რომ ფიროსმანია, დადასტურებულია მათი შესრულების თვითმხილველთა ან შემკვეთთა მიერ. დასასრულ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრულსა და ტექნიკურ მაჩვენებლებს, შინაარსზეც რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენთვის ცნობილ სურათთაგან სულ რამდენიმეა „ამოვარდნილი“, სხვები ეჭვს არ იწვევენ.

უფრო რთულია დათარიღების საკითხი. თვით მხატვრის მიერ დათარიღებული სურათი ცოტაა. მათი უმეტესობა რატომღაც 1906 წელს მიეკუთვნება (უცნაურია, რომ ამათგან ორი ნამუშევარი ერთი და იმავე დღით, 8 ივნისით თარიღდება).** ზოგი სურათის შესახებ სიტყვიერი ცნობა არსებობს, ფიროსმანის ნაცნობებისაგან მიღებული, მაგრამ, ორი-სამი გამონაკლისის გარდა, საეჭვოა, რომ ეს ცნობები ზუსტი და უტყუარი იყოს.

კირილე ზდანევიჩის მიერ შედგენილ კატალოგში, რომელიც ჯერ 1926 წელს კრებულში დაიბეჭდა, შემდეგ კი მის საკუთარ წიგნში, სურათების ნაწილი 1895–1903 წლებით თარიღდება, სხვები კი, 1904 წლიდან მოყოლებული, წლების მიხედვით არის განაწილებული. მაგრამ ეს კატალოგები განსხვავდება ერთმანეთისაგან, წიგნის მიხედვით არ ჩანს, რომ ავტორს დათარიღებისათვის რაიმე დოკუმენტური მონაცემები ჰქონდა: სურათები მან საკუთარი დაკვირვებებისა და მოსაზრებების მიხედვით დააღაგა. ზდანევიჩს წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ფიროსმანის შემოქმედების საერთო პერიოდიზაცია (სამ პერიოდს გამოჰყოფს: 1895–1903, 1903–1915, 1915–1918 წლები)²⁰. მისი დაკვირვებათა ნაწილი უეჭველად გასათვალისწინებელია, როგორც მართებული; მაგრამ შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიების გარეშე მაინც ძნელია, უყოყმანოდ დაეთანხმო ამგვარ პერიოდიზაციას; მით უფრო მოითხოვს დაკვირვებულ შემოწმებას ნაწარმოებთა დათარიღება. მე მგონია, მათი ზოგადი დაჯგუფება მართლაც შესაძლებელია, მაგრამ საეჭვოა, რომ წლების მიხედვით ზუსტი განლაგებისათვის შევძლოთ სანდო საბუთების მოძიება. ასეა თუ ისე, ეს მომავლის საქმეა.

ზოგი სურათის დასახელებაც პირობითად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ბევრ მათგანს წერილობითი განმარტება ახლავს: „უწინდელი საქართველოს ქორწილი“, „აქტრისა მარგარიტა“, „შავი ზღვა“, „უშვილო მილიონერი და შვილებიანი ღარიბი“, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“, „შეთე გზას უჩვენებს თავად ბარიატინსკის შამილის დასატყვრად“, „ვირის

* ფიროსმანი თავის სურათებს ხელს აწერდა ხან ქართულად, ხან რუსულად, თანაც სულ სხვადასხვანაირად: ან სახელსა და გვარს აღნიშნავდა, ან ერთ ინიციალს და გვარს, ან მარტო ინიციალებს, ხშირად კი ასოებით Ж.Н.И., რაც რუსულად ნიშნავდა „ფერმწერი ნიკო ფიროსმანი“. ქართულსა და რუსულ ხელმოწერაში ზოგჯერ ამოკლებდა გვარს: „ფიროსმანაშ“.
** ეს ნამუშევრებია „ალექსანდრე გარანოვის პორტრეტი“ და „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“ (გ.მ.).

ხიდი“, „ყაჩაღები საძარცველად მიდიან“. ზოგი განმარტება ქართულია, ბევრია რუსულიც (რუსული წარწერები დიდად დაშორებულია სწორი ორთოგრაფიიდან). განმარტება ახლავს ზოგ პორტრეტსაც (ჯგუფურებსაც – აქ გვარები ყოველ გამოსახულ პირთან არის მიწერილი;* მაგრამ სურათების უმეტესობა უფრო გვიან, მხატვრისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მოინათლა. ზოგი ამათვანი კონკრეტულია, „აღწერილობითი“ („ქალი ლუდის კათხით“, „ქალი ზამბახით და ქოლგით“, „მეთევზე“, „ქეიფი ვაზის ტალავერში“ და სხვ.), ზოგი – „განმაზოგადებელი“ („კახეთის ეპოსი“ – „სწავლული“ სახელწოდება, რომელიც, ცხადია, თვით ფიროსმანის შერქმეული არ შეიძლება იყოს; „მდიდარი კინტოს შვილი“, „ორთაჭალის ტურფა“ და სხვ.).

როგორია მისი სურათების თემატიკა? პირველი, რაც თვალს ხვდება, როდესაც მათ ეცნობი, და რაც მთელ მის შემოქმედებას თავისებურ შეფერილობას ანიჭებს – ეს არის დიდი რაოდენობა სურათებისა, რომლებიც ქეიფის სცენებს, მოქეიფეთა „კამპანიებს“ ასახავს; თემატურად შეიძლება მათ დაუუკავშიროთ ნატურმორტები და აბრები, რომლებიც ერთგვარად დასურათებულ ინფორმაციებს წარმოადგენენ. მას შემდეგ, რაც გავეცანით ფიროსმანის ცხოვრებას, იმ წრეს, რომელშიც იგი იმყოფებოდა, მის შემკვეთთ, ასეთი სურათების ხვედრითი წონა ვერ გაგვაკვირვებს. ფიროსმანის სურათები სრულდებოდა სამიკიტნობის, ღვინის სარდაფების, სამხიარულო დაწესებულებათა დასამშვენებლად.

მაგრამ ეს „ქეიფები“ მოიცავს თემების საკმაოდ ვრცელ წრეს და ზოგჯერ უკავშირდება სხვა თემებსაც: „ქეიფი“ ხან „წმინდა“ სახით არის წარმოდგენილი – გაშლილი სუფრა, მის გარშემო მსხდომნი, პირობითი, აბსტრაქტული ფონი; უმეტესად კი ასეთი სცენა გაშლილია პეიზაჟის ფონზე – აქ ან მთები, მდინარეები და ხეებია, ან ვენახი; პეიზაჟი აქ, თავისი მნიშვნელობით, თითქმის უტოლდება საკუთრივ „ქეიფს“; მაგრამ არის უფრო დიდი კომპოზიციებიც, რომლებშიც „ქეიფი“ მხოლოდ ერთ-ერთი სცენაა. ინტერიერში მოქცეული „ქეიფი“ მას არ დაუხატავს.

ვინ „ქეიფობს“ ფიროსმანის სურათებში? რამდენიმე შემთხვევაში თავადები არიან. მათი ცნობა ადვილია ტანსაცმლით, იერით, რომლის გად-

* როგორც ცნობილია, ფიროსმანის სურათები ხშირად აღჭურვილია არა ინფორმაციის შემცველი წარწერებით, არამედ თავისებური „ლოზუნგებით“ და „მოწოდებებით“, რომლებიც ამ წიგნშიც არის მოხსენებული გზადაგზა: „მადლობა ღმერთსა რომ დევესწარიით აღდგომა დღესა ქრისტე აღდგა ჭეშმარიტად გაუმარჯოს მშობას ამხანაგობას“; „...კეთილი ცხოვრება ყველა გამრავლოს“; „მშებო, დავლით ღვინო, მოვიგონოთ კოხტა ნინო“; „გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა“ და ბევრი სხვა. აქვს ერთი სრულიად გამორჩეული წარწერაც: ტახტზე წამოწოლილ ქალს წინ გაწვილ ხელში უჭირავს გრავინილი, რომელზედაც იკითხება: „აბა მნახეთ რა დღეში ვარ კიდენ და გაუმარჯოს კეთილ ხალხს“. ამ წარწერის გასაკვებად საჭირო იქნებოდა გვეცოდნოდა სურათის დახატვის გარემოება და გამოსახული ახალგაზრდა ქალის ვინაობა.

მოცემაც ფიროსმანს სულ მარტივად შეეძლო, მაგრამ უმეტესად ეს თვით სურათების შემკვეთნი – მიკიტნები, მედუქნეები, კინტოები და ყარაჩოდელები არიან, აგრეთვე, მათი მუშტრები იმავე სოციალური ფენიდან. ყოველი მათგანისთვის სუფრასთან დროსტარება, ტრადიციული წესრიგის დაცვით, ტრადიციული კერძებითა და სასმელით, ცეკვით, სიმღერით, არღნის, ზურნისა და დუდუკის გულისამაჩუყებელი აკომპანიმენტით – „სულიერი“ ცხოვრების უმთავრესი ფორმა იყო; მათთვის იგი ხელოვნების, ესთეტიკის ღონემდე მალდებოდა და, ამასთან, მათს საკუთარ ხელობასთან, ყოველდღიურ საქმიანობასთანაც იყო დაკავშირებული. მათ სურდათ დახატულიყვნენ სწორედ ამ დროს, როცა ყველაზე სრულად და დამახასიათებლად ვლინდებოდა მათი ადამიანური არსი და სიცოცხლით ტკობა. არსებითად, ეს ჯგუფური პორტრეტებია და მათი დანიშნულება რამდენადმე მოგვაგონებს დანიშნულებას ჰოლანდიური კორპორაციული პორტრეტებისა, რომლებიც, აგრეთვე, ერთი ხელობის ადამიანებს გამოხატავენ რომელსამე საზოგადოებრივ დაწესებულებაში გამოსაფენად.*

ზოგ დუქანში ფიროსმანის ხელოვნება მუშტრებს შესასვლელშივე ხვდებოდა, იქ, სადაც აბრა ეკიდა, შიგ შესული კაცი კი მთლიანად მისი სურათებით იყო გარშემორტყმული. ზოგ დუქანში თხუთმეტზე მეტი სურათი ჰქონდათ ნიკოსი. აბრა მარტო ტექსტს კი არ შეიცავდა, არამედ გამოსახულებასაც: იგი ერთბაშად ქმნიდა განწყობილებას და მუშტრები ამ სამყაროში შეჰყავდა (აბრა „Винный погреб. Распивочно и на вынос“: დახატულია ურემი და ზედ უზარმაზარი ტიკი, რომელიც სიდიდით ხარებს სჭარბობს; ურემებს მიჰყვება ჩოხიანი მხედარი, ფაფახით, ხანჯლით, ხელში კი ყანწით; აბრა „Чай, пиво и лимонад, сельтерская. Раз. креп. напиток“: დუქნის მსახური, რომელსაც ჩაიდნები უჭირავს; ლუდის კასრი და ლუდით სავსე კათხები; ლიმონათისა და სელტერის წყლის ბოთლები; ფონი – ლიმონის მსხმოიარე ხეები).

სუფრასთან მსხდომი მუშტრები კედლებზე იმავეს ხედავდნენ, რითაც თვითონ იყვნენ დაკავებულნი, ხედავდნენ საკუთარ თავს ან თავიანთ მსგავსთ. სურათების მოქმედი პირები თითქოს მონაწილეობენ საერთო

* მიკიტან ჭიჭინაძის ნაამბობი: ნიკო „დღიდანვე ჩამოვლიდა ღვინის დუქნებს, თუ ვის ჰქონდა დასახატი. მეც თუ გუნებაზე ვიყავი, ვეტყვოდი: – აბა, დამიხატე მცხეთა, ტყე, არაგვი, მინდორი, ვენახი. თუ კამპანიაში ვიყავით, კამპანიას დავახატვინებდიო ეს გოჭი, ეს ქათამი, მწვანელი, ეს ფრთიანი ორაგული, ხილი, ღვინო; მეარღნე თავისი „ხალთაბანდებით“. – დარდი ნუ გაქვს გენაცვალე, ყველაფერი შიგ იქნება, ოღონდ ერთი მანეთი მომეცი, საღებავები ვიყიდო“. მედუქნე ლიმონას მოგონება: „მთელი ბაზრის საყვარული იყო. დაჰხატავდა სურათს და დუქან-დუქან ჩამოატარებდა... სურათში ფულს არ გვართმევდა, პურმარილში აქვითებდა... ხან თითონ ჩვენ ვეხატვინებოდით. ერთხელ მეც დამხატა ჩემი ამფსონებით. კვირა დღე იყო. ქუჩაში მიმავალი ნიკალა შემოგაბრუნეთ, სუფრას საწოლაგე... მივუმატე. სამი დაწინწკლული ხელადა წინ დავიდგით, გარს მწვანელი შემოუყარეთ. დუქანში ბნელოდა, ამიტომ ნიკო კარებთან იდგა და კარის სინათლეზე გეხატავდა. იკლიკანტური სურათი გამოვიდა“²¹.

მოლხენაში სამიკიტნოში მყოფ მუშტრებთან ერთად.* სურათების დანიშნულებაა ინტერიერიც დაამშვენოს და თვალის გაახაროს, მაგრამ, აგრეთვე, კონტაქტი დაამყაროს იმასთან, რაც სამიკიტნოში ხდება. შემთხვევითი არ არის ასეთი წარწერები: „გაუმარჯოს კამპანიას ბეგო. კეთილი ცხოვრება ღმერთმა ყველას გაუმრავლოს“; „გაუმარჯოს პურ მარილიან კაცსა“; ანდა საადგომო ბატონების სურათებზე განმეორებული ტექსტი: „მადლობა ღმერთს რო დავესწართ აღდგომასა ქრისტე აღდგა ჭეშმარიტათ“. ასევე აძლიერებს სურათებისა და პორტრეტების ზემოქმედებას განმარტებითი ტექსტები – სურათების დასახელება (უფრო სწორედ – შინაარსის განმარტება), დახატულთა გვარები (წარწერები პანოზე „ნადირობა შავი ზღვის სანაპიროზე“ სურათის ცალკეულ ნაწილთა განმარტებასაც გვაძლევს, რომლებიც სხვადასხვა სიუჟეტს გამოხატავენ).

ქეიფების თემას შეგვიძლია დაუვკავშიროთ ფიროსმანის ნატურმორტებიც, რადგანაც აქაც გამოსახულია საჭმელ-სასმელი და მათაც პირდაპირი კავშირი აქვთ ღუქების ინტერიერებთან, რომელთა დასამშვენებლადაც იყვნენ განკუთვნილნი. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიროსმანის სურათები, რომლებიც სამიკიტნოებს ამკობდა, თემატიკით დიდად სცილდებოდა საკუთრივ ქეიფის სცენებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ ის დიდი კომპოზიციები, რომლებშიც ქეიფის სცენები შემადგენელ ნაწილებადაა ჩართული. ეს სურათები მოწმობს, რომ მხატვარს სურდა გამოსულიყო ერთი და იმავე, ყოველდღე განმეორებული თემის ვიწრო ჩარჩოებიდან და მშობლიური ქვეყნის ბუნებასაც ზიარებოდა და ხალხის ცხოვრებასაც, მისთვის ასე ძვირფასსა და ახლობელს. თუმცა იგი შეზღუდული იყო, რაკი მხოლოდ თავისთვის მისაწვდომსა და ნაცნობს ხატავდა, მაგრამ ამით მაინც ცდილობდა განეზოგადებინა, პანორამულად მოეცვა მთელი თავისი ქვეყანა, მისი მრავალფეროვანი ცხოვრებით.

ერთ-ერთ ასეთ სურათზე „ვირის ხიდი“ იგი ქეიფის ვარიანტებს გვიჩვენებს, მაგრამ ესეც თავისებური განზოგადებაა, თითქოს ღრეობის აპოლოგიაა: ქეიფობენ ღია ცის ქვეშ, ქეიფობენ ტალავერში, ქეიფობენ ნავებშიც! „კახეთის ეპოსში“ (მეორე სახელია „ალაზნის ველი“) და „ბოლნისის წმინდა გიორგის დღეობაში“, რომლებიც ერთი სცენარის ორი ვარიანტია, მოქეიფეთა ფიგურები მხოლოდ ჩართულია სხვა სცენების რიგში, თუმცა მაინც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. ორივე ეს სურათი, რომლებიც ფიროსმანის ყველაზე დიდ ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება, ძალიან წაგრძელებულია: პირველის ზომაა 91 x 539 სმ., მეორისა – 78 x 263 სმ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მხატვარს მიზნად ჰქონდა, სინქრონულად მოეთხრო სხვადასხვა ამბის შესახებ (რა თქმა უნდა, მათი ზომები წინასწარვე იყო შეფარდებული იმ ოთახებთან, რომლებშიც ისინი უნდა მოეთავსებინათ).

* იხ. ამის შესახებ საინტერესო დაკვირვებები ე. კუზნეცოვის წიგნში.

შეიძლება ითქვას, რომ აქ ფიროსმანი თავს არ იზღუდავს და ლაღად „მიმოიხილავს“ ხალხური ცხოვრების სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. თხრობა მწვანე გორაკებისა და კლდეების ფონზე გაშლილი. რა არ არის აქ: პატარა მდინარე და ხიდი, წყლის წისქვილი, ცხვრის ფარა; სოფლის პატარა ეკლესიასთან – საეკლესიო დღეობაზე ჩამოსული მლოცველები და ღამის სათევი კარვები; სხვები ეკლესიისკენ მიემართებიან მოჩარდახული ურმებით, ვიღაცა ეტლითაც ჩამოსულა... „კახეთის ეპოსში“ სამი მოქეიფე თავადი წინა პლანზეა, მარცხენა კუთხეში. „ბოლნისის დღეობაში“ რამდენიმე, უფრო „მოცრო“, წვეულებაა; არავინ არ არის გამოტოვებული – არც წითელხელსახოციანი მოცეკვავე, არც მემუსიკეები, არც დიდ ქვაბთან მდგომი მზარეული, არც მეწისქვილე, არც წისქვილისკენ მიმავალი გლეხები, არც მათი სახედრები, ზურგზე გადაკიდული ზურჯინებით... და ორივე სურათში ერთი კუთხე დათმობილი აქვს ყაჩაღების მიერ კაცის გაძარცვის სცენებს... „სტრაჟნიკები“ საშველად მირბიან, ზოლო შუაში წინა პლანზე მდგომი კაცი („ბოლნისის დღეობაში“) მათ მიანიშნებს, სად ხდება ძარცვა, რაც ფიროსმანისთვის ნაკლებად დამახასიათებელი თხრობითი დეტალია.

ამგვარად, მხატვრის ამოცანაა, წარმოგიდგინოს ცხოვრების სხვადასხვა მხარე – შრომაც, ზრუნვაც ყოველდღიური არსებობისთვის (მწყემსი, წისქვილი), ტრადიციული ხალხური დღესასწაულიც, რომელიც უკვე მაშინ სცილდებოდა სარწმუნოებრივი გრძნობების გამოხატვის ფარგლებს, მხიარულებაც, ფათერაკებიც, რომელთაგანაც არცერთი ადამიანი არაა დაზღვეული, ნაჩვენებია ქვეყნის პანორამა (პორიზონტზე ჩანს სოფელი, უფრო ახლო აღმართულია რაღაც ძველი ნაგებობა, ციხის თუ კოშკის მსგავსი). ყველაფერი გადმოცემულია ბუნებრივად და ორგანულად, ყველაფერი – ერთიანადაც და წერილმანებიც – გვიზიდავს უტყუარობით, არა მარტო ეპიზოდების სიუჟეტებისა, არამედ ყოფითი დეტალებისა, რეალიებისა, ბრტყელსახურავიანი – „ბანიანი“ სახლების არქიტექტურისა. მნახველები ხომ მხატვარს ჭეშმარიტებიდან უმცირეს გადახვევასაც არ აპატიებდნენ, ყოველივე ეს მათთვისაც ხომ ისევე ნაცნობი და ახლობელი იყო, როგორც მხატვრისთვის.

„რთველში“, რომელიც, ეჭვგარეშეა, ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავთაგანია მის ნაწარმოებთა შორის, მხატვარი თითქმის მთლიანად გამოდის ქეიფის თემიდან (მოქეიფენი აქაც არიან, მაგრამ სადღაც სიღრმეში არიან „განდევნილნი“ და სურათის რიგით დეტალად გადაქცეულნი). ეს რთველია – მისი მშობლიური კახეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა. მაგრამ ეს სურათიც თავისი თემით უშუალოდ უკავშირდება სამიკიტნოს, ღვინის სარდაფს, რომლისთვისაც იყო შესრულებული.

ფიროსმანს ისეთი სურათებიც აქვს, რომლებიც მათ სიუჟეტურად

სრულიადაც არ უკავშირდება. ასეთია, მაგალითად, „ნადირობა შავი ზღვის ნაპირას“, სადაც არაფერი არ შეეფერება სინამდვილეს, ყველაფერი გულუბრყვილობამდე თვითნებური და ფანტასტიკურია. ეს შეიძლება აიხსნას ან შემკვეთის (ღვინის ვაჭრის სითათიშვილის, რაც ეს საგანგებოდ არის აღნიშნული წარწერაში), ან თვით მხატვრის ახირებით: სურათში ნაჩვენებია უღრანი ტყე, რომლის ფონზე გამართულია ირმებზე ნადირობა; კლდე და ზედ ამყავდ წამომართული ჯიხვი; კიდევ ტყე და მის შიგნით, როგორც წარწერა განგვიმარტავს, დათვზე ნადირობა. ძნელი გასაგებია, ვის და რატომ მოეპრიანა დაეკავშირებინა შავ ზღვასთან ირმები, ჯიხვი, დათვები, რომლებიც იქ არ გვხვდება; მაგრამ სურათი, როგორც ჩანს, მნახველთა ინტერესს აღძრავდა თავისი უჩვეულობით, ყოველდღიური პროზაულობისაგან დაშორებით, თავისებური რომანტიკულობით. ხოლო ფიროსმანისთვის რომანტიკა რომ უცხო არ იყო, ამას ნათლად მოწმობს მისი ღამის პეიზაჟები, „ყაჩაღები“ და მრავალრიცხოვანი გამოსახულება ცხოველებისა, რომლებიც ფიროსმანს განსაკუთრებით უყვარდა. მამ, რით შეიძლება ავხსნათ მშვენიერი „არსენალის გორა ღამით“, ან სურათები: „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“, „ყაჩაღები საძარცვაკად მიდიან“, ან ისეთი, სრულიად მოულოდნელი რამ, როგორიც არის „დათვი მთვარიან ღამეში“, სადაც მთვარის შუქის ეფექტი განსაცვიფრებლადაა გადმოცემული...

თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა სურათში „ჩართულ“ ცხენებსა და ხარებს, ფიროსმანის შემორჩენილ სურათთაგან 50-ზე მეტი, ე.ი. თითქმის მეოთხედი, ცხოველებისადმი მიძღვნილი.

მას ვერ ჩავთვლით ანიმალისტად ჩვეულებრივი გაგებით. ფიროსმანი უბრალოდ კი არ ხატავდა ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებს, როგორც პაულუს პოტერი ან როზა ბონერი ხატავდნენ თავიანთ ძროხებსა და ხარებს, რომლებსაც სხვა პრეტენზია, გარდა იმისა, რომ ხარები და ძროხები ყოველივენი, არ ჰქონდათ. ფიროსმანისთვის ყოველი ცხოველი რაღაც იდუმალი მნიშვნელობის მქონეა, ისინი მასთან გააღამიანურებულნი არიან, როგორც იგავ-არაკებში; ზოგჯერ მათ სიმბოლური აზრიც ენიჭებათ, როგორც ადამიანის ამა თუ იმ თვისების, ამა თუ იმ საწყისის (კეთილის, ბოროტის) განმასახიერებელთ. მიყვარს ცხოველების ხატვა, ისინი ჩემი გულის მეგობრები არიანო, უთქვამს მას ლადო გუდიაშვილისთვის. და მართლაც, სიტყვიერად ძნელი გადმოსაცემია ის განწყობილება პოეტურობისა, „სულიერობისა“, გულითადი სითბოსი, რომელიც ექმნება ადამიანს, როცა უყურებს ფიროსმანისთვის განსაკუთრებით საყვარელ ირმებსა და შვლებს (ქართულ ფოლკლორშიც ხომ ისინი განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობენ!); როგორ თანაუგრძობს იგი განწირულ სააღდგომო ბატკნებს, როგორ არის გადმოცემული დედობრივი მზრუნველობა გოჭების თანხლებით მიმავალი უზარმაზარი თეთრი დედა ღორის

„გამომეტყველებასა“ და მთელ ფიგურაში, ასევე თეთრ დათვსა და დათვის ბელებში.* რა გოროზი იერი აქვთ ლომებს! რა თქმა უნდა, შავი ტახი მხატვრისთვის განასახიერებს უკეთურ რასმე (ფერითაც, „ხასიათითაც“), ისევე როგორც არწივი, რომელიც კურდღელს ფატრავს – ეს მხოლოდ „ბუნების სურათი“ კი არ არის, არამედ ბევრად მეტს ნიშნავს. დამახასიათებელია შთაბეჭდილება, რომელიც მისმა „ჭირაფმა“ მოახდინა პირველ კრიტიკოსებზე: „თუ მართალია ვაინინგერი, – წერდა ერთი მათგანი (გარი გოლანდი) 1916 წელს, – რომ ყოველი ცხოველი თავის თავში ატარებს სამყაროს რომელსამე მეტაფიზიკურ განსაზღვრას, მაშინ ფიროსმანაშვილის ჭირაფში ასეთ განსაზღვრას უეჭველად აღმოვაჩინო: ჭირაფის თვალები გადმოცემულია ისეთი მეტყველი ძალით, რომ გავიწყდება, რომ ეს მხოლოდ ცხოველია და თქვენ გიპყრობთ ღამის მისტიკური შიში“.²² მეორე ავტორი, ა. პეტრაკოვსკი (ისევე 1916 წელი) აღნიშნავდა, პირველად რომ დავინახე „ჭირაფი“, „ერთბაშად შემიპყრო უცნაურმა შემოთქამმა, თუ გნებავთ – ძრწოლამაც... ეს რაღაც მაგაია, ჯადოქრობა...“²³

ავტორები საგანგებოდ გამოყოფდნენ აგრეთვე „შველს“, რომელმაც ერთ მათგანს თიხის ნაკეთობა მოაგონა. სამართლიანი დაკვირვებაა – „შველი“ მართლაც ეხმიანება ქართულ ხალხურ კერამიკას (კერძოდ, კახურს), ფიგურებიანი სასმისებით, რომლებიც ხშირად შველსაც გამოხატავს. მაგრამ ფიროსმანის სურათში იგი არა მარტო გაცოცხლებულია, არამედ დაძაბულიც, თითქოს ერთიანად თრთის რაღაც საშიშროების მოლოდინში. ესეც თავისებური ჯადოქრობაა.

დამახასიათებელია ცხოველთა შერჩევაც: უმეტესად ეს „კეთილშობილი“ ცხოველებია, მაგრამ არიან, აგრეთვე, „მშრომელებიც“ – ძროხა, აქლემი, სახედარი; დახატული ჰყავს მეღაცე, რომელიც მისთვის, უეჭველია, ადამიანურ მანკიერებათა სიმბოლოს წარმომადგენელია.**

ნიკოს მუშტრები, ეტყობა, ცხოველებისადმი ნიკოს სიყვარულს თუ არა, ინტერესს მაინც იზიარებდნენ: სურათების ძველი სიები, შედგენილი მაშინ, როდესაც მის სურათებს სამიკიტნობსა და სარდაფებში ეძებდნენ, მოწმობს, რომ ცხოველებიან სურათებს ყველგან დიდი ადგილი ეჭირა.

ამგვარად, ამ სურათების — ქეიფები, ნატურმორტები, პანორამები და

* საკვირველია ფიროსმანის, ან მისი მუშტრების, საგანგებო დაინტერესება თეთრი დათვებით, რომლებიც თბილისში, რა თქმა უნდა, არავის ენახა. ფიროსმანს აქვს სხვა ვარიანტებიც – ერთ-ერთში დათვი გამოსახულია თითქმის სუბტროპიკულ პეიზაჟში, სადაც სიმინდიც არის, ხეხილიც და ხშირი მცენარეულობაც. აქვს ერთი უცნაური სურათიც: „ტუნგუსეთის მდინარე ემუტი“, თეთრ დათვზე ნადირობის სცენით.

** ლ. გუდიაშვილი გადმოგვცემს ფიროსმანის სიტყვებს: „... ცხოვრებაში ყველაფერს ორი მხარე აქვს: კეთილი და ბოროტი მხარე. აი, თეთრი ძროხა არის სინაზის, სიმშვიდის, სიყვარულის სიმბოლო... შავი ხარი — ჩხუბობს, ღრიალებს — ომია. არწივი დიდაა და დაუნდობელი, პატარა, სუსტსა და უბადრუკ კურდღელს ძიძგნის. არწივი ეს მეფის არწივია, კურდღელი კი ... ეს მე და თქვენ ვართ.“²⁴

სცენები პეიზაჟის ფონზე, ცხოველები — მოხილვისას აღმოჩნდება, რომ ფიროსმანს, რომელმაც 45 წელი გაატარა თბილისში, შეუხისხლხორცდა ეს გარემო და სულ თბილისელებს ხატავდა. მას არც ერთხელ არ დაუხატავს თბილისი, მისი ქუჩები, მისი ხედები („ფუნიაკულიორი“ არ ითვლება — აქ მთაა დახატული, და არა ქალაქი). მას ჰქონდა მოთხოვნილება ეხატა ცოცხალი ბუნება. საქართველო — მისი სამშობლო — ფიროსმანისთვის ქალაქი კი არ არის, არამედ მთები, ტყეები და მდინარეები, სოფელი, რომელთანაც მას აკავშირებდა ბავშვობის მოგონებები.* მას აქვს სურათი „კალოობა ქართლში“, სურათები, რომლებზეც გლეხები არიან ასახულნი და ისინი, რომლებიც მის საუკეთესო ნამუშევრებს უნდა მიეკუთვნოს.**

უნდა მოვიხსენიოთ ფიროსმანის ნაწარმოებთა კიდევ ორი ჯგუფი: პირველს შეადგენს პორტრეტები და სხვადასხვა ტიპის გამოსახულებანი, ისევე იმ წრიდან აღამიანებისა, რომელთაც თვით ნიკო და მისი შემკვეთნი ხვდებოდნენ ცხოვრების გზაზე. გადარჩენილ სურათთა რაოდენობით ნიკოს ნაწარმოებთა შორის ამ ჯგუფს პირველი ადგილი უჭირავს; მეორე ჯგუფი „ისტორიულ ჟანრს“ მიეკუთვნება: აქ გამოსახულნი არიან ისტორიული პირები და წარსულის სცენები.

ფიროსმანის პორტრეტები და „ტიპები“ კვლავ ჩვენ თვალწინ გაშლილი თბილისური ბოჰემის, „დაბალი ფენების“, მაგრამ, აგრეთვე, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მთელი გალერეაა. ქალები გასართობი დაწესებულებებიდან: „აქტრისა მარგარიტას“ გარდა, „ქალი მარათი“ და ფრიად ვულგარული „ქალი ლუდის კათხით“; ორი „ორთაჭაღელი ტურფა“; შემდეგ — მუშები: „მუშა სოსო“, ორი სხვა მუშა — ერთს ტიკი აქვს ზურგზე მოკიდებული, მეორეს — კასრი;*** თეთრხალათიანი „შზარეული“, „დალაქი“ (არ შემონახულა), „ბავშვიანი ძიძა“, „მეარღნე“, „მებადური“ (ვარიანტი „მებადური კლდეში“ ტრეტიაკოვის გალერეაშია დაცული), „შეშის გამყიდველი“.

აი, ფრიად პოპულარული „მეეზოვეც“ — მოღუშული, გაბურძენული, შავ თვალებს რომ აბრიალებს და მრისხანედ რომ გვიყურებს, აშკარად თავი მოაქვს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს (ჯოხიც კვერთხივით

* ბათუმის ხედი სრულიად პირობითია, თუნდაც, ქალაქი ჩანს მხოლოდ შორს, ბორცვებზე, რომლებიც სინამდვილეში არც არსებობს. მთავარი ყურადღება ეთმობა პირველ პლანზე გამოსახულ მატარებელს, ზღვას, კარჭაპებსა და გემებს, რომელთა ანძებზე დროშები ფრიალებს. ეს „კონსტოლიტური“ პეიზაჟი ფიროსმანის ერთადერთი სურათია, რომელიც თავისი მოტივით ანრი რუსოს მოგვაგონებს (იხ. მისი „სენლუის კუნძულის ხედი“).

** „ბიჭი და ძროხა“, „ბავშვებიანი დედაკაცი წყალზე მიდის“, „გლეხი და მისი ვაჟი“, „გლეხის ქალი ვაჟით“, „შემღებელი გლეხი“, „პურის ცხობა“, „დღეობაზე მიმავალი გლეხები“, „მწვეფის ცხერის ფართი“, „მამალი, დედალი და წიწილები“, „გლეხის გოგო ბატიით და ჭუკებით“ და სხვ.

*** „ორთაჭაღელი ტურფებიც“ და ეს ორი მუშაც — შეწყვილებული, თითქმის სიმეტრიული სურათებია.

უპყრია ხელთ). ფსიქოლოგიური გახსნის (აღმოჩენის) მხრივ, ეს ერთი ყველაზე გამომსახველთაგანია ფიროსმანის „ტიპებს“ შორის.

შემდეგ, არაჩვეულებრივად დამახასიათებელი ჯგუფი: გაბერილი, მრგვალ პირისხანიანი ბიჭი, რომელსაც უფროსი კინტოს ტიპური „ფორმა“ აცვია, დონჯემოყრილი დგას და ცდილობს გაიბღინდოს. ამ სურათს „მდიდარი კინტოს შვილს“ უწოდებენ (მისი კოსტუმი შემკულია, — ესაა მთავარი — ვერცხლის ქამარი არტყია და ძეწკვიანი საათიც აქვს); „გოგო წითელი საჭაერო ბუშით“ — ესეც მრგვალი, ჩასუქებული, მყვირალა ფერის სამოსში გამოწყობილი, რა თქმა უნდა, ის წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსული გამდიდრებული ოჯახის შვილია, რომელსაც სურს სიმდიდრით იბრწყინოს და აჩვენოს, რომ გოგონა „საზოგადოებიდანაა“. მისი ცნობა, თუმცა უკვე წამოზრდილისა, მაგრამ იმავე სამოსით, შეიძლება ფიროსმანის ჯგუფურ პორტრეტზე „ოჯახური ქეიფი“. ეს სურათი ერთადერთია, რომელზეც ყველა მოქმედი პირი ევროპულადაა შემოსილი და სვამს არა ყანწით, არამედ ჭიქით. გოგონაცა და „მდიდარი კინტოს შვილიც“, რომელნიც უფროსებივით არიან გამოწყობილნი და ამდენად ლილიპუტებს მოგვაგონებენ, კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა ეს თვითონ ფიროსმანს, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა მიდრეკილება სატირისა და მხილებისაკენ, ამ შემთხვევაში მან, სოციალური დახასიათების სიმწვავეის თვალსაზრისით შეუბრალებელი სახეები შექმნა. მაგრამ დამნაშავე ამაში მახვილი თვალი და ფიროსმანის, როგორც მხატვრის, სიმართლეა.*

შემდეგ: რამდენიმე პორტრეტი სახელითა და გვარით ცნობილი პირებისა (ყველა ისინი მიკიტნები და მედუქნეები არიან, მეტ-ნაკლებად შეძლებულნი). მაგრამ ეს პორტრეტები ფოტოსურათებიდანაა გადახატული, ან მათი მიბაძვით შექმნილი (გარანოვის და სხვათა პორტრეტები).

ამავე წრეს „ბურჟუაზიული“ (უფრო სწორად — „წვრილბურჟუაზიული“) პორტრეტებისას და ტიპებისას შეიძლება მივაკუთვნოთ რამდენიმე ვარიანტი (ხუთი მაინც) „ქართველი ქალისა თარით ან დაირით“, რომელთაც ეროვნული სამოსი აცვიათ; აგრეთვე, „ვირზე მჯდომი ექიმი“ და კიდევ რამდენიმე სხვა; ალბათ, პირველი მსოფლიო ომის დროინდელია „დაჭრილი მეომარი“ და „მოწყალეების და“. რაც შეეხება ილია ზდანევიჩის პორტრეტს — ეს, რა თქმა უნდა, გამონაკლისია. არც მანამდე და არც შემდეგ ინტელიგენციის წარმომადგენლები მას არ დაუხატავს.

განცალკევებით დგას ძალიან ცნობილი ნაწარმოები „უშვილო მილიონერი და შვილიანი ღარიბი ქალი“ (წარწერა: „Миллионер бездетный; Бедная с детьми“), რომელიც მხოლოდ პირობით შეგვიძლია დაუვკა-

* შესაძლებელია იმავე სურათიდან არის გადმოსული „ქალი ქოლგითა და ზამბახით“ — რუსაქვებელური ქალბატონი, რომელსაც უზარმაზარო მოღური ქუდი ხურავს. ყოველ შემთხვევაში, ესეც „საოჯახო კამპანიის“ წრეს ეკუთვნის.

ვშიროთ განხილული სურათების რიგს. იგი მის სხვა ნამუშევართაგან სოციალური დაპირისპირების „პირდაპირი“ ასახვით განსხვავდება (ახლანხან აღვნიშნეთ, რომ ფიროსმანი არასოდეს არ ამხელდა, ბრალს არ სდებდა; პოეტმა კონსტანტინე სიმონოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „მიუხედავად ჯოჯოხეთურად ძნელი ცხოვრებისა, ის არ გასასტიკებულა და თავისი ბუნებითი სიკეთე არ დაუკარგავს“), მაგრამ აქ აშკარად იგრძნობა სხვაგვარი დაპირისპირებაც – წმინდა ადამიანური, ფსიქოლოგიური; თითქოს დასმულია კითხვა: მათ შორის მანინც რომელია უფრო ბედნიერი.

დასასრულ, „ისტორიული“ თემა, რომელსაც მივაკუთვნებთ ლიტერატურულ სიუჟეტებსაც (ილუსტრაციებს, მწერალთა პორტრეტებს); მისი არსებობა სავსებით კანონზომიერია. გავიხსენოთ, რა ადგილი უჭირავს (და ეჭირა მაშინაც) მწერლობას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, როგორი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობენ მწერლები (XIX საუკუნის პოეტების ბევრი ნაწარმოები, რუსთაველსა და გურამიშვილზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ზეპირად იცოდნენ გლეხებმაც და ხელოსნებმაც), და როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველებს თავიანთი სამშობლოს წარსულთან და როგორი შარავანდით არიან მოსილნი ეროვნული ისტორიის გმირები. ფიროსმანი მათ შორის ყველაზე პოპულარულებს ირჩევს – თამარ მეფეს, გიორგი სააკაძეს, „პატარა კახს“ – ე.ი. სწორედ იმათ, ვის სახელებთანაც არის დაკავშირებული საქართველოს წარსული დიდება, ან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მათთანაა გათანაბრებული რუსთაველი, რომელმაც თავისი პოემა თამარს უძღვნა. ფიროსმანმა ამის შესახებ იცოდა და მისთვის, ისევე როგორც ხალხისთვის, ეს ორი სახელი განუყოფელი იყო. მწერლობისა და ისტორიის მოყვარული მხატვარი ორივეს თავიანთს სცემდა (ამას ადასტურებდნენ მისი ახლობლები და ისინი, ვისაც მასთან საუბარი ჰქონია) და ხშირად უბრუნდებოდა მათს გამოსახვას. მედუქნეებისთვის კი ისტორიის გმირებისა და სამშობლოს წარსულის გმირული ამბების ამსახველი სურათების ქონა პატივისა და პრესტიჟის საკითხი იყო. ყველაზე უფრო ცნობილია ფიროსმანის მიერ დახატული ორი სცენა ვალერიან გუნიას პიესიდან „და-ძმა“, აგრეთვე, მრავალფეხურიანი კომპოზიცია „გიორგი სააკაძე მტრებისაგან იხსნის საქართველოს“. სხვა საკითხია, როგორია ამ „ისტორიული“ პორტრეტებისა და კომპოზიციების მხატვრული დონე, შეიძლება თუ არა მათი დაყენება მხატვრის სხვა ნაწარმოებთა გვერდით. პასუხი უარყოფითი იქნება – ეს სურათები ბევრად უფრო სუსტია. „და-ძმის“ მელოდრამატული სცენები ფოტოსურათების მიხედვით არის შესრულებული, ფიროსმანმა მხოლოდ ტანსაცმელი და სახეები შეცვალა; „საკაძესაც“ ფოტოგრაფია უდევს საფუძვლად – ეს არის სცენა დავით ერისთავის „სამშობლოდან“ (რომელიც დაწერილია ვიქტორიენ სარდუს

„ფლანდრიის“ ქარგაზე), იქიდან არის აღებული კომპოზიციის ბირთვი – ფიცის დადება დროშის წინაშე; ნასესხებია ცალკეული ფიგურებიც; ეს კია, რომ ფიროსმანმა დაუმატა სხვა ფიგურები, პეიზაჟი და ჯარი.* ერეკლე II გადახატულია გავრცელებული პორტრეტიდან (ცხადია, არა ორიგინალიდან, არამედ აგრეთვე ფოტოგრაფიიდან). რუსთაველისა და თამარ მეფის ხატვისას ფიროსმანი, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწევდა ცნობილ იკონოგრაფიულ პროტოტიპებს. ეს ყველაფერი აშკარად ბოჭავდა მას. იგი ხატავდა ცოცხალი ნიმუშების, საკუთარ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა გარეშე; ამიტომაც, რომ მის ისტორიულ პერსონაჟებს „ხასიათი“, შინაგანი ცხოვრება არ გააჩნიათ, ე.ი. არ გააჩნიათ სწორედ ის, რაც ფიროსმანის გმირებს ახასიათებს. ამ სურათებში კოლორიტიც ნაკლებ საინტერესოა, ზოგჯერ მას გემოვნებაც კი დალატობს. როცა ცალკე დახატა გიორგი სააკაძე, რომლის ერთადერთ ძველ პორტრეტს ის, აშკარად, არ იცნობდა, ფიროსმანი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს; მან მოისურვა მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა პორტრეტისათვის და სააკაძეს ისევე ჩააცვა, როგორც საქართველოს ზღვისპირა პროვინციის, გურიის მკვიდრნი იცვამდნენ, თუმცა, როგორც ცნობილია, ანტიისპარსული, განმათავისუფლებელი ბრძოლების გმირს გურიასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ბევრად უფრო ცოცხალია „უახლესი ისტორიისადმი“ მიძღვნილი სურათები, ანუ იმ პერიოდისადმი, რომელიც ფიროსმანის დროს ჯერ კიდევ ახსოვდათ: ეს არის ორი სცენა, დაკავშირებული რუსეთის მიერ დაღესტნის აღებასთან („შეთე გზას უჩვენებს თავად ბარიატინსკის შამილის დასაჭერად“ . „შამილი და მისი მცველი“), განსაკუთრებით კი „გლეხთა გათავისუფლება“ – ერთ-ერთი საუკეთესო ფიროსმანის ნაწარმოებთაგან.**

ეს არის, ძირითადად, ის, რაც ფიროსმანის თემატიკაზე შეიძლება ითქვას, თუმცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ნაწარმოები არ მოგვიხსენებია

* „სამშობლო“ პირველად დაიდგა 1881 წელს, „და-ძმა“ 1892 წლის იანვარში და მას შემდეგ ქართული თეატრის რეპერტუარში რჩებოდა რევილუციის წლებამდე.

** თავის ერთ-ერთ გვიანდელ დიდ სურათს, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე გაკვირვებით მოხსენიებულს, ფიროსმანმა უწოდა „უწინდელი საქართველოს ქორწილი“ – ეს ის სურათია, რომელიც ქართველ მხატვართა საზოგადოებას მიუძღვნა (მას ზოგჯერ შეცდომით უწოდებენ „ქორწილს კახეთში“. ნამდვილი სახელწოდება ზედ სურათზეა აღნიშნული); მაგრამ მას ისტორიულ ჟანრს ვერ მივაკუთვნებთ: ნეფე-დედოფლის შეხვედრის რიტუალი – მათი მსვლელობა მაყრიონის თანხლებით, თოფიდან სროლა და სხვა – ფიროსმანის დროსაც არსებობდა; ეს არის ცოცხალი სურათი ქართული სოფლის ცხოვრებიდან.

არსებობს ცნობა, რომ ფიროსმანს შეუსრულებია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები – თითქოს ეს კედლის მხატვრობა იყო, მაგრამ არ შემონახულა. როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი ღირსება, თუ ის მართლაც არსებობდა, ეს საგანგებოდ აღსანიშნავი ღირსშესანიშნავი ფაქტია. როგორც ცნობილია, პოემის გამოცემის პირველი ილუსტრაციები, შესრულებული ქართველი მხატვრების მიერ, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებს მიეკუთვნება. მანამდე არსებობდა მხოლოდ უნგრელი ზიჩის ილუსტრაციები (XIX საუკუნის 80-იანი წლებისა), უფრო ადრე კი XVII საუკუნის ხელნაწერთა მინიატურები.

– დანარჩენებიც დასახელებულ ჯგუფებს მიეკუთვნება. შეიძლება დავუმატოთ, რომ ვერც ერთი მისი თანამედროვე ქართველი მხატვარი ვერ შეედრება ფიროსმანს თემატიკის მრავალფეროვნებით.

და მაინც, სურათისა და დახასიათების სისრულისთვის უნდა აღვნიშნოთ არა მარტო ის, რასაც ფიროსმანი ხატავდა, არამედ ისიც, რის დახატვის სურვილიც არასოდეს გასჩენია, თუმცა ეს თემები მისთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი და ლამის ყოველდღე ხედავდა. განა საკვირველი არ არის, რომ ფიროსმანი ინტერესს იჩენდა თეთრ დათვზე ნადირობისადმი, ხატავდა ეგზოტიკურ ჟირაფსა და ლომებს, რომლებიც არასოდეს ენახა და სრულიად გულგრილი დარჩა ძველი თბილისის ცხოვრების ისეთი კოლორიტული, სწორედ სპეციფიკურად თბილისური დღესასწაულებისადმი და კარნავალებისადმი, როგორც იყო ბერიკაობა, ყვენობა, მუშტიკრივი, ყოჩების ჭიდილი? (გავიხსენოთ სხვა თბილისელი მხატვრები – შამშინოვი, ხოჯაბეგოვი). ესეც მისი მხატვრული ინტერესების სიმყარესა და მკაცრი თვითშემოზღუდვის უნარზე მოწმობს: ეფექტურმა, აშკარად „მომგებიანმა“ თემებმა იგი ვერ მოხიბლეს. ეს უკავშირდება მისი, როგორც მხატვრის, ზოგ სხვა თვისებასაც, რომელთაც ქვემოთ შევხებით (ახლახან ხომ ისიც აღვნიშნეთ, რომ მას არც ქალაქის – თვით თბილისისაც კი! – ხატვა არ აინტერესებდა). არასოდეს დაუნახტავს თბილისური ბაზარი, რომელიც უცხოთა თვალში ქალაქის ლამის ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა იყო, და იმავე დროს, ხატავდა სოფლის ტაძართა დღესასწაულებს – დღეობებს; არასოდეს დაუნახტავს ქალაქური შრომის პროცესი, და იმავე დროს ხატავდა რთველსა და კალოობას, ალბათ იმიტომ, რომ იქ, არა მხოლოდ შრომა, არამედ დღესასწაული, რომანტიკულობაც იყო.

II. ფიროსმანის სურათისთვის ერთი შეხედვაც საკმარისია, რომ მიხვდეთ – ავტორს პროფესიული აკადემიური განათლება არ გააჩნია, თვითნასწავლია. ფიგურები გარინდებულია, მოუქნელი, ანატომიურად არასწორი; ხელები თითქოს ხისაა, ფიგურებისა და საგნების მასშტაბური თანაფარდობა სივრცეში თვითნებურია და არ ექვემდებარება „წესებს“, პერსპექტივის კანონებსაც ხშირად ირღვევა.

ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ დაკვირვებისას აღმოვაჩინეთ, რომ მხატვრის ეს „დაუხელოვნებლობა“, „პრიმიტიულობა“ მის ნაწარმოებთა მხატვრული წყობის ორგანულად აუცილებელ თვისებად გადაიქცევა, რომ ეს თვისებები არათუ არაფერს არღვევს ფიროსმანის სტილისტიკაში, არამედ ერთადერთი შესაძლებელი ნიშნებია.

ნიკო ხატავდა ქეიფს, ლხინს, საეკლესიო დღეობებს. მის სურათებში ადამიანები „დროს ატარებენ“, ცეკვავენ, სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ, მღერავენ კიდევ. და მაინც, ძნელია დავეთანხმოთ კრიტიკოს ტუგენხოლდს, თითქოს

ფიროსმანს, რომელმაც „იცოდა ლხინის ფასი“, „კინტოების ხალისიანი, არტისტული ბუნება ჰქონდა“²⁵. ფიროსმანი გამხიარულებულ ადამიანებს კი ხატავდა, მაგრამ თვითონ სრულიად არ იყო „მხიარული“ მხატვარი. რაც მის შემოქმედებაში საერთოდ არ გვხვდება — ეს არის ხმაურიანი და ზიზილპიპილებიანი ხალისიანი კინტო. პირიქით, პირველივე შთაბეჭდილებით, ის თავდაჭერილი, დინჯი, ინტროსპექციული, შინაგანად მნიშვნელოვანი მხატვარია. მართალია იგივე ტუგენხოლდი, როცა ამბობს, რომ ფიროსმანი თავის გმირებს ზეიმურობისა და სერიოზულობის განცდით ხატავდა.

თვითნასწავლ მხატვართა უმეტესობას იტაცებს გამოსახულის გადმოცემა „ნატურალურად“, ყველა წვრილმანის აღნუსხვით, ისინი ხედავენ კერძოს და არ ძალუძთ მთელის დანახვა. მათგან განსხვავებით ფიროსმანს არ იტაცებს თხრობითი დეტალები, თუ ეს აუცილებელი არ არის სურათის შინაარსის გასაგებად, ან დახატულის დასახასიათებლად. ის ყოველთვის პოულობდა გამოსახულ ობიექტში არსებითს, ძირითადს, ჰქონდა უნარი განზოგადებისა; წინ წამოსწევდა ყველაზე მეტად დამახასიათებელს და უგულვებელყოფდა ყველაფერს, რაც ზედმეტად მიაჩნდა თავისი ქმნილების ჩანაფიქრის ამოსახსნელად; მას შეეძლო ფორმულამდე შეეკუმშა სურათი. ისევე იგივე უნარი თვითშეზღუდვისა — ერთი ყველაზე საკვირველ თვისებათაგანი ამ კაცისა, რომელსაც არა მარტო სპეციალური განათლება არ მიუღია, არამედ მხატვრული კულტურის სფეროს გარეშეც იყო აღზრდილი.

იგი ყველაფერს წარმოგვიდგენს დაუწვრილმანებლად, ლაკონურად, უბრალოდ (არა გაუბრალოებულად!), კონცენტრირებულად. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მის შემოქმედებასთან გაცნობისას ბევრს აგონდება დიდი იტალიელი ჯოტო; აღნიშნავდნენ: უფრო ადრე რომ დაბადებულიყო, „ფრესკისტი იქნებოდაო“²⁶. ყველა ეთანხმებოდა ერთმანეთს იმაში, და საგნებით სამართლიანადაც, რომ მისი ნამუშევრები მონუმენტურობით გამოირჩევა, რომ ამ მხრივ მან დამოუკიდებლად მიაღწია იმას, რისკენაც მისწრაფოდა, ზოგჯერ ამოღაც, XX საუკუნის დასაწყისის ბევრი მხატვარი. ამასთან დაკავშირებით ე. კუნცეცივი სწორად, სამართლიანად შენიშნავს, რომ ფიროსმანის „დრო უსასრულოა და დიდებულია ამ უსასრულობაში... მის „ქეიფებს“ არა აქვთ არც დასაწყისი და არც დასასრული, ისინი მარადიულნი არიან; მისი გმირები ამოვარდნილნი არიან დროის რეალური მსვლელობიდან. ისინი კი არ ცხოვრობენ, კი არ მოქმედებენ, არამედ არსებობენ, უსასრულონი და უცვლელნი... „ეპოსებში“ გარეგნული დინამიკა ნეიტრალიზებულია მთელის უძრავი უსასრულობით. ყოველივე, რაც ხდება — უკვე იყო და არაერთხელ, უსასრულოდ მეორდება. ეს მოჩვენებითი მოძრაობაა, მოძრაობა წრიულად“²⁷. სწორედ ამიტომ, როდესაც ფიროსმანის სურათებს ვუყურებთ, არა მარტო პანორამებს, რომლებიც სხვადასხვა სიუჟეტს პირობითად აერთიანებს, არამედ იმათაც, რომლებიც სრულიად ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივ, „რიგით“


ქეიფს გვიხატავს, – არ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს წინაშე ჟანრული სცენაა, ერთი წარმავალ ეპიზოდთან მოქმედ პირთა ცხოვრებისა: ეს თითქოს განზოგადებული მხატვრული სახეა ამ თემისა. ფიროსმანს ცოტა აქვს თხრობითი სურათი, რომელთა შინაარსი მხოლოდ იმით იყოს შემოფარგლული, რაც ამ წუთს ხდება – ეს ნამუშევრები ერთგვარად „ამოვარდნილიც“ არის მისი შემოქმედების საერთო სურათიდან.*

თანამედროვე მხატვართა უმეტესობისაგან განსხვავებით, ფიროსმანი თავის სურათებს ბაზრისთვის (გასაყიდად) არ ქმნიდა. მან თითქმის ყოველთვის იცოდა, სად იქნებოდა მოთავსებული მისი სურათი, როგორი იქნებოდა პირობები მათი თვალთ ალსაქმელად (იმას, რომ ისინი გარკვეული ადგილისთვის იყვნენ განკუთვნილნი, მოწმობს შეწყვილებული სურათები, მაგალითად, „ორთაჭალის ტურფები“ და სხვ.). ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს სურათები განსაზღვრული ანტურაჟის ანსამბლში იყო ჩართული, ვითარცა დუქანში მიმდინარე მოქმედების აქტიური „თანამონაწილენი“. მაგრამ ინტერიერთან კავშირი არა მარტო სურათის შინაარსის წყალობით მყარდებოდა, არამედ მათი ფორმალურ-ესთეტიკური ნიშნების მიხედვითაც, სწორედ მათი მონუმენტურობის გამო, რაც შეესატყვისებოდა მათს დანიშნულებას – შეემკოთ საზოგადოებრივი ხასიათის მქონე სათავსი. „შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, – მე კვლავ ვიმოწმებ ე.კუზნეცოვის სახეებით სამართლიან დაკვირვებას, – რომ ნახევრად ჩაბნელებულ, დაბალჭერიან, საგრძნობლად ჩაკეტილ (უმეტესად სარდაფი) სადგომებში, ნავთის ლამპების, ან სანთლების მკრთალ, მოციმციმე შუქზე, რომელიც სპექტრის წითელ კიდესთან ძლიერ იყო შერეული, ფიროსმანაშვილის სურათები სულ სხვაგვარად აღიქმებოდა (და ბევრად უფრო „მახვილად“), ვიდრე თანამედროვე მუზეუმების ჩვეულ და თითქოს უფრო ხელისშემწყობ პირობებში. ეს ნიშანდობლივია, იმიტომ, რომ მხოლოდ დაზგურ სურათს ესაჭიროება „იდეალური“ პირობები, მონუმენტურს სწორედ ის, რომელთათვისაც კონკრეტულად შეიქმნა იგი“²⁸.

როგორ აგებს თავის სურათებს ფიროსმანი?

უწინარეს ყოვლისა, მას აქვს სურათები ყოველგვარი სივრცის გარეშე, სადაც მოქმედი პირნი სასურათო სიბრტყესთან არიან მიჭეჭყილნი, როგორც ბარელიეფზე, უკან კი, იქვე, ჩამოშვებულია „ფარდა“ – ეს ხან ხელუხლებელი შავი მუშაბაა, ხან მსუბუქად შეფერადებული ფონი; ზოგჯერ სურათის ქვემო ნაწილში, ჩარჩოსთან, ოდნავ მინიშნებულია მო-

* ასეთია, მაგალითად, ნაკლებად ცნობილი ხელმოწერილი სურათი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში – „ხილის დუქანში“, სადაც დაწვრილებით არის ნაჩვენები თაროებზე დალაგებული სხვადასხვანაირი ხილი – თვით გაჭრილი საზამთროც კი, ამ ფონზე კი ნაჩვენებია, როგორ აწვდის დახლიდარი ხილით სავსე პარკს დუქანში შესულ ქალბატონს. მას ახლავან პატარა ბიჭი, ერთი პატარა და ერთი მონადირე ძაღლი; ასეთია, აგრეთვე, სურათი, რომელიც გვიხატავს სანიტარული ინსპექტორის მისვლას დუქანში. მას აწერია: „ახალი ბაზარნიკი ქალი“.



„ვიორგი განდევლი“. მუშაბა, ზეითი, 115X86 სმ. სხმ.



„ქეთი ვაზის ტალავერში“. მუშაობა, ზეთი, 139X112 სმ. სხმ.

- გვ. 34 (ზემოთ). „ვირის ხიდი“. მუშაობა, ზეთი, 93×117 სმ. სხმ;
 (ქვემოთ). „ოჯაზური არიფანა (პიკნიკი)“. მუშაობა, ზეთი,
 71.5×104 სმ. სხმ;



„ნატურმორტი შაქრის თავით“. თუნუქი, ზეთი, 55X62სმ. მიწაზაანი, ფიროსმანის მუზეუმი.



„ნატურმორტი“ (ვაუმარჯოს პურმარილიან კაცსა). თუნუქი, ზეთი, 36X73 სმ. სხმ.



„ნატურმორტი“ (დიდი ნატურმორტი). მუშაბა, ზეთი, 102X135 სმ. სხმ.



„ღელა ღორი გოჭუებით“. მუყაო, ზეთი, 80X100 სმ. სხმ.



„შველი პეიზაჟის ფონზე“. მუყაო, ზეთი, 98X71 სმ. სხმ.



„ღათვი მთვარიან ღამეში“. მუშაბზა, ზეთი, 100X80 სმ. სხმ.



„ჟირაფი“. მუყაო, ზეთი, 138X112 სმ. სხმ.



„მჯღღმარე ყვითელი ლომი“. მუყაო, ზეთი, 99X80 სმ. სხმ.




„კალოზე“. მუეაო, ზეთი, 72X100 სმ. სხმ.



„მამალი და კრუხ-ჩიფილა“. მუეაო, ზეთი, 66.5X77 სმ. სხმ.



„წყალზე მიმდვალ ბავშვებიანი ქალი“. მუშამბა, ზეთი, 111X92 სმ. სხმ.



„შველი ნუკრით წყალზე“. მუეაო, ზეთი, 74.5X97 სმ. სხმ.



„მეთევზე (წითელ პერანგში)“. მუშაობა, ზეთი, 111X90 სმ. სხმ.

გვ. 44 „მეთევზე“. მუშაობა, ზეთი, 105X46 სმ. სხმ.




„გიორგი სააკაძე იხსნის საქართველოს მტრებისაგან“. მუშაობა, ზეთი, 120X180 სმ. სხმ.



„აქიძი ვირზე“. მუეგალ, ზეთი, 80X100 სმ.



„თბილისის ფუნეკულიორი“. მუშაობა, ზეთი, 112X90 სმ. სხმ.



„კახეთის მატარებელი“. მუეგალ, ზეთი, 70X140 სმ. სხმ.



„სვირი“. მუშაობა, ზეთი, 63X97 სმ. სხმ.



„წმ. გიორგის დღეობა ბოლნისში“. მუყაო, ზეთი, 72X263 სმ. სხმ.



„პარაკლისი სოფლად“. მუყაო, ზეთი, 72X140 სმ. სხმ.

ქმედების ადგილი – იატაკი, მცენარეები; უფრო მეტიც, ხანდახან მთელი ფონიც მცენარეებითაა დაწერილი; მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარს არც უცდია შეექმნა სიღრმის ეფექტი, თითქოს ბალახი, ლერწი, ვენახი ფარდაზე იყოს დახატული, მსგავსად ფოტოატელიეს ფონებისა; ასეთია ცალკე გამოსახულ ფიგურათა უმეტესობა („მეფეზოვე“, „მზარეული“, „ქალი მარათი“, „ქალი ზამბახითა და ქოლგით“, „ორთაჭალის ტურფები“, „აქტრისა მარგარიტა“, „გლეხის ქალი ვაჟით“, „შეძლებული გლეხი“, „ვირზე მჯდომი ექიმი“, „ვირზე მჯდომი ბიჭი“), სახელგანთქმული ჯგუფი „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი დარბი ქალი“, ცხოველთა სურათების უმეტესობა (ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშია „შავი ტახი“, რომელიც თითქოს უპაერო სივრცეშია ნაჩვენები), ნატურმორტები (მაგალითად, „დიდი ნატურმორტი“).

არსებითად ასევე სავესებით ბრტყელია უპეიზაჟო „ქეიფებიც“. აქ მთელი სივრცე განიზომება მაგიდის სიღრმით და წვრილი ზოლით მაგიდის წინ („ხუთი თავადის ქეიფი“, „მალაკნების ქეიფი“, ქეიფი „ვაზის ტალავერში“, „დათიკო ზემელთან“); თანაც, სიბრტყე ფიქსირებულია მაგიდის უცვლელად ფრონტალური მდებარეობით; ფიგურები თითქოს ბარელიეფურ ფრიზს შეადგენენ.

ბუნების ფონზე გაშლილი სურათები ორგვარია: ზოგიერთში მკაფიოდ არის გამოყოფილი წინა პლანი, სადაც შედარებით დიდი მასშტაბით არის წარმოდგენილი საკუთრივ თემა, სურათის ძირითადი ბირთვი (უმრავლეს შემთხვევაში, ეს გაშლილი სუფრა და მასთან მსხლომი მოქეიფენი არიან); სხვა ყველაფერი – პეიზაჟი დამატებითი სცენებითა და ფიგურებით – თითქოს „ახლავს“ ამ ბირთვს; ასეთი სურათებია „კრწანისი“, „ქეიფი რთველში“, „სამი თავადის ქეიფი მინდვრად“, „ბეგოს კამპანია“ და სხვ. სხვებში არ არის ასეთი გამოყოფილი დომინანტი, სურათის შინაარსი თითქოს გაფანტულია თანაბარი მნიშვნელობის მქონე ჯგუფებად, ყოველთვის კონკრეტული ამოცანის შესაბამისად: „წმ. გიორგის დღეობა ბოლნისში“, „ვირის ხიდი“, „რთველი“, „ნადირობა შავი ზღვის ნაპირას“, „კახეთის ეპოსი“ თითქოს შუალედურია მათ შორის.

ამა თუ იმ სურათის კომპოზიციური აგების ცალკეულ ნიშანთა მიუხედავად, ყველაში თითქოს ორი საწყისის შეჯახება იგრძნობა; საგნების გადმოცემისას – სიბრტყეობისა და მოცულობითობისა, სივრცის გადმოცემისას – კვლავ სიბრტყეობისა და სიღრმისა; ხოლო თვით სივრცის აგებისას – თანაარსებობა, თუ შეიძლება ითქვას, „სისწორისა“ და „უსწორობისა“. თვალსაჩინო მაგალითად თავდაპირველად გამოგვადგება „ბათუმი“, სადაც მატარებელი პირველ პლანზე ნაჩვენებია რაკურსით, იგი დიაგონალურად მოემართება სიღრმიდან „ჩვენკენ“, სხვა ყველაფერი კი – ქალაქის სახლების სახურავები, ზღვა თავისი კარჭაპებითა და ნავე-

ბით – თავისი პორიზონტალებით, სიბრტყეს „განამტკიცებს“.

რა თქმა უნდა, ფიროსმანმა მშვენიერად იცის, რომ შორეული საგნები სიდიდით უფრო პატარები ჩანს, ვიდრე ახლომდებარენი – ჩვეულებრივ, ის მათ ასეც ხატავს; იგი სავსებით ფლობს ამობურცული ზედაპირის გადმოცემის საიდუმლობას – იხ. დიდი და მცირე დოქები ბევრ სურათში, სადაც მოცულობა ილუზიურად არის ნაჩვენები შუქ-ჩრდილის გრადაციით, იხ. აგრეთვე ადამიანთა ზოგი ფიგურა და ცხოველები, რომლებიც მოცულობითად არიან მოდელირებულნი; მას შეუძლია და უყვარს კიდევ ჩვენება პორიზონტზე ან ბორცვებზე მდებარე სოფლების, სიღრმეში შემავალი მდინარისა და გზისა, და ამ გზაზე მიმავალი ფიგურებისაც; ხშირად მიმართავს რაკურსს მოჩარდახული ურმის ან ცხოველების გადმოცემისას („ირემი თავისი ბლარტით“, ორივე ცხენი სურათში „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“); სწორად ხატავს რაკურსით ტერფს, რასაც ვერ ახერხებს თვითნასწავლთა უმეტესობა და რაც უცხოა ხალხური ხელოვნებისთვის („მეფეზოვე“, გარანოვის პორტრეტი, „მზარეული“); დასასრულ – ამას ქვემოთ დაუბრუნდებით – შორეული პლანების გადმოსაცემად არსებით როლს ფერადოვანი და ფერწერული გადაწყვეტა თამაშობს, თუმცა მის სურათებში არ იგრძნობა ჰაერის გარემო, სფუმატო.

ამიტომ გაუბრალოება იქნება, თუ დავიწყებთ მტკიცებას, თითქოს ფიროსმანის პეიზაჟებიანი სურათები მხოლოდ სიბრტყითა და მეტი არაფერი. ამ სურათებში იმდენი სივრცე და სიღრმეა, რამდენიც მხატვარს ესაჭიროება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიუჟეტის გასაშლელად, გარემოს ხასიათის გადმოსაცემად, კომპოზიციის ასაწყობად და, შეიძლება ითქვას, შესაფერი-სი განწყობილების შესაქმნელად. ამის მშვენიერი მაგალითებია: „გლეხთა გათავისუფლება“, * მისი ერთი საუკეთესო სურათთაგანი, შორს მიმავალი გზით, რამდენიმე წყებად განლაგებული სოფლური სახლებით; „სამი თავადის ქეიფი“, საფეხურებად სიღრმეში შემავალი ტერასებით; „უწინდელი საქართველოს ქორწილი“, დიდი „პანორამები“, ნაკლებად ცნობილი „ღზინი ქართლში“, პერსპექტივაში ნაჩვენები სოფლის სახლებით და უამრავი ხალხით (ამ მასას ფიროსმანი წარმოგვიდგენს ერთიან ბლოკად, როგორც ამას შუა საუკუნეების ფრესკებში ვხვდებით: პირველ რიგებში მთლიანი ფიგურები თავით ფეხმდე, უკან მხოლოდ თავების კონტურების განმეორება).

და მაინც, ფიროსმანის ხედვა (არა მარტო ხსენებულ უსივრცო სურათებში, არამედ პეიზაჟებიან კომპოზიციებშიც), რა თქმა უნდა, „სიბრტყითია“. არა მხოლოდ უკლებლივ ყველა მაგიდა, რომელთაც მოქეიფენი უსხედან, არამედ ყველა სხვა „საყრდენი“ ელემენტიც, რომელთა შემწეობითაც იგება რთული კომპოზიციები, ნაჩვენებია ფრონტალურად ან სრული პროფილით, ისინი სწორედ სიბრტყის ფიქსაციას ახდენენ:

* ამ სურათს ხშირად სხვა სახელითაც იხსენიებენ: „დიდმარხვა საქართველოში“.

შენობები (ფიროსმანი, ჩვეულებრივ, აჩვენებს ორ ფასადს, ანუ ისინი კუთხეში დგანან, მაგრამ ორივე ფასადის კარნიზები პორიზონტალურია), ასეთია ხიდები, ნაგები, კარჭაპები, მთავარი კი ის არის, რომ თვით მოქმედება წარმოებს ან ერთ – წინა – სიბრტყეზე ან, თუ სურათში ბევრი ჯგუფია, პარალელურ სიბრტყეებში; ასევე მოძრაობენ, მცირე გამონაკლისების გარდა, ცხოველებიც; მოქმედი პირები ყოველთვის არ იყენებენ პერსპექტიულ კულისებს (ზემოთ რომ მოვიხსენიეთ), მაგ., სიღრმეში შემავალ გზებს – თუ ვინმე მათ გასწვრივ მაინც მოძრაობს, ხშირად ისინი ცარიელია, ზოგჯერ კი მათ ჰკვეთენ ფიგურები, რომლებიც სასურათო სიბრტყის პარალელურად არიან მობრუნებულნი (მოტრიალებულნი).*

დამახასიათებელია, რომ ამობურცული, ე.ი. მოცულობითი, მოდელირებული ფორმებიც და „ბრტყელი“ გადმოცემაც არა მარტო სხვადასხვა სურათში, არამედ ერთსა და იმავეშიც გვხვდება, ისინი თანაარსებობენ. აი, მაგალითად, „ქალი, რომელსაც ლუდის კათხა უჭირავს“: მისი საკმაოდ ფართო, მოცულობით გადმოცემული ბიუსტი სრულიად ბრტყელ კაბას უერთდება; წყალთან მისული შველი ბრტყელია, თითქოს მუყაოსგან გამოჭრილი, „გოჭებიანი დედა ღორი“ კი ფრიალ მოცულობითია; ხუთი მოქეიფე თავადი და „ბეგოს კამპანიის“ მონაწილენი გაბრტყელებულნი არიან (ზოგი ფიგურა – ერთიანი შავი ლაქა), სამი მოქეიფე თავადის სხეულები კი თვალსაჩინოდ მოდელირებულია; ხოლო წყალზე მიმავალი გლეხის ქალი, თუმცა მისთვის განკუთვნილი სივრცე მცირე სიღრმისაა, მოდელირებულია არა ზოგადად, ერთიანი ბლოკის სახით, როგორც ნიკოს სხვა ფიგურების უმეტესობა, არამედ ფაქიზი გრადაციებით; ასევე „გამოძერწილია“ ზოგი ხეც (იხ., მაგალითად, „დათვი მთვარიან ღამეს“).

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ფიროსმანის სურათებში სხვადასხვა „უსწორობა“, ასე ვთქვათ, „დარღვევები“. ნიკო იცნობს სივრცისა და საგნების გადმოცემის ძირითად წესებს და ყოველ ნაბიჯზე „ფეხქვეშ თელავს“ მათ. პერსპექტივის კანონები მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა. არ იცოდა, რომ არსებობს „თავმოყრის წერტილი“ პორიზონტზე; ამიტომ მაგიდების პარალელეპიპედები – მისი სურათების ერთი მთავარი ატრიბუტ-თაგანი, ხან უკუპერსპექტივაშია ნაჩვენები, ხან აქსონომეტრიულად, და ყოველ საგანსა და ნაგებობას საკუთარი პერსპექტივა აქვს. მაგრამ როგორღა ავხსნათ საგნებისა და ფიგურების მასშტაბთა სრულიად „თავისუფალი“ ურთიერთშეფარდება? „კახეთის ეპოსში“ ზოგი შორეული, ბორცვზე მდგომი ფიგურა უფრო დიდია, ვიდრე ახლო მდგომები, ხოლო მოქეიფე თავადების გვერდით მდგარი მსახური მათზე უფრო მცირე მასშტაბით არის ნაჩვენები; ან გავიხსენოთ აბრა „Распивочно и на вынос“ – ტიკი

* რა თქმა უნდა, სიბრტყის ფიქსირებას წარწერებიც უწყობს ხელს, განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა „ბეგოს კამპანია“ – სამსტრიქონიანი, თითქოს საგანგებოდ, დემონსტრაციულად, ლოზუნგით „გამოფენილი“ თვალსაჩინო ადგილას.

არა მარტო ხარებზე, არამედ სახლებზეც ბევრად დიდია; „როველი“ კი მტევნები ადამიანსაც აღემატება; „სვირშიც“ განსხვავებული მასშტაბის ადამიანები მოქმედებენ – მთავარი პერსონაჟები, ე.ი. პორტრეტულად გამოსახული შემკვეთნი, უფრო დიდები არიან, ვიდრე იმავე პლანში განთავსებული „დამხმარე“ პირები.

ეს რომ შემთხვევითი არ არის, უეჭველია. ამას ადასტურებს თუნდაც ზემოთ დამოწმებული მოთხრობა ერთი შემკვეთისა, რომელიც ნიკოსგან ტიკისა და ხარების ზომის შეცვლას მოითხოვდა. მხატვარი არა მარტო არ დაეთანხმა, არამედ პროტესტის ნიშნად სამუშაო მიატოვა. ეს კი მოწმობს, რომ სურათში დახატული ამა თუ იმ ფიგურის სიდიდე მისთვის „სულერთი“ კი არ იყო, არამედ გარკვეულ ჩანაფიქრს უკავშირდებოდა და წინასწარ იყო მოფიქრებული. მაგრამ ეს ამ მოთხრობის გარეშეც ნათელია. ამაზე მეტყველებს თვით სურათები. თითქმის ყოველთვის ამგვარი „დარღვევა“ ამა თუ იმ საგნის აზრობრივ მნიშვნელობას, ამა თუ იმ საგნის, ფიგურის ფუნქციას უკავშირდება. ასევე იყო შუა საუკუნეების რელიეფებსა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებში, კერძოდ, საქართველოშიც: გამოყოფილი და ხაზგასმულია ის, რაც ყოველ მოცემულ სურათში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი აზრისა და შინაარსის გასახსნელად: ტიკი ღვინის სარდაფის აბრაზე, მტევნები „როველი“; ხოლო თავადებისა და მსახურის შეფარდებაში, არსებითად, იგივე პრინციპი ვლინდება, რომელიც ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებაში მოქმედებდა; მბრძანებელნი ერთი მასშტაბით იხატებოდნენ, სხვები – სხვა მასშტაბით, თუმცა ფიროსმანთან ეს გათიშვა არც ისეთი მძაფრია, როგორც იქ.

როგორ აგებს ფიროსმანი კომპოზიციას?

ე. კუზნეცოვი, ფიროსმანის „სოფლური“ სურათებისა და „ეპოსების“ განხილვისას, გამოთქვამს აზრს მათი „გათიშულობის“ შესახებ: „ყოველ მათგანს აღვიქვამთ, როგორც უზარმაზარი სურათის მონაკვეთს... მოქმედება მათში სრულიად თავისუფლად ვრცელდება, იგი კი არ მთავრდება, არამედ წყდება. თითქოს მხატვარს მუშაობა აღარ ეყო... და იძულებული გახდა შეეწყვიტა მუშაობა; ხოლო შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, სიცოცხლის გრძელზე უგრძესი ხაზი გაგრძელებოდა“²⁹. ეს აზრი სავსებით სამართლიანია ფიროსმანის ეპიკური სურათების მიმართ.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ისინი ცხოვრებიდან შემთხვევით ამოგლეჯილი ფრაგმენტების შთაბეჭდილებას სტოვებენ, რომ მათ არც დასაწყისი გააჩნიათ და არც ბოლო; პირიქით, ყველა სურათი კომპოზიციურად დასრულებულია. ამ მხრივაც ფიროსმანს იშვიათი ინტუიცია ჰქონდა. ალღო მას ყოველთვის კარნახობდა, როგორ აეგო მრავალმონაკვეთიანი სურათი, როგორ განეთავსებინა მახვილები, როგორ გაეწონასწორებინა სხვადასხვა ნაწილი და მთავარი: როგორ გამოესახა,

კომპოზიციის საშუალებით, ნაწარმოების უმთავრესი აზრი.

აი, თუნდაც „როველი“ (მისი სიგრძე თითქმის 3,5 მეტრია): ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სურათი მეტისმეტად გადატვირთულია; პირველი, რაც თვალს ხვდება – უზარმაზარი მტევნების დახვავებაა, ისინი ავსებენ, ხეთქავენ კადრს და თითქოს მისი ჩარჩოდან იღვრებიან. – ეს მართლაც ვაზის სამეფოა, ყურძნის დღეობა, და კომპოზიციაც ხაზს სურათის სწორედ ამ ძირითად აზრს უსვამს; სხვა ყველა და ყველაფერი – სხვადასხვა ადგილას მოფუსფუსე ადამიანები, დატვირთული ურემი, ე.ი. ყველა მოქმედი პირი და მათი მოქმედება თითქოს ვაზიდან, ვენახიდან, მტევნებიდან მომდინარეობს, ყოველივე მათ ემორჩილება. დაკვირვებისას იმასაც აღმოვაჩინებ, რომ სურათის გარკვეული ჩონჩხიც აქვს, რომელიც ოდნავაც არ არღვევს მოქმედების სრულ თავისუფლებასა და ბუნებრიობას. შემთხვევით ხომ არ მოუთავსებია მხატვარს ქვემოთ, სურათის ცენტრში, ორი დიდი გოგრა, რომლებიც ერთბაშად იპყრობენ ყურადღებას, მარცხენა კუთხეში კი ტიკის მუქი, ჩარჩოს მიერ გადაკვეთილი სილუეტი; ეს საგნები, ხესთან, ხარებთან და ურემთან, ქვევრების მწკრივსა და საწინახელში მდგომ მამაკაცებთან ერთად, ქმნიან მთელი კომპოზიციის მყარ ჩარჩოს; არც ის არის შემთხვევითი, რომ ხიდიდან, რომელიც ზუსტად შუა ღერძზეა მოთავსებული, სიმეტრიულად მიემართება ერთ მხარეს მდინარე, მეორე მხარეს კი – ბილიკი; არც ის, რომ ვენახისა და ხეების მთელი დაბურული მწვანე მასივი გაყოფილია სამ „ბლოკად“, მათ შორის კი „სულმოსათქმელად“ დატოვებულია ცეზურები, რომ დახვავება ქაოსური არ გახდეს.

გავიხსენოთ, როგორ „საზეიმო“ გარემოცვას უქმნის მხატვარი „სვირში“ მთავარ გმირებს, რომელნიც სუფრას უსხედან სურათის ცენტრში. აქ არა მარტო ვენახია ფონად, არამედ ორი მძლავრი ხის ტანიც, რომლებიც კრავენ აქეთ-იქიდან კომპოზიციას, მაგიდის წინ კი ორი სიმეტრიული ქვევრი, რომლებიც აქ საგანგებოდ არის მოთავსებული, როგორც მთავარი ატრიბუტები.

აი, „უწინდელი საქართველოს ქორწილი“: მთის ფერდი დაქანებული მარცხნიდან მარჯვნივ, რაც კარნახობს სურათის დიაგონალურ განვითარებას; ამის შესაბამისად, ორი დაპირისპირებული ჯგუფი განლაგებულია ორ დონეზე: მარცხენა – მაღლა, მარჯვენა – დაბლა, და როგორ შეუცდომლად, ბუნებრივად ეწერებიან მათ შორის, ამ დიაგონალზე, ყალფზე შემდგარი ცხენი და მხედარი, რომელიც თოფს ისვრის – ეს აბსოლუტურად აუცილებელი რგოლია, რომლის გარეშეც კომპოზიცია ნაწილებად დაიშლებოდა. ამავე დროს, ფიროსმანი არც იმას ივიწყებს, რომ მარცხენა შენობის დიდი მასა გააწონასწოროს მარჯვნივ მოთავსებული ეკლესიითა და კოშკით ბორცვზე.

„ვირის ხიდი“. ერთი ციცქნა ფიგურები, მცირე ჯგუფები და საგნები. სურათი კი მთლიანია; მას აქვს მყარი ღერძი – თავისუფალი არე სურათ-

თის შუაში, გუბურითა და ცით (ისინი არ არიან ერთმანეთისგან გამოყოფილნი), დუბლირებული ხით. სიმეტრიულად „ჩამკეტი“ – დუქანი და ტალავერი, რომელთა კიდევები ოდნავ არის ჩამოჭრილი ჩარჩოთი. ყველა ცალკეული ნაწილი როგორც ერთმანეთს უკავშირდება როგორც შვეულად, ისე ჰორიზონტალურად: ნავი წინა პლანზე; ვერძი – ხიდი, ზედ მიმავალი ვირით; ფიგურების მწკრივი: მოცეკვავე – მეარღნე – ორი ლაქია – მეორე მოცეკვავე; დუქანი – გაშლილი სუფრა მის წინ – მეორე ნავი – სამი მემუსიკე – ტალავერში მოქეიფენი; თეთრი ღრუბლების პარალელური ზოლები – ფრთაგაშლილი ჩიტები. მსგავსი კავშირი შეგვიძლია დავადგინოთ შვეულადაც. ამგვარად, გამოდის, რომ სურათის ყველა მრავალრიცხოვან კომპონენტს – ადამიანებს, შენობებს, ცხოველებს, მცენარეებს – ზუსტად აქვს მიჩენილი მათთვის განკუთვნილი ადგილები. ადგილიდან ვერავის და ვერაფერს დაძრავ.

„ბოლნისის დღეობასა“ და „კახეთის ეპოსში“, ფიროსმანის ყველაზე „პანორამულ“ სურათებში, სადაც „სამყაროს უსასრულობა“ ყველაზე მეტად იგრძნობა, ასეთივე დასრულებულობა და გაწონასწორება შეიმჩნევა. პირველ ამათგანში თვალს თუ გავადევნებთ ძირითადი მასების განაწილებას (მარცხის სცენა – ნანგრევები – ცხვრის ფარა – ეკლესია და მომლოცველთა კარები – სამი სახლი მარჯვნივ – სამკუთხა ბორცვი მოქეიფებით, ურემი მლოცველებით – ხიდაძე და წისქვილაძე) – ეს ყოველივე ერთი ჯაჭვის რგოლებია; „კახეთის ეპოსში“ საკვირველი ის არის, რომ სამი თავადის ჯგუფი, რომელიც თითქოს თავისი მდებარეობითაც და მასშტაბითაც მოწყვეტილია სურათის დანარჩენ ნაწილს, სინამდვილეში კომპოზიციის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, უიმისოდ იგი დაირღვეოდა.

იმის შვენიერი მაგალითი, თუ როგორ ემსახურება კომპოზიციის აგება იდეის მკაფიო განხორციელებას – „არწივი და კურდღელია“. მტაცებელი ფრინველი, რომელიც ფიროსმანისთვის ზოგადად ძალადობას განასახიერებს, კიდით კიდემდე ავსებს სასურათო სიბრტყეს და თავისი უზარმაზარი შავი ფრთებით ჩარჩოს ებჯინება – თითქოს ეს საშინელი, უძლეველი ბოროტება მთელ დედამიწას, მთელ ქვეყანას მოიცავს.

ასევე, განა მახვილ კომპოზიციურ ალღოს არ მოწმობს სახელგანთქმული „შველი“, სადაც ორი ხის შვეული ტანი ცხოველის ამყად შემართული თავის უკან არის მოთავსებული? ან ჯგუფების განაწილება და მათი შეფარდება პეიზაჟთან „გლეხების გათავისუფლებაში“? ან მოპარული ცხენის, მხედრისა და კლდის ხაზების შეთავსება სურათში „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“.

რა თქმა უნდა, ფიროსმანს აქვს საკმაოდ ელემენტარული კომპოზიციებიც, თუნდაც ცალკეული ფიგურების უმეტესობა („უშვილო მილიონერი“) და ცხოველების გამოსახულებებიც (მრავალი ქეიფი ნეიტრალურ

ფონზე), მაგრამ ეს მაინც არ ცვლის დასკვნას იმის თაობაზე, რომ ფიროსმანი დაუფლებული იყო კომპოზიციის საიდუმლოებას, რომ მისი ნამუშევრები ამ მხრივაც გააზრებულა; * რომ აღარაფერი ვთქვათ იმის თაობაზე, „ელემენტარულობა“ თვით სურათების შინაარსით იყო ნაკარნახევი.

და მაინც, ეს არ არის მთავარი ფიროსმანის შემოქმედებაში. ფიროსმანის თავისებურებას შეადგენს არა მარტო, და არა იმდენად, სივრცის თავისებურად აგება და მოცულობათა გადმოცემა, არა, ერთი მხრივ, „თავისებურება“, და მეორე მხრივ, ფიგურების ერთგვარი გაშეშებულიობა – რაც ბევრ თვითნასწავლ მხატვარს ახასიათებს, თუმცა ისინი მის ქმნილებათა არსებითი მახასიათებლებია. ასეთი ნიშნები სხვა თვითნასწავლ მხატვრებთანაც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ. მის უმთავრეს თავისებურებას შეადგენენ: ა) მის მიერ ადამიანის ინტერპრეტაცია; ის განწყობილება, რომელსაც იგი თავის სურათებში ქმნის; ბ) მისი კოლორიტი.

სჯობს ისევ „ქეიფებით“ დავიწყოთ. ამ მხრივ ეს სურათები ძალიან ტიპურია. აი, ერთი უკეთესთაგანი ამ ჯგუფის სურათთა შორის – „კრწანისი“. ფონს ქმნის ღამის ცა და მთვარე, მწვანე მდელი, უფრო სწორად – ფერდი, რომელიც ტყით მთავრდება, მდინარე, ტბა(?); სურათის ბირთვია თეთრი სუფრით დაფარული მაგიდა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ფრონტალურად არის ნაჩვენები წინა კიდესთან. მთავარი მოქმედი პირები რვანი არიან: ერთი, მარცხნივ, ფეხზე მდგომია, სხეები სხედან; მარჯვნივ, ცოტა უკან, სამი მემუსიკე დგას. სუფრასთან მსხდომი მოქეიფენი და მემუსიკენი, რომელნიც მათთვის უკრავენ და თითქმის ყოველთვის ასეთივე შეფარდებით არიან წარმოდგენილნი, ეს უკვე შემუშავებული „მიზანსცენაა“, რომელიც ბევრ სურათში მეორდება. ** მოქეიფენი მაგიდის იქითა მხარეს არიან მოთავსებულნი, პირით მაყურებლისკენ, როგორც ძველ „საიდუმლო სერობებში“. ფიროსმანი იშვიათად ხატავს თითო ფიგურას მაგიდის გვერდებთანაც. ყოველი ფიგურა წარმოდგენილია განცალკევებით, თითქმის ყოველთვის ფრონტალურად; ისინი ერთმანეთს არ ფარავენ და არ ჰკვეთენ, რვა+სამი გარინდებული ვერტიკალი, განაწილებული მკაცრი რიტმით, რომელსაც კიდევ უფრო მკაფიოდ ავლენს ტანსაცმლის ღია ფერის დეტალები, განსაკუთრებით კი შავი, ერთ ხაზზე ჩამწკრივებული, ბოთლების ვერტიკალები. ფიგურებს ერთმანეთთან ურთიერთობა, კონტაქტი არა აქვთ, ყოველი მათგანი დამოუკიდებლად მოგვმართავს

* ნიშანდობლივი მაგალითი: „საპაერო ბუშტიანი გოგო“ (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) – ერთადერთი ფიგურა „ცარიელ“ ფონზე. გარკვეული თვალსაზრისით, აქ კიდევ უფრო მეტად საგრძნობია მხატვრის უტყუარი კომპოზიციური ალღო: ფიგურის „დაყენება“ (მისი ადგილი სურათის სიბრტყეზე), ფართო ქამრის, ფართოფარფლებიანი წვეტიანი ქუდის, საპაერო ბუშტისა და პეპლის საჭერი ბადის განლაგება, ამ ელემენტთა ურთიერთშეფარდება – ყველაფერი ამ ალღოს მოწმობს.

** ვარიანტი: მოქეიფე თავადები და მათ გვერდით მორჩილად მდგომი მსახური-გლეხი.

პირდაპირ ჩვენ, მაყურებლებს, თითქოს გულისხმობენ, რომ მათ პირისპირ, ოთახის რეალურ სივრცეში, მათი პარტნიორები იმყოფებიან.

აი, ეს არის არსებითი ნიშანი ფიროსმანის ყველა „ქეიფისა“, რაც მათ ჟანრული სცენის ხასიათს უკარგავს და თავისებურ რეპრეზენტაციულობას ანიჭებს. სულ სხვა გარემოს, ფიროსმანის გმირების სულ სხვა ხასიათისა და სხვა სულიერი დონის მიუხედავად, ისინი „საზეიმოდ“ წარმოგვიდგებიან, ისევე როგორც ძველი ფრესკებისა და მოზაიკების ისტორიული პერსონაჟები, დაწყობული ადრექრისტიანული ხანის ბიზანტიური პორტრეტული ჯგუფებით და დამთავრებული XVI-XVII საუკუნეების პაწაწინა ქართული ეკლესიების ფეოდალთა პორტრეტებით. რა თქმა უნდა, ისინი უშუალო ნათესაობას სწორედ ამ უკანასკნელებთან ამჟღავნებენ.

ფიგურები არა მარტო გარინდებული და იერატიკულია; ისინი ინდივიდური დახასიათების, მოძრაობისა და ქესტების მხრივაც ნაკლებად არიან დიფერენცირებულნი. ერთსა და იმავე სურათში ფიროსმანი რამდენიმეჯერ იმეორებს მიყოლებით ერთსა და იმავე ქესტს (იდაყვში მოხრილი, ზეაწეული ხელი, რომელსაც დვინით სავსე ყანწი უჭირავს) – და ამითაც მოგვაგონებს ფრესკულ პორტრეტებს, სადაც მწკრივად მდგომ ქართველ მეფეებსა და ფეოდალებს ხელები ვედრებით აქვთ აპყრობილი. ქესტის ფუნქცია სულ სხვაა, სრულიად არ არის ისე „ამაღლებული“, როგორც ფრესკებში, მაგრამ ასეთი ხაზგასმული ერთგვარობა, ელემენტთა განმეორება ხელს უწყობს ისეთსავე პირობითობას და საზეიმო განწყობას, ისევე, როგორც სახეების სერიოზული, დაძაბული გამომეტყველება – თითქოს ყველანი განმსჭვალულნი არიან შეგნებით იმის მნიშვნელობისა, რაც ხდება. მკაფიო მაგალითია ამისა „სამი თავადის ქეიფი“.*

მედიდურობა, მნიშვნელოვნება, მონუმენტურობა ახასიათებს ფიროსმანის ბევრ ცალკე გამოსახულ პერსონაჟსაც – „მეფეოვებს“, „მზარეულს“, „გლეხს თავის ვაჟთან“ და თვით ცხოველებსაც კი. უკვე ვთქვით, ზემოქმედების როგორი შინაგანი ძალა აქვთ „ჟირაფს“, „შველს“, ლომებს, იდუმალ „დათვის მთვარიან ღამეს“.

და კიდევ ერთი ზემოთ უკვე მოხსენებული თვისება მხატვრისა, თვისება, რომელიც იმავე მიმართულებით მოქმედებს – ლაკონიზმი, ზოგ შემთხვევაში უკიდურესიც კი, სრული უგულვებლყოფა გასართობი და გამამშვენებელი დეტალებისა; ორთაჭაღის ტურფები ნაჩვენები არიან ყოველგვარი ანტურაჟის გარეშე, შავ ფონზე, თეთრ ზეწარში გახვეულნი, ხოლო ჩიტები და ყვავილები მათ ფეხებთან იმიტომ არის დამატებული, რომ მხატვარი

* შესაძლებელია, ამ თვისებებსაც მიეწერებოდეს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ ფიროსმანის თემატიკის განხილვისას – ის, რომ მას არასოდეს არ დაუხატავს ყვენობა, ბერიკაობა, კრივი – როგორც ჩანს, ფიროსმანის დინჯი, გაწონასწორებული ხელოვნებისათვის უცხო იყო ეს ჭრელ-ჭრულად აფერადებული, ხმაურიანი სცენები.

მათ ანიჭებდა (ისევე როგორც ზეწრის თეთრ ფერს) გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობას.* თვით საჰაერო ბუშტიან გოგონას, მდიდრულად ჩაცმულს, ფიროსმანი მხოლოდ დასახასიათებლად საჭირო ატრიბუტებს უმატებს, გარშემო კი არაფერი არ არის; ბევრი ცხოველი დახატულია ასკეტურად მკაცრ ფონზე – ზემო ნაწილში პირობითი ფერის ცაა, ქვემოთ – შიშველი მიწა, რომელზეც ერთი ღერი ბალახიც კი არ იზრდება (ჟირაფი, ზოგიერთი ირემი და შველი, და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ერთიან თეთრ ფონზე მოთავსებული შავი ტახის შესახებ). იგივე შეიძლება ითქვას მრავალ სხვა სურათზე, იხ., მაგალითად, „ვირზე მჯდომი ექიმი“, „ვირზე მჯდომი ბიჭი“, „მეფეოვე“, „მზარეული“, „ქალი მარათი“ და სხვები – ყველგან მკაცრი, მკაფიო და მეტყველი სილუეტია.

მაგრამ ეს ნიშნები – საზეიმო იერი, იერატიზმი, დეტალების მკაცრი გაცხრილება – ხელს არ უშლის ფიროსმანს გააცოცხლოს თავისი სურათები დამახასიათებელი (სწორედ დამახასიათებელი!) დეტალებით, აქცენტებით – სწორედ ამის შედეგია საკვირველი შეხამება განზოგადებისა და ცხოვრებისეული სინამდვილისა.** ამ მხრივ ნიშანდობლივია „პანორამებისა“ და სხვადასხვა „ქეიფის“ უკანა პლანები ცოცხალი სცენებით და ფიგურებით – ძალაუნებურად გაგახსენდება კვატროჩენტოს მხატვართა სურათების უკანა პლანები, სადაც, აგრეთვე, სხვადასხვა ეპიზოდია მიმოფანტული; მაგრამ იმათგან განსხვავებით, არც ერთი დეტალი, აზრობრივი თვალსაზრისით, აქ შემთხვევითი არ არის, არ არის ამოვარდნილი სიუჟეტიდან; პირიქით, ყველა მის გახსნას ემსახურება, ამავედროულად ისინი არ არღვევენ სურათის საერთო წყობას, მის განწყობილებას***.

ცალკეა მოსახსენებელი ფიროსმანის ნატურმორტები. არსებითად, ნატურმორტები შედის, როგორც შემადგენელი ნაწილები, ყველა „ქეიფში“, რაკი ყველა სუფრაზე სანოვაგა დალაგებული; მაგრამ მას აქვს

* ფიროსმანის სიტყვები, ჩაწერილი გუდიაშვილის მიერ: „თეთრი ფერი სიყვარულის ფერია... როცა ორთაჭაღის დაღუპულ ტურფებს ვხატავ, მე მათ შავი ცხოვრების შავ ფონზე ვხატავ. მაგრამ მათაც აქვთ სიყვარული - ეს არის მათ ირგვლივ მოთავსებული ყვავილები, მათ მხრებთან ჩიტები, მათ თეთრ ზეწრებში გახვეულებს ვხატავ. მებრალეებიან, თეთრი ფერით ცოდვებს ვაპატიებ“³⁰.

** ფიროსმანი იშვიათად აძლევდა თავს უფლებას ერთგვარი „თავისუფალი გადახვევისას“; იხ., მაგალითად, „ბეგოს კამპანია“, სადაც იერატიზმი ადგილს უთმობს ჟანრულობას, განსაკუთრებით კი – „მაღაკების ქეიფი“, ერთგვარი იუმორითაც აღბეჭდილი: მოქეიფენი ხელებს იქნევენ, ხმამაღლა მღერიან, ერთი კი - მთავარი - იატაკზე გდია.

*** ცხოვრების მიერ შთაგონებულ ბევრ მოტივს შორის ფიროსმანის რეპერტუარში არის ისეთებიც, რომლებიც მას განსაკუთრებით უყვარდა და რომელთაც ხშირად იმეორებდა: მონარდახული ურემი, ფაეტონი, რომელიც თითქმის ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება და აუცილებლად პროფილით არის ნაჩვენები; კომპოზიცია, რომელიც ერთი „ქეიფიდან“ მეორეში გადადის: მაგიდის ძირში, სურათის წინა პლანზე მოთავსებული ტიკი (აუცილებლად მარცხნივ) და ღოჭი (შეიძლება იყოს სხვა, დამატებითი საგნებიც, მაგრამ ეს ორი „მინიმუმს“ შეადგენს), ფრინველების გუნდი ფართოდ (პორიზონტალურად) გაშლილი ფრთებით – ხან თეთრი ჩიტებია შავ ფონზე, ხან შავი ჩიტები – ღია ფერის ფონზე.

რამდენიმე დამოუკიდებელი ნატურმორტი – თავის დროზე, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი იქნებოდა. უკვე აღვნიშნეთ, რომ მათი საგანი, უგამონაკლესოდ, საჭმელ-სასმელია. „მენიუ“ ნამდვილი ქართულია, თბილისური, კერძი ყველგან მეორდება – მოხარშული დედალი (ზემოთკენ აშვერილი ფეხებით), თევზი, შოთი პური, მწვანელი, ხილი, უფრო იშვიათად – მწვადი შამფურზე. აქვეა, რა თქმა უნდა, გარდა ბოთლების, დოქებისა და ჩვეულებრივი ჭურჭლისა, ყანწები და ტიკები.

პირველი, რაც თვალს ხვდება, ის არის, რომ ნატურმორტებში – ეს, უპირველესად, ეხება იმ ნატურმორტებს, რომლებიც ქეიფის სცენებშია – მკაცრი „წესრიგი“ მეფობს. არავითარი სიუხვე ფლამანდური მანერით, არავითარი დახვავება, რომელსაც მაგიდა ვერ უძლებს; ყოველი თეფში, ისევე როგორც ადამიანთა ფიგურები, ნაჩვენებია განცალკევებით, არასოდეს არ „აჯდება“ ერთმანეთს; ჭურჭელი ცოტაა და ხშირად ერთ ან ორ რიგად არის დალაგებული. ასეთი მოწესრიგებულობა სავსებით შეესაბამება „ქეიფების“ საერთო ხასიათს.

დამოუკიდებელ ნატურმორტთაგან უფრო მეტი თავისებურებით გამოირჩევიან პირობით ფონზე გამოსახულნი, მაგალითად, „გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა“, თუნუქზე შესრულებული პატარა ნატურმორტი და, განსაკუთრებით, დიდი ნატურმორტი (102X135 სმ.). ორივე დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე, მას შემდეგ, რაც ნატურმორტმა მოიპოვა დამოუკიდებელი ჟანრის უფლებები, დღევანდელ დღემდე, „მკვდარ ბუნებას“ – საყოფაცხოვრებო ნივთებს, სერვისს, ყვავილებს, წიგნებს, საჭმელ-სასმელს – გამოსახავენ (დაუსრულებლად მრავალფეროვანი ვარიანტების პირობებში) კონკრეტულ გარემოში, რეალურ სივრცეში: საგნები დევს მაგიდაზე ან სხვაგან სადმე, საიდანაც განათებულია. არაფერი ამის მსგავსი არ არის ფიროსმანთან – სივრცე, ადგილი, სიტუაცია ოდნავაც არ არის მინიშნებული. მხატვრის მიერ შერჩეული სანოვანე პირობითად არის განლაგებული ერთიან შავ ფონზე, შედარებითი მასშტაბის დაუცველად, მაგრამ გარკვეული კომპოზიციური წესრიგით. ისინი რეალურნი, მსგავსნი არიან, ადვილად საცნობნი, მაგრამ არსებობენ თავისთვის, თავისთავად, რეალობისაგან დამოუკიდებლად, არსებობენ „საერთოდ“ და არა ამ წუთში, ისინი თითქოს აბსტრაქტიზებული არიან და განზოგადების ძალას იძენენ.

ლაკონიზმი, სიმკაცრე, კვლავ თვითშეზღუდვა, სწრაფვა განზოგადებისა და არა დაქუცმაცებისაკენ ახასიათებს ფიროსმანის სურათების ფერების გადაწყვეტასაც. არავითარი შელამაზება, არავითარი მხიარული სიჭრელე, საგანგებო დეკორატიულობა და, მით უფრო, ორნამენტულობა, რაც თვალში გვეცემა, მაგალითად, იუგოსლავიელ „ხალხურ მხატ-

ვრებთან“. ეს გვიდასტურებს არა მარტო ფიროსმანის თავისებურ პირად გემოვნებას, რომლის სხვა გამოვლინებები ჩვენთვის უკვე ცნობილია, არამედ მის ეროვნულ თვისებას. ქართულ ხელოვნებას, მონუმენტურსაც და ხალხურსაც, ახასიათებს სწორედ ემოციური გამოსახვის დიდი ზომიერება. ეს ეხება, კერძოდ, კოლორიტსაც – როგორც კედლის მხატვრობისა და მინიატურებისა, ისე ხალხური ხელოვნების ნიმუშებსაც, ყოველთვის თავშეკავებულს, მჭახე, მყვირალა შეპირისპირებათა გარეშე. არც კერამიკაში, რომელიც XIX საუკუნეშიც მზადდებოდა საქართველოს ბევრ სოფელში, არც გლეხების ტანსაცმელში, არც საოჯახო ნივთებში, არც ქსოვილებში, რომელთა წარმოება დღესაც ცოცხლობს, ოსტატები არ დალატობენ ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რომელიც ეროვნულ გემოვნებას გამოხატავს. ფიროსმანს არასოდეს არ ჰქონია ცდუნება, რომ შეელამაზებინა სურათი, საგანგებოდ „გაეცოცხლებინა“ იგი კამკამა ფერებით, თუ ამას არ მოითხოვდა შინაარსი (მაგალითად, სამოსელის სპეციფიკური დეტალები); მაგრამ მაშინაც იგი გარკვეულ მიჯნას არ სცდება. ფიროსმანის ბევრი სურათი რამდენადმე ასკეტურადაც და პიქტურადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს კოლორიტის თვალსაზრისით.

ბევრი რამ დაწერილა ფიროსმანის შავი ფერის შესახებ, რომელიც მართლაც არსებით როლს თამაშობს მის სურათებში. ეს ფერი სპეციფიკური წარმოშობისაა: ფიროსმანის სურათების დიდი უმეტესობა შესრულებულია ზეთის საღებავებით შავ მუშამბაზე. სწორედ ეს მუშამბა წარმოგვიდგება ხელუხლებლად, არა მარტო როგორც ფონი, არამედ თვით გამოსახულებებშიც (ყველაზე მკაფიო მაგალითია „შავი ტახტი“). მუშამბის ფერი ინტენსიურია, „მოჭირებული“. არამცირეა თეთრი ფერის მნიშვნელობაც. როდესაც ფიროსმანის პეიზაჟებიან სურათებს ერთ დარბაზში ხედავ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ორი ფერის გარდა, უმთავრესი დატვირთვა ენიჭება ულტრამარინს (ცისთვის), ინგლისურ წითელს (ყავისფერთან მიახლოებულს) ბევრი სხვადასხვა საგნისა და ცხოველებისათვის, მოყვითალო-მომწვანო ტონები – ბუნებისათვის; ჩვეულებრივ ეს ფერები დაბინდულია, თითქოს მათში შეღწეული შავი საფუძველი ანშობს მათ, ზოლო ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, ჭუჭყიან ელფერსაც ანიჭებს. ფიროსმანის ცა, საკმაოდ მუქი, მოშავო ზემო ნაწილში, აუცილებლად ღიავდება ჰორიზონტთან, ზოგჯერ რუხი-მოთეთრო ხდება; ყვითელ-მწვანე ტონებსაც (მდელო, მცენარეები) თავისი გრადაციები აქვს – საკმაოდ ღია ფერიდან ყვითელ-მოშავომდე. მიწის რელიეფის – ტერასების, უსწორო ზედაპირის – გადმოსაცემად ფიროსმანი ჩვეულებრივ შავისა და მწვანის შეპირისპირებას მიმართავს.

მას აქვს სურათები, რომელთა ფერადოვანი გამა ორ-სამ ფერს ემყარება. ეს თითქმის მონოქრომული სურათებია. ხშირად ეს შავი და თეთრი ფერებია და მათი შემაკავშირებელი რუხია. ასეთი სურათებია, მაგალითად,

„დედა ღორი და გოჭები“, „მზარეული“, „მეფეზოვე“ (აქ მხოლოდ მცირე ფერადოვანი ლაქებია – რუხი მოლურჯო შარვალი, რუხი-მოვარდისფრო სახე და წვივები, ყვითელი ნაკერი (ლენტით?) ქუდზე), „არწივი და კურდღელი“ (კურდღლის ღია მოციისფრო სხეულით), „გლეხთა გათავისუფლება“: მთელი სურათი მოშავო-რუხ ტონებშია, მაგრამ მდიდარია ნიუანსებით, შეუმჩნეველი გადასვლებით: განათებული (თეთრი) და დაჩრდილული (რუხი) კედლების და შავი სახურავების შეპირისპირება ქმნის ღამის (მთვარის) განათების შთაბეჭდილებას, ხოლო მორუხო-თეთრ ცაზე თითქოს ჩასული მზის სხივების ანარეკლი იგრძნობა.* და ამ ასკეტურ გამაში „ჩაწვეთებული“ ქალისა და მუხლმოდრეკილი ბიჭის სამოსელის მქრქალი მოწითალო ფერები, გლეხების გრძელი სამოსის მდოგვის ფერი (მარცხნივ ორი გლეხია ასეთ სამოსელში, მარჯვნივ – ერთი), ხეზე დაკიდული „ბრინჯაოს“ ორი ზარი – მიიღება, დელიკატურობის თვალსაზრისით, განსაცვიფრებელი შეხამება ფერებისა.

ამ მხრივ არანაკლებ ლამაზია და დახვეწილი „უწინდელი საქართველოს ქორწილი“, „შემის გამყიდველი“, „დიდი ნატურმორტი“ – ეს ნამდვილი შედეგებია.

ასევე მკაცრია კოლორიტის მხრივ „მდიდარი კინტოს შვილი“: შავი ტანსაცმელი, მუქი მიწა (უმბრა), ფონი – ზემოთ მუქი ლურჯი, ქვემოთ უფრო ღია, პირობითი რუხი ფერის სახე, ქამრისა და საათის ძეწკვის წვრილი მოლოქროსფრო ზოლები. საერთო შთაბეჭდილება: შავ-ლურჯი გამა.

გასაოცრად ლამაზია სამი მოქეიფე თავადის ტანსაცმლის ლურჯ-წითელ-ვარდისფერი ჩანართების – გულისპირების შეხამება სურათის საერთო შავ-თეთრ-მწვანე გამასთან.

შესანიშნავ „შველში“, რომელიც ერთი ყველაზე ნათელთაგანია ფიროსმანის სურათებს შორის, თეთრისა და შავის გარდა, მხოლოდ სამი ფერია გამოყენებული; ყავისფერი (უფრო ზუსტად – ინგლისური წითელი) – თვით შველისთვის, ულტრამარინი – ცისა და მთებისთვის, მუქი ბალახისფერი – მიწისა და ბუჩქებისთვის.

აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა ნაწარმოებს, რომლებშიც, ფერადოვანი პალიტრის მომჭირნედ გამოყენებასთან ერთად, მხატვარი ფერების სიმდიდრის შთაბეჭდილებას აღწევს.

ფერების მხრივ ყველაზე კაშკაშა სურათებშიც კი, სადაც მხატვარი სუფთა, „გახსნილ“ ტონებს ხმარობს, მაგალითად, „საჰაერო ბუმბიანი გოგო“ (წითელი და ყვითელი კადმიუმი, ულტრამარინი), მხატვარი აღ-

* ფიროსმანის პრაქტიკაში ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სურათში განათება ნაჩვენებია ერთი გარკვეული მხრიდან. ჩვეულებრივ, საკუთარ ჩრდილს იგი მოდელირებისთვის მიმართავს; ვარდნილ ჩრდილს არ აკეთებს, მხოლოდ ადამიანთა და ცხოველთა ფეხებთან პირობით ათავსებს შავი ჩრდილის მსგავს ლაქას – ამით იგი მხოლოდ აღნიშნავს საყრდენის – მიწის, იატაკის – არსებობას.

წევს კონტრასტული ტონების ჰარმონიულ შეთანხმებას (იხ. აგრეთვე „ქალი ლუდის კათხით“ – ქალის კაბის კაშკაშა წითელი ფერით; „მებაღური“, რომელსაც დაახლოებით ასეთივე ფერის პერანგი აცვია, და სხვ.).

განსაკუთრებული მიმზიდველი ძალა აქვთ ფიროსმანისეულ ღამის სცენებს, მის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, „ნოქტიურნებს“, რომლებიც გამოირჩევა არა მარტო პოეტური განწყობილების სიღრმით (ერთგვარი იდუმალებითაც), არამედ იშვიათი ფერადოვანი დახვეწილობით და, ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ნამდვილი ფერწერული თავისუფლებით.

აი, „არსენალის გორა ღამით“. კაშკაშა თეთრი მთვარე, რომელიც ანათებს ცის მკვეთრ ულტრამარინს; თეთრი ღრუბლების მწკრივები; მთის ფონზე წერტილებად მიმოფანტული განათებული სარკმლები; დიდი კოცონი წინა პლანზე, რომლის შუქზეც ჩნდება კლდე, შეშით დატვირთული ურემი და ქოხი; აი, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“ – შავ-თეთრ-ყავისფერი და რუხი მოლურჯო გამა – კვლავ მთვარიანი ცა, იმდენად დამახასიათებელი, რომ საქართველოში ასეთი ცნებაც კი გაჩნდა – „ფიროსმანის ცა“: თეთრი მოელვარე ათინათები შავ კლდეზე, შავის, თეთრისა და სეპიის ენერგიული პორიზონტალური მონასმები მიწაზე ქმნიან მოციმციმე ზედაპირის შთაბეჭდილებას; აი, სრულიად საკვირველი „დათვი მთვარიან ღამეს“, სადაც მთვარის შუქის ილუზია მიღწეულია დაპირისპირებით: დათვის მუქი სხეული და მუქი ხე უპირისპირდება მათსავე მოელვარე „შარავანდებს“, ღია ფერის სარკმელი რომანტიკული ნანგრევის შავ კედელს; ხოლო ხის ტანი, სავსებით მოცულობითი, დაწერილია იშვიათი ფერწერული ბრიოთი.

ამ ფერწერულობას, ფაქტურალობას ხშირად ვხვდებით ცხოველების, უფრო ზუსტად, მათი ბეწვის გადმოცემაშიც („დედა ღორი გოჭებით“, „თხა“, დათვი „რთველში“, „თეთრი დათვები“). მონასმები – ამოცანის შესაბამისად – ხან შვეულია, ხან დახრილი, ხან პორიზონტალური (რატომღაც ასეთი არ არის „შველებისა“ და „ირმების“, მათ შორის სახელგანთქმული „შველის“ ფერწერა – ისინი ყველანი რაღაცით მოგვაგონებს ხის ან კერამიკულ ნაკეთობას). ფერწერულობით, ნიუანსებითა და შეუმჩნეველი ფერადოვანი „გადასვლებით“ – რაც იშვიათად გვხვდება ფიროსმანთან – განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „წყალზე მიმავალ გლეხის ქალს“. ეს სურათი ფერადოვნების სიმდიდრითაც ფიროსმანის უმაღლეს მიღწევებს უნდა მივაკუთვნოთ (ტანსაცმლის ვარდისფერი ათინათები, შეხამებული შავ-ლურჯ-თეთრ გამასთან!).

მის სურათებში ფერი ხშირად აქტიურ როლს თამაშობს კომპოზიციის რიტმული ორგანიზაციისთვისაც: შეიძლება დავასახელოთ „საჰაერო ბუმბიანი გოგო“ – ერთი ყველაზე საკვირველ სურათთაგანი სწორედ ამ თვალსაზრისით: წითელი ფეხსაცმელები – ფართო წითელი ქამარი – წითელი ბუმბი; ლურჯი კაბა – ლურჯი ჰეპლის საჭერი – ლურჯი ფონი;

ყვითელი ქუდი. უჩვეულოდ კაშკაშა ფერადოვნებაა, უჩვეულოდ გაბედული კონტრასტები, და მაინც სრული ჰარმონიაა, „ძალთა განაწილების“ აბსოლუტური სიზუსტე. „ვირზე მჯდომი ბიჭი“, თითქმის მონოქრომული სურათი: თეთრი, რუხი ტონებით მოდელირებული სახედარი მკვეთრად გამოიყოფა სრულიად შავ ფონზე; მხატვარი ერთგვარ „რეპლიკას“ აწვდის თეთრ ფერს ბიჭის ქუდით, რაც მთელ სურათს კომპოზიციურ მთლიანობას და დასრულებულობას ანიჭებს. ან კიდევ, გავიხსენოთ, როგორი აქტიურია თეთრი ლაქების როლი „ბოლნისის დღეობაში“ მთელი პანორამის შესაკვრელად; ან ხუთი მოქეიფე თავადის სამოსელის წითელი სამკუთხედები, შეხამებული რუხ-შავ ფერებთან. ისინი მკაცრ რიტმს ქმნიან და, იმავე დროს, განწყობილებასაც „ამაღლებენ“.

დასარულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ფიროსმანი წმინდა ფერწერულ ხერხებს მიმართავს სივრცის ეფექტის შესაქმნელად: მაგალითად, „რთველში“ პირველ პლანზე მტევნები გამოსახულია მკაფიოდ, „დაწვრილებით“, უკან პლანზე ისინი გათხუპნულ ლაქებად იქცევიან. და ეფექტიც მიღწეულია – ჩვენ წინაშეა ხშირი მწვანე მასა სურათის სიღრმეში, შორს.

ფიროსმანის კოლორიტი, გარკვეული თვალსაზრისით, პირობითია. პირობითია, რაკი მხატვარი რეალური საგნებისა და ცოცხალ არსებათა გადმოცემისას ყოველთვის არ იყენებს მათ ნამდვილ ფერებს. ეს ეხება ადამიანთა სახეებს, რომელთა ფერიც ხშირად დაშორებულია სახის ფერს, ეს ეხება პეიზაჟის ცალკეულ ნაწილსაც; ამ მხრივ არა მცირე როლი ეკუთვნის შავ ნეიტრალურ „უპაერო“ ფონს, რომელიც თავისთავად სავსებით პირობითია. მაგრამ თუ ფიროსმანი პირობით ტონს ხმარობს (გავიხსენოთ სრულიად თეთრი სახეები და ფეხები „უშვილო მილიონერში“), იმიტომ კი არა, რომ მიზნად რაიმე დეკორატიულ შეხამებას ისახავს, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ასეთი დეკორატიულობა მისთვის უცხოა. მთავარი ის არის, რომ, იშვიათი გამონაკლისებით, მისი სურათების კოლორიტული გამა ერთიანობითა და მთლიანობით გამოირჩევა.

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ფიროსმანი ფერმწერიც იყო და დახვეწილი კოლორისტიც, მკაცრი, შეუმცდარი გემოვნებით გამორჩეული.

III. ზემოთ, როდესაც ვახასიათებდით ფიროსმანის სურათებს, მათი აგების თავისებურებას, ჩვენ რამდენიმეჯერ მოვიხმეთ ცნებები: „უსწორობა“, „დარღვევა“, „ფეხქვეშ გათელვა“. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ფიროსმანის მიმართ მხოლოდ პირობით შეიძლება ვიხმაროთ, მხოლოდ ბრჭყალებში, მხოლოდ იმისთვის, რომ გავიადვილოთ ზოგი განსაზღვრა ჩვენთვისვე, რაკი ჩვენ სხვაგვარად, სხვა კატეგორიებით აზროვნებას ვართ მიჩვეულნი. ფიროსმანი არც არაფერს „არღვევს“ და არც „არაფერს თელავს“, ისევე როგორც არაფერს არ არღვევენ შუა საუკუნეების მხ-

ატვრები ან ხალხური ხელოვნების ოსტატები, რომელნიც ადამიანებსა და საგნებს დამახინჯებულად გადმოგვცემენ კლასიკურ-რენესანსული ნორმების თვალსაზრისით. არ „არღვევენ“ და არ „თელავენ“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ეს „წესი“ და „კანონი“ მათი „კანონები“ არ იყო, ისინი, არსებითად, უცხონი იყვნენ მათი საკუთარი ესთეტიკისთვის, მათი გამომსახველობითი ენისთვის, მათი აზროვნებისთვის. ფიროსმანის სურათები თავისი არსით არც შეიძლება აკადემიურად „სწორი“ ყოფილიყო, იმიტომ კი არა, რომ იგი ნატურით კი არ ხატავდა, არამედ, უმეტესად, მეხსიერებით; მან იცოდა და აკეთებდა კიდევ ყველაფერს, რაც შეესატყვისებოდა მის მოთხოვნილებებს, მისი ხელოვნების ხასიათს, რაც საჭირო იყო, რომ ფიროსმანი ფიროსმანი ყოფილიყო და სხვა არაფერი.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფიროსმანისა და შუა საუკუნეების ოსტატების გაიგივება, თუნდაც იმიტომ, რომ ის რეალისტი იყო და მისი ხელოვნების შინაარსი, მისი, როგორც შემოქმედის, მისწრაფებები მთლიანად და სავსებით მიწიერი, მატერიალური სამყაროსადმი იყო მიპყრობილი. მარამ ვერც იმას უარყოფთ, რომ ბევრი თავისი თვისებით იგი უკავშირდებოდა ტრადიციულ ეროვნულ ხელოვნებას და ხალხურ შემოქმედებას, თუმცა ეს კავშირი, რა თქმა უნდა, გაცნობიერებული არ ყოფილა. ის ტრადიციულ ხელოვნებას მისი შესწავლისა და მასში ჩაწვდომის საფუძველზე კი არ აგრძელებდა, არამედ ამ ხელოვნების ბუნებრივი მემკვიდრე იყო და როცა თავის სურათებს ქმნიდა, ძველი ოსტატების მსგავსად, მათი ესთეტიკური კანონების თანახმად აზროვნებდა.

ამ კავშირის შესახებ ზემოთ გზადაგზა უკვე გვქონდა საუბარი. ამასვე მოწმობს ისიც, რომ ფიროსმანის გმირები არა მარტო სტატიკურნი და „დროისგარეშენი“ არიან (აქ არ შეიძლება ისიც არ გავიხსენოთ, რომ ფიროსმანი არასოდეს გადმოგვცემს წელიწადის დროთა სხვაობას, სხვადასხვა ამინდს, ანუ იმას, რაც წარმავალია, არც დილას და საღამოს – ე.ი., ასე ვთქვათ, „გარდამავალ“ საათებს, ხატავს მხოლოდ „სტაბილურ“ დღეს და ღამეს), არამედ, აგრეთვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ემოციანზე მაღლა მდგომნიც“ (ფსიქოლოგიური და სოციალური დახასიათებისას, ის ადამიანის სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს არა სახის გამომეტყველებით, არამედ მხოლოდ მოქმედებით და ანტურაჟით. რა თქმა უნდა, ესეც უწყობს ხელს მათ „ამაღლებას“ წარმავალზე, მათ განზოგადებასა და მონუმენტალიზაციას); ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, ფიროსმანის ხელოვნების ერთგვარი კანონიკურობაც, მის სურათებში რიგი ჩამოყალიბებული მოტივისა და სქემის არსებობა, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენეთ, დაკანონებული ფორმულების სახით მეორდებიან. მათ შორის ისეთი მოტივებიც გვხვდება, რომლებიც სიმბოლოების როლს თუ არ თამაშობენ, გარკვეული კატეგორიის პირებისა და სიუ-

ფეტების მუდმივ ატრიბუტებად მაინც იქცევიან; ამასვე გვეუბნება ერთ კომპოზიციაში სხვადასხვა და სხვადასხვა დროს მომხდარი მოვლენების გაერთიანება; შუა საუკუნეების ტრადიციათა თავისებურ გამოძახილად შეგვიძლია მივიჩნიოთ სურათების ქარგაში გარკვეული ინფორმაციის შემცველი წარწერების ჩართვაც (რომლებიც მიწერილი აქვთ ფიგურებს მათი ვინაობის აღსანიშნავად, როგორც ეს ძველ ფრესკებში გვხვდება), ეს წარწერები მაყურებელთან აქტიურ კონტაქტს ქმნის.

ხალხურ ხელოვნებასა და შუა საუკუნეების გამოსახულებებთან, კერძოდ, ქართულთან მას ისიც ანათესავებს, რომ მისთვის სრულიად უცხოა ნატურალიზმი. ის არ ცდილობს ყველაფერი გვიამბოს, მით უმეტეს არ ცდილობს ბუნების იმიტაციას (ეს თვითნაწავლთა თვისებაა, და არა ხალხური ხელოვნებისა), ის ყოველთვის გამოყოფს ყველაზე მეტად დამახასიათებელს, ზოგჯერ თმობს კიდევ სინამდვილის ნატურალისტურ მიმსგავსებას იმ მიზნით, რომ უმთავრეს იდეას გაუსვას ხაზი; ამ მხრივ ღრმად რეალისტი ფიროსმანი პირობითიც არის.

მისი ხელოვნების ეროვნული თვისებაა კოლორიტის თავშეკავებულობა, სიმკაცრეც კი და, ამავე დროს, მისი შინაგანი სიმდიდრე.

ხალხური შემოქმედებისაგან მას განასხვავებს (გარდა იმისა, რომ მძლავრი ინდივიდუალობა გამოარჩევს ანონიმურ შემოქმედთა მასისაგან) გულგრილობა დეკორატიულობისადმი, ორნამენტისადმი. მისი სურათები არ არის დეკორატიული არა მხოლოდ კოლორიტის, არამედ აგების მხრივაც; თუმცა მის სურათებში სიბრტყითობა სჭარბობს, ისინი არ არიან ხალიჩისაგან აგებულნი, მისი პეიზაჟი ვერტიკალურად არ აღიმართება, როგორც მისი თანამედროვე ზოგი მხატვრის სურათებში. მისი ქმნილებანი იმ აზრითაა დეკორატიული, რა აზრითაც ფრესკები და ხატები, რომლებიც თავიანთი ხასიათით შეეფერებიან ნაგებობებს, რომელთათვისაც არიან შექმნილნი.

მონუმენტურობის მხრივ იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ძველი ოსტატების მემკვიდრეა – ქართველებისა, მაგრამ, ამავე დროს, მართლაც მოგვაგონებს ჯოტოს – თავისი უბრალოებით, ლაკონიზმით და მიზანსწრაფულობით, ყოველგვარი „სილამაზის“, ხელოვნურობისა და გარეგნული ეფექტების უქონლობით.

მართებულად იყო შენიშნული (გ. ხოშტარიას მიერ)³¹, რომ ფიროსმანი გამოჩნდა მაშინ, როცა ქართული ხელოვნება გარდატეხის საფეხურზე იდგა: შუა საუკუნეების მეტისმეტად გაჭიანურებული ტრადიციების გადალახვით. იგი – ევროპული, რენესანსული გაგებით – რეალისტური ხელოვნების პოზიციებს იპყრობდა. ეს მისი განვითარების კანონზომიერი საფეხური იყო, მაგრამ ისახებოდა საშიშროება საკუთარი სახის, თავისებურების დაკარგვისა, XIX-XX საუკუნეთა კოსმოპოლიტურ ხელოვნებაში გათქვეფისა.

ფიროსმანი, რომელსაც ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მშობლი-

ური მიწისა და მრავალსაუკუნოვანი მშობლიური ხელოვნების ნიადაგში, თითქოს ეროვნულ შემოქმედებით პოტენციას შეგვახსენებდა. ამაში იყო მისი მნიშვნელობა ახალი ქართული ხელოვნებისათვის.


ამბობენ, ფიროსმანის სამყარო შეზღუდული იყო. მაგრამ განა სხვაგვარად შესაძლებელი იქნებოდა? განა არსებობენ მხატვრები, რომელთაც ძალუბთ ყველაფერი მოიცვან? ყველაზე ნიჭიერთ ძალები იმისთვის ყოფნიდათ, რომ შეექმნათ „თავიანთი“ სამყარო, არა ყოველთვის თანაბარი ობიექტური მნიშვნელობით, მაგრამ მაინც „საკუთარი“. ფიროსმანი მათ რიცხვს მიეკუთვნება.

ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ფიროსმანის სამყაროზე, რომელსაც ვცნობთ არა მარტო სიუჟეტებით, ტიპაჟითა და ტანსაცმელით (რა თქმა უნდა, ამ ნიშნების მიხედვითაც), არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინტერპრეტაციით, ავტორის მკაფიოდ გამოვლენილი დამოკიდებულებით გამოსახულისადმი, მისი მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით.

ფიროსმანმა საკუთარი სამყარო შექმნა. ამიტომაც, რომ თუმცა მძიმე, გაჭირვებით სავსე ცხოვრება ჰქონდა, შთამომავალთა თვალში იგი მაინც დარჩა, როგორც განსახიერება მხატვრისა, რომელმაც დასახულ მიზანს მიაღწია.

შენიშვნები

20. კ. ზდანევიჩი. ნიკო ფიროსმანიშვილი. თბ., 1963, გვ. 27, 28, 31.
21. გ. ლეონიძე. ცხოვრება ფიროსმანისა: „მნათობი“, 1938, 6, გვ. 183–184, 197.
22. Г. Голланд. Грузинский примитивист: газ. “Кавказ”, 1916, 16. IV.
23. А. Петраковский. Еще о Пиросмани: газ. “Кавказ”, 1916, 18. V.
24. კ. ზდანევიჩი, იქვე, გვ. 38.
25. Я. Тугенхольд. Самородок Грузии: газ. “Заря Востока”, 1926, 12. XI, № 1299.
26. იქვე.
27. Э. Кузнецов. Пиросмани. “Искусство”, 1975, с.151-153.
28. Э. Кузнецов. Нико Пиросмани. “Аврора”, 1980, с.73.
29. Э. Кузнецов. Пиросмани, 1975, გვ. 152 (ე. კუზნეცოვის წიგნი ფიროსმანის შესახებ „ავრორამ“ დაბეჭდა ინგლისურადაც. ეს წიგნები, რომლებშიც დიდი სიყვარულით არის გადმოცემული ფიროსმანის ცხოვრების ამბავი, ყველაზე სერიოზული ნაშრომებია მისი შემოქმედების შესახებ წმინდა პროფესიული ანალიზის მხრივ. „ავრორას“ გამოცემას დართული აქვს სრული ანოტირებული და დასურათებული კატალოგი, შედგენილი ქ. ბაგრატიშვილის მიერ).
30. კ. ზდანევიჩი. ნიკო ფიროსმანიშვილი. თბ., 1963, გვ. 38–39.
31. Г. Хоптария. Творчество Пиросманашвили и его место в новой грузинской живописи. Тбилиси, 1985 г. (автореферат).



გვანცა კოკლატაძე

ედუარდ-გიორგი შივარდნაძე

წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენს ქვეყანას შიმშილის საფრთხე ბოლომდე ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაძლეული, ედუარდ-გიორგი შივარდნაძემ ერის გადარჩენის ერთი უმთავრეს გზათაგანი სხარტად ნათქვამი თეზისით დასახა: **გადაარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ**. ეს არ იყო პატრიოტული შინაარსის ლოზუნგური მოწოდება, ეს იყო აბსოლუტურად სწორად მიგნებული გზა და საშუალება გლობალიზაციის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, მოძებნილი იმ კაცის მიერ, ვისაც საქართველოს ისტორიის ღრმად გააზრებისა და ანალიზის საფუძველზე ამოცნობილი ჰქონდა საიდუმლოება ჩვენი მცირერიცხოვანი ერის გადარჩენისა.

აქვე დაგაკონკრეტებთ: კულტურაში იგულისხმებოდა ჭეშმარიტად ქრისტიანული, კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით აღბეჭდილი შემოქმედება ჩვენი ხალხისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ისეთი გულდადებითა და დახვეწილი ხელოვნებით ქმნიდა, თითქოს ცხოვრების გატარება არა ყოველდღიურ თავდასაცავად გამართულ ბრძოლებში, არამედ მშვიდსა და მოწესრიგებულ ქვეყანაში უხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ქართველი ერის ისტორიას მტერიც კი ვერ უწოდებს მონობის ისტორიას სწორედ იმიტომ, რომ, მართალია, თავგანწირვის ფასად, მაგრამ მაინც ყოველთვის ვინარჩუნებდით ჭეშმარიტ სარწმუნოებას ანუ სულიერ თავისუფლებას **(და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლენ თქვენ, ინ. 8,32)**¹ და ვქმნიდით ხელოვნებას, რომელიც სწორედ ამ თავისუფლებასა და თვითმყოფადობაზე მეტყველებდა.

მართალია, ისეთი პერიოდებიც გვქონდა, როცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად კულტურის დონეც ეცემოდა, და ეს განსაკუთრებით მონღოლების ბატონობისა და მეზობელი ბიზანტიის მართლმადიდებლური იმპერიის დაცემის შემდეგ პერიოდზე ითქმის, მა-

¹ „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება,“ — ამბობს თავისი თავის შესახებ უფალი ჩვენი იესო ქრისტე (ინ. 14,6).

გრამ მაშინ ქართველობას ეროვნული სახის შენარჩუნებაში ისტორიული მესხიერება — ვინ ვიყავით და რისი პატრონები — და მისით გამოწვეული თავმოყვარეობა შეელოდა, ანუ წარსულის გახსენება აწმყოს გაძლებისა და მომავლისათვის ბრძოლის ძალას აძლევდა.

მონები, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, არც მე-19 საუკუნეში ვყოფილვართ, როცა, მართალია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგეთ, მაგრამ მთავარი — ჭეშმარიტი სარწმუნოება და მისგან გამომდინარე სულიერი თავისუფლება — შევინარჩუნეთ. რომ არა მეფე ერეკლეს ღრმად გააზრებულად გადადგმული ნაბიჯი, ჩვენ ერს ან ამ თავისუფლების დაკარგვა და სარწმუნოებრივ-ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხე ემუქრებოდა, როგორც ეს სამხრეთ საქართველოს, ისტორიული მესხეთის დიდ ნაწილს დაემართა, ან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში სრული ამოწვევითა და ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა.

ეს რომ სიმართლეა, ამის დამტკიცება ძნელი არ არის. ვინც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა იცის, ენა ვერ მოუტრიალდება იმის სათქმელად, რომ იგი სულიერად დამონებული ერის მიერაა შექმნილი. ბუნებრივია, სულიერ თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფასი ჩვენმა დიდმა მწერლებმაც კარგად იცოდნენ და იღვწოდნენ კიდევაც მისი მოპოვებისათვის, მაგრამ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ამ მატერიალურ სამყაროში, რომლის თვადიც სატანაა და რომელშიც ძალადობა ბატონობს, ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის არსებობის შესანარჩუნებლად, როგორც ჩვენი, მთავარი მაინც სულიერი თავისუფლების შენარჩუნება იყო.²

1917 წლის ე. წ. სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მთავარ მიზანსაც სამყაროში მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის სრული განადგურება წარმოადგენდა, თუმცა ეკლესიას დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ მიზნის ბოლომდე განხორციელება მაინც ვერ შეძლო. თანახმად მაცხოვრის მიერ მისი მიმდევრებისათვის მიცემული აღთქმისა: **კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას** (მთ. 16,18). საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი პერიოდი, სახელდობრ, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებამდე, ვფიქრობთ, ბოლომდე ჯერ კიდევ არაა შესწავლილი ფაქტების გამოვლენისა და მათი ობიექტური ანალიზის თვალსაზრისით. იგი აუცილებლად საჭიროებს რელიგიური ცნობიერების მქონე მკვლევარს, რომელსაც ამავე დროს სიმამაცეც ყოფა იმისათვის, რომ ამ პერიოდის შესახებ ფსევდობობიექტურობით დადგენილ შეხედულებებსა და და დასკვნებს, რომელიც საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული, გაბედულად დაუპირისპირდეს, პავლე მოციქულის სიტყვებით გამხსნევებული: **უკუეთუმცა კაცთადა სათნოვეყოფოდე, ქრისტეს** (ანუ ჭეშმარიტების) **მონამცა არა ვიყავ** (გალატ. 1,10).

² იხ. ი. ჭავჭავაძე, „ასი წლის წინათ“, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 208-217. აღსანიშნავია, რომ წერილი 1899 წელსაა დაწერილი და ილიას მოღვაწეობის ბოლო პერიოდს ეკუთვნის.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება. არსებობამ მართლმადიდებლური ეკლესიისა, რომელიც, 40-იანი წლებიდან ვიდრე ხელისუფლებაში ნ. ხრუშჩოვის მოსვლამდე, დაკარგულ უფლებებს თანდათანობით იბრუნებდა, ქრისტიანულმა ცნობიერებამ და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, რასაც თან ემატებოდა, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ წინ წამოწეული ბუნებითი სჯულის ანუ სინდისის ფენომენი, განაპირობა ის, რომ ჩვენს ერს სულიერი თავისუფლება ბოლომდე არც საბჭოთა პერიოდში დაუკარგავს. ამ თვალსაზრისს რომ დაუპირისპირდეთ, მაშინ უნდა უარყოთ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი დიდებული ქართული მწერლობა — პროზა და პოეზია, ქართული მუსიკის, მონუმენტური ხელოვნებისა და ფერწერის მართლაც დიდოსტატთა შემოქმედება, თვითმყოფადი, ეროვნული სულით აღბეჭდილი თეატრისა და კინოხელოვნების ისტორია და ბოლოს, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ღვაწლი. თუმცა ამ ბოლო ათწლეულში ამის მცდელობაც ბევრჯერ იყო, როცა მავანნი და მავანნი, რომელნიც თავს პროგრესულ მოაზროვნებად წარმოადგენდნენ, საზოგადოების მემკვიდრეებიდან, მართალია, უსუსურად, მაგრამ თავგამოდებით, არა მხოლოდ შორეული, არამედ უახლესი წარსულის სრულ წაშლას თუ არა, მის სახელოვან მოღვაწეთა აბუჩად აგდებასა და დამდაბლებას მაინც ცდილობდნენ და ცდილობენ. თუ ეს მცდელობა და მისი ნამდვილი არსი და მიზანი დროზე არ ვამხილეთ, ის აუცილებლად გამოიღებს უარყოფით შედეგს და იმოქმედებს სარწმუნოებრივ-ეროვნულ ცნობიერებაზე ახალგაზრდობისა, რომელიც მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, რადგან ფუნდამენტური განათლება არც ქართულ ლიტერატურასა და არც საქართველოს ისტორიაში არა აქვს მიღებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის მიერ თეზისი — **გადაარჩენით კულტურა და გადაგვარჩენს ჩვენ** — შექმნილი ვითარების შესაბამისად დროულად იქნა წამოყენებული. გავისხენოთ, რომ ეკონომიკურად გაჩანაგებულ ქვეყანას (ე. წ. ეროვნულმა მოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლისას „ეროვნული მოღვაწეობა“ კომუნისტების მიერ შექმნილი მრეწველობის გაჩერებითა და სოფლის მეურნეობის განადგურებით დაიწყო),³ გლობალიზაციის პროცესის სწრაფი განვითარების შედეგად ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხეც დაემუქრა. ვის ვის და ედუარდ შევარდნაძეს ამ თეზისის წამოყენების უფლება არა მხოლოდ როგორც პრეზიდენტს, არამედ როგორც მეცენატსა და მოღვაწეს, ვისაც 70-იანი წლების საქართველოში სულიერი კულტურის აღმავლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა, ნამდვილად ჰქონდა.

³ ფაბრიკა-ქარხნების გაჩერებას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კავშირი, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების საწარმოებს შორის ერთმანეთისათვის ნედლეულისა თუ ცალკეული დეტალების მიწოდების სახით არსებობდა, იმპერიის დაშლისას გაწყდა, ვერ გაუმართლებთ. ჯერ ერთი, უკვე არსებული კონტაქტების შენარჩუნება განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა, და მეორეც: გაჩერებულ საწარმოთა შორის ისეთებიც იყო, რომელნიც ადგილობრივი ნედლეულით მუშაობდნენ.

ჩვეულებრივ, ახალგაზრდობამ, რომელსაც, ბუნებრივია, ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვს, არ იცის რა ძალისხმევა სჭირდება მატერიალურ სამყაროში ყოველი კეთილი საქმის აღსრულებას, მით უმეტეს, თუ მას არა კერძო, არამედ საერთო, ეროვნული ხასიათი და მნიშვნელობა აქვს. არც ჩვენ, 70-იანი წლების ახალგაზრდები ვფიქრობდით იმაზე, ვის მიუძღოდა დამსახურება იმაში, რომ შეგვეძლო დავმტკარავყავით არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საკაცობრიო მაღალხეობრივი იდეალებით გამსჭვალული, მაღალპროფესიულ დონეზე დადგმული სპექტაკლებითა და გადაღებული ფილმებით, წაგვეკითხა მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაგან არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ საერთოდ ადამიანის სიყვარულს ვსწავლობდით, წავსულიყავით ექსკურსიებზე მოვლილი და აღდგენილი დიდებული არქიტექტურული ძეგლების სანახავად, გვეამაყებოდა თბილისის საქმის ცოდნითა და დიდი გემოვნებით განახლებული ისტორიული ნაწილით, მოგვესმინა კარგი მუსიკა, გვეზეიმა ფილარმონიაში ფოლკლორული საღამოები, საერთო სახალხო დღესასწაულები: „შოთაობა“, „საბაობა“, „დმანისობა“... და ეს ყოველივე არა დამოუკიდებელ სახელმწიფოში, არამედ საბჭოთა კავშირის იმპერიაში შემავალ რესპუბლიკაში ხდებოდა, რომლის ხელისუფლებასაც ცენტრიდან ნაკარნახევი იდეოლოგიის ერთგულება და გატარება მოეთხოვებოდა.

ჩვენ მხოლოდ უშუალოდ შემოქმედთა სახელები ვიცოდით: მურმან ლებანიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე, გურამ ფანჯიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, რეზო ამაშუკელი, რეზო ჩხეიძე, რობიკო სტურუა, თემურ ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი... და პატფსაც მივაგებდით მათ, მაგრამ არ ვიცოდით, რომ მათი იდეოლოგიური წინისაგან თავისუფალი შემოქმედება, რომელიც უწინარესად სწორედ ამით გვზიბლავდა, ქვეყნის ხელისუფალის მხრიდან განსაკუთრებული მზრუნველობისა და პატრონობის გარეშე ვერ შეიქმნებოდა, ყოველ შემთხვევაში, დღის სინათლეს მაინც ვერ იხილავდა; ჩვენ არ ვიცოდით და არც ვფიქრობდით იმაზე, რა დიდ რისკზე წასვლა და გამბედაობა მოეთხოვებოდა, რის ფასად უჯდებოდა საქართველოს პირველ პირს ჩვენს ცნობილ ხელოვანთა ქმნილებების გასაჯაროება.

1998 წლის 25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 70 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ნუგზარ ფოფხაძის რედაქტორობით გამოვიდა წიგნი „შევარდნაძე“. როგორც შესავალში რედაქტორი წერს, თავდაპირველად ამგვარი წიგნის გამოცემაზე თავად ადრესატს იმ მოტივით, რომ მაშინ ამის დრო არ იყო, უარი უთქვამს. მაგრამ 9 თებერვლის ტერაქტმა, რომლის მიზანიც საქართველოს პრეზიდენტის ლიკვიდაცია იყო, საგამომცემლო ჯგუფი და თავად რედაქტორი იმაში დაარწმუნა, რომ სურდა თუ არა ეს თავად იუბილარს, წიგნის გამოცემა საშურ საქმეს წარმოადგენდა.

წიგნის საკმაოდ ვრცელ ნაწილს ქართული ხელოვნების სხვადასხვა

დარგის სახელმძღვანელო შემოქმედთა მოგონებანი წარმოადგენს. მათი გაცნობა მკითხველის წინაშე წარმოაჩენს ნათელ სურათს, როგორ იქმნებოდა 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისის საქართველოში მაღალი მხატვრული და ზნეობრივი ღირებულებების მქონე სულიერი კულტურა, რომელმაც, როგორც ამის მოწმენი ჩვენც ვართ, ეროვნული თვითშეგნების გამოღვივებასა და აღმავლობასაც დიდად შეუწყო ხელი, და რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ისეთ დიდ ხელოვანს დავიმოწმებთ, როგორიც მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი ბრძანდებოდა: „მისი (ე. შვეარდნაძის — გ. კ.) ხელთდასხმით და მხარდაჭერით საფუძველი ეყრებოდა ახალ მხატვრულ აზროვნებას, შემდგომში რომ ეროვნული მოძრაობის სახით წარმოჩნდა. მისი აშკარა თუ ფარული თანადგომით შეიქმნა იმ დროისათვის თითქმის წარმოუდგენელი, უადრესად გაბედული და ჭეშმარიტად ისტორიული კინოფილმები, სპექტაკლები, სკულპტურული და ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელიც ერის სულიერ აღორძინებას, ადამიანში კეთილი საწყისის გადარჩენას ისახავდა მიზნად“.⁴ იმავეს ადასტურებს მსოფლიოში აღიარებული სკულპტორი მერაბ ბერძენიშვილი: „მისი (ე. შვეარდნაძის — გ. კ.) მოღვაწეობის დროს აღზედა ხელოვნების ყველა დარგი: კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება“.⁵

ახლა თვითონ ამ დარგების ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებს მოვუსმინოთ.

რეზო ჩხეიძე: „უდავოა, რომ თენგიზ აბულაძის „მონანიება“ არ შეიქმნებოდა, ედუარდ შვეარდნაძის მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო“.⁶ აღსანიშნავია, რომ ფილმი მოსკოვის გვერდის ავლით დაფინანსდა, როგორც საქართველოს ტელევიზიის დაკვეთა.

მერაბ კოკჩაშვილი: „მეამაყება, რომ მისი (ე. შვეარდნაძის — გ. კ.) თანამედროვე ვარ; თუ მართლაც ზერულად არ შეხედავ მის საქმიანობას, ნათლად ჩანს მისი ეროვნული ხასიათი და ღვაწლი ეროვნული კულტურის წინაშე“.⁷

მერაბ კოკჩაშვილი და ლანა ლოლობერიძე იხსენებენ, რომ მათი ფილმების — „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „გზა“, „როცა აყვავდა ნუში“, „ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“ — სცენარების მოსკოვში დამტკიცება და ჩვენების უზრუნველყოფა საქმეში საქართველოს პირველი პირის უშუალოდ ჩარევის შედეგად მოხდა.

რობერტ სტურუა იგონებს, რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლების დროს როგორ მოხსნეს სცენიდან სპექტაკლი „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ მასში გატარებული ანთისაბჭოური იდეოლოგიის გამო და როგორ განაცხადა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა

⁴ შვეარდნაძე, თბ., 1998, გვ. 45.

⁵ იქვე, გვ. 87.

⁶ იქვე, გვ. 424.

⁷ იქვე, გვ. 255.

პირველმა მდიანმა: მოსკოველებს თუ არ უნდათ, აქ, საქართველოში ვითამაშებთ ამ სპექტაკლს.⁸ რობერტ სტურუას მიერ გენიალურად დადგმულ სპექტაკლს „ყვარყვარ“ საქართველოშივე შეუქმნეს დაბრკოლება, მაგრამ სცენას იგი მაინც შეუნარჩუნდა იმავე შვეარდნაძის მხარდაჭერით.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, როგორ აფასებს ცნობილი თეატრთმცოდნე ვასილ კიკნაძე ე. შვეარდნაძის როლს საერთოდ ქართული თეატრის ისტორიაში: „ე. შვეარდნაძემ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდო ეროვნული კულტურის პრიორიტეტულობის იდეოლოგია. მან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზე აამაღლა თეატრი — „ჩვენი ეროვნების საჯაროობის ნიშანი“ (ილია) და ამ გზით თეატრის ეროვნულ მისიას თავისებური მეხამრიდი დაუყენა... ე. შვეარდნაძის გაბედული ახლებური აზროვნება რომ არაა, შესაძლოა, არც რობერტ სტურუას პოლიტიკური თეატრი შექმნილიყო“.⁹

როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი იხსენებს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის რისკი უცხო არ იყო, გურამ ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატიოსანის“ დაბეჭდვა ჟურნალ „ციცკარში“, რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა, მწვავე მამხილებლური ხასიათის გამო, თავისთავზე მაინც ვერ აიღო და რჩევა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ე. შვეარდნაძეს ჰკითხა, რომელმაც რომანის წაკითხვის შემდეგ, დაურეკა და უთხრა! დაბეჭდე ეს კარგი რომანი და თუ დაგიჭერენ, ნუ გეშინია, შენი ოჯახი ჩემზე იყოსო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ წიგნში მოგონებათა ავტორები ხაზგასმით წარმოაჩენენ ბატონ ედუარდს, როგორც საოცრად ყურადღებიან, გულისხმიერსა და ტაქტიან მკითხველსა და მაცურებელს.

ქართული მუსიკალური კულტურის ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, ცნობილი დირიჟორი და კომპოზიტორი ჯანსუღ კახიძე, რომელიც პოლონეთში მოღვაწეობდა, საქართველოს ცეკას პირველმა მდიანმა დააბრუნა სამშობლოში 1973 წელს და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად დანიშნა. როგორც თავად ჯ. კახიძე იგონებს, 1972-85 წლები არა მხოლოდ ამ ორკესტრის, არმედ საერთოდ „ქართული კულტურის აღორძინებისა და გაფურჩქვნის წლები იყო“.¹⁰

ანზორ ერქომაიშვილის მოგონების მიხედვით, ფოლკლორული ანსამბლი „რუსთავი“ ე. შვეარდნაძის მხრიდან მუდმივად გრძნობდა მზრუნველობასა და ყურადღებას. ქართული მუსიკალური ფოლკლორის პატრონობისათვის მან მაშინაც მოიცალა, როცა საქართველო ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ქაოტური მდგომარეობიდან, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოჩნდა. კერძოდ, 1994 წლის 25 მარტს მის მიერ გამოცემული ბრძანებით, ბიჭუნათა ანსამბლის „მართვეს“ ბაზაზე ფოლკლორის

⁸ იქვე, გვ. 360.

⁹ იქვე, გვ. 233, 237.

¹⁰ გვ. 226.

საერთაშორისო ცენტრი შეიქმნა, ხოლო 1996 წელს პირველად კულტურის ისტორიაში ბავშვთა ანსამბლ „მართვეს“ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: მიუხედავად იმ ურთულესი პოლიტიკურ-სოციალური ვითარებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 90-იან წლებში სუფევდა და რომლიდანაც იგი ისევ და ისევ მისი მუხლჩაუხრელი შრომისა და გონიერულად წარმოებული პოლიტიკის წყალობით თანდათანობით გამოდიოდა, ბატონი ედუარდი იმისთვისაც იცლიდა, რომ საქართველოს თავი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული იზოლაციისათვისაც დაედწია. ამაზე მეტყველებს მისი ინიციატივით თბილისში გამართული კულტურათა დიალოგი, რომელსაც მხარი იუნესკოს გენერალურმა მდივანმა ფედერიკო მაიორმა დაუჭირა. სხვათა შორის მაშინ საქართველოს, რომელსაც არასტაბილური ქვეყნის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ამ დიალოგში მონაწილეობის მისღებად 50 ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენელი ეწვია. სწორად შენიშნა ქ-მა მანანა გიგინეიშვილმა: საქართველოს პრეზიდენტი ამ თვალსაზრისითაც ღირსეული მემკვიდრე გამოდგა ჩვენი დიდი წინაპრებისა, რომელნიც კულტურათა შორის ურთიერთობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით სპეციალურ კერებს აარსებდნენ იერუსალიმში, საბერძნეთში, სირიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, კვიპროსსა თუ ბულგარეთში.¹¹

ბ-ნი ვალერი ასათიანი იხსენებს, რომ „ბატონი ედუარდი შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით შესაძლებელი გახდა დავით ანდლულაძის სახელობის ტენორის პირველი საერთაშორისო კონკურსის გამართვა ბათუმში 1996 წელს, ... გაიმართა თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, დელფიური მოძრაობის მეორე კონგრესი, ბავშვთა პირველი მსოფლიო დელფიადა და სხვ.“¹²

ამ წერილს ქართული კულტურის წინაშე ბატონი ედუარდი შევარდნაძის დეაქლის სრულად წარმოჩენის პრეტენზია ნამდვილად არ გააჩნია, მაგრამ იმ დამსახურების, რომელიც მას საქართველოს ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვაში მიუძღვის, თუნდაც რამდენიმე სიტყვით გადმოცემა მაინც აუცილებლად მიგვაჩნია.

1978 წლის 24 თებერვალს, რა თქმა უნდა, ცეკას პირველი მდივნის მითითებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის საფუძველზეც მალე კულტურის სამინისტროსთან ძეგლთა დაცვის სამმართველო შეიქმნა. ამ სამმართველოს უფროსი ირაკლი ციციშვილი, რომელიც მას დაარსების დღიდანვე ჩაუდგა სათავეში, იხსენებს, რომ ბატონი ედუარდი

¹¹ გვ. 112.

¹² გვ. 60.

ზმირად პოულობდა დროს მასთან შესახვედრად, რათა მოესმინა, როგორ მიდიოდა წამოწყებული საქმე და რა პრობლემები იყო მოსაგვარებელი.

ისტორიულ-კულტურული ძეგლებისადმი საქართველოს უმაღლესი ხელისუფალის დამოკიდებულებამ გააძლიერა ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და დაცვის პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციების საშუალებით. ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების თუ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ზმირად იბეჭდებოდა წერილები უკვე აღდგენილსა და დაცულ თუ ჯერ კიდევ აღუდგენელსა და დაუცველ ძეგლებზე. საქართველოს ტელევიზია ყოველთვიურად გადასცემდა მასალას ციკლიდან — „გაუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, ხოლო კვირაში ერთხელ ტელეჟურნალ „მოამბეში“ გადიოდა ხუთწუთიანი გადაცემა ძეგლების რესტავრაციაზე — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“.¹³


ქართული ხუროთმოძღვრების შედევრებისადმი ბატონი ედუარდის დამოკიდებულების ნათელსაყოფად ნიშანდობლივია ფაქტი, რომელსაც ქ-ნი ნელი გურგენიძე იხსენებს: როცა იგი საქართველოს კომკავშირის ცეკადან მცხეთის რაიკომის მდივანად გადაიყვანეს, პირველად იმაზე უზრუნვია, რომ მცხეთის ჯვარი და მისი მიდამოები გაენათებინა, რითაც მისდა უნებურად აკაკი შანიძისთვის დიდი ხნის ნაოცნებარი აუსრულდება.

1992 წლის გაზაფხულზე ედუარდი შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში, როგორც ეს ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ მას ჰქონდა იმედი ერის გონიერი ნაწილის, ინტელიგენციის გვერდით ამოღებულსა, განსაკუთრებით მისი სახელოვანი წარმომადგენლებისა, რომელთაც ეს სახელი მისი შემწეობითაც ჰქონდათ მოპოებული. თანაც ეს მხარდაჭერა მას ხომ არა პირადული მიზნებისათვის, არამედ ერის გაღრმავებისათვის ბრძოლაში სჭირდებოდა! ბრძოლის პირველ ეტაპზე ეს მხარდაჭერა მართლაც ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტელიგენციას, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ზნეობრივი ძალა არ ეყო ბოლომდე დარჩენილიყო პრეზიდენტის გვერდით, რომელიც აშკარად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ბევრი მათგანი არა მხოლოდ განზე გადგა, არამედ იმათი პოზიციიდან დაუპირისპირდა, ვინც მას ებრძოდა. მათ ნაბიჯს ჩვენს უახლეს ისტორიაში საბედისწერო შედეგი მოჰყვა: ხალხმა მხარი იმ ძალას დაუჭირა, რომლის მხარეზეც, როგორც ის ფიქრობდა, მისი საუკეთესო შვილები იდგნენ.

ბატონმა ედუარდმა ესეც დიდსულოვნად, უსაყვედუროდ აიტანა, რისი ძალაც, ალბათ, იმ ჭეშმარიტად დიდმა სიყვარულმა მისცა, რომლითაც მას სამშობლო უყვარს. მან ისე შეგვიჩინა, რომ ჩვენგან ბოდიშის მოხდა არ მოუთხოვია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მოგვეთხოვება.

ღმერთმა მოგვცეს იმის ძალა, რომ პატიება ვთხოვოთ ქვეყნისთვის თავგანწირულ კაცს (ეს მან არაერთგზის დაამტკიცა), ვინც გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო დაუტოვეთ.

¹³ იქვე, გვ. 431.



გულბათი რცხილაძე

საქართველოს საგარეო პოლიტიკის კვლევის ცენტრი და ახალი პრიორიტეტები

საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ეს მოვლენა არაორდინალურია საპარლამენტო პრაქტიკაში, თუმცა არა პრინციპულად მიუღებელი და, მით უმეტეს, ლეგიტიმაციას მოკლებული. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რეზოლუციის მიღების მიზეზი; იგი განაპირობა მძაფრმა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და არჩევნების შედეგად დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობის“ დემაგოგიამ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით. საზოგადოდ, საშინაო და საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. პრაქტიკულად, მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში შიდაპოლიტიკური კონიუნქტურა მეტად ან ნაკლებად პოულობს ასახვას. საქართველოს პარლამენტის მიერ ამა წლის მარტში მიღებული რეზოლუცია ამგვარი საშინაო კონიუნქტურის ანარეკლად უნდა განვიხილოთ.

მეორე მხრივ, არც ის ფაქტორია მხედველობიდან გამოსარჩენი, რომ ადგილი აქვს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გარე ძალების არსებით ზეგავლენას (სპეციალურად არ ვიყენებთ ფორმულირებას — „საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა“, თუმცა ამ ცნების გამოყენებაც სავსებით მართებული იქნებოდა). ჩვენ მოწმენი ვართ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის ჰიპერაქტიურობისა. ბატონი ელჩი ხან ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს ხვდება, ხან მეორისა, პრესის წინაშე მუდმივად აკეთებს კომენტარებს საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მისივე განცხადებით, „სწავლობს“ და „აკვირდება“ ამა თუ იმ მოვლენას, უხვად არიგებს რჩევებსა და რეკომენდაციებს, კორექტულად, მაგრამ ფაქტობრივად მოძღვრავს ქართულ საზოგადოებას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. არანაკლებ აქტიურობენ ევროპელები, ევროპარლამენტში

წარმოდგენილი უმსხვილესი „სახალხო პარტიის“ სახით, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ თავის პარტნიორად განიხილავს და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „შემფოთდა“ საქართველოში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ბედით. გარდა „სახალხო პარტიისა“, არც ევროკავშირის სტრუქტურები ტოვებენ საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებს უყურადღებოდ. ყველა მათგანი კი ერთხმად განაგრძობს ქართული პოლიტიკური სპექტრის შეგულისებებას, გაგრძელებულ იქნას საქართველოს „სვლა“ დასავლეთისკენ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისკენ და ა.შ.

არასტანდარტული საპარლამენტო რეზოლუციაც სწორედ ამ საშინაო და საგარეო ფაქტორების გამოძახილია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს საზოგადოების მხრიდან განხილვასა და შეფასებას. პირველ ყოვლისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს კანონის ძალა და იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ვერ იქნება. მით უმეტეს, ეს არ არის იმ ტიპის დოკუმენტი, რომელიც მომავალში ვერ გადაიხედება და მისი პრინციპები არ შეიცვლება. ამ მხრივ, რეზოლუციას დიდი იურიდიული დატვირთვა არ აქვს და ეს კარგია, რადგან სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მოქნილი, შეუბოჭავი უნდა იყოს და მას არ ესაჭიროება არტახებში მოქცევა. მაგრამ მიღებულ დოკუმენტს აქვს მორალური დატვირთვა, იგი ასახავს ლეგიტიმური პარლამენტის ნებას. სამწუხაროდ, საგარეო ზეწოლის პირობებში „ქართულ ოცნებას“ მოუწია დათმობებზე წასვლა და რეზოლუციაში გათვალისწინებულია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა აზრებიც. ალბათ, გასაგებია, რატომ: ვინაიდან სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს უძლიერეს და უახლოეს მეზობელ რუსეთთან ურთიერთობების გაწვევას, ომსა და ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას. საქართველო რომ შემდგარი, სუვერენული სახელმწიფო იყოს, ნაცვლად იმისა, რომ მასთან შეთანხმებული ყოფილიყო ქვეყნის სტრატეგია, ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლებელი იქნებოდა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მაგრამ ასეა თუ ისე, ახალმა მმართველმა პარტიამ ის მაინც მოახერხა, რომ ქვეყანას ააცილა სრული აბსურდი — კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკური კურსის თაობაზე შენიშვნების ჩამატება. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მიღებული საპარლამენტო რეზოლუციაც მთლიანობაში ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ზომიერია და იგრძნობა, რომ მმართველმა პარტიამ მაქსიმალურად შეაფერხა „ნაციონალური“ დემაგოგიის ზეგავლენა რეზოლუციის ტექსტზე. მაგრამ დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე მიუღებელ პუნქტსაც, რომელთა პრაქტიკაში რეალიზება მთავრობის მხრიდან, ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანო იქნება.

პირველ ყოვლისა, პრინციპულად მიუღებელია დოკუმენტის მე-18 პუნქტი, რომლის მიზანი აშკარაა — არ უნდა იქნას დაშვებული რეალური დაახლოება საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ პუნქტში ამთავითვეა გამოცხადებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება რუსეთთან ისე, რომ თავად რუსეთი არც არის ნახსენები. გასაკვირი არაა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების თემა დემაგოგიურად არის მიბმული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხთან: „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმფეოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის ურყეობა“.

რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა საკითხის ამგვარად დასმა, რადგან საქართველო არ არის იმ მდგომარეობაში, რომ თავს ფუფუნება მისცეს, წინასწარ განსაზღვროს, ვისთან უნდა ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობა და ვისთან — არა, რომელ სახელმწიფოებთან დაამყაროს სავაჭრო ან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და რომელთან — არა. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ასეთ პოლიტიკას ატარებს და ტაივანის აღიარებას მესამე სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მუქარით აბრკოლებს, მაგრამ ეს არის ჩინეთი, თავისი უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენით მსოფლიო დონეზე, რომელსაც საქართველო ამ შემთხვევაში ნამდვილად არ უნდა ბაძავდეს. საქართველოსთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს სერბეთის მაგალითი, რომელსაც დასავლეთმა მისი უძველესი მიწა-წყალი, კოსოვო ჩამოაჭრა და დამოუკიდებლად აღიარა. სერბეთისთვის ეს არანაკლები ტრაგედიაა, ვიდრე საქართველოსთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ სერბეთის სახელმწიფოს არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები კოსოვოს ამღიარებელ სახელმწიფოებთან და თან „ოკუპანტ“ ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ მიისწრაფვის. საქართველოსთვის უზარმაზარი მეზობელი რუსეთი იმავე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც სერბეთისთვის აქვს ევროკავშირს, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან. თუკი საქართველომ თავიდანვე გამოიცხა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები, სადაც რუსეთი მონაწილეობს, ეს იქნება კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ვერ დაგვაახლოებს საქართველოს გაერთიანების მიზანთან.

მაგრამ ინტეგრაციული პოცესებიდან საკუთარი თავის გამიჯვნაზე კიდევ უფრო მძიმე იქნება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების

აღდგენაზე უარის თქმა. „ნაცური“ დემაგოგია იმის თაობაზე, რომ დიპლომატიური ურთიერთობების განახლება იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც „ოკუპაცია“ მოახდინა და დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა ჩვენი ტერიტორიები, ჩვენი მხრიდანაც მათი აღიარების ტოლფასი იქნება, კრიტიკას ვერ უძლებს. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მომენტში საქართველოს შეუძლია, წერილობით და ზეპირად, ოფიციალურად დააფიქსიროს, რომ იგი არასოდეს გაიზიარებს რუსეთის მხრიდან საკუთარ ტერიტორიებზე სხვა სახელმწიფოთა აღიარებას და რომ რუსეთი და საქართველო ამ კონკრეტულ საკითხზე ვერ თანხმდებიან. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოს მხრიდან აღიარება გამოირიცხოს. პირიქით, დიპლომატიური ურთიერთობები და, საერთოდ, რუსეთთან დაახლოება, საქართველოს შანსებს ბევრად ზრდის, მომავალში გავლენა იქონიოს აფხაზეთთან და შიდა ქართლის რეგიონთან დაკავშირებულ პროცესებზე. მრავალჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: **საქართველოს არაკეთილმოსურნეებს არაფრის ისე არ ეშინიათ, როგორც რუსეთის და საქართველოს ერთმანეთთან დაახლოებისა.** არავის ადვლევებს არც სოხუში და არც ცხინვალში, თუკი თბილისი ასიათასჯერ გაიმეორებს, რომ მას ნატოში და ევროკავშირში სურს შესვლა. ხოლო როცა საქმე რუსეთთან ურთიერთობების დათბობას ეხება, სეპარატისტების ემისრები რუსეთში მაშინვე აქტიურდებიან, რუსულ პრესაში ჩნდება აშკარად დაკვეთილი ხასიათის ანტიქართული სტატიები, იწყება ისტერია იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის და ოსების „ზურგს უკან“ არ განახორციელოს მოლაპარაკებები საქართველოსთან და ა. შ. ამ მხრივ უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია მეორის ვიზიტს მოსკოვში, რომელიც ამა წლის იანვარში შედგა. გარდა იმისა, რომ პატრიარქმა გააღწია ყინული და საფუძველი ჩაუყარა ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას, მისმა ვიზიტმა დიდი შემფოთება და აყალ-მყალი გამოიწვია ანტიქართულად განწყობილ ელემენტებში, რომლებიც სოხუმისა და ცხინვალის გარდა, სამწუხაროდ, მოსკოვშიც უხვად არიან. ამის შესახებ ჩემთვის ჩემი რუსი კოლეგებისგან არის ცნობილი. ამ შემფოთებამ ნაწილობრივ გამოხატულება ჰპოვა საჯარო სივრცეშიც; ამოქმედდა სეპარატისტების დიპლომატია, კავშირ-ურთიერთობები, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადება გააკეთებინეს, რომ მოსკოვი არ აპირებს დამოუკიდებლობის უკან წაღებას და საქართველოსთან ურთიერთობების დალაგებას აფხაზეთის და ოსების ხარჯზე... გოჩა ძასოხოვს თავის მართლება მოუწია იმის გამო, თუ რატომ შეხვდა უწმიდეს პატრიარქს...

ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს, თუ როგორ უკარგავს მოსვენებას გარკვეულ ელემენტებს საქართველოს რუსეთთან დაახლოების იდეა

და, კერძოდ, პატრიარქის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ამ ფონზე ქართული სახელმწიფო პასიურად არ უნდა იქცეოდეს და „ნაც-პროპაგანდით“ დარეტიანებული, შეცდომას შეცდომაზე არ უნდა უშვებდეს. უკვე უიმედოდ მოძველდა თავგამოდებითი ორიენტაცია დასავლეთზე, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან და რუსეთში უნდა იმუშაოს ინტენსიურად. ეს არ იქნება ადვილი, ჩვენ წინ გველის ბრძოლა, დიდი ბრძოლა, მაგრამ ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ და განვსაზღვროთ ჩვენი ახალი პრიორიტეტი — რუსეთთან არა მხოლოდ ზერეულ ურთიერთობა და გაუთავებელი დიალოგი, არამედ მეტი აქტიურობა, დაახლოება და შედეგი გვჭირდება! ეს კი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გარეშე, უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენია, თორემ სხვა მხრივ, შეიძლება კიდევ მოვახდინოთ სიტუაციის დაკონსერვება და ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ შორეულ და რთულად განსახორციელებელ მიზნამდე, საქართველოს ერთიანობის საკითხის გადაწყვეტამდე მივალთ, მანამდე ბევრი საჭირობოროტო საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი, რომელიც რუსეთის გარეშე არ მოგვარდება — ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია, სავიზო რეჟიმის შერბილება და პერსპექტივაში მისი მოხსნა... ყოველივე ეს დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებადია. საქართველოს კი განვითარებისთვის სიახლეები სჭირდება.

აუცილებლად უნდა გაგრძელდეს „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტების და პოლიტიკური პროცესებისგან ჩამოშორების პროცესი. ისე არ უნდა მოხდეს, რომ „ნაცები“ ფიზიკურად ხელისუფლებაში არ იყვნენ მაგრამ ოპოზიციიდან, ისტერიითა და დემაგოგიით მოახდინონ გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის სფეროში. სააკაშვილის დამქაშებისთვის რუსეთთან ურთიერთობის თემა პროპაგანდისტური ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებას დიდი ინტელექტი არ სჭირდება — მთავარია, ისპეკულანტო ტერიტორიების თემით და ემოციური ფონის დაძაბვა გარანტირებულია. მე არ ვგულისხმობ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, არამედ ხელისუფლების მხრიდან დემაგოგებისა და პროვოკატორების იგნორირების აუცილებლობას. ხალხის მხარდაჭერა ხელისუფლებას ამ საკითხში გარანტირებული აქვს, ამას არაერთი სოციოლოგიური გამოკითხვა მოწმობს. ქართველ ხალხს სურს რუსეთთან დაახლოება, მასთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და, რაც მთავარია, სულიერი ურთიერთობების გაღრმავება, მაგრამ ყოველივე ამის სრულფასოვანი განხორციელება პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ „ნაციონალების“ პროპაგანდას ხელისუფლებამ ყური არ უნდა ათხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილად

ახდება კახა ბენდუქიძის სატელევიზიო „პროგნოზი“ იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას დაახლოებით ერთ წელიწადში მკვეთრად გაუფუჭდება აწ უკვე ნელ-ნელა დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი ურთიერთობები რუსეთთან. ამის შესახებ იმავე სატელევიზიო გადაცემაში განვაცხადე* და ახლაც ვაცხადებ.


იმისათვის, რათა ხელისუფლებამ მეტი სითამამე გამოავლინოს და ხალხის მხარდაჭერის ირწმუნოს, საზოგადოებამ უფრო აქტიურად და შეუნიღბავად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ. აუცილებელი არაა, ყველა პოლიტიკის სპეციალისტი იყოს (მით უმეტეს, სამწუხაროდ, სულ ერთი მუჭა სპეციალისტები გვყავს, „ექსპერტებად“ მონათლულ დილეთანტებს და თვითმარქვიებს თუ არ ჩავთვლით). პირიქით, სწორედ აპოლიტიკურმა და უპარტიო მოქალაქეებმა, რომლებიც თავიანთ სფეროში არიან სპეციალისტები, მაგრამ რუსულ-ქართული ურთიერთობების თემა მათ ინტერესებს ეხება ან ზედებიან, რომ ეს თემა ქვეყნის საერთო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი. ამ პროცესის წარმატებულ დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ინიციატივა, როდესაც 27 თებერვალს, სასტუმრო „ვერე-პალასში“ ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, ასევე ვეტერანი სპორტსმენები და ახალგაზრდობა შეიკრიბნენ. ხსენებული შეკრებით გაიხსნა საზოგადოებრივი დისკუსიები რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. საინტერესოა, რომ თითქმის 100 ადამიანი შეიკრიბა 27 თებერვალს და სრული ერთსულოვნება სუფევდა მათ შორის განსახილველ თემაზე (ერთი გამონაკლისის გარდა). სწორედ ამ გარემოებამ გააღიზიანა „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები და ატყდა აურზაური, შეკრების მონაწილე ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის გამოძახება სატელევიზიო შოუებში მონაწილეობის მისაღებად და იქ ჟურნალისტებად მონათლული „ნაციონალების“ მიერ წნეხში გასატარებლად. ასეთი ნათელი მაგალითია ე. კვესიტაძის მიერ მომზადებული გადაცემა „აქცენტები“, სადაც იგი შეეცადა, ირმა სოხაძისა და ჯემალ სეფიაშვილის ფსიქოლოგიურ ტერორიზებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გამომდინარე აქედან, მივიჩნევ, რომ ევრაზიის ინსტიტუტის წამოწყება აბსოლუტურად გამართლებულია და საჭირო. უახლოეს ხანებში შეხვედრების ფორმატი გაფართოვდება და ტრიბუნა მიეცემა ყველა მსურველს. ხელისუფლებამ კი ეს უბრალოდ უნდა შენიშნოს, დაინახოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, მას ჩვენგან მეტი არაფერი მოეთხოვება.

* „იმედის“ არხზე „ღია ეთერში“, 08.03.2013 (რედ.).

სპასპეტი და სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების მეთაური. იგი ამ ბრძოლაში არარატის ველზე გმირულად დაიღუპა (451 წ.).

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ მამიკონიანები ადრე ქართველები — ჭანები იყვნენ. მათ წინაპარს ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზის გამო დაუტოვებია ჭანეთი და გადასულა ქართული ტაოს ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც პოლიტიკურად დროებით იყო დაკავშირებული სომხეთთან. აქვე გვსურს შევნიშნოთ, ისტორიული მონაცემების სუბიექტური და ტენდენციური განხილვის საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერი ტაოს ისტორიული სომხეთის პროვინციად მიიჩნევს, მაგრამ უცხოური, ქართული და თვით სომხური წყაროების მიუკერძოებელი და ობიექტური ანალიზის ნიადაგზე ტაო ოდითგანვე ქართული მიწა იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პავლე ინგოროვამ გაარკვია, ტაოს ერთი ნაწილის დაკავშირება სომხეთთან პოლიტიკურად მომხდარა „არა უადრეს მეორე საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა... ტაო ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი — ამიერ ტაო საქართველოს საზღვრებში შედიოდა, იმიერ ტაო პოლიტიკურად ყოფილა დაკავშირებული სომხეთთან. ამიერ ტაო მოიცავდა მდინარე ოლთისის წყლის ხეობას, დაწყებული მამროვანის (ნამროვანის) კარებიდან (ვიწროებიდან) ვიდრე ტაოსკარის სექტორამდე. ეს არის ბანა — ოლთისის პროვინცია. იმიერ ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც ერთხანს პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული) შეიცავდა ტაოს სამხრეთს და დასავლეთ სანაპიროებს ჭოროხამდე“.³

ძველი სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანდუცის ცნობით (V) ტაოს იმ ნაწილს, რომელიც სომხეთთან დროებით იყო დაკავშირებული, მამიკონიანთა ქვეყანა ეწოდებოდა. ამავე ისტორიკოსის გადმოცემით, მანუელ მამიკონიანი სომხეთის მეფეს ვარაზდატს (374-377) ასე მიმართავდა: ჩვენ არასდროს ვყოფილვართ თქვენი მსახური, არამედ ვიყავით თქვენი თანასწორნი; შეიძლება თქვენზე უფრო გამოჩინებულნი. ჩვენი წინაპრები იყვნენ მთავარი ჭანისტანში. იქვე შენიშნავს, რომ რაღაც შინაური კონფლიქტის გამო დაუტოვებიათ ჭანეთი და გადასულან ტაოს სომხურ ნაწილში.⁴ როგორც ვხედავთ, გადმოცემები მამიკონიანებს ადგილობრივ სომეხ მთავრებად არ განიხილავენ და მოსულებად თვლიან. თუ რატომ დატოვეს მშობლიური მხარე, ამის კონკრეტული მიზეზი არ ჩანს. რაც შეეხება გადმოცემებში მოხსენიებულ „ჭანისტანს“, მეცნიერები მას ერთხანს ჩინეთად მიიჩნევენ. მაგრამ ცნობილმა სომეხმა მეცნიერმა პროფ. ნ. აღონცმა დაამტკიცა, რომ „ჭანთა“ ქვეყანა არის — მამიკონიანთა საგვარეულოს მხარის — ტაოს მეზობლად მდებარე „ჭანეთი“ და არა შორეული ჩინეთი. «Последняя часть сказания имеет целью объяснить, каким образом Мамиконяны попали из Китая в Таик, их фамильную область, оказывается, царь нарочно поселил их на краю света. В сказании произошло



ბონდო არველაძე

დედოფალ შუშანიკის ეროვნული წარმომავლობის შესახებ

იაკობ ხუცესის პაგიოგრაფიული თხზულების „წამებად წმინდისა შუშანიკისი“ (V ს.) მთავარი მოქმედი გმირები არიან ქვემო ქართლის პიტიანში ქართველი ვარსკენი და მისი მეუღლე შუშანიკ მამიკონიანი. ვარსკენმა მიიღო რა მანდენობა, შეეცადა მეუღლე და შვილებიც ამ რელიგიურ აღმსარებლობაზე მოექცია. მაგრამ შუშანიკმა მტკიცე უარი განაცხადა ქრისტიანობის უარყოფაზე და ქმარს განუდგა. ტრაგიკული კვანძი აქ შეიკრა... ვარსკენმა ჯერ სიტყვით სცადა დედოფლის დაყოლიება, მაგრამ, როცა დარწმუნდა, ამით მიზანს ვერ მიაღწევდა, ფიზიკურად გაუსწორდა და იგი აწამა. შვიდი წელი ჰყავდა დილეგში გამოკეტილი, მაგრამ დედოფალი ვერ გატეხა და იგი ქრისტიანად აღესრულა. შუშანიკის მარტვილობა აღწერა ვარსკენის სასახლის კარის მოძღვარმა იაკობ ხუცესმა და შექმნა გენიალური პაგიოგრაფიული ნაწარმოები — „წამებად შუშანიკისი“.

ცნობილმა არმენოლოგმა პროფ. ილია აბულაძემ ეჭვიმუტანლად დაადგინა, რომ ამ თხზულების ვრცელი ქართული რედაქციიდან არის ნათარგმნი სომხური ვრცელი რედაქცია.¹ ამას განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ საპირისპიროს ამტკიცებდნენ და დღესაც ამტკიცებენ სომეხი მეცნიერები... სომხურ რედაქციას ავტორი არ ჰყავს. ეტყობა, იაკობ ხუცესის ქართველობა არ ეჭაშნიკებოდა სომეხ მთარგმნელს და მისი სახელი სომხურ თარგმანში საერთოდ გააქრო.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ შინაარსიდან ვიცით, რომ ვარსკენი პიტიანში „ცოლად იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპადპეტი-სად, რომლისათვის-ესე მიეწერე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელით მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისად, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თუსით“.² ამ ამონარიდის და სხვა საისტორიო წყაროების თანახმად, შუშანიკის მამა იყო ვარდან მამიკონიანი, სომხეთის

¹ მარტვილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938.

² მარტვილობა შუშანიკისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 77.

³ გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 489, 493.

⁴ ფავსტოს ბიზანდუცი, „სომხეთის ისტორია“, 1889, გვ. 37.

недоразумение на почве толкования страны ченов. В первоначальной традиции под ченами понимались не отдаленные китайцы, а соседние цанны, живущие не далеко от родной области Мамиконидов, Тайка; цанны у армян назывались – ჭან-ჭანიქ у Хор. ныне Джаник. Фамильные качества Мамиконидов, пылкий темперамент и отменная храбрость, роднят их скорее с цаннами, еще в VI ст. отличавшимися воинственностью, чем со смиренными китайцами. При этом освещении легенда о Мамиконидах приобретает историческую почву»,⁵ — წერს პროფ. ნ. აღონცი.

სომეხი ისტორიკოსის ამ ცნობაში ჭანეთი რომ იგულისხმება, ამას საფუძველს უმაგრებს მამიკონიანთა გვარის ფუძე|ძირი, რომელსაც ყურადღება პირველად მიაქცია და მისი ეტიმოლოგია მოგვცა პროფ. ნ. აღონცი-მა: „...მამაკ. ...Он встречается в исторической литературе как собственное имя в роде Мамиконидов; первоначально он служил родовым титулом для одного из княжеских родов, а потом сделался фамильным именем подобно двум рассмотренным титулом: მამაკ или მამიკ — მამიკონ — ეან, как от ასპეტ — ასპეტუნი или от მალხაზ — მალხაზუნი. Мы полагаем, что მამაკ-კ не что иное, как арменизированная форма иберийского მამაკ; слово это также происходит от родового периода и значит отец рода, родовладыка, синонимно с груз. მამა-სახლისი“.⁶

როგორც ვნახეთ პროფ. ნ. აღონცმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მამიკონიანები წარმომავლობით ქართველები იყვნენ, რაც მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ (ფავსტოს ბუზანდუციის ცნობით) და ამით ამაყობდნენ კიდევ. ამგვარი ქართული სისხლის მქონე მამის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა შუშანიკი, რაც მის ფოლადისებურ ნებისყოფასა და მტკიცე აღმსარებლობაში გამოჩნდა. მიუხედავად არაადამიანური ტანჯვისა, მან არ უარყო ქრისტიანობა და თავი შეგნებულად გადადო მოწამებრივი სიკვდილისათვის. ამ თვალსაზრისით, იგი იყო სულიერი წინაპარი იმ ასი ათასი წამებული თბილისელი მოქალაქისა, რომელთაც არ შეურაცხევს ხატი, არ უარყვეს ქრისტიანობა და მოწამებრივად აღესრულნენ მეტეხის ხიდზე.


გადმოცემის თანახმად, შუშანიკის გვამი მეტეხის ეკლესიის ეზოში განისვენებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუშანიკი პირველად ქართულმა ეკლესიამ შერაცხა წმინდანად, ხოლო სომხურმა მოგვიანებით.⁷

ამდენად, ბუნებრივია, შუშანიკის მარტვილობა პირველად აღწერა ქართველმა მწერალმა იაკობ ხუცესმა, რომლისთვისაც უსათუოდ იყო ცნობილი მამიკონიანთა ქართული წარმომავლობა და ალბათ ამ ფაქტორმაც განსაზღვრა, მშობლიურ ენაზე შეექმნა პირველი ჰაგიოგრაფიული თხზულება.

⁵ Армения в эпоху Юстиниана, 1971, ერუბანი, გვ. 403-404.

⁶ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1971, ერუბანი, გვ. 402-403 (სომხური სიტყვების ქართული ტრანსკრიპცია გვეკუთვნის ჩვენ — ბ. ა.).

⁷ შ. ონიანი, იაკობ ხუცესი — „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, 1978.



მამუკა ცუხიშვილი

იაკობ თარაშვილი — ერთგული რაინდი

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიგონოთ აწ განსვენებული **შალვა მარკოზაშვილი**, რომელიც ნახევარი საუკუნე ემსახურა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმს და ვისი დამსახურებითაც იაკობ თარაშვილის საფლავი დაკარგავს გადაურჩა. აქვე შევნიშნავთ, დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იაკობ თარაშვილი ნამდვილად თარაშვილია და არა „თორაშვილი“ ან „ბიტარიშვილ-ბიტარაშვილი“, როგორც მას ზოგიერთი ავტორი იხსენიებს.

ჩვენი გამოკვლევით, თარაშვილები ნამდვილად ცხოვრობდნენ გურამიანთკარში, რასაც ვერ ვიტყვივით ბიტარაშვილ-ბიტარიშვილებზე (საქ. ცენტრალური არქივის ფონდები), რაც იმაზე მიუთითებს, რომ იაკობი სწორედაც რომ თარაშვილია და არა სხვა გვარისა, ამასვე ადასტურებს მისი მამის საფლავის ქვის წარწერაც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით და საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის (გვ. კობლატაძე, გრ. რუხაძე) ინიციატივითა და ღვაწლით კეთილმოეწყო იაკობ თარაშვილის საფლავი და დაიდო ქვა, რომელიც აღარასოდეს დაკარგავს წარწერას.

ეს ის იაკობ თარაშვილია, რომელიც წინამურის ტრაგედიას ემსხვერპლა და ილიას ერთგული თანმხლები იყო მისი ცხოვრების უკანასკნელ ათწლეულში.

* * *

შალვა მარკოზაშვილი ბრძანებს: „საგურამოელი იაკობ თარაშვილი ობლობაში აღიზარდა. მისი ბიძა ალექსი თარაშვილი ჭავჭავაძის მამულში მეურმედ მუშაობდა. გულმართალი და შრომისმოყვარე კაცი იყო. ერთ დღეს ალექსიმ თავისი პატარა, ოთხი თუ ხუთი წლის ძმისწული თან წაიყვანა; როცა ილიამ და მისმა მეუღლემ პატარა ნახეს, მოეწონათ, იკითხეს მისი ვინაობა და ალექსიმაც მოკლედ გააცნო ბავშვი“. „სასკოლო ასაკის ბიჭს

ქალბატონმა ოლღამ წერა-კითხვა შეასწავლა და ქალაქიდან საყმაწვილო წიგნებიც ჩამოუტანა; გონებამახვილი ბავშვი ადვილად ითვისებდა ყველაფერს“.¹

„მაშინ იაკობი ათი თუ თორმეტი წლის ბიჭი იქნებოდა, როცა ილიამ ალექსის სთხოვა, ეს ბავშვი ჩვენ ძალიან მოგვწონს, შევეჩვიეთ და კარგი იქნება, რომ სულ ჩვენთან იყოს, არაფერს მოგაკლებთო... გადიოდა წლები და იაკობი ილიას ოჯახში ყალიბდებოდა ღირსეულ ჭაბუკად. იყო გულმართალი, შრომისმოყვარე და თავზიანი... იაკობი იმდენად ახლოს იყო ილიასთან, რომ რამდენჯერმე ერთად იმოგზაურეს ეტლით არა მარტო თბილისში, არამედ ყვარულშიც. 1906 წელს კი პეტერბურგშიც თან ახლდა ილიას“.²

ბატონი შალვა არის მემკვიდრე იაკობ თარაშვილისა. მანვე შეკრიბა ხალხში გაბნეული მწირი ცნობები და მოგვარა ერთ პატარა წერილში თავმოყრილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თარაშვილები იყვნენ აზნაურებიც და გლეხებიც. მაგალითად, „დარისპან თარაშვილი ხელმოკლე აზნაურიშვილი იყო, უსწავლელი, მაგრამ მუშაობას არ უფრთხობდა. როგორც ქართველებს სჩვევიათ, უყვარდა მოლხენა და ოჯახსაც ეტყობოდა“.³ თუმცა, ზოგიერთის, მაგ., აწ განსვენებული პროფ. გივი ჟორდანიას აზრით, იაკობ თარაშვილი ეროვნებით ოსი იყო: „პირველ ყოვლისა დილევსკიმ (გამომძიებელი — მ. ც.) გააკვეთინა დაღუპულთა — ილიასი და მასთან ერთად მოკლული მისი მსახურის — ეროვნებით ოსის, იაკობ თარაშვილის გვამები დუშეთის მაზრის ექიმს აბელ იაშვილს“,⁴ მაგრამ რის საფუძველზე რაცხს გ. ჟორდანიას იაკობს ოსად, ეს ჩვენთვის უცნობია.

იაკობ თარაშვილი ღირსეული ქართველია და ამაში ქვემოთ დაერწმუნდებით.

* * *

ილიას ვერაგული მკვლელობის შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ისარი“: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.⁵ იმავე გაზეთში ვკითხულობთ: „განსვენებული ილია, რაც პეტერბურგიდან ჩამოვიდა, თითქმის სულ საგურამოში სცხოვრობდა. მხოლოდ 27 აგვისტოს ჩამოსულა იგი მეუღლით ტფილისში. წამოსვლისას უთქვამს, სადამოთი დაბრუნდებო, მაგრამ აღარ დაბრუნებულა და 30 აგვისტომდე დარჩენილა აქ.“

ამ დღეს დილით, ასე 10 საათზედ, განსვენებული მეუღლითურთ საკუთარს ეტლით გამგზავრებულა საგურამოს. წასვლის წინ, როგორც

¹ შ. მარკოზაშვილი, მოგონებანი წმიდა ილია მართალზე, თბილისი, სსგ., 2002, გვ. 112.

² იქვე.

³ ა. ერისთავ-ხოშტარია, მოთხრობები, „დარისპან თარაშვილი“, ტფილისი, 1913, გვ. 169.

⁴ გ. ჟორდანიას, მარტვილობა მესიისა, თბილისი, 2005, გვ. 181.

⁵ გაზ. „ისარი“, 1907, 31 აგვისტო, თბილისი.

გავიგეთ, მეუღლეს ურჩევია ქმრისათვის, ნუ წავალთ დღეს, გზაში საშიშიაო, მაგრამ ილიას თავისი არ დაუშლია.

მკვლელობა მომხდარა საგურამოს მახლობლად, ამ სოფლიდან ასე ხუთი ვერსის მანძილზე, ნაშუადღევს 1 ½ საათზე. იმ ადგილას ტყეა, საიდანაც მოულოდნელად გადმოვარდნილა ოთხი შეიარაღებული კაცი. მხეცებს ეტლი გაუჩერებიათ და მაშინვე შესდგომიან საზიზღარ საქმეს. ილიას თან ჰყოლია მსახური იაკობი, პატარაობიდანვე იმასთან აღზრდილი. იაკობი ეტლიდან გადმომხტარა და გაქცეულა ტყისკენ, მაგრამ ორი კაცი დასდევნებია და იქვე გაუთავებიათ. ეს არ უკმარიათ და თერთმეტ ადგილას დაუჭრიათ. დანარჩენი მისცვივიათ ეტლს. ილიასათვის სამჯერ დაუხლიათ რევოლვერი. ორი ტყვია მოჰხვედრია შუბლში, ერთი გულში. დაჭრილს ხმის ამოღებაც კი ვერ მოუსწრია და იქვე დაუღვია სული“...⁶

გაზეთ „ისარი“ 1 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ: „...ათის ტყვიით არის განგმირული საბრალო ახალგაზრდა ბიჭი, თორაშვილი, რომელიც ილიას ახლდა...“ მოკლულები სულ გამარცხვლნი იყვნენ: „არა ჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოლჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე, აღარც საფულე ქისაა. მხლებლისათვის კი ჩექმებიც გაუხდიათ; აღარ ჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომლებიც ილიასა და მის მხლებლებს ჰქონიათ თან“.⁷

იმავე დღეს (1 სექტემბერს) გამოცემული გაზეთი „ზაკავკასიე“ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის: „ილია ჭავჭავაძე, წელს ივნისში პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, დაბინავდა ს. საგურამოში, ცოლის მამულში, რომელიც მდებარეობს ტფილისიდან 30 ვერსზე. ორშაბათს, 27 აგვისტოს, დილით ილია თავის ცოლით (ოლგა თადეოზის ასული გურამიშვილისა) და მოსამსახურე იაკობ თარაშვილის თანხლებით, თავის საკუთარი ეტლით წამოვიდა ტფილისში და დაიბარა, რომ იმავე სადამოს დაბრუნდებო. სოფელში დარჩნენ მოურავი ჯაში და თ. ზ. ჭავჭავაძე, ილიას ნათესავი, რომელიც უკვე ერთი თვე იყო მასთან სტუმრათ. გავიდა ორი დღე და ილია არ დაბრუნებულა. ოთხშაბათს დაბრუნდა რაღაც საქმისათვის იაკობი და თქვა, რომ ილია დაბრუნდებოდა ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, 1 საათზე დღით, და ისევ წამოვიდა ტფილისში. ხუთშაბათს ილია ცოლითა და იმავე იაკობის თანხლებით წავიდა ტფილისიდან დილის 11 საათზე. შუადღის მეორის ნახევარზე ისინი მიუახლოვდნენ წიწამურს, რომელიც მდებარეობს საგურამოდან 4 ვერსზე. მოსამსახურე იაკობმა დაინახა ოთხი, თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებული კაცი და გადმოხტა ეტლიდან. შეიარაღებულებმა დაუწყეს სროლა იაკობს და მოჰკლეს. შემდეგ გააჩერეს ეტლი და რამდენჯერმე ესროლეს ილიას. კენინა ოლგას ავაზაკებმა სცემეს თო-

⁶ გაზ. „ისარი“, 1907, 2 სექტ. თბილისი.

⁷ გაზ. „ისარი“, 1907, 2 სექტ. თბილისი.

ფის კონდახებით პირსა და თავზე; ქალმა გრძობა დაჰკარგა და წაიქცა“.⁸

როგორც ვხედავთ, ილიას მკვლევლობის მაუწყებელი პირველი წყაროები იაკობის გვარს ამახინჯებენ და ნაცვლად „თარაშვილისა“ წერენ „თორაშვილს“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პრესას იმთავითვე აკლდა პასუხისმგებლობა და სერიოზული დამოკიდებულება ფაქტების მიმართ, რასაც ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა ფაქტების არაერთგვაროვნად გადმოცემაც ადასტურებს.

მოგვიანებით გაზ. „ისარში“ ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძის მოსამსახურეს იაკობ ბიტარაშვილს ჰქონდა ორი ჭრილობა ტყვიისაგან და 21 საფანტისაგან. ტყვია, რომელიც იმის გვამიდან ამოიღეს, იყო რგვალი და იმ ზომისა, როგორსაც კაჟიან თოფისთვის ხმარობდნენ უწინ. ნახვრეტნი ტყვიისაგან ილიასა და ბიტარაშვილის სხეულზე ერთის ზომისაა დაახლოებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე იმგვარის ტყვიისაგან არის მოკლული, როგორითაც იაკობ ბიტარიშვილი. ექიმი ა. იაშვილი“.⁹

დავინტერესდით 1907 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენების თანმიმდევრობით, გავეცანით დაკითხვისა და გვამების დათვალიერების ოქმებს, აქვე მოგვყავს უცვლელად იაკობ თარაშვილის (დოკუმენტში: ბიტარიშვილის) გვამის გაკვეთის აქტი.

„1907 წლის 31 აგვისტო.

იაკობ ბიტარიშვილის გვამის გაკვეთის აქტი.

აქტი. 1907 წლის 31 აგვისტო. მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფელ გურამიანთკარში და ქვემოთ დასახლებული თანამონაწილეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის იაშვილის მეშვეობით მოვახდინე ადგილობრივი მცხოვრების იაკობ ბიტარიშვილის გვამის გაკვეთა მისი სიკვდილის მიზეზის დადგენის მიზნით.

გარეგანი დათვალიერება. გვამი დასვენებულია მაგიდაზე, ადგილობრივი მემაძღვრის თაგად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სახლში. იგი საშუალო სიმაღლის, მკვრივი აგებულების, შეხედულად 30 წლამდე ასაკისაა. აცვია ახალუხი, ჩითის პერანგი და სატინის შარვალი. ფეხზე შავი წინდები აცვია. ორივე მუხლის ქვედა ნაწილზე წითელი ფერის ადგილობრივი მაულის ნაჭერი აქვს შემოხვეული. გვამის გვერდით დევს ჩოხა, რომლის საყელო გასისხლიანებულია. სახე, გულმკერდი, მუცელი და ორივე ხელის მტევნები გასისხლიანებულია. სახის მარცხენა მხარე და კისერი, აგრეთვე მარცხენა ყური თოფის წამლით მიღებული სიღამწვისაგან მთლად გაშავებულია. ტუჩებზე სისხლი აქვს შემხმარი. მარცხენა ლოყაზე შეიმჩნევა ცერა თითის სიგანის ცეცხლხანროლი ჭრილობა, რომლის მრგვალი ხრეული შიგნით და ქვევით მიემართება. ქვედა ყბის მარცხენა ლავიწი ჩამსხვრეულია. გულმკერდის ძვლის ზედა ნაწილის შუაში მდებარეობს

⁸ გაზ. „ზაკავკასიე“, 1907, 1 სექტ.

⁹ გაზ. „ისარი“, 1907, 23 სექტემბერი.

მცირე, ცერა თითის სიგანის ჭრილობის ხვრელი. ამ ჭრილობის ირგვლივ და კისრის წინა მხარეზე განლაგებულია საფანტით მიყენებული 21 ჭრილობა. ორი საფანტი ისინჯება გულმკერდის კანის ქვეშ. მარცხენა ბეჭის ქვედა კუთხეში ისინჯება მყარი სხეული, რომელიც ამოღებული იქნა და მრგვალი ტყვია აღმოჩნდა. გულმკერდის ქვეშიდან ასევე ორი საფანტი იქნა ამოღებული.

შინაგანი დათვალიერება. კისრის ორგანოები: კისრის კანქვეშა უჯრედები სისხლითაა გაჟღერებული. კისრის მიდამოებიდან რვა ცალი მრგვალი საფანტი იქნა ამოღებული. ხორხის ქვემოთ სასუნთქი მილის წინა კედელი საფანტითაა გახვრეტილი.

გულმკერდის ღრუ, გულმკერდის ძვლის ზედა ნაწილი ტყვიითაა გახვრეტილი. ჭრილობის ხვრელი შემდეგ მარცხენა ფილტვის ქვედა ნაწილში ფუძესთან ახლოს გადის. ხერხემალთან ახლოს მეშვიდე ნეკნი გახვრეტილია. ჭრილობის ხვრელი ამ ნეკნის უკან ზურგის კანქვეშ მთავრდება. მარცხენა ფილტვის ზედა წილადში საფანტით მიყენებული ერთი ჭრილობა აღმოჩნდა. გულმკერდის ღრუ თხევადი შედეგებული სისხლითაა სავსე. ორივე ფილტვი და გული სწორი განვითარებისაა, რაიმე პათოლოგიური ცვლილების კვალი არ გააჩნიათ.

დუშეთის მაზრის ექიმი ა. იაშვილი.

გამომძიებელი ვ. დილვესკი.

თანამოწმები: სოფელ გურამიანთკარის მცხოვრებნი სიმონ ჩიხაშვილი და ვასილ ნარიშანიძე. ორივე წერა-კითხვის უცოდინარი.

მოსაზრება: იაკობ ბიტარიშვილს ორი ჭრილობა მიყენებული აქვს ტყვიით, ხოლო 21 ჭრილობა საფანტით. სავარაუდოა, რომ ყველა ჭრილობა მიყენებულია ერთი ორლულიანი თოფით ან ორი სანადირო თოფით. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ორლულიანი თოფის ერთი ლულა ტყვიით და საფანტით იყო დატენილი. ბიტარიშვილის სიკვდილი გამოიწვია ტყვიით მიყენებულმა ჭრილობამ, კერძოდ, ფილტვისა და გულმკერდის სისხლძარღვების დაზიანებამ. ლოყაზე ტყვიით მიყენებული მეორე ჭრილობა სიცოცხლისათვის საშიშ მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება. ეს ჭრილობა, სახის სიღამწვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიბჯენითი სროლით უნდა იყოს მიყენებული. სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალი ფორმის და მცირე კალიბრისაა, მოცულობით კაჟიან თოფებს რომ ტენიან, იმ ტყვიისნაირია.

დუშეთის მაზრის ექიმი ა. იაშვილი“.¹⁰

გაზ. „ისარში“ დაბეჭდილი ამონარიდი და აქტის ბოლო მონაკვეთი ერთმანეთს არ ემთხვევა. ასევე 1 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდენას ტყვიით (ბერდენის თოფის გილზი ნახეს) არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთსა და ორის

¹⁰ საქ. ეროვნული არქივი, ფ. 116, აღ. 1, ს. 13363, ს. ფ. 47-48.

თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძერის, ბერძანის ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძობსაც ქართველთა მრავალი თაობისათვის გული აუძგერებია და თვალთაგან ცრემლი უღვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამოსროლილია!


ათის ტყვიით არის განგმირული საბრალო ახალგაზრდა ბიჭი თარაშვილი, რომელიც ილიას ახლდა“.¹¹

როგორც ვხედავთ, ექიმ იაშვილის მიერ 31 აგვისტოს შედგენილი აქტი იაკობ თარაშვილის სიკვდილის მიზეზად ორი ტყვიითა და 21 საფანტით მიყენებულ ჭრილობებს ასახელებს, განსხვავებით გაზეთ „ისარში“ მოცემული ცნობისაგან (1 სექტემბერი), რომლის მიხედვით იაკობი „ათი ტყვიით იყო განგმირული“. მიუხედავად ამისა, დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ იაკობი მკვლელებმა ფაქტობრივად დახვრიტეს, მაინც შეგვიძლია, რის საფუძველსაც აქტში შემორჩენილი ერთი დეტალი გვაძლევს, სახელდობრ, რომ ლოყანზე მიყენებული სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობა იაკობისთვის მიბჯენითი სროლით უნდა ყოფილიყო მიყენებული,

ილიას მკვლელობის თანამონაწილემ გიორგი (იგივე თომა) ხიზანიშვილმა ბოქაულს უამბო შეძღვევ: „წინა ღამეს (29.08.1907 — მ. ც.) მოვიდნენ ჩემთან წინამურში ივანე ინაშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი (იგივე აფციაური) და ერთი იმერელი, რომლის გვარი და სახელიც მე არ ვიცოდი. ივანე ინაშვილმა სთქვა, ჩვენ გამოგვგზავნა კომიტეტმა, რომ ჭავჭავაძე მოვკლათ, რადგან ის აწუხებს გლეხებსო. იმ დამსვე ესენი სულ ერთად წავიდნენ ტყეში და მე მითხრეს, დილით ადრე იმათთან მივსულიყავ. მეორე დღეს დილით მეც იმათთან ავედი მაღალ ტყეში. იქ იმათ მე და ფშავლიშვილი დაგვაყენეს დარაჯებად — ფშავლიშვილი ქალაქის მხრიდან, ხოლო მე საგურამოს მხრიდან და გვითხრეს, როცა მოდიოდეს, დაგვისტვინეო. თითონ ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და იმერელი გზას ქვევით ჩავიდნენ.

როცა გამოჩნდა ეტლი ჭავჭავაძისა, პირველმა დაინახა ფშავლიშვილმა და დაუსტვინა, იმავე დროს გაიქცა ინაშვილისკენ. როცა მივიდა იმ ალაგას ეტლი, ერთბაშად წაესივნენ ყველანი და სროლა დაუწყეს, მე კი ისევ მაღლა ვდარაჯობდი. როცა მოკლეს ჭავჭავაძე და დაბლა გადმოვარდა გულადმა ეტლიდან, მივარდა ბერბიჭაშვილი და თოფის კონდახით დაუწყო თავში ცემა კენინას. იმავე დროს ინაშვილმა ილიას საათი ააგლიჯა. როცა ისინი ამას აკეთებდნენ, მე ჩემს ალაგას ვდარაჯობდი, რომ ყაზახები ან სტრაუნკები ან პოლიციელები არ მოსულიყვნენ. როცა კენინას დაუწყო ცემა კონდახით ბერბიჭაშვილმა, მაშინ ლაქია გადმოხტა ეტლიდან და რევოლვერი ესროლა მათ. არ ვიცი, დაიჭრა ვინმე თუ არა. ამის გამო სუყველანი გამოეკიდნენ ლაქიას. ლაქია გაიქცა ქვემოთ ჯაგებისკენ. იქ

¹¹ გაზ. „ისარი“, 1907, 1 სექტ.



● „განაწენი“ გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე. ფოტობირი, გვ. 248-249, 254-255, 257.

რამდენჯერმე თოფები დაახალეს. არ ვიცი, მოჰკლეს თუ არა“.¹²

გიორგი ხიზანიშვილი ისეთივე მკვლელია, როგორც ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და ფშავლიშვილი. ამ ჩვენებით, როგორც ვხედავთ, ორჯერ იმართლა თავი, რომ: „მე ჩემს ალაგას ვდარაჯობდიო“, რითაც უნდოდა მოეხდინა თვითრეაბილიტაცია და, ცხადია, იაკობსაც ჩირქი მოსცხო, ვითომდაც ილიას მკვლელობისას იგი ეტლში მშვიდად მჯდარა და მხოლოდ მაშინ გადმომხტარა იქიდან, როცა გარეწარ მკვლელ ბერბიჭაშვილს თოფის კონდახით დაუწყია ოლღას ცემა.

ხიზანიშვილის ჩვენებაში სწორი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იაკობმა მკვლევებს თოფი თუ რევოლვერი ესროლა, რაც სხვა ფაქტებიდანაც მტკიცდება.

„ზუსტი სურათი ასეთი იყო. მიუახლოვდა თუ არა ეტლი დათქმულ ადგილს, სადაც მკვლევები იყვნენ ჩასაფრებულნი, თედო ლაბაურმა, რომელიც წინასწარ იყო მკვლელთაგან გაფრთხილებული, ეტლი შეაჩერა. ტყვიდან გამოცვივდნენ „იმერული“, ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი (იგივე აფციაური). პირველი ტყვია ილიას ესროლეს. მგოსანმა იარაღის ამოღება მოასწრო და ერთი შესძახა — „რას სჩადიხართო“. ტყვიამ შიგ გულში გაუარა და სამუდამოდ დახუჭა თვალი. შუბლი თოფის კონდახის ორჯერ დარტყმით ჩაუმტვრის.“

ბერბიჭაშვილმა თოფის კონდახი ურტყა თავში ოლღას და იგი თავგაჩეხილი ეტლიდან გზის პირს გადავარდა. სუფრაჯი იაკობ თარაშვილი კოფოდან გადმოხტა, მკვლევებს რამდენჯერმე ესროლა, ბერბიჭაშვილი ფეხში დაჭრა და არაგვის მხარეს ტყეში გაიქცა, მაგრამ მკვლევები გაეკიდნენ და იაკობი ტყეში ჩაცხრილეს. 13 ჭრილობა ჰქონდა, 2 ტყვიით და 11 საფანტის თოფით. როგორც შემდეგ ექსპერტი იაშვილი ივარაუდებს, მისთვის იმავე თოფიდან უსვრიათ ტყვია, რომლითაც ილია მოკლეს...“¹³

ნ. გრიგალაშვილის მიერ აღწერილ ფაქტში სიმართლე მხოლოდ ისაა, რომ „იაკობ თარაშვილი კოფოდან გადმოხტა, მკვლევებს რამდენჯერმე ესროლა, ბერბიჭაშვილი ფეხში დაჭრა...“ პირველი ტყვია ეტლის კოფოზე მჯდარ იაკობს მოხვდა, თუ ილიას, ეს არ არის განსჯის თემა. მთავარი ისაა, რომ იაკობ თარაშვილმა მყისიერი რეაგირება მოახდინა მკვლევების ტყვიდან გამოცვივისთანავე, რაც შემდეგიდან იკვეთება: „ჩვენ დავალელებული გვქონდა მკვლევლობის აქტის შესრულება, ხოლო მეეტლე ლაბაურს დავალელებული ვქონდა დანიშნულ ადგილზე ნელა წამოეყვანა ეტლი. სწორედ იმ ადგილზე, სადაც ახლა ძეგლია დადგმული, ძველად გზა იყო. როგორც კი ეტლი მიუახლოვდა ხიზანიშვილს, მან მიხანში ამოიღო და ესროლა ილია ჭავჭავაძეს; პირველივე ტყვია მოხვდა. გაისმა ქალის კივილი. ილიას სიკვდილისთანავე წამოვარდა იაკობ ბიტარიშვილი, რომელიც ფეიქრიშ-

¹² გაზ. „ისარი“, 1908, 23.02.

¹³ ნ. გრიგალაშვილი, თანამდევ სული, ნაწ. II, თბილისი, 2011 წ. გვ. 263.

ვილის ტყვიით იქნა მოკლული. ფეიქრიშვილის თოფის გასროლისთანავე ყველა გამოვიდა ტყვიდან, ჩვენც ვისროლეთ. მე დავიჭერი მუხლის თავზე მსუბუქად“.¹⁴

ეს არის ამონარიდი ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც მიცემულია წინასწარი ძიებისათვის 1941 წლის 29 მაისს.

ამ მონათხრობიდან საყურადღებო არის ის, რომ იაკობ თარაშვილი არ გადმომხტარა ეტლის კოფოდან და არ გაქცეულა ტყისკენ (როგორც ამას თითქმის ყველა აღნიშნავს), არამედ „ილიას მკვლევლობისთანავე წამოვარდა იაკობ ბიტარიშვილი...“ და ესროლა მკვლევებს.

თუ არა იაკობმა, მაშ, ვინ დაჭრა ბერბიჭაშვილი, თანამხრახველებმა? ეს გამორიცხვულია. ბერბიჭაშვილი მუხლში მძიმედ დაიჭრა იაკობის იარაღიდან გასროლილი ტყვიით, რამაც კიდევ უფრო განარისხა მკვლევები. ჩვენებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, საქმის ვითარებაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო კარგად გარკვეულა, რაზეც მის მიერ შედგენილი საბრალმდებლო დასკვნა მეტყველებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ცენტრალურ არქივშია დაცული: „1907 წლის 30 აგვისტოს ქ. თბილისიდან სოფელ საგურამოში გაემგზავრა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია გირგოლის ძე ჭავჭავაძე თავისი მეუღლის ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძის, მსახურ იაკობ ბიტარიშვილის და მეეტლე თედო ლაბაურის თანხლებით. სოფ. წიწამურთან ახლოს შარავნაზე ტყვიდან მათ მოულოდნელად თავს დაესხა შეიარაღებული ბანდიტთა ჯგუფი, რომელთაც პირველი გასროლისთანავე ბერდენის ტყვიით განგმირეს მწერალი ილია ჭავჭავაძე, თოფის კონდახით გაუტყხეს თავი ორ ადგილას, მოკლეს ილია ჭავჭავაძის მსახური იაკობ ბიტარიშვილი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ბანდიტებს და უმოწყალოდ სცემეს თოფის კონდახით ილია ჭავჭავაძის მეუღლეს ოლღას, გაძარცვეს დაზარალებულნი და თავი შეაფარეს საგურამოს ტყეს“.¹⁵


„ბრ. ბერბიჭაშვილის ჩვენებით, მკვლევლობის ყველა მონაწილე 1907 წლის 30 აგვისტოს ჩასაფრდა დანიშნულ ადგილას და ელოდნენ თბილისიდან გამომგზავრებული ილია ჭავჭავაძის ეტლის გამოჩენას. მეეტლე თედო ლაბაურმა მართლაც შეაჩერა ეტლი თანახმად მოლაპარაკებისა და ამ დროს თავს დაესხა შეიარაღებული ჯგუფი ილია ჭავჭავაძის ეტლს. პირველი გასროლისთანავე მოკლეს იგი და ორ ადგილას თოფის კონდახით გაუტყხეს თავი. მოკლეს ილია ჭავჭავაძის მსახური იაკობ ბიტარიშვილი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს და დაჭრა კიდევ რევოლვერის ტყვიით ფეხში მკვლევლობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გიორგი ბერბიჭაშვილი (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ც.). თოფის კონდახებით უმოწყალოდ სცემეს ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა ჭავჭავაძე, ყურე-

¹⁴ საქართველოს შსს აკადემიის ცენტ. არქივი, 17612-60, ტ. 1. ს. ფ. 24, 84.

¹⁵ საქართველოს შსს აკადემიის ცენტ. არქივი, 17612-60, ტ. 2. ს. ფ. 248-256.



*იაკობ თარაშვილისა (მარჯვენა) და მისი მამის, ზაქარიას საფლავები.
საგურამოს სასაფლაო.*



*დაფა ღმრთისმშობლის საყდარში საგურამოს სასაფლაოზე.
ფოტოები ავტორისა.*

ბიდან მოაგლიჯეს საყურეები და გულიდან მედალიონი. გაძარცვეს ილია ჭავჭავაძისა და მისი მსახურის იაკობ ბიტარაშვილის გვამები, ეტლიდან აიღეს მათი ბარგი და მიიმალნენ საგურამოს ტყეში.

სასამართლოს რწმენით ილია ჭავჭავაძე განგმირული არის ბრ. ბერ-ბიჭაშვილის მიერ გასროლილი ტყვიით, რადგან იგი ყველაზე წინ იყო და ილიას მსახურის მიერ გასროლილი ტყვიაც სწორედ მას მოხვდა. ასეთი კი შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბრ. ბერბიჭაშვილი სულყველაზე უკან იქნებოდა ჩასაფრებული ტყეში და იქიდან სრულიად არ გამოსულიყო, როგორც ამას თვით იგი უჩვენებს სასამართლო გამოძიებაზე¹⁶.

ზემოთ მოვიყვანეთ ამონარიდი გიორგი, იგივე გიგლა ბერბიჭაშვილის საბრალმდებლო განაჩენიდან, რომელიც გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში; სასამართლოს თავმჯდომარეობდა მოსამართლე ი. ოდიშვილი, ეს არის ყველაზე სრული და ამომწურავი პასუხი კითხვაზე, როგორ მოიქცა იაკობ თარაშვილი ილიას საზარელი მკვლელობისას და გამოიჩინა თუ არა მან სამაგალითო თავდადება მისი აღმზრდელი პატრონისადმი.

1907 წლის 30 აგვისტოს (ძვ. სტ.) მომხდარმა წიწამურის ტრაგედიამ საქართველოს ისტორიაში უდიდესი შავი ლაქა გააჩინა და რომლის წაშლა შეუძლებელია, მაგრამ სამაგიეროდ ჩადენილი მძიმე ცოდვის გამოსყიდვა შესაძლებელია. ამ ცოდვის გამოსყიდვისას არც ის უნდა იქნეს დაიწყებული, რომ ილიასთან ერთად ილიასა და სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულებისათვის სისხლი დაღვარა შეიღვივით მასთან შეზრდილმა 20 წლის ჭაბუკმა იაკობ თარაშვილმა, რომლის შესახებ სრულიად სამართლიანად და დანაშაულებით წერს ერთი ჟურნალისტი გასული საუკუნის 10-იან წლებში: „ილია ჭავჭავაძის ხსოვნასა და პატივისცემას ქართველი საზოგადოების მიერ (მხრიდან — მ. ც.) ერთი ნაკლი ჩრდილაგს, რომელიც, ვფიქრობ, დანაშაულადაც უნდა ჩაითვალოს: როგორც ვიცით, გამხეცებულმა მკვლელებმა ილიასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს პატარაობიდანვე ილიასთან გაზრდილი მსახური იაკობ თარაშვილი, რომელიც „ათი ტყვიით იქნა განგმირული“... ქართველი საზოგადოება უღრმეს პატივისცემით ეპყრობა ილიას ხსოვნას და ათას გემებს ადგენს იმის სახელის უკვდავსაყოფელად. იაკობ თარაშვილს, მართალია, არავითარი თვალხილული სამსახური არ მიუძღვის საზოგადოების წინაშე, იგი უბრალო გლეხი, უბრალო მომაკვდავი იყო, მაგრამ თუ იმას გავისხენებთ, რომ იაკობი ილიასთან პატარაობიდანვე იყო გაზრდილი და შეთვისებული, არა ერთხელ გაუზიარებია ჭირი და ლხინი და ყოველთვის მზად იყო თავი გაეწირა და დაეცვა ილიას უვნებლობა, რაც დაამტკიცა თავის მოწამებრივ სიკვდილით, მაშინ უბრალო სამართლიანობის ვალად უნდა სდებდეს საზოგადოებას,

¹⁶ იქვე, 248-257.

ილიას ერთად არ დაიფიცოს სამარე და ხსენება თავგანწირული დიდბუნოვანი კაცისა.

სხვათა შორის, კვირას თ.-აზ. დეპ. საკრებულოში დავესწარით საზოგადო კრებას, სადაც ბევრი დამსწრე თხოულობდა, რომ ილიას სამი ძეგლი უნდა აეგოსო: მთაწმინდაში, ერევნის მოედანზე და წიწამურში, და არც ამ კრებაზე და ჯერ არსად ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებიათ საბრალლო იაკობი.

მე თუ მკითხავთ, სამართლიანობაც ამას მოითხოვდა და ილიას ნეშტიც უფრო მოსვენებას იგრძნობდა, რომ იმისთვის თავგანწირული ძეგობარი იაკობი იმისავე გვერდით დამარხულიყო. რადგან ეს თავის დროზე არ მოხდა, ეხლა მაინც ოდნავად უნდა გამოვაკეთოთ ჩვენი დანაშაული. ქართველმა საზოგადოებამ უნდა დააჯილდოს ქ.მ.წ.კ. სახ. გამგეობას, რომ მარტივად მაინც მოაწყოს იაკობ თარაშვილის სასაფლაო და შესაფერი ზედწარწერით, ამ პატარა, მაგრამ ღირსეული კაცის სახელიც შეაფაროს ილიას დიდებულ ჩეროს და მით უკვდავყოფს იგი...


გ. ახალციხელი¹⁷.

დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს:

1. იაკობი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ თავისი ნამდვილი გვარით იხსენიებოდეს. როგორც ზემოთ მოხმობილი მასალებიდან ირკვევა, იაკობი სწორედ თარაშვილი იყო.

2. იაკობ თარაშვილმა შეგნებულად გასწირა თავისი სიცოცხლე ილიას მკვლელების პასუხის გაცემისათვის. ამ ერთდროულად საზარელი და სამარცხვინო მკვლელობის მოვლენათა ლოგიკური განვითარება სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვენდოთ რუსულენოვან გაზეთში „ზაკაკანი“ გამოქვეყნებულ ცნობას, რომლის მიხედვითაც, „მოსამსახურე იაკობმა დაინახა ოთხი, თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებული კაცი, გადმოხტა ეტლიდან. შეიარაღებულებმა დაუწყეს სროლა იაკობს და მოკლეს“. მას მხარს უმაგრებს ბრ. ბერბიჭაშვილის ჩვენებაც იმის თაობაზე, რომ ილიას მოკვლისთანავე „წამოვარდა იაკობი“, რომელიც ფეიქრიშვილმა მოკლა. თუმცა იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სწორედ იაკობის ნასროლი ტყვიით დაიჭრა მუხლში, მაგრამ ადვილი გასაგებია, რისთვისაც მაღავს ამ ფაქტს. მაშინ მას უნდა ეღიარებინა, რომ მკვლელებს წინ თვითონ მოუძლოდა და სწორედ მისი ტყვიით გაჩერდა დიდი ილიას გული. სწორედ მოვლენათა განვითარების ლოგიკური ანალიზის შედეგად გამოიტანა უმაღლესმა სასამართლომ დასკვნა, რომ იაკობმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია თავდაპირველებს და დაჭრა კიდევ რევოლვერის ტყვიით ბერბიჭაშვილი.

¹⁷ გაზ. „ამირანი“, №149, გვ. 4. 04.09.1908.



ვალერიან მაჭარაძე

გეორგიევსკის ტრაქტატი¹

გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობაში. ეს იყო პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში. ამ აქტით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II „სახელითა თვსითა, მეძკვდრეთა და მენაცვლეთა თვსთა დღესასწაულობით“ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა, ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურის უზენაესი ხელისუფლებას, გარდა რუსეთისა, ხოლო რუსეთი ვალდებული იქნებოდა, დაეცვა ქართლ-კახეთი გარეშე მტრებისაგან და ეზრუნა მისთვის მტრის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებისათვის, რომელიც ქართველი მეფის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო.

გეორგიევსკის ტრაქტატი მკვეთრი მობრუნება იყო არა მარტო რუსეთ-საქართველოს, არამედ, აგრეთვე, საქართველო-სპარსეთისა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობაშიც.

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის საკითხში რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობაში, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ურთიერთობისაგან. უფრო მეტიც, ეს აქტი მოასწავებდა საერთოდ კავკასიის პრობლემის ახლებურად დაყენებას.

² წყარო: გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გამც. „ხელოვნება“, 1983.

¹ გამოკვლევის ძირითადი დებულებები მოხსენდა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიას 1959 წლის მაისში (თეზისები გამოქვეყნებულია). შემდეგ შრომა შეიქმნა და 1982 წლის 21 მარტს წაკითხულ იქნა თსუ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხოლო იმავე წლის 25 აპრილს — საქართველოს საისტორიო საზოგადოების საქართველოს ისტორიის სექციის სხდომაზე.

გეორგიევსკის ტრაქტატი თავისი მნიშვნელობით, ბუნებრივია, მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ტრაქტატს მიეძღვნა არა ერთი გამოკვლევა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ არის სათანადოდ გაშუქებული. ეს განპირობებულია იმით, რომ მკვლევართათვის ძირითად წყაროდ დღემდე რჩება ა. ცაგარლის პუბლიკაციები³ და პ. ბუტკოვის „მასალები“⁴.

პ. ბუტკოვს დიდი დამსახურება მიუძღვის კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი შრომები შეიცავენ საყურადღებო ცნობებს, ამოკრებილს საარქივო დოკუმენტებიდან, ზეპირი გადმოცემებიდან და სხვა მასალებიდან, აგრეთვე საყურადღებო მოსაზრებებსაც, მაგრამ ავტორს ნაშრომი დაუმთავრებელი, „შავი“ ხელნაწერის სახით დარჩა, რომელსაც, გამომცემლების აღიარებით „სერიოზული ხარვეზები გააჩნდა“ და მეტწილად „წყაროზე მითითებაც არ ახლდა“⁵, ამიტომ მათი შემოწმება ძნელი იყო, რამაც დაღი დაასვა მომდევნო ხანის გამოკვლევებს.

დიდა ა. ცაგარლის დამსახურება მეცნიერების წინაშე. მისი პუბლიკაციები დიდი ხანია ქართველი ისტორიკოსებისათვის სამაგიდო წიგნებად ითვლება, მაგრამ, ამასთან, ხსენებულ პუბლიკაციებს სერიოზული ნაკლიც გააჩნიათ: ჯერ ერთი, მკვლევარს საარქივო „საქმეების“ უმრავლესობა არ გაუსინჯავს, ხოლო გასინჯულიდან გამორჩენია (კრებულში არაა შეტანილი) საყურადღებო დოკუმენტები; მეორეც, გამოქვეყნებული დოკუმენტები ცუდად დაუბეჭდავს⁶; გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებულ დოკუმენტებშიც, უმნიშვნელო ხარვეზებსა და კორექტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოტოვებულია საყურადღებო ადგილები. მაგალითად, ჯერჯერობით მხოლოდ ა. ცაგარლის პუბლიკაციითაა ცნობილი ერეკლე II 1771 წ. 30 დეკემბრის წერილი, სადაც წამოყენებულია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობები, რომელიც შემდეგ ტრაქტატის შემუშავების საფუძველი გახდა. დოკუმენტის პუბლიკაციაში დამახინჯებულია 3 ძირითადი მუხლი: 1) მუხლს ახალციხის შესახებ ბოლო აქვს მოკვეთილი; 2) მუხლს ჭარის (აღმოსავლეთი კახეთი) შესახებ მოკვეთილი აქვს თავი და ეს ორი მუხ-

² წიგნის ხასიათი და მოცულობა შეუძლებელს ხდის წყაროებისა და ლიტერატურის სრულ მიმოხილვას.

³ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891 (ქვემოთ: Грамоты, I); Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. II, вып. 1, СПб., 1898 (ქვემოთ: Грамоты, II, вып.1); Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. II, вып. II, СПб., 1901 г. (ქვემოთ: Грамоты, II, вып. II).

⁴ П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I-III, СПб., 1869.

⁵ П. Б у т к о в, Материалы, ч. I, გვ. VIII (შესავალი).

⁶ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 164.

ლი მექანიკურადაა ერთმანეთთან გაერთიანებული, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის; 3) დამახინჯებულია მუხლი საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის მეთაურის უფლებების შესახებ. აქვე მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „როდესაც ძალითა და შწევითა თ. დ. კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ ბედნიერებითა თ. დ. ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრამშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიებიდან, და, თუ მეტი შვეიძელით, მეტს მოვართმევთ თ. დ.“⁷

დედანში კი მოცემულია: „როდესაც ძალითა და შწევითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული *მაშულები გვაქვს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოვართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა კელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი.*“

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ ბედნიერებითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრამშუმს ორას ფუთსა და იმ ქვეყნიებიდან, და, თუ მეტი შვეიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსას.“⁸

როგორც ვხედავთ, აქ მექანიკურად გაერთიანებულია ორი პუნქტი და საერთოდ ამოვარდნილია კახეთის ხსენება. ამასთან, ჩანს, რომ ერეკლე აბრამშუმით გადასახადს ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი არ კისრულობდა, არამედ — „კახეთის წართმეული ადგილების“ (ჭარის), ხოლო გადასახადს 14 შაურს კომლზე ახალციხის მხრიდან კი არ კისრულობდა, არამედ იმის ნახევარს, რაც „რუსეთის იმპერიაში თავადის ყმას“ ელო (ე. ი. 35 კაპიკს).

პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „და გვებოდოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.“⁹

დედანში სხვაგვარადაა მოცემული: „...გვებოდოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, *როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ვგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.*“¹⁰

ასე რომ, ერეკლე II იმას კი არ ითხოვდა, რუსეთის ჯარის სარდლები მე უნდა დამემორჩილოსო, არამედ მე რუსეთის ჯარის მეთაურს შეძლები-სდაგვარად („ჩვენის შეძლებით“) მოვუსმენ და იმანაც უნდა მომისმინოსო.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II 1771 წლის 30 დეკემბრის

⁷ Грамоты, II, вып. I, с. 84.

⁸ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 463 (დახრილად აწვობილი ადგილები გამოტოვებულია ა. ცაგარლის პუბლიკაციაში).

⁹ Грамоты, II, вып. I, с. 83.

¹⁰ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 462 (დახრილად აწვობილი სიტყვები ა. ცაგარლის პუბლიკაციაში გამოტოვებული იყო).

წერილის ა. ცაგარლისეულმა გამოცემამ მკვლევარები შეცდომაში შეიყვანა: ი. ცინცაძემ შეამჩნია დოკუმენტის ხარვეზები, რაც წერილის სტილს დააბრალა და მის ნაცვლად ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წამოყენებული პირობების გადმოსაცემად მიმართა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის გვიანდელ (1773 წლის) წერილს, როგორც „უფრო ვრცელსა“ და „უკეთ გამართულს“;¹¹ ხოლო გ. პაიჭაძემ¹² ვერ მოახერხა ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობების სრულად და სწორად გადმოცემა.

ასეთი მაგალითები შეიძლება სხვაც მრავალი მოგვეტანა.

ა. ცაგარელს გამორჩენია და მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი რჩე-ბოდა მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა,¹³ რომელიც ერეკლეს მიერ გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტს ახლდა და, როგორც ქვემოთ დაინახავთ, მნიშვნელოვნად ავსებდა მას.¹⁴

რაც შეეხება ხელშეკრულების ტექსტს, იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ სრული და იმ სახით, რა სახითაც რეალურად არსებობს, ჯერ მკითხველებსა და მკვლევარებს არ უხილავთ.

ტრაქტატის ნაწილი, სახელდობრ: პრეამბულა, 13 ძირითადი მუხლი და ქართლ-კახეთის მეფის რუსეთისადმი ერთგულების ფიცის ნიმუში („სახე“) პირველად რუსულ ენაზე სტამბური წესით დაბეჭდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უმაღლეს, ¹⁵ იმპერიაში გასაცხადებლად და საზღვარგარეთ რუსეთის ელჩებისათვის გასაცხადებლად.¹⁶

ხელშეკრულება მეორედ სტამბურად დაიბეჭდა 1783 წლის ბოლოს და 1784

¹¹ ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 59.

¹² გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980, გვ. 29.

¹³ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.

¹⁴ ერეკლეს მიერ რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე 1771-73 წლების დოკუმენტები და ქართლ-კახეთის ელჩობის რუსეთის მთავრობასთან 1772-1774 წლებში მოლაპარაკების მასალები სრულად იბეჭდება ჩვენი „მასალების“ III წიგნში.

¹⁵ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л.л. 80-82.

¹⁶ 1783 წლის 21 აგვისტოს ა. ბეზბროდკო ცარსკოე სელოდან საგარეო საქმეთა კოლეგიას (საგარეუბნო გრაფ ოსტერმანს) წერდა: «Препровождая сим Трактат, заключенный с карталинским и кахетским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствами Карталинским и Кахетским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ей императорского величества соизволении, чтоб, во-первых, на сей Трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коим он себя именует в своей Полной мочи. Второе, сей Трактат для сведения в Империи всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых либо беспокойств от каких бы то ни было держав имеют они отговариваться, что у нас все вообще дела азиатския почитаются посторонними и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18).

წლის დასაწყისში ქართულ და რუსულ ენებზე (პარალელური ტექსტი). გვერდის მარცხენა ნახევარზე რუსული ტექსტი იყო მოთავსებული, მარჯვენაზე — ქართული (ნუსხახუცური შრიფტით).¹⁷ ამას ადასტურებს ა. ბეზბროდკოს 1783 წლის 15 დეკემბრის წერილი.¹⁸ შინაარსიდან ჩანს, რომ ტრაქტატის ორენოვანი ტექსტი მეცნიერებათა აკადემიაში გაიგზავნა დასაბეჭდად და მეთვალყურეობა (რედაქტორობა) თავად მოურავოვისათვის (თარხან-მოურავი) დაუვალებიათ.¹⁹ მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაბეჭდილი ტექსტი შეიცავდა არა მარტო ხელშეკრულების ძირითად ტექსტსა (პრეამბულასა და 13 მუხლს) და ფიცის ნიმუშს („სახეს“), არამედ ადრე დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავებით, მას დართული ჰქონდა აგრეთვე ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა სიაც, რომელსაც ხელი მოაწერა ერეკლე II ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე (1783 წლის 28 ივნისს). სიაც ორენოვანი იყო. მთარგმნელის შეცდომით, რუსულ ტექსტში სიის ხელმოწერის თარიღად 18 ივნისია აღნიშნული.²⁰

1830 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიბეჭდა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში, სეპარატული (ცალკე) მუხლების გარეშე.²¹

1898 წელს ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ქართულ ენაზე), სადაც, ძირითად ტექსტთან ერთად, პირველად გამოქვეყნდა სეპარატული მუხლები.²² მაგრამ ა. ცაგარელმა დაარღვია დოკუმენტის სტრუქტურა. სარატიფიკაციო სიგელში შეიტანა ელჩების რწმუნების სიგელი, ხოლო სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის (სიგელი ორი დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით არსებობს) დასკვნითი ნაწილი გადაიტანა მეორე დოკუმენტის ბოლოში. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მკვლევარმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელშეკრულების დედანი და სარატიფიკაციო სიგელი ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა; ზედმეტად მიუჩნევია სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი, რაკი იგი

¹⁷ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.

¹⁸ ა. ბეზბროდკოს წერილი 1783 წლის 15 დეკემბრისა და არა 18 დეკემბრის, როგორც ეს რ. მიმინოვილსა და გ. პაიჭაძეს მიაჩნიათ (იხ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ნაწ. I, თბილისი, 1970, გვ. 184, 188).

¹⁹ «Милостивый государь мой! Ея императорскому величеству угодно, чтобы ваше сиятельство (აღბათ იგულისხმება გრაფი ოსტერმანი — ვ. მ.) благоволили приказать препроводить к ее сиятельству княгине Катерине Дашковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию трактата, постановленного с карталинымским и кахетинским царем Ираклием для напечатания в Академии на грузинском и российском языках. Имея честь сообщить о сем вашему сиятельству пребываю в совершенном почитанием» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 19).

²⁰ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47 (ქართველ თავად-აზნაურთა სიის დართვას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ტრაქტატის მე-9 მუხლით ისინი უთანაბრდებოდნენ რუს თავად-აზნაურობას და რუს მოხელეებს ეს უნდა სცდონოდათ, რომ შესაბამისი პატივი მიეკოთ).

²¹ ПСЗ, т. XXI, СПб., 1830, док. №15835, с. 1013-1017.

²² Грамоты, II, вып. I, гв. 99-110.

ხელშეკრულების დედანში არ იყო. მართალია, არ გამოუტოვებია, მაგრამ პირველი დოკუმენტის დასკვნითი (ბოლო) ნაწილი მეორე დოკუმენტის ბოლოში გადაუტანია, რაც დაუშვებელია.

1902 წელს ა. ცაგარელმა დაბეჭდა აგრეთვე ხელშეკრულების პროექტის რუსული ტექსტი, რომელიც ა. ბეზბროდკოს ავტოგრაფითაა შემონახული.²³

1949 წელს დ. ენუქიძემ გამოაქვეყნა ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე. საქართველოს მუზეუმში დაცული (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია) დედნის მიხედვით, ოღონდ მასში შეტანილია ქართველი ელჩების რწმუნების სიგელი, რომელიც ა. ცაგარლის პუბლიკაციიდან გადაბეჭდა.²⁴

1960 წელს ი. ცინცაძემ დაბეჭდა ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე (საქართველოს მუზეუმში დაცული დედნის მიხედვით). გამომცემელს სარატიფიკაციო სიგელისათვის დასაწყისი (პირველი გვერდი) მოუკვეთია. აქვეა დაბეჭდილი ხელშეკრულების პროექტის, ხელშეკრულების ძირითადი ნაწილისა და დამატებითი მუხლის რუსული ტექსტებიც, რომლებიც გადმობეჭდილია ადრინდელი გამოცემებიდან.²⁵

1965 წელს ი. დოლიძემ გამოსცა ტრაქტატის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც დაურთო ქართველ თავად-აზნაურთა სია.²⁶ პუბლიკაცია რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს. ჯერ ერთი, დაბეჭდილია არა ხელშეკრულების დედანი, არამედ სარატიფიკაციო სიგელის ქართული ტექსტი, რომელიც გამომცემელს შეუვსია, ან როგორც თვითონ წერს, ადგილი „აღუდგენია“ საარქივო საქმით. ე. ი. სარატიფიკაციო სიგელში ადგილი შეუტანია ხელშეკრულების დედნიდან და იგი კვადრატულ ფრჩხილებში მოუთავსებია,²⁷ რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. რადგან ტრაქტატის დედანი და სარატიფიკაციო სიგელის დედანი დამოუკიდებელი დოკუმენტებია, ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა დაბეჭდილიყო. ამგვარად, ვერც ერთი ვერ მივიღეთ მისი ნამდვილი სახით; მეორე, სარატიფიკაციო სიგელის პარალელურ რუსულ ნაწილად დაუბეჭდავს არა მისი „თარგმანი“,²⁸ რომელიც მოსკოვის არქივშია დაცული, არამედ ტრაქტატის დედნის „თარგმანი“. ამიტომ ქართულ ტექსტს რუსული თარგმანი თავიდანვე კი არ მისდევს, არამედ მეორე გვერდიდან იწყება და ბოლომდე არ მიჰყვება — ქართული ტექსტის ბოლო ნაწილიც „თარგმა-

²³ Грамоты, II, вып. I, гв. 32-41.

²⁴ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949, გვ. 31-44.

²⁵ ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960, გვ. 198-233.

²⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965, გვ. 457-492.

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 473.

²⁸ აქ სიტყვა „თარგმანი“ პირობითად ვხმარობთ, რის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნის“ გარეშე დაბეჭდილი,²⁹ მესამე, ქართულ ტექსტში გამომცემელს ენობრივი (ორთოგრაფიული) ფორმები გაუსწორებია, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. რუსული ტექსტი კი ძველი ორთოგრაფიით დაუბეჭდავს,³⁰ რაც რუსული საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციის თანამედროვე წესებს ეწინააღმდეგება; მეოთხე, შეცდომებია დაშვებული კომენტარებშიც, სადაც საარქივო საქმის ძველი სათაური, რომელსაც მთელი ფურცელი უჭირავს, „მინაწერადაა“ გამოცხადებული.³¹ დასასრულ, გამომცემელს რატომღაც გამოუტოვებია ხელშეკრულების დამატებითი მუხლი (ე. წ. „შესასრულებელი არტიკული“).

ტრაქტატის ტექსტი 1970 წელს რ. მიმინოვილიმა და გ. პაიჭაძემ გამოსცეს,³² მაგრამ არც ეს გამოცემა აღმოჩნდა სრული. მართალია, ხელშეკრულების ქართული ტექსტი სრულადაა დაბეჭდილი,³³ მაგრამ ქართული სარატიფიკაციო სიგელის მხოლოდ დასაწყისი და ბოლოა დაბეჭდილი,³⁴ რაც საკმარისი არ არის, რადგან ქართული სარატიფიკაციო სიგელი დამოუკიდებელი დოკუმენტია, ამიტომ იგი სრულად უნდა დაბეჭდილიყო; რაც შეეხება რუსულ ტექსტს — ხელშეკრულების დედნის მხოლოდ „თარგმანია“ დაბეჭდილი,³⁵ სარატიფიკაციო სიგელის „თარგმანი“ კი საერთოდ გამოუტოვებიათ; მეორე, გამომცემლებს ქართულ ტექსტის დასადგენად საჭიროდ ჩაუთვლიათ სხვა გამოცემების პარალელური ფორმების სქოლიოში გამოტანა,³⁶ რაც ზედმეტად მიგვაჩნია, რაკი ტრაქტატის დედანი გვაქვს (გვიანდელი ასლებით რომ ვსარგებლობდეთ, ან დაზიანებული იყოს, მაშინ ეს აუცილებელი იქნებოდა); მესამე, გამომცემლებს ქართულ დედანში ორთოგრაფიული ფორმები გაუსწორებიათ, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია; რუსულ ტექსტებში გამომცემლებს ყველა არსებითი სახელი, სამხედრო და სამოქალაქო წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, თითქმის ყველა ნაცვალსახელი მთავრულით დაუწერიათ,³⁷ რასაც არც რუსული საისტორიო დოკუმენტების გამოცემის თანამედროვე „წესები“ ითვალისწინებს და არც საბჭოთა ისტორიოგრაფიის პრაქტიკა; მეოთხე, გამომცემლებს 82 ფურცლიანი საქმის საერთო, ძველი სათაური (ყდაზე წარწერა),³⁸ რომელიც

²⁹ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 457-482.

³⁰ იქვე, 458-482.

³¹ იქვე, 638-639.

³² ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 182-245.

³³ იქვე, გვ. 193-207.

³⁴ იქვე, გვ. 208-211.

³⁵ იქვე, გვ. 223-233.

³⁶ იქვე, გვ. 193-211.

³⁷ იქვე, გვ. 221-237.

³⁸ საგარეო საქმეთა კოლეგიის საქმეების ძველი აქტების არქივიდან საგარეო პოლიტიკის არქივში გადატანი-სას მას ახალი ყდა გაუკეთეს და შესაბამისად დაასათაურეს, ხოლო ძველი ყდა და სათაური საქმეში დარჩა და 1 ფურცლად დაინომრა (АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 1), რასაც მოჰყვა მთელი საქმის გადანომრა, რაც აქვე დაბეჭდილ ფოტოპირებზე კარგად ჩანს.

ახალი პაგინაციით 1 ფურცლადაა დანომრილი, გადაუტანიათ მეცხრე ფურცელზე დაწყებული რუსული ტექსტის სათაურად,³⁹ რაც „წესებს“ ეწინააღმდეგება; მესხეთე, შეცდომაა დაშვებული წყაროზე მითითებისას — წინასიტყვაობაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატი ერთ საარქივო საქმეში (საქმე № 178) იყოს წარმოდგენილი.⁴⁰ სინამდვილეში იგი სამ საქმეშია დაცული (ელჩების რწმუნებანი — საქმე № 177,⁴¹ ტრაქტატის დედანი და მასთან დაკავშირებული მასალები — საქმე № 178⁴² და სარატიფიკაციო სიგელი და მასთან დაკავშირებული მასალები — საქმე № 179)⁴³, ყოველ მათგანს შესაბამისი სათაური აქვს, ხოლო გამომცემლების მიერ მოტანილი მასალა ორ საქმეშია (საქმე № 177 და საქმე № 178) დაცული და არა ერთ საქმეში (საქმე № 178-ში), როგორც აღნიშნულია.⁴⁴ მეექვსე, პუბლიკაციის წინასიტყვაობასა და კომენტარებში გვხვდება უზუსტობანი. მაგალითად, საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ქართველ თავად-ახნაურთა სია ერეკლემ პოლკოვნიკ ტამარას 1784 წლის იანვარში გადასცა,⁴⁵ მაშინ როცა ამ სიას ერეკლემ 1783 წლის 28 ივნისს მოაწერა ხელი და გაატანა ი. ბაგრატიონსა და გ. ჭავჭავაძეს, რომლებმაც იგი გეორგიევსკიში გადასცეს პოტიომკინს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს სია 1783 წლის 24 ივლისს გაგზავნა პეტერბურგში, 1783 15 დეკემბერს კი აკადემიის სტამბაში გაატანეს დასაბეჭდად თავად მოურავოვს (თარხან-მოურავს).

დასასრულ, დაბეჭდილ ტექსტებში შეინიშნება სხვა ხარვეზებიც (არასწორად ამოკითხული ადგილები, კორექტურული შეცდომები და სხვა), რომლებსაც აქ არ შეეხებით. შეეხეთ მხოლოდ საერთო ნაკლს, რომელიც ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მისი სრული სახით არც ქართულ და არც რუსულ ენაზე (ჩვენს არქივებში დაცული მასალების მიხედვით) დღემდე არ დაბეჭდილა და არც მისი მეცნიერული გამოცემა არსებობს.

* * *

რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიას, სურათი არც აქაა სახარბიელო. რევოლუციამდელმა მკვლევარებმა საკითხის მეცნიერული გაშუქება ვერ შეძლეს. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციამდელი მკვლევარების მეთოდოლოგიასა და ტენდენციურობაზე (ეს ეხება როგორც ქართველ, ისე რუს მკვლევარებს), მათ ვერ შეძლეს ტრაქტატის დადების უმთავრესი მიზეზების განსაზღვრაც კი, რადგან მათი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული იყო. ტრაქტატის დადების უმთავრეს

³⁹ ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 223.

⁴⁰ იქვე, გვ. 182-190.

⁴¹ АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 1-4.

⁴² იქვე, დ. 178, лл. 1-82.

⁴³ იქვე, დ. 179, лл. 1-34.

⁴⁴ ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 182-190.

⁴⁵ იქვე, გვ. 183-187.

მიზნებს ისინი ეძებდნენ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე, განსაკუთრებით 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის მდგომარეობის განსაკუთრებულ გაუარესებაში (თითქოს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, ლეკები თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს აწიოკებდნენ, თითქოსდა ალექსანდრე ბაქარის ძის დაღესტანში გამოჩენით ერეკლემ არ იცოდა სად წასულიყო). ამ მუქ სურათს ზოგიერთი ისტორიკოსი უმატებდა ეკატერინეს „გულჩვილობასაც“, რომელსაც „შეცოდებია“ გაჭირვებაში ჩავარდნილი ერეკლე. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის მიერ ტრაქტატის დადების მიზნებს XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისის კონიუნქტურით ხსნიდნენ, ხოლო რუსეთის მხრივ — ირანული პოლიტიკის „გამოცოცხლებით“.⁴⁶

რევოლუციის შემდეგ, 30-40-იან წლებში, იყო საკითხის ახლებურად გაშუქების ცდა, მაგრამ მას რაკი წყაროების სპეციალური ძიება არ ახლდა, არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

საკითხის სპეციალურად შესწავლა ამ ოცდაათიოდე წლის წინ დაიწყო და 1959 წელს, ძირითადად, დავამთავრეთ მონოგრაფია „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ვაჩვენეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატს საფუძვლად დაედო ერეკლეს მიერ 1771 წელს წამოყენებული პირობები, ხოლო მისი შეპირისპირებით ეკატერინეს ინსტრუქციასთან და ტრაქტატის ტექსტთან ცხადი გაგზადეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსათვის უფრო შეღავათიან პირობებში დაიდო, ვიდრე ერეკლეს პროექტი ითვალისწინებდა, რასაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა. ამასთან, უარვყავით მოსაზრება საქართველოს ვითარების განსაკუთრებით გაუარესების თაობაზე XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე და აქცენტი გადავიტანეთ რუსეთის ვითარების გაუმჯობესებაზე 80-იან წლებში, რამაც გადაწყვიტა ტრაქტატის დადება. გარდა ამისა, სპარსეთის ნაცვლად წინა პლანზე წამოვიწიეთ თურქეთის როლი და ადგილი, რომელსაც აგრეთვე ადრე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.⁴⁷ ამრიგად, უარვყავით რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის ძირითადი დებულებები, ვაჩვენეთ მათი უსაფუძვლობა.

მართალია, 1960 წლიდან გეორგიევსკის ტრაქტატს რამდენიმე ნაშრომი მიემდგვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთ წამოყენებულმა მოსაზრებებმა შემდგომი განვითარება ვერ პოვეს. გეორგიევსკის ტრაქტატზე დაწერილი ნაშრომებიდან ი. ცინცაძის გამოკვლევა გამოირჩევა, სადაც მოცემულია როგორც ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წარდგენილი პროექტის, ისე ხელშეკრულების მუხლების ვრცელი ანალიზი. როგორც ჩანს, ავტორს ყურადღება მიუქცევია ჩვენი მოხსენების თეზისებისათვის და ნაშრომის შესავალში აღნიშნავს, რომ „რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა... ყოველმხრივ გაშუქებული არ

⁴⁶ თითქოს, რაკი ვოინოვიჩის საზღვაო ექსპედიციამ მარცხი განიცადა, ერეკლესთან დადეს ხელშეკრულება, რომ ზმელეთით შეჭრილიყვნენ ირანში.

⁴⁷ ძირითადი დებულებები დაბეჭდილია (იხ. თსუ ისტორიის ფაკულტეტი, III სამეცნიერო სესია, 1959 წლის 4-8 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1959, გვ. 14-15).

გამოიყურებოდა“ და „1783 წლის შემდეგ მომხდარი ზოგი მოვლენის მართებული ახსნა არ მოგვეპოვება“. მაგრამ მკვლევარს ძიება არასწორი გზით წარუმართავს — წინა პლანზე ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“ — თურქეთის „წაქცევის“ გეგმა წამოუწვია, რომლის ნაწილადაც გეორგიევსკის ტრაქტატი გამოუცხადებია. რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ამასთან, ავტორს რუსეთის მთავრობის ამიერკავკასიის გეგმა დიპლომატთა ცალკეულ განცხადებებზე აუგია, რასაც, აგრეთვე, ვერ გავიზიარებთ.⁴⁸

არასპეციალურ ნაშრომებში, ნარკვევებსა და სტატიებში, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, საკმაო რაოდენობით გვხვდება ფაქტობრივი და სხვა ხასიათის შეცდომები, მაგრამ ჩვენ მათზე ვერ შევჩერდებით. აქ მხოლოდ სპეციალურ ნაშრომს შევეხებით.

გ. პაიჭაძის წიგნში „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ არ არის სათანადოდ გაშუქებული საქართველოს ვითარება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, არც ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობებია სწორად და სრულად გადმოცემული; გვერდი აქვს ავლილი ეკატერინეს ინსტრუქციას პოტიომკინისადმი. არც ერეკლეს პროექტა ხელშეკრულების ტექსტთან შეპირისპირებული და სხვა.⁴⁹

* * *

ცხადია, წინამდებარე პუბლიკაციაში ვერ იქნება წარმოდგენილი მთელი მასალა, აქ ვბეჭდავთ მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტს (ფოტოპირებითურთ). კერძოდ, ტრაქტატის ტექსტთან და სარატიფიკაციო სიგელებთან ერთად ერეკლეს მიერ 1771 წელს 30 დეკემბერს რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე წამოყენებულ პირობებს, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობას 1772 წლის 6 იანვრისა და ეკატერინე II ინსტრუქციას გ. პოტიომკინისადმი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.⁵⁰ ხსენებული დოკუმენტების ფართო მკითხველისათვის მიწოდება ხელს შეუწყობს ტრაქტატის შინაარსისა და მნიშვნელობის უკეთ გაგების საქმეს. ტრაქტატის ტექსტის სრული და დედნისეული სახით გამოცემა, რომელსაც ფოტოპირებიც ახლავს, ხელმისაწვდომი გახდება აგრეთვე ისტორიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეებისათვის, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებით არიან დაინტერესებულნი, აგრეთვე ენათმეცნიერებისათვის, რომლებიც ქართული ენის ისტორიას იკვლევენ.

⁴⁸ ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი თბილისი, 1960.

⁴⁹ გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980.

⁵⁰ გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული დოკუმენტები სრულად დაიბეჭდება ჩვენი „მასალების“ IV წიგნში.

ხელშეკრულების მომზადება და დადება

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: ერეკლე მეფის თხოვნის წიგნი (1771 წლის 30 დეკემბრისა), ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა (1772 წლის 6 იანვრისა) და ეკატერინე II მითითება გრ. პოტიომკინისადმი (1782 წლის ბოლო — 1783 წლის დასაწყისი).

ერეკლეს თხოვნის წიგნში წამოყენებული იყო შემდეგი პირობები: 1) რუსეთს ქართლ-კახეთში უნდა გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი, ხოლო „ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის (ერეკლეს — ვ. მ.) შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადაც ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“;⁵¹ 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს „ჩამომავლობის მეფობა... საუკუნოდ უცვალდებელად“ დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“; 4) ყირიმში გათავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდეთ; 5) ქართლ-კახეთს მისცემოდა სესხი.⁵²

თუ ერეკლეს თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის მთავრობის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „დღეს ჩვენს ქვეყანაში, რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდან სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთდეს“; 2) „...რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველ წლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საკვლამწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმოდეს“; 3) „...ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშობება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივითანთ საკვლამწიფოთ“; 4) „რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშობება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოველად დიდებულებასა თქვენსა მიერთდეს“; 5) „როდესაც ძალითა და შეწვევითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქვს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოველად დიდებულსა კვლამწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი“; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (ჭარი — ვ. მ.) დავიჭირეთ... ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრეშუმს ორას ფუტსა იმ ქვეყნიდან, და, თუ მეტი შევიძლებით მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა“; 7) როდესაც ქვეყნის

⁵¹ АВІР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463 (ა. ცაგარლის გამოქვეყნებული ტექსტი ნაკლუნიან; Грамоты, II, вып. I, с. 83-84).

⁵² АВІР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.

მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება რუსეთის ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აქვს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „... მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოველად დიდებულსა კვლამწიფესა და აზნუართაცა შეძლებისაებრ ჩვენის“.⁵³

დასასრულ, ერეკლე ისევ თავის ძირითად თხოვნას უსვამდა ხაზს: „კუთლად ვედრებით მოგახსენებთ თქვენს ყოველად მოწყალებასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს... მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინადაც საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანნი არიან იმათში, და სხუანიცა ახალი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“.⁵⁴

ამასთან, ერეკლე პრეტენზიას არ აცხადებდა უცხო ქვეყნების ტერიტორიების მითვისებაზე: „უკეთუ ღთითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქვენის დიდებულებისა არის“.⁵⁵ ერეკლე მეფე არც 1782 წლის 21 დეკემბერს წარდგენილ პროექტში აცხადებდა პრეტენზიებს არაქართულ მიწებზე,⁵⁶ რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.⁵⁷

ასეთია ერეკლეს მიერ წაყენებული პირობები.

ზემოხსენებული თხოვნის წიგნის გასამაგრებლად ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში გადასულიყო და იქ, ძველ სატახტოში შეედგინა მეორე დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს ერეკლე II, დარეჯან დედოფალმა, ანტონ კათალიკოსმა, გიორგი, ლევან, ვახტანგ და იულონ ბატონიშვილებმა. დოკუმენტზე ხელმომწერნი აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით

⁵³ АВІР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.

⁵⁴ АВІР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 195-197.

⁵⁷ ერეკლე II არც რუსეთის მთავრობისათვის წარდგენილ ხსენებულ დოკუმენტებში და არც სხვაგან წამოყენებია არაქართული მიწების უშუალოდ საქართველოსთვის შემოერთების გეგმა. ერეკლეს სომეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არაერთგზის შესთავაზეს სომეხთის მეფის გვირგვინიც, მაგრამ მეფე ამაზე არ დათანხმდა (შდრ. ა. იოანესიანის შრომები). მართალია, ერეკლეს ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყავდა ერევნისა და განჯის სახანოები, მაგრამ ეს უფლება თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ირანის ტახტის მაძიებლებისაგან დაცვით მოიპოვა და მტკიცედ იცავდა ამ ხაზს, რადგან ამით საქართველოზე მოსასვლელ სტრატეგიულ პუნქტებს ინარჩუნებდა. ამიტომაც ირანისა და თურქეთის წაქეზებით, ხსენებულ სახანოთა მმართველების განდგომას ზოგჯერ არ უშვებდა. რაც შეეხება ელჩების რწმუნების სიგელში ერეკლეს ტიტულში არაქართული მიწების მფლობელად მოხსენიებას (შდრ. АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 3-4) და ა. ბეზბოროდკოს მითითებას სარატიფიკაციო სიგელში, ერეკლე იმავე ტიტულით მოიხსენიეთო (შდრ. АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18), იგი ერეკლეს ინიციატივით კი არა, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გამიზნულ ნაბიჯად გვესახება, რომელსაც გზა უნდა გადაეღო ირანის შემდგომი აგრესიისათვის ამიერკავკასიაში.

თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ აიღებენ.

„ყოვლად დიდებული სველწიფის მოწყალეებით და ძალით ამ მკარის ქვეყნებში თურქისა თუ სპარსეთისა ადგილები რომ დაეჭირა, რასაც პატივსა და სიმაღლეში შევიდეთ, მაშინც მონებრ დამორჩილებულნი ვ[ი]ყვნ[ეთ] ყოვლად დიდებულობისა სველწიფობისა თქვენისასა და როგორადაც სხვას მეორეს ჩვენგნით თქვენის იმპერატორების დიდებულების სამსახურისა და აღთქმისდა კვალად ჩვენგანვე თქვენის ყოვლად მოწყალეების სათხოველის არზაში მოგვიხსენებია, რომელხედაც თვით ჩემი სველი აწერია,⁵⁸ იმ სახით ყოვლითურთ ჩემის ჩამომავლობით დამორჩილებულნი და ყმანი ვიყვნეთ საუკუნოდ“.⁵⁹

ამრიგად, ერეკლე II უარს აცხადებდა თავისი სუვერენული უფლებების ნაწილზე, კისრულობდა ხარკსაც, მაგრამ მეფე ამ ნაბიჯს დგამდა დიდი მნიშვნელობის საკითხების მოსაგვარებლად — ქართლ-კახეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მტრის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დასაბრუნებლად. ქართული მიწების დაბრუნების მნიშვნელობაზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ოლქებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვისათვის. ჯერ ერთი, თურქებმა, მიიტაცეს რა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ძალით გააგრძელეს ისლამი, მოსახლეობის ნაწილი გაათურქეს, მოშალეს ეკონომიკა, გაანადგურეს მატერიალური კულტურის ძეგლები, ხოლო ახალციხის საფაშო აქციეს თავიანთ პლაცდარმად, საიდანაც თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთსა და კავშირს ამყარებდნენ ლეკებთან;⁶⁰ მეორე, ლეკებმა დაიკავეს აღმოსავლეთ კახეთი და გადააქციეს თავიანთ ბაზად, საიდანაც თავს ესხმოდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ ადამიანებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ა. შ. ახალციხისა და ჭარის ტერიტორიული სიანხლოვე აიოლებდა ლეკების კავშირს თურქებთან. პირველი (ახალციხის) საკითხის გადაწყვეტა საქართველოს გარეშე ძალის დაუხმარებლად არ შეეძლო და ეს საკითხი არც დასმულა დღის წესრიგში, სანამ არ დაინახეს რუსეთის დაინტერესება ამიერკავკასიით; მეორე საკითხი (ჭარის) ერეკლემ და თეიმურაზმა დასვეს 50-იან წლებში, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, რადგან ჭარელებს ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები წამოემეველნენ და საიდუმლოდ არც თურქებს დაუკლიათ ხელი. მტრის ამ ორი პლაცდარმის მოშლის გარეშე ქართლ-კახეთის დაცვა შეუძლებელი იყო.

აი, რატომ გადადგა ერეკლე II ასეთი ნაბიჯი.

⁵⁸ ლაპარაკია ერეკლე მეფის 1771 30 დეკემბრის წერილზე, რომელსაც ზემოთ გავეცანით.

⁵⁹ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.

⁶⁰ ლეკთა საკითხის გადახლართვა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხთან საკმაოდ ნათლად აქვს ნაჩვენები ნ. ბერძენიშვილს (აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. იხ. „იმომხილველი“, III, 1953, გვ. 85-86).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მხრივ ყოველგვარი ჩაგონების გარეშე. რუსეთის წარმომადგენლები გენერალი ა. სუხოტინი და კაპიტანი ი. ლვოვი, რომლებიც მაშინ ქუთაისში იყვნენ, აღშფოთებულად კი იყვნენ, მათთვის შეუტყობინებლად ელჩების რუსეთში გამგზავრების გამო (როგორც ჩანს, ეჭვობდნენ ერეკლემ ჩვენზე საჩივარი ხომ არ მისწერაო) და მთავრობას აცნობებდნენ, ჩვენ ელჩობის მიზანი არ ვიცითო.⁶¹

1772 წლის იანვარში რუსეთში გაემგზავრა ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით, რომელთაც მიჰქონდათ ერეკლე II თხოვნის წიგნი და სამეფო კარის პირობა.

რა თქმა უნდა, რუსეთს, თურქეთთან ომის დროს⁶² — როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლების საკითხები, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის ვითარებაში, — არ შეეძლო მიეღო ქართლ-კახეთი მფარველობაში, რადგან იგი გამოიწვევდა თურქეთთან ომის გაჭიანურებას და ირანელ ხანებსაც (ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით) მოთმინებიდან გამოიყვანდა, რომლებთანაც დამამიძღვრებელი წერილები ჰქონდათ გაგზავნილი (რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მტრული განზრახვა არ ჰქონდა და ჯარი საქართველოში მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ საომრად შემოიყვანა). ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II თუმცა უწონებდა ერეკლეს გადაწყვეტილებას, მაგრამ მეფეს ატყობინებდა, რომ თქვენი წინადადების მიღება ამჯერად არ შეგვიძლია და ეს ამბავი უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთო. ამასთან, იმპერატორი მეფეს ჰპირდებოდა — თურქეთთან ზავის დადებისას სულთანს ქართველი ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის პირობას ჩამოვართმევთ, რომლის შესრულებაზე მე თვითონ დავაწესებ კონტროლსო.⁶³ 1774 წელს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ საქართველოში.⁶⁴

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა: ჯერ ერთი, დნებრსა და ბუგს შორის ტერიტორიისა და კინბურნის სიმაგრის მიღებით, რუსეთი შავ ზღვაზე გავიდა; მეორე, ქერჩისა და ენიკალეს მიღებით, რუსეთს გზა გაეხსნა აზოვიდან შავი ზღვისაკენ; მესამე, თურქეთმა სცნო რუსეთის უფლება — შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა. ამრიგად, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავ ზღვაზე. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით თურქეთის ვასალი ყირიმის სახანო დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამ აქტით თურქეთმა დაკარგა პლაცდარმი და საიმედო რეზერვი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში,

⁶¹ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-75гг., оп. 110/2, д. 11, лл. 45-50; 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 172; 1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 7; Грамоты, I, 334.

⁶² 1768-74 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი.

⁶³ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1770-74 гг., оп. 110/2, д. 14, лл. 45-47; Грамоты, I, с. 394-397.

⁶⁴ ხსენებული ელჩობის ისტორია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორც ზემოთ ითქვა, ცალკე იბეჭდება.

რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა. გარდა ამისა, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გაუქმდა 1739 წლის ბელგრადის ტრაქტატი, რომლითაც ყაბარდო ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და რუსეთს (თურქეთსაც) ეკრძალებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის საქმეში ჩარევა; თუმცა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ყაბარდოს საკითხი, მაგრამ რამდენადაც თურქეთმა რუსეთსა და ყირიმს დაუთმო მისი გადაწყვეტა, რუსეთს თავისუფალი მოქმედებისათვის ხელეები ეხსნებოდა. ყირიმელ დიდებულთა წინდაუხედავი პოლიტიკის (თურქეთიდან ჩამოცილება არ შეევიძლიაო) წყალობით ომის შემდეგ თურქეთი (70-80-იანი წლების მიჯნაზე) აქტიურად ჩაერია ყირიმის საქმეებში⁶⁵ (ტამანიდან ყირიმში შეჭრითა და იქ თავისი ბატონობის აღდგენით თურქეთი ქერჩისა და ენიკალეს ციხეებს ემუქრებოდა და ქერჩის სრუტის ხელახლა ჩაკეტვის საფრთხეს ქმნიდა; გარდა ამისა, თურქეთი ტამანიდანვე საფრთხეს უქმნიდა აგრეთვე რუსეთის პოზიციებს ჩრდ. კავკასიაში, ხოლო ოჩაკოვიდან — კინბურნის ციხესა და დნეპრიდან შავ ზღვაზე გასასვლელს). ამ მდგომარეობამ აიძულა რუსეთი ავსტრიასთან დაახლოების გზას დადგომოდა და დაეჭვებინა ყირიმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. რუსეთის მთავრობამ რეალურად დასვა ყირიმის საკითხი, ხოლო მისი გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოდ მიიჩნევს საქართველოს საკითხის წამოჭრაც.⁶⁶ ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობამ ქართველ მეფეებს ი. რაინეგისის პირით აცნობა დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობაზე და ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას შეუდგა.

ეკატერინე II ინსტრუქციაში, რომელიც გრაფმა ა. ბენზბოროდკომ 1782

⁶⁵ ყირიმში შესაჭრელად თურქეთის დიდი მზადების თაობაზე ქართველმა დიპლომატებმა რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ 1778 წელს აცნობეს (იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968, გვ. 218).

⁶⁶ მართალია, ირანის სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომ საქართველოს საკითხი დაესვათ, მაგრამ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთს ირანში შეჭრის საკითხი არ წამოუყენებია და არც „ირანის საკითხის გამოცოცხლებას“ ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენებოდა. მაშინ საქმე ეხებოდა მხოლოდ რუსი ვაჭრების ინტერესებისა და რუსეთის პრესტიჟის დაცვას. ისტორიოგრაფიაში განვითარებულია აგრეთვე თურქეთის მიმართ რუსეთის გვემებიც (ე. წ. საბერძნეთის პროექტი). 80-იანი წლების დასაწყისში საქმე ეხებოდა არა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, არა კონსტანტინოპოლს, არამედ ყირიმის საკითხს და ყაბარდოში დამკვიდრებას, რადგან ტამანში გამაგრებული თურქეთი, რუსეთთან ომში მარცხის მიუხედავად, თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის დიპლომატია მართლმადიდებლების ხსნის დიდი ღონისძიებით არ გამოხლავდა, რადგან 1768-74 წლების ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბალკანეთის მოსახლეობა ამ ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მომზადებული, ხოლო დუნაის სამთავროებისა (ვალახია, მოლდავია) და ქართული სამეფოების ბრძოლისა და რუსეთის იარაღის წარმატების შედეგებიც, ვეროპის ქვეყნებმა (პირველ რიგში ავსტრიამ) მინიმუმამდე შეკვეციეს. რუსეთის მთავრობამ გამოცდილებით იცოდა, რომ ამ დიდ საქმეში ავსტრია პარტნიორად არ გამოდგებოდა (ამიტომაც არ დართო რუსეთმა იმერეთს ნება 1787-91 წლების ომში ჩაბმულიყო, რადგან იცოდნენ შედეგს ვერ მიიღებდნენ). მაგრამ თუ ახლა ავსტრია მანც „მგობრად“ აირჩიეს, რუსეთს მხოლოდ იმის იმედიღა შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ავსტრია, ბუკოვინის მიტაცების (1774) შემდეგ, თურქეთის „მგობარი“ აღარ იყო და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში სადაო საკითხებზე რუსეთს განზე ვერ განუდგებოდა.

წლის ბოლოსა, თუ 1783 წლის დასაწყისში აცნობა გრ. პოტიომკინს,⁶⁷ ნათქვამია:

«Мнение ея величества было, чтоб: 1-е, чрез вашу светлость заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.

2. Поборов денежных не принять никаких, ниже половины с металлов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присылку шелку, вин и лошадей».⁶⁸

გარდა ამ ორი უმთავრესი პუნქტისა, ეკატერინე II ინსტრუქცია შეიცავდა კიდევ ოთხ პუნქტს, რომლებზედაც იმპერატორს აინტერესებდა თავად პოტიომკინის მოსაზრებები:

3. ომის შემთხვევაში საქართველოში გამოსავზავნი ჯარისა და სუბსიდიის რაოდენობა განესაზღვრა თავად გრ. პოტიომკინს;

4. ერეკლეს კავშირი ავსტრიის იმპერატორთან სასურველად არ იყო მიჩნეული და ერეკლესაც მიმოწერაზე ხელი უნდა აეღო (რუსეთ-ავსტრიის დაახლოება ერეკლემ რუსეთიდან ცნობის მიღებამდე შეიტყო, ამიტომ მიმართა მეფემ ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა 1768-74 წლების გამოცდილებით იცოდა, რომ „მეგობრობის“ მიუხედავად, ავსტრიის მთავრობას შეეძლო ხელი შეეშალა);

5. ჯარისა და სხვა საკითხებზე იმპერატორი თავად პოტიომკინის მოსაზრებებს ელოდებოდა;

6. ხომ არ თვლიდა თავადი პოტიომკინი საჭიროდ ერეკლესა და სოლომონს შორის ნათელი და ზუსტი ზავის დადებას მისივე (თავად პოტიომკინის) თავდებობით.⁶⁹

ეკატერინეს მითითებებს გარდა, ა. ბენზბოროდკოც თავის მოსაზრებებსაც სთავაზობდა თავად გრ. პოტიომკინს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად⁷⁰ ისიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოდან ღვინო ფასით უნდა წაეღოთ, რადგან იგი «касается простого народа».⁷¹

ამრიგად, ეკატერინე II ინსტრუქცია ითხოვდა, ტრაქტატი დადებულიყო უფრო შედარებითან პირობებში ქართლ-კახეთისათვის, ვიდრე ერეკლეს პროექტით იყო ნაგარაუდვი.⁷² აქედან ძნელი როდია გაგაკეთოთ დასკვნა,

⁶⁷ წერილს თარიღი არ უზის. ა. ცაგარელი მას 1782 წლის დეკემბრით ათარიღებდა (Грамоты, II, вып. I, с. 30-31), ი. ცინცაძემ 1783 წლის თებერვალ-მარტში შედგენილად მიიჩნია (ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 99).

⁶⁸ АВПР, ф. Сп. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67; Грамоты, II, вып. II, с. 30-31.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ ეს მოსაზრებები ეხებოდა საქართველოში გამოგზავნილი ჯარის რაოდენობას, ინვესტიტურას, ქართული ეკლესიისა და რუსეთის სინოდის დამოკიდებულებასა და სხვ.

⁷¹ АВПР, ф. Сп. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.

⁷² ცხადია, ცდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც ლაპარაკობდნენ რუსეთის დიპლომატიის მიერ „ერეკლესთან მომგებიან ხელშეკრულების“ დასადებად აღექვსანდრე ბატონიშვილის გამოყენების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 688).

რომ ტრაქტატი შეიძლება დადებულიყო 1772 წელს, ხოლო მისი 11 წლით დაგვიანების მიზეზი უნდა ვეძიოთ არა საქართველოს, არამედ რუსეთის საგარეო ვითარებაში. კიდევ მეტი, რაკი ქართლ-კახეთი 1771 წელს მზად იყო, დაედო ხელშეკრულება უფრო მძიმე პირობებით, მაშასადამე, ხელშეკრულებების დადება 1783 წელს განუპირობებია არა საქართველოს მდგომარეობას 80-იანი წლების დასაწყისში (მისი გაუარესება ან გაუმჯობესება აქ მთავარი არ იყო), არამედ რუსეთის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

რა თქმა უნდა, ეკატერინე II დათმობის მიზეზი დედოფლის კეთილშობილებაში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობდა, არამედ მაშინდელი რუსეთის საერთაშორისო ვითარებასა და იმაში, თუ რა როლი უნდა ეთამაშა საქართველოს, როგორც რუსეთის ერთგულ და საიმედო მოკავშირეს კავკასიის პრობლემის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თურქეთმა სამი საუკუნის მანძილზე, რიგი მიზეზების გამო, მოახერხა მთის კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვითა და ისლამის, მისი სუნიტური სექტის დამკვიდრებით, საიმედო საყრდენი გაეჩინა კავკასიის მთის ტომების დიდკაცებში, რაც კავკასიის პრობლემის გადაჭრას აჭიანურებდა და ართულებდა. ფეხზე წამომდგარ საქართველოს, ცხადია, რუსეთის გეგმების გადაჭრაში საპატიო როლი უნდა ეთამაშა (ეს გაკვირვებულ ბეზბოროდკოს წერილშიც ჩანს.⁷³ შემდგომში, XIX საუკუნეში, საქართველომ მართლაც ეთამაშა ეს როლი, რასაც, სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა).

* * *

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ვითარებას, იგი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ მნიშვნელოვად გაუმჯობესდა. საქართველოს მდგომარეობის შესწავლამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ერეკლე II მეფობაში, ვიდრე 1783 წლამდე (ე. ი. 1744-1783 წლებში), ყველაზე უკეთესი 1775-1783 წლებია. ეს არაა შემთხვევითი: ჯერ ერთი, 1768-1774 წლების ომში დამარცხების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტებულ თურქეთს (ქუჩუკ-კაინარჯის ზავით) აკრძალული ჰქონდა საქართველოში ახალი მიწების ხელში ჩაგდება (ზავით თურქეთმა ვალდებულება იკისრა: «не почитать между ими (ქართველთა შორის — ვ. მ.) никого за своих подданных, кроме тех, кой издревле ей принадлежали»);⁷⁴ ამ საკითხში რუსეთის პოზიცია თურქეთის მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი 50-60-იან წლებში;⁷⁵ მეორე, თურქეთი, თავისი სისუსტის მიუხე-

⁷³ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1772-1804 гг., оп. 110/2, л. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.

⁷⁴ Е. И. Дружинина, Кючук-Кайнарджийский мир, М., 1955, с. 356.

⁷⁵ რუსეთის დიპლომატიამ არაერთხელ აადებინა ხელი თურქეთის სულთანს „სპარსეთის საქმეში“ ჩარევაზე — ქართლში შეჭრაზე.

დავად, ყირიმელი დიდკაცების უგუნური პოლიტიკის გამო, არ ეშვეოდა ყირიმსა და ყაბარდოს, რის გამოც რუსეთთან უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში თურქეთს აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევის თავი კი არა, დასავლეთ საქართველოშიც კარგავდა თავის პოზიციებს (ვითარებით კარგად ისარგებლა სოლომონ I); მესამე, სპარსეთი წინანდებურადვე დაშლილი და დასუსტებული იყო, ხოლო 1779 წლიდან, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, ისევ შინა ბრძოლებმა მოიცვა.

ზემოაღნიშნულ პირობებში ერეკლემ აღადგინა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში, ხელი მოკიდა სამთო საწარმოების გახსნას, რასაც ადრე გარეშე მტრების მომრავლების შიშით ვერ ბედავდა, ხოლო ქვემო ქართლის სპილენძისა და ვერცხლის საწარმოები მეფეს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა; მორიგე ჯარის შექმნით მეფემ მნიშვნელოვნად აღაგმა ლეკთა თარეში. საფუძველს მოკლებულია პ. ბუტკოვის შეუძომებელი ცნობა, თითქოს ლეკებს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს იკლებდნენ.⁷⁶

რაც შეეხება ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენას, იგი 60-იან წლებშიც იყო დაღესტანში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და თავი ქერიმ ხანს შეაფარა, ხოლო ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, რაკი ირანში არეულობა დაიწყო, თავს უშველა და საქართველოში გამოიქცა. ქართლშიც მოვიდა, მაგრამ მარცხი განიცადა და მეორედ გაიქცა დაღესტანში; ამ ფაქტს კი არ უგულვებელვყოფთ, მაგრამ არ შეიძლება მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს, რადგან ალექსანდრე ავანტიურისტი იყო და მისი მომხრეებიც ერეკლეს საკმაოდ წელში გატეხილი ჰყავდა. რაც შეეხება რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებას ალექსანდრე ბატონიშვილისადმი, იგი შერისხული და რუსეთიდან გაძევებული იყო და არც ამჯერად უცდათ მისი გამოყენება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) შინაპოლიტიკური ბრძოლების ჩაქრობისათვის იბრძოდა, რომ თურქეთსა და ირანს ჩარევის საბაბი არ მისცემოდათ.⁷⁷

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე არ ნიშნავდა საქართველოს საერთო მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას, რადგან მტრის ძალები ბევრად ჭარბობდა ქართველთა ძალებს. საქართველოს მოსახლეობა XVI-XVIII საუკუნეებში თურქთა, სპარსელთა და ლეკების შემოსევის წყალობით, კატასტროფულად შემცირდა. მაგალითად, 1254 წელს საქა-

⁷⁶ სამწუხაროდ, ამ შეუძომებელ ცნობას, რომელიც პ. ბუტკოვიდან მოდის (И. БУТКОВ, Материалы, ч. II, с. 119), იზიარებდნენ არა მარტო რევოლუციამდელი, არამედ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც კი (გ. ქ ი ქ ი დ ე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1958, გვ. 166).

⁷⁷ ამ საკითხზე აქ ვერ შეეჩერდებით. ალექსანდრე ბატონიშვილისა და საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლებისადმი რუსეთის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ დავურილებით სპეციალურ მონოგრაფიაში გვექნება საუბარი.

რთველოს მოსახლეობა შეადგენდა 810 ათას კომლს ანუ 4-5 მილიონ კაცს, ხოლო 1770 წელს 87-90 ათას კომლს ანუ 400-500 ათას კაცს (ე. ი. ათჯერ შემცირდა); რაც შეეხება საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს, მისი მოსახლეობა 56 ათას კომლს ანუ 280-300 ათას კაცს შეადგენდა. ამასთან, გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საქართველოს მოსახლეობის გაერთიანება გარეშე ფაქტორის გამო შეუძლებელი იყო.⁷⁸ თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალად თვლიდა, ამიტომ იმერეთისადმი დახმარებას მტრულ აქციად მიიჩნევდა და საპასუხო ზომებს იღებდა. მაგალითად, 60-იან წლებში სულთანმა უბრძანა ახალციხის ფაშას, თუ შეიტყობ, რომ ქართლიდან იმერლებს ეხმარებიან, ნება გექმევ ჩემს უკითხვად შეიჭრა ჯვართ ქართლშიო. მაგრამ თურქეთის მთავრობამ, რუსი დიპლომატების პროტესტის გამო, თავი შეიკავა.⁷⁹ ამიტომ იყო, რომ ქართველ მეფეთა 1758 წლის ურთიერთდახმარების შეთანხმება რეალურად და აშკარად ვერ ხორციელდებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის ძალებს, ლეკებსა და ირანზე რომ არაფერი ვთქვათ, მართო თურქეთი ახერხებდა იმ დროს ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანას (ე. ი. იმაზე მეტს, ვიდრე მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო).⁸⁰ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად ამკვიდრებდა ისლამს და სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს (ახალციხის მხარის, აჭარის, იმერეთის) მოსახლეობის გათურქების პოლიტიკას ატარებდა. იმერეთი სოლომონ I თავგანწირულმა

⁷⁸ ეს ასე იყო არა მარტო 1783 წლამდე, არამედ შემდეგაც, ამიტომ უმართუბლოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის კრიტიკა, რომელიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია“ მოცემული საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის თაობაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 728). ამ ახალმა სადაო თვალსაზრისმა თავისი ასახვა პპოვა შემდგომი დროის ლიტერატურაში (შდრ.: კოხისა და სენსერის ცნობები, თბილისი, 1981, გვ. 272-279); ეს დიდი საკითხია, რომელსაც მრავალი ასპექტი აქვს და მასზე ცალკე გვექნება საუბარი.

⁷⁹ АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1765 г., оп. 89/8, д. 375, лл. 27-30.

⁸⁰ თურქეთი არც ისე „ღონემიხილი“ იყო XVIII საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება და არც ისაა სიმართლე, თითქოს 1787 წელს თურქეთს „ძლივს შეეგროვებოთ 2 ათასი მხედარი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 679, 722, 723); მართალია, თურქეთი XVIII ს-ის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, დაქვეითების გზას დაადგა, მაგრამ ეს „ღონემიხილი“ ვეროპის ქვეყნების ხელშეწყობით, კიდევ 100 წელიწადს აგრძელებდა ბრძოლას თავისი პოზიციების შენარჩუნებისათვის ბალკანეთსა და კავკასიაში და ცნობილია, სულთანის თურქეთმა რა უბედურება მოუტანა რუმინელებს, სერბებს, ხორვატებს, ბერძნებს, განსაკუთრებით ბულგარელებს, ქართველებს, სომხებს. მითი თურქეთის „ღონემიხილობის“ შესახებ ვეროპელმა დიპლომატებმა შეთხზეს, რომ „status quo“ შენარჩუნებისათვის, რათა ოსმანთა იმპერიას ტერიტორია არ ჩამოჭროდა, თურქეთის ბაზარი არ შემცირებულიყო. ამიტომ ელობებოდნენ წინ რუსეთს, აზვიადებდნენ მის გვემებსა (ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“ მათი ნახელავია) და შესაძლებლობებს, ეხმარებოდნენ სულთანს ქრისტიანი ხალხების მონობაში შენარჩუნების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები რუსეთში თავის „მხსნელსა და გამათავისუფლებელს“ ხედავდნენ (ფრ. ენგელსი), ვეროპელი დიპლომატების მიერ XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილი მითი, სამწუხაროდ, დღესაც ვერაა დაძლეული ისტორიოგრაფიაში.

ბრძოლამ და 1768 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, ერეკლე II კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა თურქეთი (შემთხვევით არ იყო მეფე რუსეთის მთავრობას რომ სწერდა: ახალციხეში ბევრია ახალგადასული მაჰმადიანურ რჯულზე და თუ დროზე არ ვუშველეთ, ბევრსაც გადააქცევნო).⁸¹ მას, როგორც ქვეყნის მეთაურსა და მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეს, მორალური უფლება არ ჰქონდა, არ გაეთვალისწინებინა ეს მდგომარეობა. ამიტომ მეფეს, ქვეყნის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიუხედავად, ოდნავადაც არ უყოყმანია და დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რუსეთის დაგვიანებულ პასუხს.

ერეკლეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს მაგალითმა განაპირობა. მეფეს რუსი დიპლომატების „ჩაგონება“ და „ხემოქმედება“ არ ჭირდებოდა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია.

ერეკლე მეორისა და ქართლ-კახეთის სამეფო კარის ერთსულოვან გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი აზრიც აპირობებდა: ჯერ ერთი, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობამ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების შედაფენებში რუსეთისადმი ნდობა განამტკიცა. საქმე ისაა, რომ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლის დროს რუსეთი ქართველებისათვის იმედი იყო, ხოლო მარცხის შემთხვევაში — თავშესაფარი. ამასთან, თურქები და სპარსელები მოსახლეობის გაუფლტისა და ძალით გამაჰმადიანების გარდა, კულტურის ძეგლებსაც (ეკლესია-მონასტრებს) ანგრევდნენ. რუსეთიდან კი ოსტატებს გზავნიდნენ ამ ძეგლების აღსადგენად (საყოველთაოდ ცნობილია რუსი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნეში). თურქებმა და სპარსელებმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო აიკლეს, სტამბა დაანგრიეს და კულტურული საქმიანობა ჩაკლეს. რუსეთში კი გადასახლებულ ქართველებს ადამიანური ცხოვრებისა და კულტურული მოღვაწეობისათვის პირობები შეუქმნეს. XVIII საუკუნეში მოსკოვის ქართული კოლონია, სხვა მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ქართულ ენაზე წიგნებსაც ბეჭდავდა, რომლითაც საქართველოსაც ამარაგებდა.

მეორე, საქართველოს საზოგადოების ქვედა ფენებში — გლეხობაში დიდი იყო რუსეთისადმი ნდობა და პატივისცემა. რუსეთში თავშესაფარსა და ადამიანურ მოპყრობას პოულობდნენ დაღესტნიდან, ყირიმიდან, და თურქეთიდან გამოქცეული ქართველი ტყვეები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. 1758 წელს იმპერატორის ბრძანებულებით რუსეთის გუბერნიების მესვეურებს დაევალით, ტყვეობიდან გაქცეული ქართველებისადმი — „ტყვეობაში გადატანილი გაჭირვებისათვის“ («за полное терпение»

⁸¹ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463; იქვე, 1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 112.

როგორც ეს დოკუმენტებშია ნათქვამი, მიეცათ სამგზავრო პასპორტი, უზრუნველყოთ გზაში სურსათით, ღამის გასათევითა (სასტუმრო) და მეგზურით, რომ სამშობლოში დაბრუნებულ იყვნენ.⁸² რუსეთის არქივებში ათასობით დოკუმენტია შემონახული, გაცემული კიევის, ხარკოვის, ბელგოროდის, ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიებისა და საგარეო საქ-

⁸² ქართველი ტყვეების შესახებ რამდენიმე ტიპური დოკუმენტი ადრე გამოაქვეყნეთ (იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილისი, 1968, გვ. 140-142, 523-525, 542-546); „მასალები“ III წიგნში იბეჭდება 60-70-იანი წლებში რამდენიმე ტიპური დოკუმენტი, მაგრამ რაკი წიგნი ჯერ არ გამოქვეყნებულა, აქვე მოვიტანო ნაწილები: 1) 1763 წლის 8 იანვარს, კიევის ობერკომენდანტის გენერალ ჩინერინის ხელმოწერით, იმპერატორის 1758 წლის ბრძანების შესაბამისად, გაიცა სამგზავრო პასპორტი, რომელშიც ვკითხულობთ: «Объявитель сего, вышедший из татарского плону грузинец Юрий Васильев, отпущен по желанию ево чрез Москву и Астрахань в ево отечество в Грузию. Того ради по тракту от Киева до Москвы и Астрахани чинить ему, грузинцу, свободной пропуск и в рассуждении ево иностранства за полное терпение оказывать ему всякое благодеяние и давать денные и ночные квартиры, а следуя чрез Москву явиться ему, Васильеву, с сим пашпортом ГКИД, а в Астрахане — в тамошней губернской канцелярии» (АВПР, ф. Московская контора КИД, 1763 г., оп. 7/3, д. 95, л. 8); 2) ბელგოროდის საგუბერნიო კანცელარიის მიერ იმპერატორის ბრძანების თანახმად, 1764 წ. 4 აგვისტოს გაცემულ პასპორტში ნათქვამია: «... по присланному прошлого, 1758 году, декабря 9 числа Государственной иностранной коллегии ис кантори указу велено: вышедшим ис плону грузинам давать пашпорты для проходу до Москвы, прописывая во оных, чтоб они явились КИД в кантору и чтоб за полное их терпение в пути показано было им всякое благодеяние и даваны были денные и ночные квартиры бес препятствия, того ради оному грузину Егору Ермолову от Белгорода до Москвы по тракту в городех, селах и деревнях чинит. свободной пропуск без задержания и по его чужестранству и за полное терпение, в силе выше писанного указу, показывать не токмо благодеяние, но и на пропитание ево от доброхотных дателей подавано б было милостиня и денные и ночные кварталы давать, и для показания ему, грузинцу, прямейшаго пути, дабы он, яко незнающей российского языка, з дороги Московского тракта в другую сторону зайтить куда не мог, в городах давать им из обивателей по одному человеку...» (АВПР, ф. Московская контора КИД, 1764 г., оп. 7/3, д. 126, л. 1).

აღსანიშნავია, რომ პასპორტების გაცემისას ტყვეს ვინაობას გამოჰკითხავდნენ. ეს ჩანაწერები ძვირფას მასალას იძლევა ტყვეების საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური კუთვნილების შესახებ. მასალა ცხადყოფს, რომ ტყვეების უმრავლესობა გლეხები იყვნენ. ზოგჯერ პასპორტს ერთად აძლევდნენ რამდენიმე კაცს. მაგ., 1763 წლის 27 სექტემბერს კიევის გუბერნატორმა გლეხობა ერთად მისცა პასპორტი ერეკლე მეფის ყმებს, თელაველ გლეხებს ივანე „ხუციან“ (ხუციშვილის?), იური „ჩელაშულას“ (ჭილაშვილის?) და „ატოსის“ წმ. გიორგის მონასტრის მჭედელს იური „იარაკს“ (?) (АВПР, ф. Московская контора КИД, 1764 г., оп. 7/3, д. 121, лл. 2-3), მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ჯგუფს რაიმე მიზეზით ჩამორჩებოდა, მის შესახებ ცალკე იცემოდა ბრძანება. მაგ., 1764 წლის 14 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიამ ბრძანება გაუგზავნა ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას — სამშობლოში გაგზავნა ყირიმელ თათართა ტყვეობიდან გამოქცეული ოთარ „დათუნოვი“ (დათუნაშვილი?), რომელიც თავის ბიძასთან ელისე „ლალაძესთან“ (ლოლაძე?) ერთად პოლტავიდან ჩასულა მოსკოვში, ელისე მაშინვე საქართველოში წამოსულა, ხოლო ოთარი, აუდმყოფობის გამო, დარჩენილა მოსკოვში და გამოჯანმრთელებულს ნება მიეცა გამგზავრებულიყო სამშობლოში (АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1762-76 гг., оп. 110/2, д. 4, лл. 14).

მეთა კოლეგიის მოსკოვის კონტორის მიერ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ქართლ-კახეთში ყოველწლიურად ათობით, ზოგჯერ ასობით გლეხი, სასულიერო პირი, აზნაური და თავადი ბრუნდებოდა რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

მრავალი ამგვარი საბუთის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ფაქტს გავიხსენებ: 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა რუსეთის ესკადრა. მათ მიმართეს თურქეთიდან გაქცეულმა სამმა ქართველმა ტყვემ. ისინი ა. ორლოვის ბრძანებით 1772 წლის ივნისში რუსმა მეზღვაურებმა პეტერბურგში წამოიყვანეს, ხოლო ოქტომბერში საგარეო საქმეთა კოლეგიის თანხმობით, მისცეს სამგზავრო პასპორტები, გამოცილებული ჯარისკაცი ასტრახანამდე, დაუქირავეს ოთხი „ფურგონი“, რომელშიც 154 მანეთი გადაიხადეს და მისცეს სახარჯო ფული 20-20 მანეთი; ასტრახანიდან, ასეთივე წესით გამოაცილეს ყიზლარსა და მოზდოკამდე.⁸³ 1772 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნდა 200-ზე მეტი ტყვედამყოფი ქართველი, რომლებიც რუსეთის ჯარმა ყირიმის დაკავების დროს გაათავისუფლა⁸⁴ (ერეკლე II 1782 წლის 18 ოქტომბერს ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ყირიმში რუსეთის ჯარმა რამდენიმე ათასი ქართველი გაათავისუფლაო).⁸⁵ გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როცა რუსეთის მოხელეები გამოისყიდინენ ქართველ ტყვეებს (ყიზლარის კომენდანტი გენერალი სტუპიშინი,⁸⁶ პოლტავის კომენდანტი თურქისტანოვი⁸⁷ და სხვა), ათავისუფლებდნენ და სამშობლოში წასვლის ნებას რთავდნენ. რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ქართველებს ტყვეობაში მყოფი ნათესავების მოძებნისა და გამოსყიდვის საქმეში. მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის შუამდგომლობით 1773 წლის 31 დეკემბერს ეკატერინე მეორემ განკარგულება გასცა, აპსინძის ბრძოლის მონაწილე თავად პავლე ანდრონიკაშვილისათვის მიეცათ 500 მანეთი ლეკების მიერ 1770 წელს გატაცებული დედის, ცოლისა და ორი დის გამოსასყიდად.⁸⁸ 1763 წლის 10 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ ნება დართო აზნაურ რევაზ ჯომარჯიძეს გამგზავრებულიყო პოლონეთში თავისი ძმის პეტრეს მოსაძებნად, რომელიც 40 წლის წინ ლეკებმა გაიტაცეს და გაყიდეს თურქეთში, საიდანაც პოლონეთში გაქცეულიყო.⁸⁹

შემთხვევითი არაა, რომ ერეკლე II 1770 წელს ქერიმხანთან წერილში საგანგებოდ უსვამდა ხაზს რუსეთის დამსახურებას ქართველი ტყვეების

⁸³ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-73 гг., д. 9, лл. 242-259; იქვე, 1770-74 гг., д. 14, лл. 329, 330.

⁸⁴ იქვე, 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 18.

⁸⁵ იქვე, 1782 г., оп. 110/3, д. 458, лл. 21-22; Грамоты, II, вып. II, с. 15-16.

⁸⁶ АВПР, ф. Московская контора КИД, 1765 г., оп. 7/3, д. 105, л. 5.

⁸⁷ იქვე, оп. 7/3, д. 103, л. 1-10.

⁸⁸ АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1771-76 гг., оп. 110/2, д. 16, лл. 147-150.

⁸⁹ იქვე, 1762-74 гг., оп. 110/2, д. 4, лл. 4-8.

დახსნის საქმეში, რითაც თავის კავშირს რუსეთთან ასაბუთებდა.⁹⁰ ალბათ, ზედმეტი არ იქნება თუ აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ.) შემდეგ, ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთის მხრივ საერთაშორისო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს რუსეთის ელჩების მოხსენებები კონსტანტინოპოლიდან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში (სადგერიდან-გაგაზა-მდე), ალბათ, არც იყო სოფელი, სადაც რუსეთის მთავრობის დახმარების წყალობით ტყვეობიდან თავდახსნილი გლეხი არ ცხოვრობდა.⁹¹ სწორედ ამიტომ რუსეთისადმი ნდობამ და რუსულმა ორიენტაციამ საქართველოში საყოველთაო საერთო სახალხო ხასიათი მიიღო, მას პროპაგანდა არ სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის 1770 წლის ზავსა და კავშირს შორის უნდა ვხედავდეთ რუსეთთან კავშირს, რუსეთის ჯარი გაემდგინა საქართველოდან და მორიგებოდა ოსმალეთს (АВПР, ф. Сп. Росии с Грузией, 1768-75 гг., оп. 110/2, д. 20, лл. 75-78). საპასუხო წერილში ერეკლე მეფეს ჩამოთვლილი აქვს ფეხი ის უბედურება, რასაც ახალციხის ფაშა და მასთან კავშირში მყოფი ლეკები აყენებდნენ საქართველოს და აღნიშნავს, რომ სულთანის მის თხოვნას უწრად არ იღებს და ქვეყანა იღუპება. ერეკლე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ: «ни с турецкой стороны обороны мне не было, ни Персия к ранам моим пластыря не приложила, равномерно ж и от протчих соседей, ближних и дальних, никакого вспоможения против эхшекинцев (ახალციხელების — ვ. მ.), лезгинцев, нападающих на Грузию, ожидаю мне осталось» (იქვე, 82-86). ქვემოთ მეფე „მგობრულად“ უხსნის ქვრივ ხანს რუსეთთან კავშირის მიზნებს, რომელთაგან გამოყოფს ორს: «первое, все попадающиеся по случаям здешние жители в плен к лезгинцам и туркам высвобождаются помощью российской монархини, коим не токмо дается воля в возвращении им в свое отечество, но бедные, изнуренные из них и лишеныя дневного пропитания приемлются милостиво и снабждаются во всем шедно. И второе, живущие в соседстве с Грузиею... горские народы, ежали бы не опасались российской монархини, не преминули б Грузии причинять крайние разорения» (იქვე).

⁹¹ აკად. ნ. ბერძენიშვილის მსჯელობა, თითქოს ჩრდ. კავკასიაში ახალი დაბა-სოფლების გაჩენასთან დაკავშირებით „...ქართველი... ტყვეები ყირიმისა და, საჩაჩარ-დაღესტნიდან“, იქ „სხედებიან და საშობლოში კი აღარ“ მოდიანო, რადგან იქ უკეთესი პირობები ქვინათ და „რუსული ხელისუფლებაც არ შეეღობა მათ ადვილად“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 167), სიზუსტეს მოკლებულია. როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე „ფიზიკურად და მოზღოვის საქმეს“ (სულ ერთი საქმეა ასეთი) და მოზღოვის მოსახლე ქართველთა გრძელ სიას მიუყვანია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მოზღოვში ქართველთა მომრავლება, ძირითადად, თურქისპირა ქართული კოლონიების ხარჯზე მოხდა. მართალია, მოზღოვში მოახალშენეთა მიწვევაზე ფ. ფიცხელაურმა დიდად იღვაწა, მაგრამ ყურადღების ცენტრში მთიელთა მიწვევა და გაქრისტიანება იდგა, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულ ორიენტაციას ფართო ასპარეზი მოეპოვებინა. რაც შეეხება ტყვეობიდან გაქცეულ ქართველებს, რუსეთის მთავრობა 60-70-იან წლებში სამშობლოში დაბრუნების საქმეში, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან აჩვენებს, არაფერს დაბრკოლებას არ უქმნიდა. კიდევ მეტი, თუ ტყვეობიდან გათავისუფლებულ ქართველთაგან ერთეულები მაინც რჩებოდნენ რუსეთში (ქართულ კოლონიებში ქართველ ქალებს დაქორწინების და სხვა მოტივებით), მათ საგანგებოდ, დასაბუთებას თხოვდნენ და საგუბერნიო კანცელარიის მიერ გაცემულ პასპორტს ჩამოართმევდნენ (ასეთი ჩამოართმეული პასპორტები ერთეულებიდან იმდენი იყო, ახალ პასპორტს აძლევდნენ და საგანგებო აღრიცხვაზეც აწყავდათ. ასე რომ, რუსეთში დარჩენა აკრძალული არ იყო, მაგრამ იგი დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სამშობლოში დაბრუნება. არც ქართველ თავადახსნურობას ეპატივებდნენ საგანგებოდ, მხოლოდ თავშესაფარს აძლევდნენ, თუ ისინი ითხოვდნენ — ამის დასტურად ივანე ბაგრატიონის (პეტრეს მამის) მაგალითიც იქმარება (იხ. АВПР, ф. Кизлярские и Моздокские дела, 1762-72 гг., д. 1, лл. 312-314, 319-320 და ა. შ.).

თის მფარველობაში შესვლა — გეორგიევსკის ტრაქტატის დადება XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილი კონიუნქტურით კი არ ყოფილა ნაკარნახევი, არამედ საქართველოს საერთო ვითარების სერიოზული განსჯისა და საფუძვლიანი გაანალიზების, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გათვალისწინებით მოხდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას, როგორც ზემოთ ითქვა, საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: ერეკლეს II პროექტი, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა და ეკატერინე II მითითებანი გრ. პოლიომკინისადმი.

ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი,⁹² რომელიც ა. ბებოროდკოს ავტოგრაფითაა შემონახული, გულისხმობდა ორივე ქართულ სამეფოსთან (ქართლ-კახეთთან და იმერეთთან) სამოკავშირეო-მფარველობით ხელშეკრულების დადებას,⁹³ მაგრამ თურქეთის აშკარა გამოწვევას (იმერეთი თურქეთის სავასალო ქვეყანა იყო) თავი აარიდეს. დამოუკიდებელი ყირიმის შეერთება (თუმცა იგი არღვევდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს) და ასევე დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება (თუმცა ისიც არღვევდა რუსეთ-თურქეთის ტრადიციულ დამოკიდებულებას „ირანის საკითხისადმი“, — ორივე დიდი სახელმწიფო XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში მტკიცედ სთხოვდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთის, როგორც ირანის სავასალო ქვეყნის საქმეებში აშკარა ჩარევისაგან თავი შეეკავებინათ — და აგრეთვე ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებსაც), ეს ორი აქტი, მაინც არ ნიშნავდა თურქეთის კუთვნილი ტერიტორიის ხელყოფას, თურქეთის სამინაო საქმეებში აშკარა ჩარევას.⁹⁴

1783 წლის 7 მაისს გენერალმა პ. პოლიომკინმა პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით თავად გრ. პოლიომკინისაგან მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადგები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა.⁹⁵ გენერალი პ. პოლიომკინი სოლომონ მეფეს სწერდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლებელი გახადოს თქვენი მიღებაცო, ახლა კი იმპერატორის სურვილია, თქვენ და ერეკლე მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოთო.⁹⁶ ერეკლესადმი წერილში გენერალი

⁹² არ გამოორციხავთ პროექტის სხვა ვარიანტის არსებობას.

⁹³ АВПР, ф. Сп. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 46-56; Грамоты, II, вып. II, с. 32-41.

⁹⁴ თურქეთი იოლად როდი შეხვდა ამ ორ აქტს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ამიერკავკასიელი მამულებიანი მფლობელების ამხედრება, ხოლო შემდეგ რუსეთ-თურქეთის 1787-91 წლების ომი.

⁹⁵ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 66. об.

⁹⁶ იქვე. 67.

მეფეს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ულოცავდა და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ტამარა მოგცემთ, ელჩები შეარჩიეთ გეორგიევსკში გამოსაგზავნად, ხოლო ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვა და მაჰმადიან ხანებსაც გაფრთხილება გაეგზავნებათ.⁹⁷ მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა აგრეთვე პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მდგომარეობა უნდა შეესწავლა.⁹⁸

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე II გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე), ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს. პოდპოლკოვნიკ ტამარას ცნობით, ერეკლეს რუსულიდან „თარგმანის“ მიმართ შენიშვნები გაუკეთებია და შესწორებებიც შეუტანია, რაზედაც პოდპოლკოვნიკი ტამარა დაჰპირებია, თუ რუსეთში მთარგმნელები მისაღებად მიიჩნევენ, გავასწორებთო.⁹⁹

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს წარმომადგენლების შემაღველობა: პირველ ელჩად დაინიშნა თავადი ივანე ბაგრატიონი, მეორე ელჩად — თავადი გარსევან ჭავჭავაძე, ასისტენტად — თელავის სემინარიის რექტორი გაიოზ არქიმანდრიტი. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ელჩების ამაღლა 20 კაცის (სულ 24) შემაღველობით. ამასთან, თუ ელჩებს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო.¹⁰⁰ 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავად-აზნაურთა სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა¹⁰¹ და მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი გრ. პოტიომკინი დანიშნა, ამასთან, თუ იგი მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა თვითონვე დაენიშნა სხვა წარმომადგენელი. ასეც მოხდა — გრ. პოტიომკინმა თავის წარმომადგენლად დანიშნა თავისი ნათესავი „კავკასიის ხაზის“ სარდალი გენერალი პავლე პოტიომკინი.¹⁰²

1783 წლის 15 ივლისს ქართლ-კახეთის წარმომადგენლები მოზდოკში ჩავიდნენ. პ. პოტიომკინი, ცნობის მიღებისთანავე, ყუბანიდან გეორგიევსკში დაბრუნდა, 16 ივლისს ელჩებს პორუჩიკი თავადი ჩოლოყავეი (ჩოლოყაშვილი) გაუგზავნა მისასალმებლად და 50 ცხენი მიართვა, ხოლო 17 ივლისს პოდპოლკოვნიკი ტამარა მოზდოკში გაგზავნა ეკიპაჟით, რომ ქართველი

⁹⁷ იქვე, 68-69.

⁹⁸ ს. ბურნაშოვის მოხსენებები, როგორც ძვირფასი საისტორიო წყარო, ჩვენი „მასალების“ IV წიგნში დაიბეჭდება.

⁹⁹ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.

¹⁰² АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3, 9.

ელჩები მიეცილებინა გეორგიევსკამდე; 18 ივლისს გეორგიევსკიდან მაიორი კომარსკი გაიგზავნა, რათა იგი ელჩებს პავლოვსკის ციხე-სიმაგრეში შეხვედროდა, მთავარსარდლის სახელით ბედნიერად ჩასვლა მიელოცა და გეორგიევსკამდე მიეცილებინა. ელჩობის მარშლად დაინიშნა სეკუნდ-მაიორი გრაფი აპრაქსინი, რომელიც გეორგიევსკის მახლობლად უნდა შეხვედროდა ელჩებს და რეზიდენციამდე გასძლიოდა, ხოლო ქართველ ელჩებს ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან უნდა შეხვედროდა მაიორი გილი; პოლკოვნიკი მოლოჟენნიკოვს, როგორც ციხე-სიმაგრის უფროსს დაევალა, რეზიდენციაში მიეყვანა ელჩები და გამასპინძლებოდა. 18 ივლისს საღამოს 8 საათზე, ზემოაღნიშნული ცერემონიალის დაცვით, ელჩები გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შევიდნენ.¹⁰³

1783 წლის 19 ივლისს დღის 9 საათზე ქართველ ელჩებთან გამოცხადდა ელჩობის მარშალი გრაფი აპრაქსინი და აცნობა, რომ 11 საათზე სხდომა იყო დანიშნული. მთავარსარდლის მისაღებად ელჩებს პატივით მიეგებნენ. დაიწყო პირველი სხდომა, რომელიც საზეიმო ხასიათს ატარებდა. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს გარსევან ჭავჭავაძემ და პავლე პოტიომკინმა. დღის 5 საათზე დაიწყო მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: პ. პოტიომკინი, ი. ბაგრატიონი, გ. ჭავჭავაძე, გაიოზ არქიმანდრიტი, ქართული საელჩოს მდივანი, პოდპოლკოვნიკი ტამარა და მთარგმნელები — პორუჩიკი თავადი ჩოლოყავეი (ჩოლოყაშვილი) და პორუჩიკი სევარსამიძე. პ. პოტიომკინმა სხდომა გახსნა შესავალი სიტყვით, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ დათმობებს, რომელიც რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სასარგებლოდ გააკეთა (იგულისხმება ერეკლეს პროექტის შერბილება), ხოლო შემდეგ ი. ბაგრატიონს გადასცა იმპერატორის მიერ გრ. პოტიომკინისათვის მიცემული რწმუნების სიგელი და გრ. პოტიომკინის მიერ მისთვის მიცემული რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი. შემდეგ ქართველმა ელჩებმა პ. პოტიომკინს გადასცეს მათი რწმუნების სიგელი.¹⁰⁴ რწმუნების სიგელების გაცვლის შემდეგ დაიწვეს ხელშეკრულების ტექსტის კითხვა (ჯერ წაიკითხეს რუსული ტექსტი, შემდეგ — ქართული). მოლაპარაკებისას წამოიჭრა საკითხები, რომლებზედაც მხარეებმა წერილობითაც კი მიმართეს ერთმანეთს. 21 ივლისს კამათი ეხებოდა მეფის კურთხევას, ტიტულს, გერბს, კათალიკოსის ადგილს რუსეთის სინოდში და სხვა. 23 ივლისს სხდომაზე დაიწვეს ტექსტის ხელმეორედ კითხვა (რუსული წაიკითხა ტამარამ, ქართული — გაიოზმა). ყოველი მუხლი ერთმანეთს შეადარეს მთარგმნელებმა (ჩოლოყაშვილმა და სევარსამიძემ). 1783 წლის 24 ივლისს დილით წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: ტრაქტატის ძირითად ნაწილს, სეპარატულ მუხლებს და „ფიცის სახეს“ (რუსულ და ქართულ ტექსტებს), ჯერ პ. პოტიომკინმა, ხოლო შემ-

¹⁰³ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 164-165.

¹⁰⁴ იქვე, лл. 166-168.

დევ ქართველმა ელჩებმა.¹⁰⁵ წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა გარსევან ჭავჭავაძემ, სადაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში გრ. პოტიომკინის დამსახურება. 24 ივლისს სალამოს მთელი ქალაქი გეორგიევსკი გაჩირადღნებული იყო. იმავე დღეს პ. პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართველ თავად-აზნაურთა სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრ. პოტიომკინს და აცნობა: 25 ივლისს ქართველი ელჩები მთავარსარდლის ბანაკს მოინახულებენ, ხოლო 27 ივლისს სამშობლოში გაემგზავრებიან.¹⁰⁶

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისაგან და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“). ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭდები დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენებზე შედგა, ორივე ტექსტი სრული ძალისა იყო, არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არ აქვს, ამიტომაც ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი“ ახლდა, ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა.¹⁰⁷ ეს გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანიურთ“),¹⁰⁸ რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული),¹⁰⁹ ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანიურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადაეცა, ჯერ მიკვლეული არ არის.¹¹⁰

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის 13 მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის პრეამბულა, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ან „მეგობრობითი პირობის“ (რუსული ტექსტით „მეგობრობის ხელშეკრულების“ — «дружественный договор») დადების მოტივები. აღნიშნულია, რომ საქართველოს ოდიტგანვე აწუხებდა მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შეუთანხმდით, რომ ქართლ-კახეთის მეფე სცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგან. შემდეგ დახასიათებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომად-

¹⁰⁵ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 169-175.

¹⁰⁶ იქვე, 162, 176.

¹⁰⁷ В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783 года, см. журн. «Литературная Грузия», 1982 г., № 2, с. 201-210.

¹⁰⁸ მართალია, „თარგმანს“ ბეჭედი არ აქვს დასმული, მაგრამ, ცხადია, იგი დედანს ზუსტად იმეორებდა.

¹⁰⁹ АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8, 9-12.

¹¹⁰ რუსული დედანი, ალბათ, ადა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლესიას ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

გენლები და ქვემოთ 13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებული შეთანხმების პირობები, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თვისითა მემკვიდრეთა და მენაცულეთა თვისთა“ სახეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს სცნოს ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას;

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან, იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც ერეკლე თეიმურაზის ძე, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერთებს, რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმაღლესი აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა უგზავნის მათ სამეფო ნიშნებს¹¹¹ და იღებენ ერთგულების ფიცს; ამ წესს ადასრულებს ერეკლე მეფეც (მუხლი 3);

4) ერეკლემ (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) ერეკლე II რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა მფლობელ მთავართა მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი (წარმომადგენელი, მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა და მიიღო ეს უფლება, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვა მას, ქართლ-კახეთს: ა) ქართული სამეფოების მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის მტრად ჩათვლის, ხოლო თურქეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები მათზეც ვრცელდება; ბ) ერეკლესა და მის შთამომავლებს „დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები — მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნებაა და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

¹¹¹ როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები სამეფო ტახტზე ავლენ, აცნობენ რუსეთის მთავრობას, ხოლო იმპერატორისაგან მიიღებდნენ წერილობით დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს: დროშას რუსეთის გერბით (მათ ჰქონდათ საკუთარი სამეფო გერბიც), ხმალს, კვერთხს და ყარყუმის მანტიას (წამოსასხამს).

7) ერეკლე, რუსეთის იმპერატორის აღთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეების სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურზე; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და ასრულებდეს მათ მოთხოვნას და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის, თუ მათი დაწინაურებისას, გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათს დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებს მერვე ადგილს (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადაზნაურობა უფლებებით უთანაბრდება რუსეთისას, სათანადო პატივი რომ მიაგონ რუსეთში ჩასვლისას — ერეკლესაგან ითხოვენ სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში და სურვილისამებრ დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოსხნილი იქნებიან სპარსეთის ან თურქეთის ტყვეობიდან, სურვილებისამებრ უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ, ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოსხნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლებენ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსი ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევა ისეთივე უფლება საქართველოში, აგრეთვე საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისა (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ — «на вечные времена»), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება ადრეც (მუხლი 13);¹¹²

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რომელიც დაიდო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელს აწერენ: გენერალი პ. პოტიომკინი, თავადი იოანე ბაგრატიონი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე, დასმულია მათი ბეჭდები.¹¹³

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა 4 სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული), რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ერეკლეს ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს სოლომონ იმერთა მეფესთან, ხოლო

¹¹² АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-5. (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 9-12).

¹¹³ იქვე, 5.

უთანხმოების ჩამოფარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ხარჯით ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი“ (კაკასიის ხაზის სარდალი) უფლებამოსილია იმპერატორისაგან, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს ერეკლეს და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარი იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ადგილობრივი (ქართლ-კახეთის) მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).¹¹⁴

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, მას ხელი მოაწერეს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.¹¹⁵

ცალკე დოკუმენტის სახით გაფორმდა ფიცის ნიმუში („სახე“), რომელიც ერეკლეს უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებული იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს პავლე პოტიომკინმა, იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს პავლეს და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნება ერთგული რუსეთის იმპერატორისა და აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას, უარყოფს სხვა ხელმოწეფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად შერაცხს.¹¹⁶

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. „შესასრულებელი არტიკული“ ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგან სამეფო ტახტზე გვირგვინით იმკობოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს ასეთივე წესით ეკურთხონ, მაგრამ, ამას გარდა, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მას ინვენსტიტურას და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, მეფე მიიღებს მას და ატარებს. ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ ეს მუხლიც ხელმოწერილია ხსენებულ წარ-

¹¹⁴ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 6 (შდრ.: რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 13-14).

¹¹⁵ იქვე, 6.

¹¹⁶ იქვე, 8 (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცელი 16).

მომადგენელთა მიერ, დასმული აქვს მათივე ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის 24 იანვარი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებულია ქ. თბილისი.¹¹⁷ თუმცა, როგორც ცნობილია, პ. პოტიომკინი 1784 წლის იანვარში თბილისში არ ყოფილა, ამასთან, საქმეში იქვე დაცული დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს“ თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს.¹¹⁸ როგორც ირკვევა, ეს მუხლი, გეორგიევსკში იქნა შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ მათი სუვერენები არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ ეკატერინემ დაამტკიცა იგი და პოლკოვნიკმა ტამარამ 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პ. პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა, თან პოლკოვნიკ ტამარას დაავალა, რომ ეთხოვა ერეკლე მეფისათვის «чтоб он приказал сей артикул бывшим полномочным подписать, а такой же написать (იგულისხმება ქართულ ენაზე — ვ. მ.) за их печатми и подписью комне доставить».¹¹⁹ ასე რომ, ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური, დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს და საქართველოს წარმომადგენლებმა, ერეკლეს მიერ ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, მოაწერეს ხელი (ასევე რუსულ ეგზემპლარსაც), 25 იანვარს ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა ტამარამ ტექსტები გაცვალეს¹²⁰ (ქართული პოლკოვნიკმა ტამარამ ჩაიბარა, ხოლო რუსული — ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ), ხოლო პ. პოტიომკინს, ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია). ამიტომაც, რომ დამატებითი მუხლის ქართული ტექსტი გაფორმებითაც და ხელითაც განსხვავდება ტრაქტატის დედნის დანარჩენი დოკუმენტებისაგან, იგი იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც სარატიფიკაციო სიგელი.¹²¹

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ, რასაც სიხარულით შეხვდნენ. პოლკოვნიკი ბურნაშოვი თავად გრ. პოტიომკინს სწერდა: ერეკლე ტრაქტატით ძალზე კმაყოფილია, დიდებულები მასში საკუთარ სარგებლობას ხედავენ, ხალხი ადიდებს მარჯვენას, რომელიც მას ლეკებისაგან დაიცავსო.¹²² 1783 წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი დანიშნა. ზემოთ პოლკოვნიკი ბურნაშოვი მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, სალუტი მისცეს,

¹¹⁷ იქვე, 7.

¹¹⁸ იქვე, 15.

¹¹⁹ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344; იქვე, ч. II, лл. 29-30.

¹²⁰ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344.

¹²¹ АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Н, საქმე №2073-ა, №2073-ბ.

¹²² ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 251-252.

ხოლო სალამოს მეფის სასახლე და მთელი ქალაქი გაჩირადნებული იყო. მხიარული ხალხი მთელი დამე ქუჩაში დადიოდა.¹²³ ზემოთ გაიოზ არქიმანდრიტმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის ტექსტი რუსეთში გაგზავნეს.¹²⁴

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს მისი დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი — 13 მუხლი მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გასაცხადებლად“, რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში,¹²⁵ 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II მოახდინა ტრაქტატის ანუ როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და საქართველოში გამოგზავნეს.¹²⁶

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა. 3 ნოემბერს ისინი თბილისის გარეთ ვაკე მინდორზე, ქალაქიდან 3 ვერსზე (ალბათ, საბურთალოსზე, დღევანდელ სპორტის სასახლის ახლოს) პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა საპარადოდ მოაწყო და ერეკლეს წარუდგინა, ხოლო 4 ნოემბერს პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა ერეკლეს წარუდგინა რუსის ჯარის ობერ და შტაბ ოფიცრები.¹²⁷

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პ. პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.¹²⁸

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე მეორემ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ბურნაშოვისა და ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს,¹²⁹ ხოლო ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ტამარას.¹³⁰

¹²³ იქვე, 253-254.

¹²⁴ იქვე, 256-259.

¹²⁵ ერთი ეგზემპლარი ინახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (იხ. АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82).

¹²⁶ ეკატერინე II მიერ რატიფიცირებული რუსული ტექსტი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ზემოთ ნახსენები მიხეზების გამო, მაგრამ შენახულია მისი „შავი“ პირი (იხ.: АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 71-79).

¹²⁷ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 284-290.

¹²⁸ იქვე, 343-349.

¹²⁹ ქართული სარატიფიკაციო სიგელი რუსეთის მხარეს გაიგზავნა, მაგრამ 1922 წელს იგი საქართველოს დაუბრუნდა (იურიდიულად იგი რუსეთის მხარის კუთვნილება იყო) სხვა უნიკალურ ქართულ მასალებთან ერთად და ამჯერად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ფონდი Н, საქმე №2073-ა და საქმე №2073-ბ).

¹³⁰ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. II, лл. 29-30.

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშოვი, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის (რეზიდენტის, მინისტრის) ფუნქციის შესრულებას, ხოლო 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად (რეზიდენტად, მინისტრად) რუსეთის სამეფო კარზე თავადი გარსევან ჭავჭავაძე დანიშნა.¹³¹

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში,¹³² რომლითაც რუსეთი პირველად აცხადებდა საჯაროდ დიდი მაჰმადიანური იმპერიების — ოსმალეთისა და სპარსეთის — გასაგონად, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ დაიცავდა ქრისტიანულ საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთიც ასევე პირველად აცხადებდა საჯაროდ, რომ იგი სამუდამოდ ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს და მხოლოდ რუსეთის მფარველობას სცნობდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება ორი სამყაროს, ფეოდალური ეპოქის ორი უმთავრესი იდეოლოგიის დაპირისპირებაც იყო, მაგრამ იგი საკუთრივ თურქეთისა და ირანის ტერიტორიის ხელყოფას არ გულისხმობდა, არც ამ ქვეყნების რელიგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, იგი არც ე. წ. „საბერძნეთის პრაექტის“, თურქეთის „წაქცევის“ გეგმის ნაწილი ყოფილა, იგი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიისა და შაჰის ირანის მტაცებლურ გეგმებს ზღვარს უდებდა კავკასიის რეგიონში.

გეორგიევსკის ტრაქტატით, ან თვით ხელშეკრულების გამოთქმა რომ ვიხმაროთ „მეგობრობის პირობით“, ან „მეგობრობის ხელშეკრულებით“, ამ ორმხრივი სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულებით, ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით სამუდამოდ შევიდა რუსეთის მფარველობაში. გეორგიევსკის ტრაქტატით ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სამხედრო-

¹³¹ იქვე, 30.

¹³² 1944 წელს ნ.ბერძენიშვილმა 1587 წლის კახეთის მეფის „ფიცის წიგნსა“ და 1589 წლის რუსეთის ხელმწიფის „წყალობის სიგელს“ ერთგან უწოდა „ხელშეკრულება“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV გვ. 23). თუმცა ნ.ბერძენიშვილი იმავე ნაშრომში უმთავრესად, სხვა ტერმინებს ხმარობს „ფიცის წიგნი“, „წყალობის სიგელი“, ორივეს ერთად „მფარველობა ხელდებულების აქტს“ უწოდებს. ეს თვალსაზრისი, ხსენებული ცალმხრივი აქტების მიმართ, ზოგმა უბრალოდ გაიმეორა, ზოგმაც „ფიცის წიგნს“ ხელშეკრულება უწოდა, ხოლო „წყალობის სიგელს“ — მისი რატაფიკაცია. შემდეგ ტერმინი „ხელშეკრულება“ გაავრცელეს XVII საუკუნის ანალოგიურ დოკუმენტებზეც და ბოლოს „ხელშეკრულებებით“ გატაცებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამ ბოლო დროს ზოგი მკვლევარი პეტრე I და ვახტანგ VI შორის დადებულ ხელშეკრულებაზეც კი ლაპარაკობს, თუმცა თვითონვე აღიარებს, რომ „იურიდიულად ეს ხელშეკრულება არსად იყო გაფორმებული“. ამ თვალსაზრისს ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

პოლიტიკური კავშირი, რომლითაც ქართლ-კახეთის მეფე ქვეყნის საშინაო მმართველობაში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკის საკითხები უნდა შეეთანხმებინა მფარველ-მოკავშირესთან — რუსეთთან, რომელმაც იკისრა ქართლ-კახეთის დაცვა საგარეო მტრებისაგან. მართალია, ეს იყო ქართლ-კახეთის მეფის მიერ თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა, მაგრამ ერეკლე II ეს ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთ საქართველოს უშიშროებისა და მისი ისტორიულ საზღვრებში აღდგენისათვის, რაზედაც მეორე მხარისაგან ოფიციალური ხელშეკრულებით დაპირება მიიღო.

გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა დიდი იყო, როგორც რუსეთის, ასევე კავკასიის ხალხებისათვის. ჯერ ერთი, ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე ჩრდილოეთ ოსეთში შეიქმნა რამდენიმე გამაგრებული პუნქტი, რათა საქართველოსთან უზრუნველყოთ უშიშარი კომუნიკაციები. ამით ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილი გათავისუფლდა ყაბარდოელ მთავართა ბატონობისაგან და რეალურად აღმოჩნდა რუსეთის მფარველობაში, ოსებს გზა გაეხსნათ მოზდოკისაკენ. მეორე, ჩრდილოეთ ოსეთში ფეხის მოკიდებით რუსეთმა გათიშა ყაბარდოელი მთავრები და იქ მოქმედი თურქეთის აგენტები ჩეჩენ-დაღესტნელებისაგან. ეს კი გზას უხსნიდა რუსეთს ხსენებულ რაიონებში დამკვიდრებისაკენ. მესამე, გეორგიევსკის ტრაქტატი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე იმერეთის სამეფომ ხელახლა დასვა საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პირობებით, ხოლო სომხებმა ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ხანიც მზად იყო შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

ერეკლე II ფართო გეგმებს სახავდა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების განხორციელებისათვის, მაგრამ მტრებსაც არ ეძინათ. ოსმალეთის იმპერია, რომელსაც მხარში ამოუდგნენ ევროპის ქვეყნები, მალე აშკარად გამოვიდა. სულთანის ფულმა და აგენტურამ მოახერხა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კავკასიელი მფლობელების ამოქმედება და საქმეში ლეკების აქტიურად ჩაბმა. თურქეთის აგენტურამ ჩრდილო კავკასიაში გააჩაღა მთიელთა მოძრაობა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა რუსეთის სამხრეთ საზღვარზე (კავკასიის ხაზზე) მდებარე ციხე-ქალაქებს. კავკასიაში შეიქმნა განსაკუთრებით რთული ვითარება. მიუხედავად ამისა, ერეკლე II ურყევად დარჩა გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული და ბრძოლას აგრძელებდა.¹³³ ხოლო იმერეთის დიპლომატები თანმიმდევრულად იბრძოდნენ რუსეთ-

¹³³ ქართველმა დიპლომატებმა ისიც კი სცადეს, რომ თურქეთისათვის დაეპირისპირებინათ მისივე ქვეშევრდომები აზიასა და აფრიკაში და დაეკავშირებინათ ისინი რუსეთთან (В. Мачарадзе, Грузинские документы по истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х гг. XVIII века, Тбилиси, 1967).

თან ანალოგიური ხელშეკრულების დასადებად,¹³⁴ რადგანაც რუსეთთან კავშირში ხელდადნენ ქართველი ხალხის, მისი ენის, სარწმუნოებისა და კულტურის ხსნის ერთადერთ გზას და ამაში ისინი მართალნი იყვნენ.¹³⁵ მათი ნაბიჯის სისწორის უტყუარი მოწმობა იყო ქართველი ხალხის სამსწლოვანი უთანასწორო ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის მიმე შედეგები: კატასტროფულად შემცირებული საქართველოს მოსახლეობა, ქვემო ქართლის (და არა მარტო ქვემო ქართლის) დაცარიელებული სოფლები, დიდებული კულტურის ძეგლების ნანგრევები და სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ-გათურქებული მოსახლეობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო კავკასიის პრობლემის გადაწყვეტისა და საქართველოს აღდგენა-გამოხსნის დიდი გეგმა, რომლის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ და ბევრი ბრძოლაც დასჭირდა, მაგრამ ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა, ქართველობა გადარჩა.

ტექსტისათვის

ტრაქტატის ქართული პროექტი, რომელიც 1783 წლის მაისში საქართველოში პოდპოლკოვნიკმა ტამარამ ჩამოიტანა, ჩვენი ვარაუდით, პეტერბურგში შესრულებული რუსული პროექტის თარგმანი იყო. ჩვენთვის ვარაუდით, მთარგმნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვის ქართულ კოლონიაში აღზრდილი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და 60-80-იან წლებში დოკუმენტების ცნობილი მთარგმნელი, აკადემიის სტამბაში 1783 წლის ბოლოსა და 1784 წლის დასაწყისში დაბეჭდილი ქართული ტექსტის რედაქტორი თავადი ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი).¹³⁶ მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის სათავეებთან იდგნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი და სხვ.

ხელშეკრულების პროექტის ქართულ ტექსტს თბილისში 1783 წლის მაის-ივნისში რედაქცია გაუკეთეს ერეკლე II, ანტონ კათალიკოსმა და მისმა მოწაფემ თელავის სემინარიის რექტორმა გაიოზ არქიმანდრიტმა. მათვე გაუკეთებიათ შენიშვნები რუსულ ტექსტზეც.¹³⁷ გეორგიევსკში 1783 წლის 19-23 ივლისს ხელშეკრულების დედნის ქართულ ტექსტს საბოლოო რე-

¹³⁴ იმერეთის დიპლომატიის ბრძოლა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების დასადებად. იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატურ სარბიელზე, თბილისი, 1968.

¹³⁵ არ იყვნენ მართალნი რეოლოგიკამდელი ქართველი მკვლევარები (ზ. ავლოვი და სხვ.), რომლებიც XVIII საუკუნის ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს გულუბრყვილობას სწამებდნენ და რუსულ ორიენტაციას შეცდომად უთვლიდნენ. თურქეთისა და ირანის დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ვეროპის ქვეყნებმა ვერასოდეს „მოიცალეს“ საქართველოს დასახმარებლად.

¹³⁶ АВІР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47.

¹³⁷ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.

დაქცია გაუკეთეს გაიოზ არქიმანდრიტმა და მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის აღმზრდელებმა პორუჩიკებმა ჩოლოყაშვილმა და სევარსამიძემ,¹³⁸ ხოლო საქართველოს მხრივ, სარატიფიკაციო სიგელის საბოლოო რედაქცია (1783 წლის აგვისტო — 1784 წლის იანვარი) ეკუთვნის ერეკლე II, ანტონ კათალიკოსსა და გაიოზ არქიმანდრიტს.¹³⁹ საბუთებიდან სხვა „მოქმედი“ არ ჩანს, თუმცა ს. ლეონიძეს უთქვამს, მე ვიყავი „მოქმედი“.¹⁴⁰

ამრიგად, ხელშეკრულების ქართულ ტექსტთან ერთდროულად დაკავშირებული აღმოჩნდა სამი სკოლა: მოსკოვის ქართული კოლონიის, თბილისისა და ანტონ კათალიკოსისა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სკოლამ განიცადა რუსულის გავლენა, როგორც ეს აქვე დაბეჭდილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტების ენა არა მარტო საშუალო ქართულის ნიმუშია, არამედ მასში რუსული ენის გავლენაც საგრძნობია. ამიტომ, ქართული ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ცალკე გამოკვეთილი პერიოდია, რომელიც საგანგებო შესწავლას იმსახურებს.¹⁴¹

ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა ქართული სამწერლო ენის ბუნებრივი განვითარება დაარღვია. ამასთან, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტების ენას ისევე ეტყობა რუსულის გავლენა, როგორც აღორძინების ხანის ქართველი მწერლების (თეიმურაზ I, არჩილის, ბესიკის) თხზულებათა ენას — სპარსულის გავლენა.

ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: რუსული ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის წესები რამდენჯერმე გამოიცა და არსებობს სავალდებულო კანონის სახით. ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოცემის წესები საერთოდ არ არის დამუშავებული და არც მისი გამოცემის წესები (სავალდებულო კანონი) არსებობს. რაც შეეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიპლომატიური დოკუმენტების პუბლიკაციის ტრადიციას, იგი ა. ცაგარლის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ ნ. ბერძენიშვილმა სავსებით სამართლიანად დაიწუნა საბუთებისადმი ა. ცაგარლისეული მიდგომა. რაკი ა. ცაგარლის შემდეგ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დიპლომატიურ დოკუმენტებზე საგანგებოდ არავის უმუშავია, ცხადია, არც დიდი ტრადიცია შექმნილა, რომ „წესები“ (კანონი) დამუშავებულიყო. ამიტომაც, რომ ყველა გამომცემელი, რომელმაც კი XVIII საუკუნის მეორე

¹³⁸ იქვე, 164-176.

¹³⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე №2073-ა, №2073-ბ.

¹⁴⁰ გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 27 სექტემბერი.

¹⁴¹ ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვაქვეყნოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსული დოკუმენტების ქართული თარგმანების ფოტოპირები, რომლებიც სპეციალისტებს დაეხმარება არა მარტო ქართული დიპლომატიის ენის შესწავლას, არამედ რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესწავლის საქმეშიც.

ნახევრის თითო-ორიოლა საბუთი დაბეჭდა, ტექსტს თავისებურად ექცევა და ენობრივ (ორთოგრაფიულ) ფორმებს „ასწორებს“, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. დოკუმენტების პუბლიკაციისას ჩვენ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ნ. ბერძენიშვილის შენიშვნები და გამოცდილება. ჯერჯერობით აუცილებელია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტები დაიბეჭდოს დედნიესეული ფორმით როგორც ისტორიული და სამწერლო ენის ძეგლები, შემდეგ, როცა მასალა დაგროვდება დიდი რაოდენობით, ალბათ, შესაძლებელი გახდება მისი გაანალიზება და წესების საბოლოო დადგენაც.

დაბეჭდილი დოკუმენტების ენა მძიმეა, მაგრამ მათ შორისაც გამოირჩევა ტრაქტატის დედანი და განსაკუთრებით კი სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც ხელოვნურად დაუმძიმებია ანტონ კათალიკოსს და მის სკოლას. მათი გასწორება ამჯერად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ჩვენს გამოცემაში ქართული დოკუმენტების ტექსტები იბეჭდება დედნიესეული ორთოგრაფიის დაცვით. მხოლოდ ზოგიერთი ფორმა, რომელიც შინაარსის გაგებას აძნელებდა, ასევე რამდენიმე სიტყვა, რომლებიც გადამწერის უნებლიე (მექანიკური) შეცდომის გამო არასწორად იყო დაწერილი, ხოლო მისი შესატყვისი სწორი ფორმები ტექსტშივე აღმოჩნდა, გასწორდა. ამასთან, ყოველი ასეთი შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნაში, სადაც გამოტანილია დედნიესეული დაწერილობა. ტექსტის გაგების გასაადვილებლად სასვენი ნიშნები დაუუსვით. რაკი წიგნი ფართო მკითხველისთვისაც არის განკუთვნილი, საჭიროდ ჩავთვალეთ აქვე დაგვეერთო ძველი ქართული ანბანიც, ტექსტში სადაც მთელი სიტყვა, ან წინადადება იყო ასომთავრულით ნაწერი, მკითხველისათვის ზედმეტი შრომის თავიდან ასაცილებლად, ჩამოვიტანეთ სქოლიოში მხედრულით.


რუსული დოკუმენტები, რომლებიც აქ „თარგმანად“ იწოდება,¹⁴² იბეჭდება ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის თანამედროვე წესებისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით. დოკუმენტების ენა და სტილი დაცულია: მაგარი (ზ) და რბილი (ზ) ნიშნები და მთავრული და ნუსხური ასოები დაწერილია თანამედროვე წესების გათვალისწინებით. გარდა ამისა, არასწორად გაყოფილი ტექსტი გაერთიანდა სიტყვად, ხოლო შეერთებულად დაწერილი ტექსტი გაიყო სიტყვებად; სტრიქონს ზემოთ დაწერილი ასოები ჩატანილია სტრიქონში; სასვენი ნიშნები დასმულია თანამედროვე წესით.


ვითვალისწინებთ რა ხსენებული დოკუმენტების დიდ მნიშვნელობას, აგრეთვე სპეციალისტებისა და ფართო მკითხველის ინტერესს, აქვე ვბეჭ-

¹⁴² რუსული დედნების ასლებია, მაგრამ რაკი გეორგიევსკის ტრაქტატის დედნები ორივე მხარეთა ენაზე დაიწერა და ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო, ამიტომ მათ ახლდა „თარგმანი“ მეორე ენაზე (ქართულ დედანს — რუსული „თარგმანი“, ხოლო რუსულს — ქართული); რაც მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემის გამოხატულება იყო.

დავთ დოკუმენტების ფოტოპირებასაც. მადლობას მოვანხსენებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებმაც ხელი შემიწყო მასალაზე მუშაობის დროს და ფოტოპირებიც დამიმზადეს, აგრეთვე ვ. ე. სავინს, რომელმაც ფოტოპირები დასაბეჭდად მოამზადა.

*ტექსტი გეორგიევსკის ტრაქტატისა
ეურნალის მომღვენო ნომერში დაიბეჭდება.*





თინა იველაშვილი

იავარქმნილი აწყურის ღმრთისმშობლის ტაძარი

დღეს, დაკარგულ ისტორიულ ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების განადგურებას მივუბრუნდებით და მხედველობიდან გვრჩება საქართველოში არსებული არაერთი ისტორიული ძეგლი, რომელიც ჩვენს თვალწინ იქცევა და ნადგურება. მათ შორისაა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული ქრისტიანული სალოცავი — აწყურის ღმრთისმშობლის ტაძარი.

აწყური, როგორც ღმრთისმშობლის წილხედომილი, პირველად მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელთან ერთად მოიხსენიება. ქართლის ცხოვრების მიხედვით, მოციქულმა აქ მოაბრძანა ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, „და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყურის ღმრთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელ-სდებენ“ [1, 42]. ჯუანშერის ცნობით, პირველი ქრისტიანული საყდარი აწყურში აუშენებიათ ღმრთისმშობლის სახელზე. შემდგომში, როდესაც „მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყუანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყურს დიდისა საყდრისა საძირკუელისა ჩადებად და შენებად, ვიდრემდის მიერიტვან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ“ [1, 224]. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ იქ VII-IX საუკუნეებში ეპისკოპოსი იჯდა, რომელსაც მაწყვერელი ეწოდებოდა.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ თანახმად, აწყურში საეპისკოპოსო ტაძარი უკვე გრიგოლის დროს, ე. ი. VIII-IX სს—ში არსებობდა. გრიგოლის ერთ-ერთი მოწაფე აწყურის ეპისკოპოსი ყოფილა. „მას ჟამსა იყვნეს ვინმე იერუსალიმს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი კაცნი შუენიერნი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი, მეძიებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისადასა, მდღელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი, ტომნი დიდისა ეფრემ მაწყვერელ ეპისკოპოსისნი“ [9, 611]. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აწყურის ღმრთისმშობლის ეკლესია ასაკობრივად ხანცთელის, შატბერდის, იშხნის და ამ პერიოდის სხვა მონასტრების არა თუ თანადროული, არამედ შეიძლება

უფრო ადრეულიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, კერძოდ: სივრცობრივი გრანდიოზულობითა და არქიტექტურული სტილით აწყურის ეკლესია ზემოთ დასახელებული ძეგლების ანალოგს წარმოადგენს, რაც მათ თანადროულობაზე მიუთითებს.

„მესხთა დიდებული საყდარი აწყვერი“ კიდევ უფრო ხშირად გვხვდება XIII-XVI საუკუნეთა ისტორიულ წყაროებში [3, 47]. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „თუხარისის ხევს ზეით, მტკვრის კიდეზედ, სამხრეთით არს აწყური... აქ არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნილი, გუმბათიანი, ყოვლადწმიდის ღმრთისმშობლისა, იჯდა მიტროპოლიტი, მწყემსი ყვიბის-კორტანეთის ზეითისა და მტკურის ჩრდილოეთისა, და ბოცოს წყლის ჩრდილოეთის კერძოდსი, ვიდრე გურიის მთისამდე. გარნა აწ უქმ არს“ [6, 662].

XIII საუკუნის დასასრულს ძლიერი მიწისძვრის შედეგად „დაეცნენ ეკლესიანი, მონასტერნი, მთანი, კლდენი და ციხე-ქალაქნი, რომელ კუპრნიცა აღმოხდებოდა, რამეთუ აწყურს ლიტონიობისა შემდგომად, ესუნა ხატი აწყურისა საშუალსა ეკლესიასა, ჩამოინგრა გუმბათი და დაეხურა, ვითარცა ქუდი ხატსა მას დაუქცევლად“ [6, 230]. ეკლესიის ჩამონგრეული გუმბათი მალევე აღადგინეს, რადგან იგი მესხეთის მთავარ სალოცავს წარმოადგენდა [2, 18]. როდესაც იაყუბ ყაენმა აწყური მოაოხრა, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი ტყვედ წაიყვანა, მაგრამ მანუჩარ ათაბაგმა დიდძალი ვერცხლით გამოისყიდა და კვლავ „დაასუნა აწყურსავე“ [6, 708].

აწყურის ეკლესიის შესახებ ალ. ფრონელი აღნიშნავდა: „ბორჯომის ხეობას გამოსცდები თუ არა, თვალწინ აგვეუდება ოდესმე ძლიერი აწყურის ციხე, რომელიც საუკუნეებით სდარაჯობდა ვიწრო ხეობას. ციხის გვერდით, შიგ შუაგულ გამაჰმადიანებულ ქართულ სოფელში, კიდევ დგას უზარმაზარი ტაძარი, მაგრამ სახურავგადახდილი და ალაგ-ალაგ კედლებჩამოქცეული. აწყურში იჯდა მიტროპოლიტი და კათედრად მშენიერი გუმბათიანი ტაძარი ჰქონდა. გუმბათი ჩამონგრეულა, ინგრევა აგრეთვე კედლები. ამ ეკლესიის გალავანში დასაფლავებულია ჭაბუკი ბატონიშვილი ლევან იულონის ძე, რომელიც ლეკებმა მოკლეს 1811 წელს პეტრეს ციხესთან“ [7, 145].

გ. ბოჭორიძის ცნობით: „აწყურის ღმრთისმშობლის ეკლესია გუმბათიანი შენობა ყოფილა. მას სჭერია უზარმაზარი ტერიტორია თავის შენობებით და გალავნით. იგი დგას მტკვრის მარჯვენა მხარეს მცირე სერის ძირას ჩრდილოეთით... გუმბათის დაქცევა არავის ახსოვს, ხოლო თადი ჩაქცეულა 42 წლის წინათ... ზომით არის 35,5 X 18 მ. კარები, როგორც ადგილობრივებმა გადმოძვეს, ჰქონია ჩრდილოეთ მხარეს. მართლაც, აქ მოჩანს შესასვლელი და შენობათა ნანგრევები. ერთი მისი ნაშთი დგას აქ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან 15 მ-ზე 4 მ სიმაღლისა და 3 მ სიგანისა.

სხვა მისი ნაშთები მოჩანს დასავლეთითაც. გალაგნის ნაშთი მოჩანს დასავლეთითვე. მოსახლეობა ძველის ძირამდეა მისახლებული.

ეკლესიის აღმოსავლეთი ოთახები (საკურთხეველის აქეთ და იქით მდებარე) გამოყენებული აქვთ საბძლად და სხვ. გარდა ამისა შეგნითა ნაწილი ხეების საწყობად არის გახდილი, აგრეთვე ფეხისადგილად. დღეს შენახულა კედლები დუღაბის სახედ აღმოსავლეთით, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებს შუა ნაწილი აქვთ გაგლეჯილი. კარ-სარკმლის ადგილები დიდად არის გაგლეჯილი. კარი დასავლეთითაც ჰქონია. აღმოსავლეთ ნაწილის ოთახები ორ-ორ სართულიანი ყოფილა. ზევითა სართულებს თალი ჩამოქცეული აქვს, ქვეითებს კი შენახული აქვს დაზიანებით. ეკლესია მოხატული ყოფილა მთლიანად. ნაშთი შენახულა საკურთხეველში და დასავლეთ კედელზე. საკურთხეველში ზედა რიგები მოსპობილია. შენახულია შუა ნაწილის რიგი მოციქულები და ქვედა მღვდელ-მოძღვრებისა. ჩრდილოეთ კედელზე არის სამი მოციქული ხელაპყრობილი. შუა შედარებით უკეთ არის შენახული....სამხრეთ კედელზე მხატვრობის ნაშთი არის შემორჩენილი....ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილშიც არის ნაშთი მხატვრობისა....ჩრდილოეთ კედელზე მეორე მღვდელ-მოძღვრის თავის მარცხნივ (აღმოსავლეთით) შენახულა წარწერის ნაშთი....ეკლესიის სამრეკლო ყოფილა ეკლესიის სამხრეთით აღმართულ გორაკზე, ანუ „სერზჷ“. ახლა მართო ნაშთი მოჩანს“[4. 31–33].

აწყურის საეპისკოპოსო ტაძარი მიუხედავად იმისა, რომ მისი დიდი ნაწილი დანგრეულია (გუმბათი და ყველა კამარა ჩაქცეულია, დაღუპულია კედლების ზემო ნაწილები, შენობა თითქმის მთლიანადაა გაძარცვული საპირე ქვებისაგან, საკურთხეველის შუა ნაწილი განგრეულია და ა. შ.), მნახველს აოცებს თავისი სიდიადით. იგი ფართობით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სალოცავთა შორის (თვით სვეტიცხოველზეც კი) ყველაზე დიდი იყო. ვ. ბერიძის აღწერით: მისი „გუმბათი და ყველა კამარა ჩამოქცეულია, დაღუპულია კედლების ზემო ნაწილებიც, აღმოსავლეთის ნაწილი შედარებით უკეთაა გადარჩევილი. საკურთხეველსა და მის ორსვე მხარეს მდებარე ოთახებს (ე.წ. სადიაკვნესა და სამსხვერპლოს) აღმოსავლეთით გამოშვერილი წახნაგოვანი კედლები ჰქონდა. საკურთხეველის შუა ნაწილი ახლა ერთიანად გამონგრეულია, ხოლო კედლის გარე პერანგი (თლილი ქვისა) თითქმის სულ ჩამოძარცვული.“

შიგნით გადარჩენილია საკურთხეველის კუთხეების მორთულობა – წვრილი კედლის სვეტები ბურთულებიანი თავსამკაულებით. საკურთხეველის კედლის გარეპირის მორთულობა (გადარჩენილია თაღებისა და სარკმლის მოჩუქურთმებული არშიის ნაწილები) მოწმობს, რომ შენობის ეს ნაწილი XIII საუკუნის მიწურულზე ადრინდელია, ე. ი. მიწისძვრაზე ადრინდელი, რომელმაც ძლიერ დააზიანა აწყურის ტაძარი.საკურთხე-

ლის მხარე მიწისძვრის დროს გადარჩენილა.

სამაგიეროდ, დასავლეთის კედელი მიწისძვრის შემდეგ იყო აღდგენილი. ახლა მისი პერანგიც თითქმის სულ ჩამოცლილია და აღარაფრის გარკვევა არ შეიძლება, მაგრამ ძველ ფოტოსურათებზე ჯერ კიდევ ჩანს ამ კედლის გარე მორთულობა: მაღალი, ჩუქურთმიან არშიაში ჩასმული სარკმელი, ჩუქურთმიანივე ჯვარი მის ზემოთ და სამკაულებიანი ბურთულები ჯვრის ძირში, ამ მორთულობის საერთო იერი, აგრეთვე ჩუქურთმების სახეები და შესრულების ხასიათი, გარკვევით მოწმობს, რომ შენობის ეს ნაწილი XIII-XIV ს-თა მიჯნაზე ადრეული არაა. იგი, ალბათ, მიწისძვრის მომდევნო წლებს, ე. ი. XII-XIV ს-თა მიჯნას, ან XIV ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის“. მარი ბროსე წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით აქვე დასძენს: „შენობა „ფეხზე იდგა“ თვით XIX ს-ის დასაწყისამდეც კი“[3, 51-52].

XX საუკუნის 80-იან წლებში კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით ძეგლზე დაიწყო დაზვერვითი სამუშაოები, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო შემდეგში ეს სამუშაოები შეჩერდა და დღემდე ყურადღება აღარავის მიუქცევია.

რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი სახსრებით გადაწყვიტა მონასტრის რესტავრაცია. მუშაობა თითქოს დაიწყო კიდევ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო სულ მალე მიატოვა. იმედი გვქონდა, რომ საქმეს მიხედავდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა (მით უმეტეს, რომ მის ყოფილ ხელმძღვანელს არაერთხელ ფეხით აქვს ეს კუთხე შემოვლილი და კარგად იცის ამ ძეგლის კულტურული ღირებულება), მაგრამ ასე არ მოხდა. სამაგიეროდ, ისტერიკა ატეხეს (პრესის ფურცლები არაერთხელ ააჭრელეს) დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების ვითომდა რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში აზიზეს მეჩეთის აგებისა და ახალციხეში აჰმად ფაშას არარსებული „ყოფილი მეჩეთის“ რესტავრაციის გამო.

მართალია, აზიზეს მეჩეთის მშენებლობა ვერ დაიწვეს, მაგრამ ყოფილი არაერთხელ ხელისუფლების მაღალჩინოსანთა წყალობით ახალციხეში მეტად მნიშვნელოვანი ისტორიულ ძეგლს, რაბათის უძველეს ციხეს, ისტორიული სახე დაუკარგეს, არაბულ ყაიდაზე გადააკეთეს და სრულიად წაშალეს საუკუნოვანი პლასტები. რაც შეეხება ე. წ. „მეჩეთს“, მასაც ჩაუტარდა გარკვეული სამუშაოები (სახურავი აამაღლეს და ძვირადღირებული ლითონით მეჩეთის გუმბათის სტილში გადახურეს). როგორც არაოფიციალური წყაროებით ირკვევა, ამ სამუშაოებზე რამდენიმე ასეული მილიონი დაიხარჯა და აქ მიმდინარე სამუშაოებს უშუალოდ იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი აკონტროლებდა. როგორც ჩანს, წასული ხელისუფლება, რომელიც გულმოდგინედ ასრულებდა უცხოელი



პატრონების მითითებებს, ერის მეხსიერებიდან უმდიდრესი ისტორიის აღმოფხვრისა და წაშლის მიზნით მიზანმიმართულად ეწეოდა ისტორიული ღირებულებების მქონე კულტურული ძეგლების გადაკეთება-დამახინჯებას (ამის ნათელსაყოფად ბაგრატიის ტაძარზე და ახალციხის რაბათის ციხეზე ჩატარებული მათეული რესტავრაციის დასახელებაც საკმარისია). ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი „ნაციონალური“ მთავრობის მხრიდან ქვეყნისა და ერის წარსულის, მისი ისტორიული ძეგლების მიმართ ასეთი უდიერი (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, მტრული და ვანდალური) დამოკიდებულება არის სახელმწიფოებრივი დანაშაული.

აღნიშნული თანხებით არა მხოლოდ ქალაქ ახალციხის მხოლოდ რაბათის ციხის, არამედ მთელ რაიონში არსებული ისტორიული ღირებულებების მქონე არაერთი მატერიალური კულტურის ძეგლისა და განადგურების პირამდე მისული ეკლესია-მონასტრის (მათ შორის აწყურის ციხისა და ღმრთისმშობლის ტაძრის) საიმედოდ გამაგრება-კონსერვაცია შეიძლებოდა.

დღეს, განადგურების პირას მისული გრიგოლ ხანცთელის ეპოქის ისეთი უდიდესი ძეგლების, როგორცაა: ხანცთა, ოშკი, შატბერდი, იშხანი, თანადროული აწყურის ღმრთისმშობლის უნიკალური ტაძარი გადაუდებელ და სასწრაფო შველას ითხოვს. რა თქმა უნდა, მისი აღდგენა პირვანდელი სახით მეტად ძნელია (შეიძლება ითქვას, უკვე შეუძლებელია), მაგრამ რაც შემორჩა და დღემდე მოაღწია, მისი კონსერვაცია მაინც არის შესაძლებელი.

P. S. თურქეთის ხელისუფლებამ თავის დროზე, როდესაც მსოფლიო ხელოვნების უნიკალური ძეგლი, ბანას დიდებული ტაძარი ააფეთქა და მიწასთან გაასწორა, ქართულ მხარეს ხმა არ ამოუღია, ხოლო საქართველოში არცერთი მეჩეთიდან კენჭიც კი არ ჩამოვარდნილა. წლების წინ ჩვენი „კეთილნი“ მეზობელი ითხოვდა ბათუმში აზიზეს მეჩეთის აგებას, ხოლო ახალციხეში ახმედ ფაშას ე. წ. „მეჩეთის“ აღდგენას და სანაცვლოდ „დიდსულოვნად“ გვთავაზობდა თურქეთის საქართველოში უნიკალური ქართული კულტურის ძეგლებზე სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების ნებართვას. ხალხის პროტესტის შედეგად აზიზეს მეჩეთის მშენებლობაზე საუბარი დროებით შეწყდა, მაგრამ ახალციხეში ჩუმად, გაუხმაურებლად მოახდინეს არამართო „მეჩეთის“ „რესტავრაცია“, არამედ ციხისაც და ძეგლს ფაქტობრივად ისტორიული მნიშვნელობა სრულიად დაუკარგეს. დღეს საუბარი განახლდა ჩვენს ქვეყანაში ახალი მეჩეთების აგების სანაცვლოდ თურქეთის საქართველოში არსებული ჩვენი უნიკალური ისტორიისა და კულტურის ძეგლების (ყოველ შემთხვევაში ორი ძეგლის მაინც) თურქეთის დაფინანსებით აღდგენა-რესტავრაციის შესახებ.


მათ თუ იმ პრინციპით „აღვადგენთ“, როგორც ეს ბაგრატიის ტაძარ-

ზე და ახალციხის რაბათის ციხეზე განახორციელდა, სჯობია საერთოდ შევეშვათ ამგვარ „რესტავრაცია-რეკონსტრუქციას“ და მხოლოდ საკონსერვაციო სამუშაოებით დავემყოფილდეთ. ამ საქმეში უნდა გავითვალისწინოთ ევროპის რიგი ქვეყნების პრაქტიკა, სადაც უძველესი ისტორიული ძეგლების პირველსახის შენარჩუნება-გადარჩენის მიზნით, არა მათი აღდგენა-რესტავრაცია, არამედ მხოლოდ კონსერვაცია ხდება (აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად იტალიისა და საბერძნეთის დასახელებაც საკმარისია). აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: დროა დაისვას საკითხი, რომ ეს ძეგლები იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში შევიდეს. გარდა ამისა, ამ ტაძრების აღდგენას არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოში ახალი მეჩეთების აგებასთან. ეს არის თურქეთის ხელისუფლების მიერ ჩაფიქრებული თურქული, თუნდაც ისლამური, ექსპანსიის „მშვიდობიანად“ განხორციელების მზაკვრული გეგმა. საინტერესოა, საქართველოს ხელისუფლება რატომ არ ითვალისწინებს ამ გარემოებას, როდესაც თურქეთის მთავრობასთან ასეთ საჭირობო-საკითხებზე საუბრობს და თუნდაც სიტყვიერ თანხმობას აძლევს.

საქართველოში აწყურის ღმრთისმშობლის ეკლესია თავისი არქიტექტურით, სივრცობრივი განზომილებითა და ეპოქალური მნიშვნელობით ერთადერთი თანადროული ძეგლია თურქეთის საქართველოში არსებული ქართული ისტორიული ეკლესია-მონასტრებისა. მისი რესტავრაციისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კონსერვაცია კი ისეთივე გადაუდებელი საქმეა, როგორც ზემოთ აღნიშნული ძეგლებისა. ვიდრე კიდევ შერჩენია გარკვეულწილად ადრეული სახე და სრულიად არ განადგურებულა, ტაძარს სასწრაფოდ უნდა მივხედოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.
2. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.
3. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970.
4. გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
5. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975].
6. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
7. ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.
8. ქართლის ცხოვრება, 2, თბ., 1965.
9. ქართული მწერლობა, 1, თბ., 1987.



ბორის ღარჩია

სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია?

ცნობილია, რომ ბაილეთის ეკლესია, რომელიც აიგო 1609 წელს, მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლი გახლდათ. მან მრავალი პირველხარისხიანი ცნობა შემოგვინახა გურიის, აგრეთვე, მის მთავართა, გურიელთა, შესახებ. დასმულ კითხვაზე ბუნებრივი პასუხი იქნება: — ბაილეთში, მაგრამ საკითხავია: რომელ ბაილეთში, თანამედროვე ბაილეთში?

დღევანდელი ბაილეთი, როგორც ქართული ენციკლოპედიები გვამცნევენ, სოფელია გურიაში, „*ოზურგეთის რაიონში, ნასაკირალის სერის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირას, ოზურგეთ-ლანჩხუთის საავტომობილო გზაზე, ოზურგეთიდან 9 კილომეტრზე*“¹. მე ეს და სხვა წყაროები არ მჭირდება, რადგან მეზობელი სოფლიდან, სილაურიდან, ვარ და ვიცი, ადიდებული სუფსა რომ მიწას წაიღებს და კალაპოტს ბაილეთის მხარეს გადაიტანს, სილაურის მხარეს დარჩენილი ბაილეთის ის ჩამოჭრილი მცირე ზოლიც კი უკვე ბაილეთს აღარ ეკუთვნის და სილაურისად ითვლება.

ამავე ენციკლოპედიებში აღნიშნულია: „*ბაილეთში შემოჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, აგურითა და ნატეხი ქვით ნაგები ეკლესია (1609), რომელსაც XIX საუკუნეში თლილი ქვით ამოყვანილი ახალი გუმბათი დაადგეს და მოხატეს (1827). მხატვრობა შეიცავს გურიელთა გვარის წარმომადგენელთა პორტრეტებს*“. ენციკლოპედია „საქართველოში“ ამ ეკლესიის პატარა სურათიცაა დაბეჭდილი. ამის წამკითხველი, ცხადია, იფიქრებს, ბაილეთის ეკლესია მდებარეობდა და ახლაც დგას სუფსის მარცხენა მხარეს.

ყველა თანამედროვე ბეჭდურ ნაშრომში, რომელსაც მე ვიცნობ, იგივეა ნათქვამი. ნიშანდობლივია, რომ ზუსტად, სიტყვასიტყვით ამასვე იმეორებს „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“: „*ბაილეთი - სოფელი ოზურგეთის რაიონში, მდ. სუფსის მა-*

რცხენა მხარეს, ოზურგეთიდან 9 კმ. სოფელში შემოჩენილია 1609 წელს აგებული ეკლესია, რომელსაც 1827 წ. გუმბათი დაადგეს და მოხატეს. მხატვრობა შეიცავს გურიელთა გვარის წარმომადგენელთა პორტრეტებს“. სინამდვილეში დღევანდელ ბაილეთში ასეთი და, საერთოდ, ძველი ეკლესია არ არის და არც ოდესმე არსებულა.



პირდაპირ ვიტყვი: ბაილეთის ეკლესია მდებარეობდა მდინარე სუფსის მარჯვენა მხარეს, სუფსის ჭალაში, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, მერეში, ახლანდელი ბაილეთიდან თითქმის ერთი კილომეტრის დაშორებით, დღევანდელი ჯუმათის ტერიტორიაზე, ჩემი სოფლის, სილაურის, საზღვრიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. მისგან ჩრდილოეთით, მოპირდაპირე მხარეს, ასიოდე მეტრში, სერზე, გაშენებული იყო გურიელის სასახლე. ეს ადგილი დღეს სილაურს ეკუთვნის და მას „სასახლეს“ ეძახიან. შემორჩენილია სურთი და ბარდ-ეკლებით შემოსილი სასახლის ნარჩენები, ბოძები, ცოტა ზემოთ — გალავნის ნანგრევები. ყველაფრიდან ჩანს, ძველად ბაილეთი სუფსის მარჯვენა ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. ბაილეთის ტერიტორია რომ სუფსის მარჯვენა მხარესაც გრძელდებოდა, ამას, ვფიქრობ, ალი-ფაშაზე შექმნილი ხალხური სასიმღერო ლექსიც ადასტურებს:

„ალი-ფაშამ გვიღალატა, წაგვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულეები აიღო, ჩვენ დაკვტია რუსის ხელში,
კაი არც მას დამართია, ჯაჭვით ჩათრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა,
ბაილეთში“.²

თუ წარმოვიდგინო, რომ ლექსის პერსონაჟი კვირიკეთიდან გვესაუბრება, სოფელი კვირიკეთი კი ოზურგეთის ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სუფსის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ვდებულობთ: 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ალი-ფაშას ღალატი მოხდა, „*სუფსის გაღმა ბაილეთი*“ სუფსის მარჯვენა მხარეს იქნება. მაგრამ რად გვინდა საჭოჭმანო ცნობა, როდესაც უტყუარი საბუთებით მტკიცდება, რომ

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, 1977, გვ. 156; საქართველო, ენციკლოპედია, 1, 1997, გვ. 336-337.

² ქართული ხალხური პოეზია, XI, ისტორიული ლექსები, თბ., 1984, გვ. 124, 311.

ისტორიული ბაილეთი სუფსის მარჯვენა მხარესაც ვრცელდებოდა.

ენციკლოპედია „საქართველოში“ ბაილეთზე სტატიის წყაროდ დასახელებულია **დიმიტრი ბაქრაძის** 1978 წელს სანკტპეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „*არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ)*“ **არჩილ ტოტონაძის** მიერ შესრულებული, 1987 წელს ბათუმში გამოცემული ქართული თარგმანი. ამ ნაშრომის რუკაზე გარკვევითაა აღნიშნული, რომ ბაილეთის ეკლესია მდებარეობს სუფსის მარჯვენა მხარეს. ამასვე გადმოგვცემს ავტორი ტექსტშიაც. ჯერ აღწერს ჯუმათის მონასტერს და შემდეგ ბაილეთის ეკლესიას.

დ. ბაქრაძე ამბობს, რომ ჯუმათის მონასტრიდან (მთიდან) სუფსის ჭალაში ჩამოვიდა, სადაც „*ღამე ვაუთიე სუფსის პირას მდებარე სოფელ ბაგირში, რომელიც წინათ ჯუმათელების საზამთრო სამყოფელი იყო. მეორე დღეს, 29 სექტემბერს, შევიარე სოფელ ბაილეთში, რომელიც თავად იესე გიორგის ძე გურიელს ეკუთვნის. იესეს სახლი გორაკზე დვას ძველი ციხის ნანგრევების პირდაპირ. ხოლო ძველი ეკლესია დაბლობშია. იგი აშენებულია აგურიითა და ნახეთქი ქვით. აქვს თლილი ქვის ახალი გუმბათი*“³.

აქ, ისე როგორც დედანში⁴, „**ბაგირი**“ შეცდომითაა დასახელებული. ასეთი ტოპონიმი აქ არ არის და არც ყოფილა. ეს უბანი სოფელ ჯუმათს განეკუთვნება და „**ბოგილი**“ ეწოდება. მდებარეობს სუფსის მარჯვენა ნაპირას და იმ ადგილთან ახლოსაა, სადაც ბაილეთის ეკლესია იდგა.

დ. ბაქრაძე მოგვითხრობს, რომ აქედან იგი მიდის სუფსის მარცხენა მხარეს სოფელ გურიანთაში: „*ბაილეთის შემდეგ მოსახილავე დამრჩა გურიის ორი ძველი, სახელდობრ, ციხე და ვაშნარი, რომელთაგან პირველი გურიანთად წოდებულ უბანში მდებარეობს. ორივე თავად ნაკაშიძეს ეკუთვნის. გურიანთა მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მთავორიანი ადგილია, არა აქვს ზეირიანი გზები. მე ვავემართე სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადავკედი მდინარე სუფსაზე და ავედი მთაზე*“⁵.

იური სიხარულიძე 1971 წელს დაბეჭდილ თავის ნაშრომში იმ უბანს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ეკლესია მდებარეობდა, მოიხსენიებს სახელით „*პატარა ბაილეთი*“ დამიუთითებს: „*უწოდებენ ვაღმა ბაილეთსაც*“. ამ პატარა, ვაღმა ბაილეთში ასახელებს ადგილებს: „*გოგორკული, თეთრი ეკლესია, სასახლე (გურიელის სასახლევი), სვანის წყარო*“⁶. აქედან „სასახლე“ და „სვანის წყარო“ ახლა სილაურს ეკუთვნის, ხოლო „გოგორკული“ გზითაა გაყოფილი და აღმოსავლეთი ნაწილი სილაურისაა, დასავლეთი — ჯუმათის.

³ დასხ. არქეოლოგიური მოგზ., გვ. 225-226.

⁴ რუსულ ტექსტში, გვ. 269.

⁵ დასხ. არქეოლოგიური მოგზ., გვ. 228.

⁶ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, 1971, გვ. 104.


ჯუმათელებმა მითხრეს: იმ პატარა ადგილს, სადაც ეკლესიის ნანგრევებია, „**ბაილეთას**“ ეძახიანო. ჩემს სოფელში ბაილეთის ეკლესიის აგებაზე ასეთი ლეგენდა არსებობს: გურიელის ცოლი (ზოგის თქმით, ლეკის ქალი იო) ჩვილ ბავშვებს ჭამდა. ეს გაიგო გურიელმა, ქალი ცხენის ძუას გამოაბა და ათრეინა. სადაც ცხენმა ქალი დააგდო, ეკლესია იმ ადგილას ააშენაო.

ჩემი მოსწავლეობის დროს (საშუალო სკოლა დაფუძნდა 1954 წელს) ეს ეკლესია ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. ირგვლივ ბარდ-ეკლები ერტყა. ამბობდნენ, მორიელები ბუდობსო და შიგ შესვლას გვიშლიდნენ. ერთხელაც გავბედე და შევედი. დამამახსოვრდა, აქა-იქ ფრესკების ნაშთები ჩანდა. ეკლესია დაანგრეეს 1958-1962 წლებში და მისი ქვები, როგორც იქვე მცხოვრებმა მამია ჩხარტიშვილმა გვითხრა, ჯუმათის საშუალო სკოლისა თუ ბოსლის მშენებლობაზე გამოიყენეს. ისიც გვითხრა: იმ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიშა ტაკიძე შვებულებაში იმყოფებოდა და ამის გამო ძალიან გაჯავრდა, ხოლო ამ საქმის ჩამდენი ინჟინერი მალე ავარიით დაიღუპა, ტროსის მომდები ავტომობილის მძღოლი კი მაგრად დააუადლაო.

1959 წელს გამოვიდა წიგნი „*საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე*“. აქ ვკითხულობთ: „*ადგილმდებარეობა: 4. სასახლე გურიელისა. 5. ეკლესია გუმბათიანი*“. მეორე გრაფაშია დათარიღება. პირველისა: „გვიანი შუა საუკუნეები“, ეკლესიისა — „1609“ (გვ. 83). სასაცილო და სატირალია, რომ „გურიელის სასახლე“ ამ დროს კი არა, რამდენიმე ათეული წლის წინათ, რევოლუციის შემდეგ, უკვე იყო დანგრეული, ხოლო ბაილეთის ეკლესია იმ (1959) წლებში განადგურდა. ახლა ამ ეკლესიის ადგილას ჯაგნარით დაფარული პატარა ბორცვია დარჩენილი.

მინაწერი: 2012 წლის 26 ნოემბერს განცხადებით მივმართე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს: „ვბეჭდავ ჩემი გამოკვლევების წიგნს - „*ფილოლოგიური ძიებანი*“, სადაც შედის სტატია: „**სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია?**“ ამისთვის მჭირდება ამ ეკლესიის ფოტოსურათი. მაქვს გვიან გადაღებული და მინდა აღრინდელი, როცა ეკლესია უკეთესად გამოიყურებოდა. გთხოვთ, გამაცნოთ თქვენთან არსებული ბაილეთის ეკლესიის სურათები და აქედან ერთ-ერთი გადამაღებინოთ“.

თავის მხრივ ეროვნულ მუზეუმს, როგორც აქ მითხრეს, მიუმართავს ხელოვნების მუზეუმისათვის. მაგრამ ასეთი სურათისათვის ვერსად მიუვინათ. ძალიან შეეჭვება, ერმაკოვსა და სხვებსაც იგი არ გადაეღოთ. აქ ვბეჭდავთ ბაილეთის ეკლესიის იმ გვიანდელ სურათს, რომელიც დაცულია „*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში*“ და, როგორც აქ მითხრეს, გადაღებულია იგორ გინგელდორფის მიერ. ამავე დაწესებულებაში არსებობს „ძეგლის პასპორტი“, რომელიც ო. ლამბაშიძეს 1953 წლის 4 აპრილს შეუდგენია. ალბათ, ეს სურათიც იმდროინდელია.



შოთა შირინაშვილი

მყინვარწვერი, ბეთლემის გამომკვავული და ბეთლემის ეკლესია ნაცარქელზე

ქართულ ალპინისტურ ლიტერატურაში სიტყვა „ბეთლემი“ პირველად იოსებ ასლანიშვილის ნაწერებში გვხვდება — „მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით“ (ტფილისი, 1928წ.)

მყინვარწვერის ექსპედიცია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების „მთასვლა-მგზავროსნობის“ განყოფილების ორგანიზებული იყო. ასვლა ხევის „პატარძალზე“ (მყინვარწვერი) კი 1927 წლის 9 ნოემბერს განხორციელდა გერგეტის მყინვარის მხრიდან, მარშრუტით, რომელიც სიმონ ჯაფარიძის მიერ იყო გაკვლეული.

კონკრეტულად რომელ ადგილს უწოდებს ავტორი (ი. ასლანიშვილი) „ბეთლემის გორას“, ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, მაგრამ თუ ავტორისეულ მონათხრობს დავუყრდნობით — „ხუთის ნახევარი იყო, ბეთლემის გორას რომ ავადწიეთ 3150 მ. სიმაღლეზე, საიდანაც გადაიშალა თვალწარმტაცი სურათი ჩხერის, ანუ გერგეტის მყინვარის, რომელსაც ზემოდან მყინვარწვერი დასცქერის“. „ბეთლემის გორაში“ უთუოდ იმ სერის თავია ნაგულისხმევი, რომელიც ხატის მინდვრიდან (სამება) იწყება. ამას ადასტურებს სერის წვერზე ქვისგან ნაშენი სალოცავიც, რომელზეც მიუთითებს ი. ასლანიშვილი.

ამ ექსპედიციის მთავარი მეგზურის, ცდოელი გახა წიკლაურის¹ თქმით, სამების დღესასწაულის დღეს „ბეთლემის გორაზე“ დიდძალი რაოდენობის მხვეწნარ-მლოცველნი ადიოდნენ თურმე. „რაც შეეხება ნამდვილ ბეთლემს, რომელსაც ილია ჭავჭავაძის „განდევლით“ ვიცნობთ, უფრო წინ არის, გერგეტის მყინვარის ზემოთ, მყინვარწვერის ძირში“, — გვამცნობს ი. ასლანიშვილი.

¹ გახა წიკლაური — ცნობილი სამთო მეგზური სოფ. ცდოდან. იგი იყო მთავარი მეგზური ა. დიდბუღიძის ექსპედიციაში და 1923 წლის 3 სექტემბრის ასვლა მყინვარწვერზე პირადად მისთვის მე-16 იყო.

8 ნოემბერს, როცა მყინვარწვერისაკენ მიმავალი რაზმი² გერგეტის მყინვარის შუა წელში იმყოფებოდა, იაგორ კახალიკაშვილმა³ მთასვლელებს მყინვარის გადაღმა კლდეებზე მიუთითა, სადაც ბეთლემის მონასტრის ნანგრევები მდებარეობდა. ვინაიდან „მთასვლა-მგზავროსნობის“ განყოფილების არცერთ ექსპედიციას ბეთლემის შესწავლა გეგმაში არ ჰქონია და ამასთან ერთად ასვლის არცერთ თბილისელ მონაწილეს „ნამდვილი ბეთლემი“ თვალთ არ ენახა, ხანმოკლე თათბირის შემდეგ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბეთლემის ხილვა და ფოტოზე აღბეჭდვა. ბეთლემის მონახულების მსურველთა შორის იყვნენ: სიმონ ჯაფარიძე, დევი მიქელაძე, არჩილ ბენაშვილი, ანდრია კოვალკოვი (ფოტოგრაფი), იოსებ ასლანიშვილი და იაგორ კახალიკაშვილი. გახა წიკლაურმა კი დანარჩენი ხალხით განაგრძო გზა ჩხერის მყინვარზე შეენახადას მიმართულებით.

მყინვარის გადაკვეთისა და ნაცარქელზე⁴ ასვლის შემდეგ (ალტიმეტრი 3850 მ-ს აჩვენებდა) მათ ფუზი შედგეს კლდის ქიმზე „საიდანაც ნათლად მოჩანდა ბეთლემი თავისი ნანგრევებით“, რამაც უკიდურესად აღაფრთოვანა ი. ასლანიშვილი.

როგორ ტრანსფორმირდება კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაში გარემომცველი სამყარო და მოვლენები, შეუცნობი საიდუმლოებაა. მეც ვმდგარვარ იმ კლდის ქიმზე (ცხადია, წლების შემდეგ), რომელზეც ი. ასლანიშვილი მოგვითხრობს. ნაცარქელზე მდებარე ეკლესიის ნანგრევებს ჩემი სულიც უკიდურესად აუფორიაქებია და უამრავი საფიქრალიც აღუძრავს, მაგრამ ვერ გავიზიარებ ი. ასლანიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ილიას ნათელხილვა „განდევლიში“ ნაცარქელზე მდებარე ეკლესიას უკავშირდებოდა. აი, იმ კლდის ქიმიდან რა იხილა ი. ასლანიშვილმა — „არ ვიცი, ამ კლდის თავზე იყო თუ არა ოდესმე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც დასწერა ლეგენდა „განდევლი“ ბეთლემის აღწერილობით, მაგრამ მისი ლეგენდის პირველი თავი საესებით გამოხატავს იმას, რაც ჩვენ იმ კლდიდან ვიხილეთ“.

მე კი იმ კლდიდან სულ სხვა სურათი ვიხილე — წინაპართა ამადლებული სულის და შემართების უზენაესი სახიერება! პირადად ჩემთვის ილიას „განდევლი“ მყინვარწვერის მიუვალ კლდეში, კაცთა ხელით ნაკვეთ გამოქვაბულს უკავშირდება, რომლის რეალური არსებობაც (არა მხოლოდ ლეგენდის სახით) 1947 წელს დადასტურდა.

როგორც ჩანს, 1927 წლის ექსპედიციის მონაწილეებს ილიას განდევნი² რაზმში 7 თბილისელი და სამი ადგილობრივი მთასვლელის გარდა ირიცხებოდა 10 ტვირთის მზიდავი სტეფანწმინდიდან და სოფ. ცდოდან.

³ იაგორ კახალიკაშვილი — ცნობილი მთის მეგზური და ქართველი მთამსვლელი, იგი მეგზურად ახლდა გ. ნიკოლაძის ექსპედიციას და 1923 წლის 28 აგვისტოს ასვლა მყინვარწვერზე მისთვის რიგით მეთექვსმეტი იყო. მისი ალპინისტური მიღწევებიდან ღირსშესანიშნავია უშბა (1934 წ.) და თუნულდი (1930 წ.).

⁴ ნაცარქელი — გერგეტისა და აბანოს მყინვარების გამყოფი ქედი.

გილში აღწერილი მღვიმე და ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის ნანგრევები ერთმანეთში აღრევათ, რისი ნათელი დასტურიც ა. ასლანიშვილის მონათხრობია: „ჯაჭვი, რასაკვირველია, არ ჩანდა და ჩვენ სრულიად თავისუფლად მივედით ბეთლემის ნანგრევებთან. სიმონი კი ეძებდა საკნებში ეკლესიის ირგვლივ ჯაჭვს, მაგრამ ამოდ, ჯაჭვი არსად იყო. შესაძლებელია იყო ოდესღაც, ახლა კი თვით ბეთლემის ნანგრევები თავისი მიდამოებით 3 850 მეტრის სიმაღლეზე მიტოვებული მაინც ღირსშესანიშნავია მით, რომ როგორც ჩანს, იქ არა ერთი და ორი კაცი ცხოვრობდა, არამედ მრავალი. ეკლესიის ირგვლივ შორიახლო სულ ექვსი საკანია“.

იმ დროისათვის თვით ეკლესია, კლდეში ჩაშენებული, უკვე დანგრეული იყო. „ნანგრევების ქვეშ მოსჩანდა კარი... კლდეში კი, რომელზეც მიშენებულია ეკლესია, აქამდე შემორჩენილია ამოთლილი და ზედ ჩასობილი ქვის დიდი ჯვარი“ (ი. ასლანიშვილი). კლდის ჩრდილოეთ ფასადზე ამოტვიფრული წარწერების თაობაზე ი. ასლანიშვილი არაფერს გვაძინებს. როგორც ჩანს, ხავსით დაფარულ ქართულ წარწერებს მათ ვერ მიაგნეს.

ი. ასლანიშვილის 1927 წლის 8 ნოემბრის მონათხრობიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ იმ დროინდელ ხევში ადგილობრივი მოსახლეობა ბეთლემის გამოქვაბულად მიიჩნევდა ჩხერისა და აბანოს მყინვარების გამყოფ ქედზე (ნაცარქედი) მდებარე ეკლესიას „სიმონი კი ეძებდა საკნებში ეკლესიის ირგვლივ ჯაჭვს, მაგრამ ამოდ, ჯაჭვი არსად ჩანდა“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია, როცა ის „განდევილს“ ძერწავდა, „ბეთლემის“ შესახებ რაღაც ისეთ ინფორმაციას ფლობდა, რაც უბრალო მოკვლევით იმ დროისთვის უცნობი იყო. ან შესაძლოა დიდი შემოქმედისთვის დამახასიათებელი ფარული წვდომის რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

„... და ზედ კარია გამოკვეთილი,
ვით კლდის ნაშალზე არწივის ბუდე,
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდა თურმე იმ კარსა.
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრთვ ვერა გზით
ვერ ძალუმს ასვლა ვერარა კაცსა...“

ილიას ხილვა და რეალობა, რომელიც მხოლოდ 1947 წელს გაცხადდა, სრულად ემთხვევა ურთიერთს. არა მხოლოდ ქალაქად, არამედ ხევშიც (სტეფანწმინდა), ბეთლემის გამოქვაბულს, რომელიც ილიას „განდევილში“ ხატონად აქვს აღწერილი, ლამაზ ლეგენდად მიიჩნევდა ყველა, ვიდრე ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელმა (ი. ხუციშვილმა) 1947 წლის ერთ მშვენიერ დღეს, მოყვითალო კლდოვანი ბასტიონის ცენტრში, დაახლოებით 4100 მეტრის სიმაღლეზე, ბეთლემის მღვიმე და მის კარზე დაკიდებული ჯაჭვი არ იხილა. ლეგენდა ბეთლემის შესახებ

სრულად გაცხადდა ზუსტად ისე, როგორც განდევილშია აღწერილი.

ბეთლემის კარი პირველად მე 1957 წელს შევადე. იმ წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთ ჯგუფს, ბატონ ლევან მენაბდეს თავკაცობით, ბეთლემის გამოქვაბულის მონახულება სურდა. ამ ღონისძიებაზე, რომელიც ილიას მკვლევობიდან 50 წლისთავზე მოეწყო, მეგზურებად თსუ ალპსექციის მთამსვლელები მიგვიწვიეს. ჩემს გარდა მთამსვლელებთა ჯგუფში შედიოდნენ: ფილოლოგი გიორგი აბაშიძე, ფიზიკოსები: ოთარ ხაზარაძე, ლევან ღლონტი და გიორგი როსტომაშვილი. სულ 50-მდე ადამიანი ვიყავით.

მეტეოროლოგიურ სადგურს რომ მივადწვიეთ, იქ თანამშრომლების გარდა, მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილი ესპედიციის მონაწილეთაგან, ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე და მწერალი ლევან გოთუა დაგვხვდნენ. შესაძლოა, ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა არ იცოდეს, ვინ იყო ალექსანდრა ჯაფარიძე ან ლევან გოთუა, თუმცა არ მინდა ბოლომდე ვირწმუნო ეს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩემთვის და ჩემი თაობის გოგო-ბიჭებისთვის ეს ის ადამიანები იყვნენ, ვინც სიცოცხლეშივე ლეგენდად იყვნენ ქცეულნი.

მეორე დღეს ბეთლემის გამოქვაბულისკენ დავიძარით. მეგზურად მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი გამოგვყვა. საქმე ისაა, რომ 4100 მეტრის სიმაღლის ფრიალო კლდეზე გამოკვეთილი მღვიმე, „არწივის ბუდესავით“ რომ მოჩანს შორიდან, როგორც კი კლდეებს მიუახლოვდები, თვალთხედვიდან ქრება და ბეთლემისაკენ გზის გაკვლევა ამ გარემოცვაში, პირველად მოხვედრილი კაცისთვის, თითქმის შეუძლებელია. როცა ბეთლემის გამოქვაბულის ძირს მივადექით (იქამდე მისვლა, გზის სირთულის თვალსაზრისით, მაინცდამაინც არ გაგვიჭირვებია), გამოქვაბულის კარზე, რომელიც ჩვენგან ოციოდ მეტრის დაშორებით იყო, რკინის ჯაჭვი ეკიდა რამდენიმე რგოლით. ალბათ, უწინ მისი სიგრძე ბაქნამდე სწვდებოდა, ეხლა კი ჯაჭვის მხოლოდ ნაწილი იყო შერჩენილი.

ბაქნიდან პირდაპირ (ჯაჭვის მიმართულებით) ასვლა კარგ ალპინისტსაც გაუჭირდებოდა. არ გამოვიცხავ იმასაც, რომ ჯაჭვამდე მისასვლელი კლდეები დროთა განმავლობაში ჩამოინგრა, რის გამოც იგი ჰაერში გამოეკიდა. თვით გამოქვაბული ფრიალო მოყვითალო კლდეზეა გამოკვეთილი. შესაძლოა, რომ ადამიანმა ბუნებრივ გამოქვაბულს მიაგნო და შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გააფართოვა. კარების ჭრილი დახვეწილი გეომეტრიული ფორმის ოთხკუთხედს წარმოადგენს. თვით მღვიმე თაღოვანი ფორმისაა, იატაკი კი ფილებით მოპირკეთებული. როგორც კარის ჭრილი, ასევე მღვიმის შიდა სივრცე ადამიანის მირ რკინის საჭრეთლით გამოქანდაკებული საოცარი ქმნილების შთაბეჭდილებას ტოვებს.

კლდის მარჯვენა მხარე საცოცად მესამე კატეგორიის სირთულეს არ

ადემატებოდა. 15 მეტრი ვერტიკალში და შემდეგ ზუთიოდე მეტრი ტრავერსი, ჯაჭვის დონის მიმართულებით, ვიწრო ბაქანზე გაგიყვანს, საიდანაც ჯაჭვის დახმარებით გამოქვაბულს იოლად მიაღწევ. როცა მღვიმის კართან აღმოვჩნდი, კლდეში პალო ჩავასვი და თოკი ამოსასვლელად პირდაპირ ქვედა ტერასაზე დაუშვი. ჩვენს ბიჭებს, მხედველობაში ალპინისტები მყავს, თოკის დახმარებით ამოსვლა არ გასჭირვებიათ. რაც შეეხება ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგებს და სტუდენტებს, მათ ვერც თოკმა უშველა და ვერც ჩვენმა ძალისხმევამ, მხოლოდ ერთი სტუდენტის აყვანა შეეძლო.

იმ წელს ილიას „განდევილი“ ცალკე წიგნად გამოიცა. სწორედ „განდევლის“ ეს ახალი გამოცემა დავასვენეთ გამოქვაბულში. იყო წინასწარ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ყველა, ვინც ბეთლემის კარს შეაღებდა, ახლად გამოცემულ „განდევლზე“ თავის ავტოგრაფს დასტოვებდა. ვინაიდან ბეთლემში ასვლა ვერ მოხერხდა, „განდევილი“ თოკით დაუშვით ქვედა ტერასაზე, სადაც სტუდენტებმა და მათმა პედაგოგებმა ხელმოწერით დაამშვენეს. რა ბედი ეწია 1957 წელს გამოცემულ „განდევლის“ ბეთლემურ ნიმუშს, არ ვიცი, შესაძლოა დღესაც ბეთლემშია მისი ბინა.

ჩვენი ექსპედიცია ამით არ დამთავრებულა. მეორე დღეს დილაადრიან მყინვარწვერზე ასასვლელად გავედით, პირდაპირ შუბლში, მეტეოსადგურის მხრიდან (გველემშაპის კუდის მიმართულება). ამ გზით მყინვარწვერზე ასვლა პირველად შოთა მიქელაძემ და მისმა მეწყვილემ სცადეს. ეს ასვლა ტრაგიკულად დამთავრდა. მწვერვალის გუმბათზე გასვლისას შოთას მეწყვილე მოწყდა, შოთამ მისი შეჩერება ვერ შეძლო და თოკში ჩაბმული წყვილი თავქვე დაექანა. ვარდნის მიმართულება „გველემშაპის კუდს“ დაემთხვა. თოკი ქვის შვერილებს გამოედო და მთამსვლელთა ვარდნაც შეჩერდა, თუმცადა შოთა სერიოზულად იყო ტრამპირებული. მთელი დამე შოთა მიქელაძე განციდილის და ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების ფიქრებით იყო მოცული და მიუხედავად საბედისწერო ვითარებისა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ყოველივე ამის შესახებ ჩანაწერები დაგვიტოვა.

როგორც აღმოჩნდა, ავბედითი ღამის ის ჩანაწერები შ. მიქელაძის უკანასკნელი აღსარება იყო. შ. მიქელაძე მეორე დღეს, დაშვებისას მოწყდა და დაიღუპა, მისმა მეწყვილემ კი როგორღაც მოახერხა ცოცხლად გადარჩენა... შ. მიქელაძის ეს ჩანაწერები მის მეგობარს დარჩა, ასმათ ნიკოლაიშვილს, რომელიც მაშველ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. დეიდა ასმათი ავი აბაშიძის ახლო ნათესავი იყო. შ. მიქელაძის ეს ჩანაწერები აგის დეიდა ასმათისთვის გამოურთმევა და თან წამოუღია მარშრუტზე. ამის თაობაზე ავიმ, ბეთლემის გამოქვაბულიდან რომ დავბრუნდით, მაშინ გამანდო. გადაწყვიტეთ, გველემშაპის კუდზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც თავისი უკანასკნელი დამე გაათია შოთა მიქელაძემ, დაგვედგა კარავი და დამე შოთა მიქელაძის უკანასკნელი ჩანაწერების კითხვაში გაგვეთია. ასეც მო-

ვიქცით, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი დრო იყო იმისათვის, რომ მწვერვალზე ავსულიყავით, დამე „გველემშაპის კუდზე“ გავათიეთ.

დღეს, 51 წლის შემდეგ, ცხადია, დეტალებში არ მახსოვს შ. მიქელაძის უკანასკნელი ღამის ჩანაწერები, მაგრამ ის კი ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ეს იყო ნამდვილი კაცის დამშვიდობება მეგობრებთან და მის საოცნებო ქვეყანასთან, რომელსაც საქართველო ჰქვია.

მეორედ ბეთლემში 1966 წელს მოვხვდი. იმ წელს იაპონელ მთასვლელებს ველოდით საქართველოში. იაპონელებს ყველაზე მეტად მყინვარწვერზე ასვლა ეწადათ. ასვლა გერგეტის მყინვარიდან კლასიკური მარშრუტით იყო დაგეგმილი. იაპონელ მთამსვლელთა დელეგაციას, ცხადია, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიურის შენობაში რამდენიმე ღამის გათევა მოუხდებოდათ. სწორედ ამ მოტივით, მე, გიორგი აბაშიძეს და დიმიტრი დანგაძეს დაგვაგაღეს მეტეოსადგურში ასვლა და იაპონელთა დასახვედრად ყველა პრობლემის მოგვარება. მეტეოსადგურში რომ ავედით, ყველა საკითხი, რომელიც იაპონელ მთამსვლელთა დელეგაციის მიღებასთან იყო დაკავშირებული, წარმატებით იყო მოგვარებული. თურმე ნუ იტყვი, ყაზბეგის პარტიის რაიკომს საკუთარ კონტროლზე ჰქონდა აყვანილი მეტეოსადგურის წესრიგში მოყვანა და იქ იაპონელთათვის ნორმალური პირობების შექმნა.

ამდენად, მეტეოსადგურში ასულები, საქმის გარეშე აღმოვჩნდით. იაპონელთა ამოსვლამდე კი სამი დღე რჩებოდა. რა უნდა გვეკეთებინა ამ დღეებში! ჯერ კიდევ იმ დღეს, როცა მეტეოსადგურისაკენ მიმავალ ბილიკებს აღმა მივყვებოდით, მიტომ უცნაური რამ ამბავი გამანდო. რამდენიმე წლის წინ მას ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის მახლობლად, 3750 მ სიმაღლეზე ქალის შიშველი, თავწამტვრეული ბიუსტი უნახავს. შიშველი გულმკერდი თეთრი ქვისგან ყოფილა ნაკვეთი. როგორც მიტომ ამიხსნა, ბიუსტი საკამოდ მძიმე ყოფილა, რის გამოც მაშინ მისი წამოღება ვერ შეძლო. ალბათ, დიმიტრი ვერ მიხვდა, თუ რა უნიკალური ნივთს წააწყდა, თორემ როგორ მიატოვებდა! ქართულ ეკლესიაში შიშველი ქალის ტორსი — წარმოუდგენელი რამ არის.

მეორე დღეს ნაცარქედისკენ იმ განზრახვით წავედით, რათა მიტოს მიტოვებული ძვირფასი ნივთი მოგვეძია. ჩაქცეულ ეკლესიას უპრობლემოდ მივაგენით, ვინაიდან ის ნაცარქედზე აუშენებიათ, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ქედის თითქმის ჰორიზონტალური უბანი კლდოვან კონტრფორსში გადადის, რომელიც თავად ბეთლემის გამოქვაბულის ფრიალო კლდის ზღუდეს ებჯინება. ეკლესიის დასავლეთი კედლის როლს ამ კონტრფორსის 20 მეტრი სიმაღლის და რამდენიმე მეტრი სიგანის ფრიალო კლდე ასრულებს, რომლის წვერზეც, კლდეში სპეციალურად ამოკვეთილ ფოსოში თეთრი ქვის მოზრდილი ჯვარია ჩასობილი. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ საწა-

დელი ნივთი ვერსად ვნახეთ. იმჟამად მყინვარწვერს ყოველ წელს ათასობით „სტუმარი“ ჰყავდა სსრკ-ს თითქმის ყველა კუთხიდან. ეტყობა, ვიღაც უცნობმა „ტურისტმა“ ხელს გააყოლა ქვაში გამოკვეთილი ქალის გულ-მკერდი, რომელმაც ასე აღაფრთოვანა თავის დროზე ახალგაზრდა ქართველი მხატვარი დიმიტრი დანგაძე.

რაც ჩემმა თვალებმა ნახა ნაცარქედზე ჩაქცეული ეკლესიის სახით, ის ნათება დღემდე არ ჩამქრალა. იმ კლდის ჩრდილოეთ ფასადზე, რომელმაც ეკლესია დასავლეთის მხრიდან ებჯინებოდა, ხავსის ქვეშ ამოტვიფრული ჯვარი და რაღაც წარწერები მოჩანდა. ჩვენ დიდი სიფრთხილით და გულმოდგინებით კლდე გავწმინდეთ და ყველაფერი, რაც ხავსის ქვეშ იმალებოდა, 16 მმ კინოფირზე გადავიღეთ.

17 საათს იყო გადაცილებული, როცა მეტეოსადგურში დავბრუნდით. მთელი არსებით დღის განცდილით ვიყავი მოცული. გადავწყვიტე, ჩაქცეული ეკლესია გამეწმინდა და ამის თაობაზე ბიჭებს შევუთახხმდი. იაპონელების ამოსვლამდე კიდევ ორი დღე რჩებოდა.

გათენდა თუ არა, ეკლესიას მივაშურეთ. წყნარი, შზიანი დარი იდგა. ნაცარქედზე გასვლას ერთ საათზე ნაკლები დრო მოვანდომეთ. ეკლესიის სახურავი ჩაქცეული იყო. დიდი ქვის ჯვარი, ორად გაპოხილი, იქვე ეკლესიის გვერდით ედო, ჩრდილოეთ ფასადის მხრიდან. ჯვარის ორივე ნატეხი ავიტანეთ და ძველ ადგილას მოვათავსეთ — კლდის თავზე. როცა ეკლესია მთლიანად გავწმინდეთ, მიწაში სანახევროდ ჩაფლული, ორად გაპოხილი, ორნამენტით დამშვენებული ქვის საკმაოდ მოზრდილი ჯამი და ოთხკუთხა სვეტის თავი გამოჩნდა. მის ორივე მხარეს წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის განგმირვის სცენები იყო გამოკვეთილი.

იმ დღეს მთელი დღე ვიმუშავეთ. ეკლესიის ერთ კუთხეში, მიწაში მთლად ჩაფლული, მოზრდილი (არანაკლებ 0.80 მეტრის სიმაღლის, 50 სმ დიამეტრის) ოვალური ფორმის ქვის ფიგურა ამოვთხარეთ. სიმართლე გითხრათ, მისი დანიშნულება ჩვენთვის დღესაც უცნობია. ჩემი ვარაუდით, შესაძლოა ნაყოფიერების სიმბოლიკის მატარებელი იყო წარმართული ხანიდან ქრისტიანობაში გადმოსული.

გათხრებს ართულებდა ის გარემოება, რომ მიწის ქვედა ფენები გაყინული აღმოჩნდა და მხოლოდ ფენა-ფენის (30-30 სმ) მოხსნა იყო შესაძლებელი, ისიც კარგა ხნის ინტერვალით (1.5-2 სთ). მუშაობა მეორე დღესაც გაუაგრძელეთ. მესამე დღეს ისტორიკოსი გერმან მირიანაშვილიც ჩაერთო სამუშაოებში (ის წინა საღამოს ამოვიდა მეტეოსადგურში და ჩვენი გათხრების თაობაზე არაფერი იცოდა). როცა გათხრების ადგილი დაათვალიერა, ჩვენ მიერ ნაპოვნი ნივთებით აღფრთოვანებული დარჩა. მისი თქმით, სვეტის თავზე გამოსახული წმინდა გიორგის და გველეშაპის სცენები ადრეულ შუა საუკუნეზე მიუთითებდნენ. მაგრამ საბოლოო დასკვნის

გაკეთება მხოლოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ იყო შესაძლებელი. ქვის ქანდაკება კი, მისი აზრითაც, ნაყოფიერების სიმბოლიკის წარმართულ ხანას მიეკუთვნებოდა.

იმ დღეს კიდევ 60-80 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩავედით. საეკლესიო ღმრთისმსახურების რამდენიმე კარგად შენახული ნივთი ვნახეთ, მათ შორის ხის ჯვარზე გაკრული ქრისტეს გამოსახულება. მოვიძიეთ მინის (ცისფერი) ჭურჭელიც, მაგრამ მისი ყინულიდან გათავისუფლება ვერ შევძელით, ხელში ჩავვატყედა, რის შემდეგაც გათხრები შევაჩერეთ.

ნაცარქედის ჩრდილო ფერდობზე, ეკლესიის მახლობლად, რამდენიმე ნაგებობის ნიშნები ჩანდა. ალაგ-ალაგ დახვავებული იყო შავი ფიქალის ბრტყელი ფილები (ამ მიდამოებში ფიქალი არ მოიპოვება. ესენი ქვემოდან არის ამოტანილი და სახურავის საფარად იქნებოდა გამოყენებული). ჩვენ ათამდე ასეთი ნაგებობის ნაშთები დავაფიქსირეთ. ყველაფერი იმის მაუწყებელი იყო, რომ ადრეული ხანიდან ამ ადგილას რაღაც სამონასტრო კომპლექსი ფუნქციონირებდა.

მეოთხე დღეს იაპონელებიც ამოვიდნენ მეტეოსადგურში. აკლიმატიზაცია მათაც ესაჭიროებოდათ და შემდეგი დღე ბეთლემში ასვლას და ნაცარქედზე ეკლესიის ნანგრევების დათვალიერებას დაუთმეთ. იაპონელები აღფრთოვანებულები დარჩნენ, როგორც ბეთლემის მღვიმით, ასევე იმ ნივთებით, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ.

ვინაიდან იაპონელ მთამსვლელთა ტვირთი გერგეტიდან მეტეოსადგურამდე ცხენებით ამოიტანეს, შესაძლებლობა მოგვეცა, გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები ცხენებზე აგვეკიდა და ყაზბეგში ჩავგეტანა. მათი პატრონობა გერმან მირიანაშვილმა ითავა. მოგვიანებით ჩვენს გათხრებს მან ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.

მყინვარწვერიდან რომ ვბრუნდებოდით, ვახტანგ ქირიკაშვილმა მე და დიმიტრი დანგაძე შეგვაჩერა და გვითხრა: ერთი საიდუმლოება მინდა გაგანდოთ, რომელიც ჯერ არავისთვის გამომხელიაო. ეს ამბავი გერგეტის ენის მახლობლობაში ხდებოდა. ყველა წინ იყო წასული ჩვენ სამის გარდა. ვახტანგმა ბინოკლი მოიმარჯვა და გვითხრა: „ნაცარქედზე რომ ეკლესიის ნანგრევებია, იმ ადგილს ხომ ხედავთ, მის ზემოთ ქედი კლდოვან კონტრფორსში გადადის. ამ კონტრფორსის კლდეები მეტეოსადგურს რომ დაჰყურებს ზემოდან, კიდევ ერთ ხელოვნურ გამოქვაბულს ფარავს“. ისიც დასძინა, რომ ახალი მღვიმე მხოლოდ ამ ადგილიდან მოჩანს, საკმარისია რამდენიმე მეტრით გადაინაცვლო და მღვიმე თვალთახედვიდან ქრებაო.

ვინაიდან ვახტანგმა ზუსტად მიმანიშნა ადგილი, ბინოკლის დახმარებით მისი ხილვა არ გამჭირვებია. ის, რომ ახალი მღვიმე ბუნებრივი წარმომავლობის არ იყო, კარის სწორი მართკუთხა ჭრილი ადასტურებდა. მღვიმის კარი ჩამოშლილი იყო, მაგრამ ხის ძელები, რომელზეც ალბათ

კარები ეკიდა, ჯვარედინად იყო ჩახურგილი მღვიმის ჭრილში და კლდეების შედარებით მუქ ფონზე კარგად იმზირებოდა.

ჩვენ ერთად გვინდოდა იმ ახალ გამოქვაბულში შეღწევა, მაგრამ ბელმა სხვაგვარად განსაჯა. ვახტანგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მე და მიტომ ვახტანგის დაღუპვიდან მეოთხე წელს ვცადეთ გამოქვაბულის მიგნება და მასში შესვლა. იმ ადგილიდან, საიდანაც 1966 წელს პირველად ვიხილეთ, ამჯერადაც არ გავგიძნელდა მისი დამხერვა. ზუსტი ორინეტირები ავიღეთ და გამოქვაბულის მიმართულებით ავიღეთ გეზი. ვახტანგი მართალი აღმოჩნდა. როგორც კი რამდენიმე ათეული მეტრი გავიარეთ, გამოქვაბული თვალთახედვიდან გაქრა. ჩვენ მტკიცედ გვქონდა განზრახული, მიზნისთვის მიგვეღწია. ორინეტირებიც მონიშნული გვქონდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდით კლდეების ფრონტს, რომლის შუაგულშიც გამოქვაბული გველოდებოდა, ახალ-ახალ სამიზნესაც ვირჩევდით.

ეს კლდეები ცენტრში მთელ სიმაღლეზე ავიარეთ და კონტროლს გავუდით. შემდეგ პირველი ვარიანტის მარცხნივ და მარჯვნივ მოვნიშნეთ ბედი. გამოქვაბული არსად ჩანდა. მის ძებნაში მთელი დღე დაგვკარგეთ. დარჩენა აღარ შეგვეძლო. თბილისში ექსპედიცია გველოდებოდა, როცა მყინვარის ენამდე დავეშვით, სადამოს ჟამი იყო. მზე მყინვარწვერის იქით იყო ჩასვენებული. გამოქვაბული ზუსტად იქ მოჩანდა, სადაც მთელი დღე დაუბორიალობდით.

გადავწყვიტეთ, რომ შემდგომში აუცილებლად რაციებით აღვიჭურვებოდით. ერთ-ერთი ჩვენგანი მყინვარზე დარჩებოდა, ხოლო მე და მიტომ გამოქვაბულის მოსაძიებლად წავიდოდით. ამ შემთხვევაში საჭირო იყო „საქმეში“ ახალი წვერების ჩართვა. ჩვენი არჩევანი უყოყმანოდ ოთარისა და გიორგიზე შეჩერდა.

მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს მომეცა შესაძლებლობა კვლავ განმეგრძო ახალი გამოქვაბულის ძებნა. ივნისის შუა რიცხვებში მყინვარწვერზე მყავდა თანრიგოსანთა მოზრდილი ჯგუფი. როგორც ზემოთ მსვლელობისას, ასევე მყინვარწვერიდან დაბრუნებულმა დიდხანს ვეძიე გამოქვაბული (ცხადია, ვიზუალურად), მაგრამ ის უკვალოდ გამქრალიყო კლდეთა შინა. როგორც ჩანს, ხის ძელები, რომელზედაც კარი იყო ჩამოკიდებული, გარემოებათა გამო ალბათ სადღაც უფსკრულში ჩაიხეხა და თვალთახედვის არედან გაქრა. მათ გარეშე კი მღვიმეში შესასვლელი, რომელსაც ჩხერის მყინვარის ენიდან ფრონტალურად უცქერ, კლდეთა ლაბირინთების ფონზე ძნელად გასარჩევი ხდება.

მიუხედავად ამისა, მე იმედს არ ვკარგავ, რომ კლდეთა ტყვეობაში მომწყვდეულ ამ მღვიმეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივაგნებთ. ხომ გვამცნობს ვახუშტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა

საქართველოსა“⁵, რომ მყინვარწვერის კლდეები კალთებზე კაცთაგან „ქვაბნი“ არისო ნაკვეთი.

ზუსტად არ მახსოვს, როდის ვუამბე წვრილად პარმენ მარგველაშვილს ნაცარქედზე მდებარე ეკლესიისა და იქ წარმოებული გათხრების თაობაზე. ერთი კი უდავოა, რომ ჩვენი საუბარი 1978 წლის 28 მაისს უნდა უსწრებდეს, ვინაიდან სწორედ ამ დღეს ჩვენი ჯგუფი (უნივერსიტეტის მთამსვლელები მყავს მხედველობაში) ჩხერის მყინვარით მეტეოსადგურისკენ მიიკვლევდა გზას. ამ ლაშქრობაში, რომელსაც ორი ამოცანა ჰქონდა დასახული — მყინვარწვერზე ასვლა და ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის დეტალური დათვალიერება, პარმენიც მონაწილეობდა. თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტი პ. მარგველაშვილი იმ ხანად უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა გაერთიანების თავკაცი იყო. ამ ორგანიზაციასა და თსუ ალპინისტურ სექციას შორის მიღწეული იყო შეთანხმება ბეთლემის ეკლესიის კომპლექსური გამოკვლევის თაობაზე, რაც თავის თავში, ცხადია, გულისხმობდა საფუძვლიან არქეოლოგიურ კვლევებსაც. არქეოლოგიური გათხრების წარმოება კი გამორიცხული იყო ძველთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური ნებართვისა და მათივე მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულ პრობლემათა მოგვარება პარმენმა ითავა.

სამწუხაროდ, 1978 წლის მაისის ეს ლაშქრობა ჩხერის შუაგულ მყინვარზე დამთავრდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ მყინვარებზე, მით უმეტეს მაშინ, როცა ნაპრალები თოვლით არის დაფარული, თოკში ჩაბმის გარეშე სიარული ფრიალ საზიფათოა. წინ მიმავალი დიმიტრი (მიტომ) დანგაძე თავისი სენბერნარით ნაპრალში ჩაგვივარდა.

მყინვარის შუა წელში, სადაც ეს ამბავი მოხდა, ყინულის სისქე 40 მეტრს სჭარბობს. ნაპრალი, რომელშიც მიტომ ჩავარდა, საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა — 40 მეტრზე მეტი. საბედნიეროდ, მიტომ სულ რაღაც 6-7 მეტრი იფრინა, ზუსტად ამ ადგილას ნაპრალის ორი კიდე ყინულის ხილით იყო შეერთებული. ამ ხიდმა შეაჩერა მიტოს ვარდნა, თუმცადა სერიოზული ტრავმა მიიღო და გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო. რაც შეეხება ძაღლს, ის ნაპრალში ბოლომდე ჩაენარცხა და გროგშიც აღმოჩნდა. ვინაიდან ნაპრალში უკუნეთი სიბნელე იყო და, რაც მთავარია, ძაღლი დაღუპულად მიგვანჩნდა, მისი ძებნა იმ ჟამად აღარ დაგვიწყია, მით უმეტეს, რომ პატრონი გვყავდა გადასარჩენი.

ის დამე ნაპრალთან ვათიეთ (მიტოს სიარული არ შეეძლო). შუაღამე იქნებოდა გადასული, როცა ნაპრალიდან ძაღლის ყეფამ ამოაღწია ჩვენამდე. ის თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში უგონოდ ეგდო, თუმცადა საღსალამათად იყო გადარჩენილი. ძაღლი, ცხადია, ამოვიყვანეთ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასე დამთავრდა ეს ლაშქრობაც და ახალი

⁵ სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა. თბილისი, 1941.

გამოქვაბულის მოძიების შანსიც გაურკვეველი დროით გადაიდო.


რაც შეეხება არქეოლოგიურ გათხრებს ნაცარქედზე, რომელიც 1978-1979 წლებში ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობდა, მათში მე მონაწილეობა ვერ შევძელი, გათხრებს კი პარმენი ხელმძღვანელობდა. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ 1962-1985 წლებში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებსაც ვედექი სათავეში, ზაფხულის განმავლობაში მთლიანად ალპინიზმით ვიყავი დაკავებული და გასაგებია, რომ თავისუფალი დრო სხვა საქმიანობისთვის პრაქტიკულად არ მქონდა.

80-იანი წლების ბოლოს კიდევ ორჯერ მქონდა მცდელობა, მეპოვა ახალი მღვიმე. პირველ შემთხვევაში უპირველესად ბეთლემის მღვიმეს ვეწვიე ჩვენი ეკლესიის მამამთავრის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დაჯვარებით. იმ წელს მისმა უწმინდესობამ იერუსალიმიდან ჩამოიტანა ღვთისმშობლის ხატი და მისი დასვენება ბეთლემში ისურვა. საპატრიარქოს ეს დაჯვარება, ცხადია, დაუყოვნებლივ აღვასრულეთ. ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის ხატი ბეთლემს ავიტანეთ და იქ მივუჩინეთ სამუდამო ადგილ-სამყოფელი.

ხატის დასვენება ბეთლემის ქვაბში ფირზე გოგა ხაინდრაგამ აღბეჭდა, ისევე, როგორც მთელი გზაც, რომელიც ხატთან ერთად გავიარეთ. დოკუმენტური ფილმი საპატრიარქოს გადავიღეთ იმ ვიდეოკამერასთან ერთად, რომლითაც ფილმი გადავიღეთ. როცა პატრიარქის დაჯვარება პირნათლად შევასრულეთ, მე და დიმიტრი დანგაძემ ვცადეთ, 1966 წელს შორით ნახული გამოქვაბულის მიგნება, მაგრამ ამაოდ. თუმცაღა მის ძებნაში ნაცარქედის ეკლესიის ზემოთ კლდეები თითქმის მთლად მოვიარეთ. ბეთლემის გამოქვაბულის დონეზე, მხოლოდ აბანოს მყინვარის მხრიდან, შევეულ კლდეზე ახალ გამოქვაბულსაც მივაგენით, მაგრამ მარშრუტი იმდენად რთულად მოგვეჩვენა, რომ მასში შეღწევა სხვა დროისათვის გადავდეთ.

1989 წელს, პარმენთან ერთად, კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ მყინვარწვერს. ამჯერად მთავარი ამოცანა იყო წინა წელს ნახულ გამოქვაბულში შეღწევა. გამოქვაბულში, რომელიც ბუნებრივი აღმოჩნდა, არწივებს დაედო ბინა. ბეთლემის კომპლექსი კი, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს, ქართველთათვის უადრესად ღირებულ ისტორიულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება და მისი აღდგენა ჩვენი თაობის ვალია.

რაც შეეხება მყინვარწვერს, ის, ვფიქრობ, ჩვენი სულიერი ამაღლების სიმბოლოდ უნდა დავისახოთ.



ბრანი ძაჰთარია

ნერონი

რომის იმპერიის დემონები

კალიგულა რომის იმპერატორის გვირგვინს გარდასახვის ფანტასტიკური უნარის წყალობით დაეუფლა. ბავშვობიდანვე შეშლილად აღიარებულმა, მრავალგზის გაიარა ბეწვის ხიდზე: დაძლია ჰადესის ჯურღმულები, გზა-კვალი აურია შესაჭმელად მისეულ მტაცებლებს და დაიპყრო იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების მწვერვალი — რომი. მისმა დისწულმა ნერონმა, რომელიც გაცილებით უფრო ნიჭიერი და განათლებული იყო, იმპერატორის ტახტი დედის, აგრებიანა უმცროსის ბოროტ ქმედებათა წყალობით მოიპოვა. სასწაულს უნდა მიეწეროს ნერონის წინამორბედი იმპერატორის, კლავდიუსის ბედი, რომელიც იყო კალიგულასა და ნერონის დედის ბიძა. იგი იმპერატორი სრულიად შემთხვევით გახდა, მაგრამ ღიდად განსხვავდებოდა, როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო მბრძანებლისაგან.

კლავდიუსი იყო ტიბერიუსის ძმის, დრუსუს უფროსის შვილი, დაიბადა ძვ. წ. 10 წელს. ბუნებისაგან მრავალი სიმახინჯით იყო „დასაჩუქრებული“. ყველა ფიზიკური ნაკლი მასში იყო თავმოყრილი: კოჭლი, ენაბლუ, დაბნეული. ამას ემატებოდა მუდმივი ავადმყოფობა. იმდენად ცუდი გარეგნობისა იყო, რომ საკუთარი დედა ანტონია დაბადებიდანვე ვერ იტანდა დასანახად და საერთოდ არ ნახულობდა. ანტონიას აზრით, მისი შვილი „ბუნებამ დაიწყო და არ დაამთავრა“, ხოლო როცა ვინმეს გაკიცხვა სურდა, ამბობდა, „ჩემს კლავდიუსზე სულელიაო“. ავგუსტუსის მეუღლეს ლივიას შვილიშვილი ეზიზღებოდა და მასთან ურთიერთობას წერილებით, ან მონის მეშვეობით ამყარებდა. კლავდიუსს საკმაო თანაგრძნობით ეპყრობოდა ავგუსტუსი, თუმცა თვლიდა, რომ სახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის მონაცემები არ გააჩნდა.

კლავდიუსი საიმპერატორო კარზე საერთო დაცინვის ობიექტს წარმოადგენდა. თანდაყოლილი დეფექტების გამო უბედური ბავშვობა ჰქონდა.

დასცინოდნენ იმ დონემდე, რომ ადამიანადაც არ თვლიდნენ. აგდებულად ექცეოდნენ მონებიც. იმდენად უსუსური იყო, ჭამის დროსაც კი ჩაეძინებოდა ხოლმე და მონები ფინიკისა და ზეთისხილის კურკებს ესროდნენ. ჭკუასუსტად მიჩნეულმა, ყველასაგან გარიყულმა და მოძულეებულმა, თავშესაფარი მეცნიერებაში ჰპოვა. ამ სფეროში მისი ინტერესები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ანტიკური ავტორების მოწმობით, კლავდიუსის ავტორობით რამდენიმე სერიოზული ნაშრომი ყოფილა ცნობილი. მოღწეულია მხოლოდ თხზულებათა სახელწოდებები: ეტრუსკების ისტორია (20 წიგნად), კართაგენის ისტორია (8 წიგნად), ავტობიოგრაფია (8 წიგნად), 41 წიგნი ავგუსტუსის შესახებ, სიტყვა ციცერონის დასაცავად.

კლავდიუსი ცხოვრობდა უჩინრად. ჭკუასუსტის სახელი საიმედო ფარი აღმოჩნდა. იგი გადაურჩა ტიბერიუსისა და კალიგულას სისხლიან ტერორებს. როდესაც შეთქმულებმა კალიგულა მოკლეს, სასახლე პანიკამ მოიცვა. არეულობით შემინებული კლავდიუსიც დაიმალა. პრეტორიანელებმა სასახლე დაარბიეს, ამ დროს ერთ-ერთ გალერეაში თავშეფარებული კლავდიუსი აღმოაჩინეს. იგი მუხლებში ჩაუვარდა ჯარისკაცებს ვედრებით, რომ ბრალი არაფერში მიუძღოდა. ამ დროს მოხდა საოცრება. პრეტორიანელები მას მიესალმნენ, როგორც იმპერატორს, დანარჩენ თანამებრძოლებს წარუდგინეს და მთავარ ბანაკში გადაიყვანეს. მეორე დღეს (41 წლის 25 იანვარს) კლავდიუსი პრეტორიანულმა გვარდიამ იმპერატორად გამოაცხადა. კალიგულას ძალმომრეობით გატეხილმა სენატმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა და დათანხმდა.

„ჭკუასუსტი“ კლავდიუსის ამალლებას არავინ არ მოელოდა. უახლოესი ნათესავებიც კი გაოგნებულები დარჩნენ. მისმა დამ ლივიამ, როცა გაიგო, რომ იგი იმპერატორად აირჩიეს, ყველას გასაგონად წყველა-კრულვით მოიხსენია რომაელთა უბედურება და უღირსობა.

კლავდიუსს ადმინისტრაციულსა და სამხედრო საქმეებში არც ცოდნა ჰქონდა და არც გამოცდილება. იმპერატორ ტიბერიუსს თავისი ძმისწული იმდენად არასრულფასოვნად მიაჩნდა, რომ უბრალო დავალების მიცემის ღირსადაც არ თვლიდა. კალიგულამ მოწყალება გამოიჩინა და კონსულად დანიშნა, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, უფრო გართობის მიზნით.

ათვალწუნებისა და დაცინვის ობიექტმა, მუდამ ჩრდილში მდგომმა კლავდიუსმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკმაოდ გონივრული უნარი გამოავლინა. მისი პირველი ნაბიჯები იყო დამაჯერებელი და ჰუმანური. კალიგულას მკვლელობასთან დაკავშირებით გამოაცხადა ამნისტია, დაასჯევინა მხოლოდ ორი ტრიბუნი, იმისათვის, რომ მოკლეს იმპერატორის მეუღლე და მცირეწლოვანი ბავშვი.

კლავდიუსმა უკიდურესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. კალიგულას სახელმწიფო მართვის აპარატი ერთი კაცის ნება-სურვილზე ჰქონდა აგებ-

ული. რომაელთა აზრით, „უუნარო“ იმპერატორმა არსებითი ცვლილებები შეიტანა მოშლილი სისტემის აღდგენაში და ახალი ტიპის ბიუროკრატიული აპარატი შექმნა.

კლავდიუსის დროს რომის სენატი აგრძელებდა თავის საქმიანობას. მის არისტოკრატიულ შემადგენლობას რესპუბლიკის აღდგენის იდეა ამოძრავებდა. მაგრამ გაბატონებულ წოდებას ნაკლები კომპეტენტურობა და მომხვეჭელობის გაძლიერებული სურვილი ჰქონდა. კლავდიუსმა მმართველობის ეს ფორმა შეცვალა. მან ბიუროკრატიულ აპარატში დაასაქმა პროფესიონალი ლიბერტინები (გათავისუფლებული მონები ან ყოფილ მონათა შვილები), რომლებიც რომის სრული მოქალაქეობის უფლებებითაც კი არ სარგებლობდნენ. ისინი იყვნენ საკუთარი ნიჭით დაწინაურებული ადამიანები, რომლებიც შესანიშნავად ერკვეოდნენ იმპერიის ცალკეულ უწყებათა მუშაობაში. ლიბერტინების როლი ავგუსტუსის ეპოქიდან იგრძნობოდა, მაგრამ კლავდიუსის მმართველობაში გადამწყვეტი როლი დაეკისრათ (კლავდიუსთან დაახლოებული ლიბერტინები იყვნენ: ნარციუსი, პალანტი, პალადიოსი და პოლიბიოსი).

კლავდიუსის როლი განისაზღვრებოდა იმით, რომ კვალიფიციური ადამიანების მუშაობაში არ (თუ ვერ) ერეოდა. ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებისაგან იგი საკმაოდ შორს იდგა. კორნელიუს ტაციტუსი კლავდიუსის შესახებ წერდა, ის იყო პრინციპსი, რომელსაც საკუთარი არც კარგი, არც მტრული აზრი არ ჰქონდა. მოქმედებდა ჩაგონებებითა და რჩევებით. სვეტონიუსი უფრო აკონკრეტებს: ყველა მნიშვნელოვანი საქმე წარიმართებოდა მისი ცოლებისა და ლიბერტინების მიერ.

კლავდიუსის პრინციპატი წარმოადგენდა ლიბერტინთა მმართველობის ტრიუმფს. მათმა შეთანხმებულმა საქმიანობამ განაპირობა იმპერიის სტაბილიზაცია. ამ სისტემის უპირატესობა იყო ის, რომ არცერთ ლიბერტინს (ნარციუსსაც კი) აზრად არ მოსვლია კლავდიუსის ადგილის დაკავება.

უავტორიტეტო, სხვათა რჩევებზე დამოკიდებული, მაგრამ განათლებული კლავდიუსი, შესანიშნავად გრძნობდა, სახელმწიფო მოღვაწის სახელის მოსაპოვებლად საჭირო იყო საგარეო პოლიტიკის გააქტიურება. მისი მოწოდებით გამოცდილი რომაელი სარდლები წარმატებით ლაშქრობდნენ ბრიტანეთსა და გერმანიაში. დამავიგრევილებელ გამარჯვებაში სიმბოლურად ფიგურირებდა კლავდიუსის სახელი.

კლავდიუსის ინიციატივით მავრიტანია შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. რომაული ადმინისტრაციული სისტემა დამყარდა თრაკიაში. გამოცოცხლება დაეტყო რომის პოლიტიკასაც ადმოსავლეთში. ბოსფორის ტახტზე დაამტკიცეს რომის ვასალი კოტისი. ურთიერთობა პართიასთან კვლავ დამაბული რჩებოდა. მისი თანხმობით საპრობილიდან გაათავისუფლეს იბერიის მეფის ფარსმანის ძმა მითრიდატე და დააბრუნეს სომხეთის

ტახტზე (მიორიდატე კალიგულას განუკითხობის დროს რომში დაიბარეს და ციხეში ჩასვეს), რათა პართიასთან ომში საიმედო მოკავშირე ჰყოლოდა.

საგარეო პოლიტიკის ხაზით, კლავდიუსი ნიჭიერ მრჩეველებსა და სარდლებს პიროვნული მონაცემების გამოვლენის საშუალებას აძლევდა. თითქოს შეზღუდული პიროვნება იყო, მაგრამ მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნებს გულისყურით ეკიდებოდა. გამოსცა სპეციალური ედიქტი, რომლის ძალითაც მოხუცმა და ავადმყოფმა მონებმა თავისუფლება მიიღეს. ზრუნავდა პლებების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. უფასო პურისა და სანახაობის გარდა, რომაელებს სამსახური იმითაც გაუწია, რომ გაიყვანა წყალსადენები, რეკონსტრუქცია ჩაუტარა ოსტიის ნავსადგურს და რეგულარულად ამარაგებდა რომს ხორბლით.

ლიბერტინების გავლენა კლავდიუსზე იმდენად დიდი იყო, რომ ისინი მის პირად ცხოვრებაშიც აქტიურად ერეოდნენ. ამ მხრივ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები იმპერატორის მესამე ცოლთან დაკავშირებით. კლავდიუსის მეუღლე ვალერია მესალინა რომში ცნობილი აღვირა ხსნილი ყოფა-ქცევის ქალი იყო, გარს ეხვია საყვარლების მოზრდილი რაზმი. მრავალთა შორის ჰყავდა გამორჩეული ახალგაზრდა, სილიუსი. მათი ურთიერთობა იქამდე მივიდა, რომ იმპერატორის მეუღლე პარალელურად დაქორწინდა სილიუსზე. წყაროების მოწმობით, მესალინა გეგმავედა კლავდიუსის ჩამოგდებას და ტახტზე სილიუსის დასმას. თუ მოვლენები შეთქმულთა გეგმით განვითარდებოდა, ლიბერტინები, რომლებიც ქვეყნის ფაქტობრივი გამგებლები იყვნენ, გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ. ამიტომ მათ უნდა ეზრუნათ იმპერატორის პრესტიჟისა და საკუთარი თავის გადასარჩენად. ლიბერტინებმა საკითხი გართულების გარეშე გადაწყვიტეს. პრეტორიანული გვარდიის პრეფექტმა ნარცისმა ვალერია მესალინა და მისი საყვარელი სილიუსი შეიპყრო და უზნეო საქციელისათვის სიკვდილით დასაჯა. კლავდიუსმა მხოლოდ შედეგი გაიგო.

იმპერატორს შელახული ღირსება რომ დაუბრუნეს, ლიბერტინებს ახალი პრობლემა გაუჩნდათ, თუ ვისზე დაექორწინებინათ იგი. კონკურენტი მრავლად იყო, მაგრამ გაიმარჯვა ლიბერტინ პალანტის კანდიდატურამ. კლავდიუსის მეოთხე ცოლი გახდა მისი ძმის გერმანიკუსის ასული აგრიპინა უმცროსი, რომელიც მესალინასაგან ბევრით არ განსხვავდებოდა.

49 წელს 34 წლის აგრიპინა დაქორწინდა 59 წლის კლავდიუსზე.

მესალინას პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა, აგრიპინა ამბიციური ქალი იყო. იგი მონღომებით შეუდგა კლავდიუსის თანამმართველის ადგილის დაკავებას და მოკლე ხანში საიმპერატორო კარი თავისი ჩანაფიქრის მიხედვით დააღაგა. სუსტი ნებისყოფის კლავდიუსი მორჩილად ასრულებდა მეუღლის ყველა სურვილს. 50 წელს კლავდიუსმა აგრიპინას შვილი ნერონი შვილად აიყვანა, ამავე დროს იგი დაინიშნა იმ-

პერატორის ასულზე, ოქტავიაზე. კლავდიუსის ძემ ბრიტანიკუსმა, რომელიც ნერონზე სამი წლით უმცროსი იყო, კულისებში გადაინაცვლა. ნერონს გარანტირებული ჰქონდა პრინციპის კვერთხი. საჭირო იყო პროცესის დაჩქარება. კლავდიუსი აგრიპინას წინააღმდეგობას ვერ უწევდა, მაგრამ მისი სახით ბარიერს მაინც გრძნობდა. ეს ბარიერიც აგრიპინამ ჩვეული მოხერხებულობით გადალახა. მან მოისყიდა იმპერატორის შხარეული, რომელმაც კლავდიუსს მოწამლული საჭმელი (სოკო) მიართვა. 54 წელს იმპერატორი გარდაიცვალა. „მგლოვიარე“ აგრიპინამ მეუღლის სახელის უკვდავსაყოფად არაფერი დაიშურა, დიდი პატივით დაკრძალა და ღმერთად გამოაცხადა.

54 წელს 17 წლის ნერონი რომის იმპერატორი გახდა.

ლუციუს დომიციუს აგენობარბი — იმპერატორი ნერონი კლავდიუს ცეზარ ავგუსტუს გერმანიკუსი დაიბადა 37 წელს. იმავე წელს მოკლეს ტიბერიუსი და იმპერატორის ტახტი დაიკავა მისმა ბიძამ, აგრიპინას უმცროსმა ძმამ, კალიგულამ. ნერონი ორი წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. კალიგულამ აგრიპინას შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალა და გადაასახლა. მცირეწლოვანი დარჩა უდედმამოდ, კალიგულამ მემკვიდრეობაც ჩამოართვა, მასზე მზრუნველობა იკისრა მამიდან. აგრიპინა გადასახლებიდან კალიგულას სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა. აგრიპინა უმცროსი, ბოროტი და ამორალური ქალი, მარკუს ანტონიუსის შვილიშვილი იყო. მამა, გენეუს დომიციუს აგენობარბი, სვეტონიუსის დახასიათებით, უსაზიზღრეს პიროვნებას წარმოადგენდა. გადმოცემის თანახმად, როდესაც დომიციუს აგენობარბს მეგობრებმა შვილის (ნერონის) დაბადება მიულოცეს, წამოიძახა, რომ მისგან და აგრიპინასაგან არ შეიძლებოდა უბედურებისა და საშინელების გარდა რამე დაბადებულიყო (მამის წინასწარმეტყველება გამართლდა). კორნელიუს ტაციტუსთან დაცულია ასეთი ლექსი, ერთხელ აგრიპინამ წინასწარმეტყველს მიმართა შვილის ბედის გასაგებად. წინასწარმეტყველმა გააფრთხილა, მისი შვილი გამეფდება, ოღონდ საკუთარი დედის მოკვლის შემდეგ. აგრიპინას უპასუხია: „დე მოკლას, ოღონდ გამეფდეს“.

აგრიპინა ნერონს მკაცრად ზრდიდა. ცდილობდა, რომ მას საფუძვლიანი განათლება მიეღო. ამ მიზნით მიწვეული ჰყავდა პირველხარისხოვანი მასწავლებლები. ადრეულ ასაკში წრთვინდნენ ანიკეტი და ბერილი (ყოველგვარი ავკაცობის ჩამდენი ლიბერტინები). მომავალი იმპერატორის განსწავლაზე დიდი გავლენა მოახდინა ეგვიპტელმა ქურუმმა ხერემონმა, მაგრამ დამაგვირგვინებელი საფეხური დაკავშირებულია სახელოვანი ფილოსოფოსის, პოეტის, დრამატურგის და ორატორის ლუციუს ანეუს სენეკას სახელთან.

ნერონი ახალგაზრდობიდანვე ფართო ინტერესებით გამოირჩეოდა.

კარგად იცნობდა ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ფილოსოფიას, სერიოზულ ცოდნას ამჟღავნებდა არქიტექტურაში, პოპულარიზაციას უწევდა ყოველივე ბერძნულს, სასახლე მორთული ჰქონდა ევრაზიულ ტრაგედების პერსონაჟებით და მითოლოგიური სცენებით. დიდი მონდომებით ეუფლებოდა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, და რაც მთავარია, თვლიდა, რომ იყო შეუდარებელი მსახიობი და მომღერალი. ჰქონდა შესანიშნავი მეხსიერება და სწრაფად შეთვისების უნარი, წერდა ლექსებს, ტრაგედიებს. ჩამოთვლილი ღირსებებიდან გამომდინარე, იმპერიის ბოროტ სულად მიჩნეული ნერონი, განათლებული და შემოქმედი პიროვნება იყო. ამავე დროს გამოჰყოფენ თანდაყოლილ ნაკლსაც: არ გააჩნდა მოთმინებისა და თავშეკავების უნარი. ახალგაზრდობიდანვე ცდილობდა რეალობის თეატრალიზებას. ასეთი ინტელექტუალი კერძო პირად რომ დარჩენილიყო, განათლებული კაცის სახელით დაასრულებდა წუთისოფელს, მაგრამ ბედმა (თუ უბედობამ), ძალაუფლების აბსოლუტურმა პერობამ განძარცვა ადამიანურობისაგან და ჩამოაყალიბა სისხლიან და კაციჭამია ურჩხულად.

ნერონის მმართველობის დასაწყისში აგრიპინა ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებოდა. თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს ერთპიროვნულად განაგებდა. ხლართავდა ათასგვარ ინტრიგას და ცდილობდა რომიდან გაეძევირებინა მისთვის არასასურველი პირები. კლავდიუსის ადვილად ჩამოშორებამ იგი მეტისმეტად გაათამამა და უძლეველობის ილუზია შეუქმნა. სენეკა და პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი ეწინააღმდეგებოდნენ მის თვითნებობას, მაგრამ შედეგი იყო უმნიშვნელო, ბოროტება გზას არ თმობდა. აგრიპინა ნერონის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა, შეიღზე გაეღენის შესანარჩუნებლად ყოველგვარ სისაძაგლეს და უზნეობას სჩადიოდა, ვერ ურიგდებოდა სისხლით მოპოვებული პირველი ქალის სტატუსის დაკარგვას (ზნეობრივი დაცემულობის უკიდურეს გამოხატულებას წარმოადგენდა შეილთან სექსუალური კავშირის დამყარება). ნერონი დამოუკიდებელი მოქმედების გზებს ეძებდა, მისთვის მიუღებელი იყო სახელმწიფო საქმეებში დედის აქტიური ჩარევა. ასაკის მომატებასთან ერთად, ნერონი კარგავდა წონასწორობას და არაორდინალური ხდებოდა. ბოროტი აგრიპინა შეილს აფრთხილებდა, თუ გონივრულად არ მოიქცეოდა, იმპერატორის ტახტს ჰყავდა კანონიერი მემკვიდრე. დედის მუქარამ ნერონი შეაშინა, რასაც 14 წლის ბრიტანიკუსის სიკვდილი მოჰყვა. ამ ფაქტით დაიწყო ნერონის სისხლიანი და განუკითხავი ტერორი. რომის იმპერია კალიგულას ეპოქას უბრუნდებოდა.

დედასა და შეილს შორის ურთიერთობა უკიდურესად იძაბებოდა. ნერონის გარემოცვას კარგად ესმოდა, რაოდენ დაუნდობელი და შურისმაძიებელი იყო აგრიპინა. ამიტომ ფარული თუ პირდაპირი დაპირისპირება უნდა დამთავრებულიყო. კორნელიუს ტაციუსის სიტყვებით, აგრიპინას

განაჩენი გამოუტანეს. საწამლავი თავიდანვე გამოიციხეს, რადგან მსახურთა მოსყიდვა რისკთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს ცნობილი იყო ისიც, რომ აგრიპინა სისტემატურად ღებულობდა შხამს იმუნიტეტის გამოსამუშავებლად. მკვლელის მიგზავნაც არ იყო საიმედო. ჩავარდნის შემთხვევაში მოხდებოდა განზრახვის გახმაურება. ბოლოს აგრიპინას მოკვდინების ორიგინალური გეგმა წარმოადგინა დახელოვნებულმა მკვლელმა ანიკეტმა. გეგმის თანახმად, უნდა მოეწყოთ გემი ისე, რომ ზღვაში გასღვისთანავე დაშლილიყო და ჩაძირულიყო. ნერონი გაითამაშებდა მოსიყვარულე შეილის როლს. უბედურება დაბრალდებოდა ზღვის ტალღებს. სპეციალურად გამზადებული გემი მართლაც ჩაიძირა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად აგრიპინამ ცურვით მიადწია ნაპირს და გადარჩა. შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. ნერონი და მისი თანამზრახველები საგონებელში ჩავარდნენ. სენეკამ მიმართა პრეტორიანული გვარდიის პრეფექს ბურს, გაეცა ბრძანება, რომ მოეკლათ აგრიპინა. ბურმა ბრძანების გაცემაზე უარი განაცხადა. მან წამოაყენა წინადადება, რომ დანაპირები ანიკეტს შეესრულებინა. ანიკეტიც ამას ელოდა. იგი შეიარაღებული რაზმით შეიჭრა აგრიპინას ვილაში და მისი ბინადარი მახვილით მოკლა. ნერონის გუნდმა ჩადენილი დანაშაული შესაფერისი სიყალბით გაამართლა. სასწრაფოდ შეადგინეს დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმული იყო, თითქოს აგრიპინამ მოინდომა გადატრიალების მოწყობა, მაგრამ დამარცხდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. კორნელიუს ტაციუსის თანახმად, სიყალბის ავტორი იყო ლუციუს ანეუს სენეკა.

59 წელს რომის უარყოფით ქალთა შორისაც გამორჩეულ ფიგურას სიცოცხლე წართვა მისივე შხამით გამოზრდილმა ურჩხულმა. დიდი ბოროტების მატარებელი იყო აგრიპინა, მაგრამ მისი არსებობა გარკვეულ წონასწორობას იცავდა. 59 წლიდან ნერონი ყოველგვარი კონტროლიდან გავიდა და მყარად დაიმკვიდრა ადამიანთა მოდგმის შეუზღუდავი მტარვალის სახელი.

განათლებული, არტისტული ბუნების, კარგი გარეგნობის ნერონისაგან თანდათან გამოიკვეთა მხეცი, რომელსაც სიამოვნებას გვრიდა ადამიანების წამება. ძალაუფლებით ტკობამ განაპირობა მისი გაორება. გარეგნულად გამბედავი, შინაგანად მშიშარა იყო. ყოველ ნაბიჯზე შეთქმულება ელანდებოდა. შიში ზრდიდა დაუნდობლობას. შეუბრალებლობის გამოსაწრთობად უყვარდა ღამით ქუჩებში ხეტიალი. დადიოდა გადაცმული, ჰარიკით. ცემდა გამვლელებს. უწმაწური სიტყვებით მიმართავდა ყველა შემხვედრს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქალი იყო თუ კაცი. აწყობდა სკანდალურ სცენებს, იწვევდა არეულობებს. მისი სახით რომის ქუჩებში დადიოდა დაუნდობლობითა და ბოროტებით შეპყრობილი მანიაკი. არაადამიანური სისასტიკე გამოავლინა იულიუს-კლავდიუსების ნათესავთა მიმართ. მის რისხვას არა

მართო ახლო, არამედ შორეული ნათესაეობიც შეეწინააღმდეგებოდა.

შეუზღუდავმა ძალაუფლებამ ნერონი ზეადამინად აქცია, რომელსაც გამოაცალა ყოველივე ადამიანური და დაუტოვა მხოლოდ ცხოველური ინსტიქტები. ძალაუფლებამ დაუმახინჯა ფსიქიკა და სიჭაბუკეში გარკვეულწილად სიმპათიური ახალგაზრდა გადააქცია სულიერად დაავადებულ და ბოროტების მთესველ არსებად. რომში საპატრიო ადგილი დაიკავეს მლიქვნელებმა და დამსმენებმა. ვრცელი იყო სიკვდილით დასასჯელთა სია. ნერონის მრუდე სამართალს ბევრი უდანაშაულო, ღირსეული პიროვნება შეეწირა. არასასურველ პირთა გადასახლება და იქ გაურკვეველ ვითარებაში დაღუპვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მსტოვართა თარეშმა რომში ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთს დაამსგავსა.

ნერონს საქვეყნო საქმეები არ აინტერესებდა, რომი თვითდინებით მიემართებოდა. სახელმწიფოს მთავარ პოლიტიკას წარმოადგენდა ერთი კაცის ზღვარგადასული სურვილების დაკმაყოფილება, ეს პოლიტიკა კი, საკმაოდ შორს იდგა გონიერი ადამიანის სურვილებისაგან. როგორც ზეადამიანი, თავს აყენებდა სახელმწიფოზე, კანონებზე, ტრადიციებზე მადლა.

სახელმწიფო პრობლემებისაგან შორს მდგომი ნერონი, თავის ძირითად მოწოდებად სასცენო არენას თვლიდა, მიაჩნდა, რომ ამ სფეროში იგი შეუდარებელი იყო. იმპერატორი არტისტი, მომღერალი, კითარისტი, ენერგიას არ ზოგავდა მსმენელების გასაოცებლად. უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა აღფრთოვანებულ მაყურებელთა ტაში. ამ მიზნით, ტაშის დაკვრაში კარგად გავარჯიშებული ერთი ლეგიონი (ხუთი ათასი) მუდმივად თან დაჰყვებოდა და მის ნებისმიერ გამოსვლას ხანგრძლივი ოვაციებით აჯილდოვებდა. ნერონი მოხიბლული იყო ბერძენი კითარისტისა და მომღერლის ტერპსის ხელოვნებით. მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ მაღალი დონის სკოლა გაიარა და ისე დაამუშავა ხმა, ტოლს არ უდებდა პროფესიონალ მომღერლებს.

ნერონი არ ითვალისწინებდა იმ რეალობას, რომ რომში სიმღერა და ბერძნული თეატრალური წარმოდგენები პოპულარობით არ სარგებლობდა. რომაელები იმპერატორის სასცენო გატაცებებს ნამალადვე ოვაციებით ხვდებოდნენ. ნერონი, არტისტი და მომღერალი, ფრთხილ ბერძნების გარემოცვაში შლიდა. მისი აზრით, ისინი იყვნენ ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებლები. ამის გამო რომზე უფრო უყვარდა ელინური ქალაქი ნეაპოლი.

სიმღერასა და ტრაგიკული როლების გარდა დიდი იყო ნერონის პოეტური ამბიციებიც. წერდა ლექსებს, სიმღერების ტექსტებსაც თვითონვე თხზავდა. დაუწერია პოემა ტროას ომის შესახებ (პოემა სატირიკოსი პოეტის იუვენალის დაცინვას იწვევდა). ტაციტუსს თუ ვენდობით, ნერონი, როგორც პოეტი, უფრო გრაფომანს ჰგავდა. მისი გადმოცემით ნერონს შემოკრებილი ჰყავდა უცნობ მელექსეთა გუნდი, რომლებიც მასთან ერ-

თად თხზავდნენ, ან შეჰქონდათ შესწორებები დაწერილში. ეს კარგად ჩანს შინაარსიდან, თხზულებებში არ არის არც აღტაცება, არც შთაგონება, არც პოეტურობა. ნერონის ლიტერატურულ გატაცებებზე საწინააღმდეგო მოსაზრებისა სვეტონიუსი. მისი სიტყვებით, ნერონი ლექსებს წერდა არა გართობის მიზნით, არამედ ეს იყო მისი მოთხოვნილება.

ნერონის ცხოვრებაში თეატრის შემდეგ ადგილი ეკავათ ქალებს. პირველი მეუღლე იმპერატორ კლავდიუსის ასული ოქტავია, როგორც ქალი, ნერონს საერთოდ არ იზიდავდა. იმავე პერიოდში იგი გაიტაცა მცირეაზიელმა ლიბერტინმა აკტიემ. ნერონის ურთიერთობა აკტესთან, აგრიპინას დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 58 წლიდან მისი ტრფობის საგანი გახდა პოპეია საბინა, რომელმაც აიძულა კავშირი გაეწყვიტა წარსულთან (იგულისხმება, როგორც აკტე, ისე აგრიპინა). პოპეია საბინა იყო ლამაზი, გარყვნილი, სასტიკი, ორპირი. კორნელიუს ტაციტუსი წერს, „პოპეიას ჰქონდა ყველაფერი, სუფთა სულის გარდა“. ვიდრე ნერონს შეხვდებოდა, პოპეიას ორი ქმარი ჰყავდა. მისი მეორე ქმარი იყო ნერონის მეგობარი და მისი თავაშვებული ცხოვრების მონაწილე მარკუს ოტონი, რომელსაც, პლუტარქეს სიტყვებით, ნერონზე სუფთად არ უცხოვრია (მოგვიანებით, 69 წლის იანვარ-აპრილში მარკუს ოტონი იმპერატორიც იყო). ნერონმა გაცნობისთანავე პოპეია ცოლად შეირთო, ხოლო მისი მეუღლე სამუშაოდ ესპანეთში გაამწესა. პოპეია საბინა ბუნებით ზუსტად ნერონის შესაფერისი იყო. მან დიდი გავლენა მოიპოვა იმპერატორზე. მითითებულია, რომ იგი იყო აგრიპინას მკვლელობის ერთ-ერთი ინიციატორი. პოპეიას მოთხოვნით, ნერონმა სიკვდილი გადაუწყვიტა ოქტავიას, რომელიც ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩადენილი ბოროტებანი არც პოპეიას შერჩა. 65 წელს სიბრაზით გონებადაკარგულმა ნერონმა იგი ცემით მოკლა. იმავე წელს იმპერატორმა ცოლად შეირთო სტატილია მესალინა. დასახელებულთა გარდა ნერონს გარს ეხვია ამორალურ ქალთა საკმაოდ მობრძილი გუნდი, მაგრამ მისი გადაგვარებული ბუნება ვლინდებოდა კაცებთან ურთიერთობაშიც. წყაროებს დაცული აქვთ მისი რამდენიმე მიჯნურის სახელი (დორიფორი, პითაგორი). განსაკუთრებით გამოჰყოფენ სპორს. სიბილას კულტის მსახური სპორი კასტრირებული იყო, იგი განუყრელად თან ახლდა იმპერატორს. სპორი ნერონის გვერდით იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც.

ნერონს შეთქმულების შიში მოსვენებას არ აძლევდა. პრეტორიანული გვარდია თავის სიმაღლეზე იდგა და იმპერატორის ბოროტ ქმედებებს საიმედოდ დარაჯობდა. 62 წელს გარდაიცვალა აფრანიუს ბური. ნერონმა მის ადგილზე დანიშნა სოფონიუს ტიგელინი, ბნელი წარმომავლობის პიროვნება. ტიგელინის შესახებ ტაციტუსი წერს, ახალგაზრდობა მან გაატარა სიბინძურეში, ხოლო მოხუცებულობა უსირცხვილობაში. არ

არსებობდა ბოროტება, ტიგელინს რომ არ ჩაედინა. მან იმპერატორის მოწონება დაიმსახურა ოქტავიას სამარცხვინო პროცესის დროს, როდესაც წესიერ ქალს მრუშობა დასწამა და სასამართლოში ცრუ მოწმეებიც მიიყვანა. შეთქმულების მანიით შეპყრობილი ნერონი მხოლოდ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტს ენდობოდა. ტიგელინიც ენდობას დიდი ერთგულებით პასუხობდა, რომში პოლიციური რეჟიმი დაამყარა. ასპარეზი გაუფართოვა დამსმენებს, ადგენდა დასასჯელ მოქალაქეთა სიებს. სიფრთხილე იქამდე მივიდა, რომ თეატრში ნერონის გამოსვლისას მყურებელთა გამოძეტყველებასაც კი აკვირდებოდნენ და ვინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, აპატიმრებდნენ.

ნერონის დატრიალებულ სიკვდილის კალოთა შორის უნდა გამოიყოს ხანძარი რომში და მასთან დაკავშირებული არაადამიანური სისასტიკე. 64 წლის 18-19 ივლისის ღამეს „მარადიულ ქალაქში“ გაჩნდა ხანძარი, რომელიც ცხრა დღე გაგრძელდა. იმდროინდელი რომი ძირითადად ხის შენობებისაგან შედგებოდა, ამიტომ ცეცხლი სწრაფად გავრცელდა და ქალაქის დიდი ნაწილი ფერფლად აქცია. ნერონი რომში არ იმყოფებოდა და როცა გაიგო მომხდარი უბედურება, მაშინვე დაბრუნდა და სამაშველო საქმიანობაში ჩაერთო. წყაროების გადმოცემით, იმპერატორმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია დაზარალებულებს. ამის მიუხედავად, ქალაქში საკმაოდ სერიოზულად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ხანძარი მისი მითითებით გაჩნდეს, რადგან ნერონს არ მოსწონდა რომი და სურდა მის ნაცვლად ახალი ქალაქის აგება, რომელსაც დაერქმეოდა ნერონოპოლისი. ხანძრის ხელოვნურად გაჩენამ ისეთი რეზონანსი შეიძინა, რომ ნერონი იძულებული გახდა, მასზე სერიოზული რეაგირება მოეხდინა, რომ თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა, აღმოეჩინა დამნაშავეები და დაესაჯა. დამნაშავეთა გამოვლენა გაფანტავდა ხალხში გავრცელებულ ხმებს. ნერონსა და მის მსტოვრებს ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის დადანაშაულება შეეძლოთ, მაგრამ არჩევანი შეაჩერეს რომში მცხოვრებ ყველაზე დაუცველ კატეგორიაზე. ასეთ დაუცველ კატეგორიად იმპერატორმა მიიჩნია პირველი ქრისტიანები. ნერონის თანამედროვე ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი (დაიბადა 55 წელს) წერს, „ნერონმა, რომ გაეფანტა ხმები, მოძებნა დამნაშავენი და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რომლებიც თავიანთი სისამაგლით საყოველთაო სიძულვილს იწვევდნენ და ბრბო მათ ქრისტიანებს უწოდებდა. ქრისტე, რომლის სახელისაგან წარმოდგება ეს სახელწოდება, სიკვდილით დასაჯა ტიბერიუსის დროს პონტიუს პილატემ. დროებით ჩამცხრალმა ამ ბოროტმა ცრურწმენამ გამოადღწია... რომშიც... სადაც ყოველი მხრიდან მოედინება ყოველგვარი საზიზღრობა... და აქ პოულობს მიმდევრებს. ამრიგად თავდაპირველად შეიპყრეს ისინი, ვინც ღიად აღიარებდა ამ სექტის წევრობას, ხოლო შემდეგ მათი ჩვენებით... მხილებულნი

არა იმდენად ცეცხლის წაკიდებაში, რამდენადაც სიძულვილში ადამიანთა მოდემისადმი დაადანაშაულეს. მათ დასჯას თან ახლდა აბუჩად აგდება, ვინაიდან მოსაუდნენ ველურ ცხოველთა ტყავში, რათა ისინი სასტიკად დაეგლიჯათ ძაღლებს, აკრავდნენ ჯვრებზე, ან განწირულებს ღამის სიბნელის განათებისათვის ცეცხლში წვადნენ, ამ სანახაობისათვის ნერონმა თავისი ბაღები გადასცა. თუმცა ქრისტიანები დამნაშავენი იყვნენ და ისინი იმსახურებდნენ უმკაცრეს სასჯელს, ეს სისასტიკე აღძრავდა სიბრალულს მათ მიმართ, ვინაიდან ჩანდა, რომ მათ ანადგურებდნენ არა საზოგადოებრივი სარგებლობის ნიშნით“ (კორნელიუს ტაციტუსი, ანალები, XV, 44).

ანტიკურ მწერლობაში ამაზე ტრაგიკულად აღწერილი ეპიზოდი არ არსებობს (არც სხვა ეპოქებშია მსგავსი ხოცვა-ჟლეტა დაფიქსირებული). ეს არის მხეცადქცეული ადამიანის სიძულვილის ამონთხვევა. ღამის სიბნელის განათება ცეცხლმოკიდებული ადამიანებით, არც ერთ ბოროტ სულს, ნერონამდე აზრად არ მოსვლია. ტაციტუსის ცნობების სანდობა ეჭვს არ იწვევს, რადგან იგი წერდა არა შორეულ წარსულზე, არამედ მის თანამედროვე ამბებზე. პირველი ქრისტიანების დახასიათებაში ტაციტუსი გამოკვეთილად ტენდენციურია, საზრდოობს იმ უარყოფითი ეპითეტებით, რაც გავრცელებული იყო ანტიქრისტიანულ ლიტერატურაში. არსებობს ვარაუდი, თითქოს „ანალებში“ აღწერილი ფაქტები პირველი ქრისტიანების დენისა და განადგურების შესახებ არის გვიანი პერიოდის ჩანამატი და სინამდვილეს არ შეესაბამება. თუ ამგვარ ვარაუდს დავუშვებთ, მაშინ ქრისტიანი მწერალი უნდა გამოირიცხოს, რადგან ქრისტიანი მწერალი თავისი რწმენის ადამიანებს ტაციტუსის ლექსიკონით არ მოიხსენიებდა.

ნერონი იყო პირველი ქრისტიანების პირველი დიდი მტერი, რომელმაც რომი მოწამეთა სისხლით მორწყულ ქალაქად აქცია (ტრადიციით, მოციქულები პეტრე და პავლე, რომში ნერონის დროს აწამეს).

გადამწვარი რომის ადგილას დაიწყო ახალი მშენებლობანი. ნერონისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ანტიკური ავტორები იმპერატორის ხუროთმოძღვრულ ჩანაფიქრს აღტაცებით მოიხსენიებენ. ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმარებული ქუჩები და შენობები, სრულიად განსხვავებულ იერს აძლევდნენ მსოფლიოს დედაქალაქს. ახალი განაშენიანების მთავარი ნაგებობა უნდა გამხდარიყო იმპერატორის სასახლე (რომლის არქიტექტორიც ნერონი იყო). გარეგნულ სილამაზესთან ერთად, საერთო მოწონებას იმსახურებდა სასახლის ინტერიერი, მორთული ბერძნული ქანდაკებებით და კედლის მხატვრობით. ნერონის ბრძანებით, სასახლის შესამკობად მრავალი ძველი გადაიტანეს საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან (მოღწეულია სასახლის ნანგრევები). ნერონის არქიტექტურულ ინტერესებს შეეწირა რომის ძველი უბნები, რათა მათ ნანგრევებზე

მისი ოცნების ქალაქი აგებულიყო, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებას მსხვერპლად შეეწირა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ I საუკუნეში განსხვავებული რწმენის ადამიანები არ იღვენებოდნენ. ნერონის დროს რომში მრავლად ცხოვრობდნენ იუდაიზმის მიმდევრები (თვით იმპერატორის მეუღლე პოპეა საბინა იუდეველი იყო), მაგრამ შევიწროებას არ განიცდიდნენ. ახლად წარმოქმნილი ქრისტიანობის მიმართ გამოვლენილ სისასტიკეში სხვა მიზეზებია საძიებელი.

განდიდების მანიით შეპყრობილი ნერონის აპოგეას წარმოადგენდა ერთწლიანი ტურნე საბერძნეთში, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ ნერონი იყო უდიდესი მსახიობი, მომღერალი და სპორტსმენი. ხანგრძლივი მოგზაურობა (66-67 წლებში) დაიწყო მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით (ცალკე უნდა აღინიშნოს ხუთი ათასი ტაშის დამკვერელი).

საუკუნეთა განმავლობაში დაკანონებული საერთო ელინური თამაშები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ნერონის საპატრიარქო მონაწილეობა მათი გადაადგილება და დროის მოკლე მონაკვეთში ჩატარება, რომ იმპერატორს საშუალება მისცემოდა ყველა სახეობაში მიეღო მონაწილეობა. საერთო ელინური თამაშები — ოლიმპიური, პითიური, ისთმური, ნემეური და დიონისიები, თანმიმდევრობით დანიშნეს, ოლიმპიადების პროგრამაში ნერონის სურვილის დასაკმაყოფილებლად დაუმკეს მუსიკალური შეჯიბრიც. იმპერატორმა მონაწილეობა მიიღო ყველა სპორტულ შეჯიბრში და გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს. მოხდა კურიოზიც. ოლიმპიაში ასპარეზობისას ეტლიდან გადმოვარდა და შეჯიბრი ვერ გააგრძელა. ამის მიუხედავად გამარჯვება მაინც მას მიაკუთვნეს, რის სანაცვლოდაც მსაჯებმა საჩუქრად მიიღეს ერთი მილიონი სესტერციუმი.

ტურნემ დაადასტურა, რომ ნერონი იყო პირველი სპორტსმენი, მაგრამ მის მთავარ სიამაყეს მუსიკალურ და თეატრალურ კონკურსებში მოპოვებული ტაში წარმოადგენდა. ბერძენთა ოვაციებმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იყო შეუდარებელი არტისტი, მომღერალი და კითარისტი.

საერთო ელინური დღესასწაულების გარდა ნერონი გამოდიოდა ცალკეული ქალაქების ნაკლებ მნიშვნელოვან ზეიმებშიც. სადაც კი ფეხი დადგა, ყველა გვირგვინი მას მიაკუთვნეს, რამაც განაპირობა ჯილდოთა რაოდენობის გაზრდა (წყაროებში დასახელებულია ათასგვანა მეთი გვირგვინი).

საბერძნეთში ნერონი შეუდგა კორინთოს ყელზე არხის გაჭრას, რათა პელოპონესის ნახევარკუნძული კუნძულად ექცია და ეწოდებინა მისთვის ნერონონესოს — ნერონის კუნძული. სამუშაოები საზეიმო ვითარებაში დაიწყო, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ არხის გაყვანა შეწყდა.

მოგზაურობამ აამაღლა ნერონის ელინოფილობა. მის ამაღლებულ განწყობაზე მომწესხველად მოქმედებდა საზეიმო შეხვედრები. მასპინძელთა

გამოვლენილი ყურადღება შესაფერისად დაფასდა. ნერონმა გადასახადები-საგან საბერძნეთის გათავისუფლება ოფიციალურად გამოაცხადა.

იმპერატორმა ტრიუმფით შემოიარა საბერძნეთი. მან მიიღო, რასაც ელოდა. ელინებმა მისი არტისტული ტალანტი აღიარეს და იგი, თითქოს დიდი ომი მოეგოს, გამარჯვებული დაბრუნდა იტალიაში.

ნერონის სადამსჯელო სისტემა, საბერძნეთში თავბრუდამხვევი ზეიმის დროსაც ჩვეული სისასტიკით გრძელდებოდა. ბევრი თვალსაჩინო პიროვნება იმპერატორის მუხებთან მიახლოებისა და გამიჯნულების დროს გამოესალმა წუთისოფელს. ელადში ჰპოვა განსასვენებელი სახელოვანმა სარდალმა დომიციუს კორბულონმა. ლეგიონების საყვარელ მხედართმთავარში ნერონი საშიშ კონკურენტს ხედავდა და ეს გახდა მისი დასჯის მიზეზი. კორბულონის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო რომაული სახელმწიფოსათვის.

ტაში და ოვაციები აზანზარებდა რომს. პარალელურად უწყვეტ ნაკადად იღვრებოდა სისხლი. იმპერატორის ხელისუფლება მხოლოდ ძალას ემყარებოდა. ნერონის შიში არ იყო საფუძველს მოკლებული. რომაელმა არისტოკრატებმა რამდენჯერმე სცადეს ბოროტ სულად გადაქცეული ნერონის დამხობა. 65 წელს შეთქმულთა დიდმა ჯგუფმა შეადგინა გეგმა, რომლის თანახმადაც, ამფითეატრში ნერონიების (ნერონს დაწესებული ჰქონდა თავისი სახელობის თამაშები) დროს მოეკლათ ნერონი და იმპერატორად დაესვათ სხვა პიროვნება. შეთქმულება მარცხით დამთავრდა. იმპერატორის სასამართლომ ბევრ მაღალი თანამდებობის პირს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ბრალი დასდეს სენეკასაც, იგი აიძულეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა. შეთქმულებას ადგილი ჰქონდა 66 წელსაც.

რომის იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. ბურისა და სენეკას ასპარეზიდან წასვლის შემდეგ იმპერატორის გარემოცვაში ადგილები გადაინაწილეს მედროვე, ძლიერქველმა ლიბერტინებმა, რომლებიც კარგად ასრულებდნენ სადამსჯელო ოპერაციებს, მაგრამ სრულიად უუნარონი აღმოჩნდნენ დიდი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაში. სისხლიანმა დესპოტიამ რომი მოაზროვნე ადამიანებისაგან გაწმინდა და არენა გაუთავისუფლა იაფფასიან მედროვეებს, რომელთა ნიჭი მიმართული იყო ბოროტებისაკენ. ნერონის ეპოქის შეზღუდული აზროვნებით, იმპერიის ძლიერების საფუძველი იყო შიში და ქვეშევრდომთა მონური მორჩილება. სახელმწიფო პოლიტიკის გონივრულად წარმართველი არ ჩანდა. იმპერატორი ორიენტირებული იყო ტაშსა და ოვაციებზე. ინტრიგებში გამოწრთობილი ლიბერტინები შესანიშნავად გრძნობდნენ ნერონის სუსტ მხარეს და ცდილობდნენ მის გადაფარვას ფანტასტიკური ზღაპრებით. მათ წრეში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ

ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელის სახით რომაელებს ჰყავდათ რეალური ნერონი, რომელსაც შესწევდა ძალა ჩაედინა უფრო დიდი გმირობა. გონიერი იმპერატორის შემთხვევაში, რომს შეეძლო ალექსანდრე დიდის ლაშქრობის გამეორება, ჰყავდა უზარმაზარი არმია და გამოცდილი და ღირსეული სარდლები (საკმარისია დაჯასახელოთ დომიციუს კორბულონი და ფლავიუს ვესპასიანე). გეგმა არ იყო მოწყვეტილი რეალობას, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში ედგა პიროვნება, რომლისთვისაც ცხოვრების მთავარ იდეას ამფითეატრის ბატალიები შეადგენდა. მითები იქმნებოდა არა სერიოზული განსჯისათვის, არამედ ნერონის საამებლად.

ნერონის გარემოცვა იმპერიის შერყეული ავტორიტეტის აღდგენას ძლევამოსილ ომში ხედავდა. გამოკვეთილი იყო ორი მიმართულება: აღმოსავლეთი და დასავლეთი.

ნერონის ზემოქმედების პარალელურად რომს თავდაცვითი ბრძოლების წარმოება უხდებოდა. გართულდა სიტუაცია აღმოსავლეთში. პართიამ განაახლა საომარი მოქმედება სომხეთში. რომის ლეგიონები წარმატებით ებრძოდნენ პართებს (კორბულონის სარდლობით), მაგრამ ხელისუფლების მხრიდან სრული უყურადღებობის გამო იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. 63 წელს რომმა აღიარა სომხეთში პართიის მეფის ვოლოგეზის ძმის, ტირიდატის გამეფება. ფაქტი ოფიციალურად გაფორმდა 66 წელს, რომში ტირიდატის ვიზიტის დროს.

როდესაც ნერონი ელინების წინაშე პოზიირობდა, იუდეაში დაიწყო დიდი ანტირომაული აჯანყება (66-73 წლები). იმპერატორის ერთადერთი სწორი მოქმედება იყო მთავარსარდლად ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (69-79 წლებში რომის იმპერატორი) დანიშვნა. ებრაელებმა საოცარი თავგანწირვა და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, მაგრამ დამარცხდნენ. იერუსალიმი, სისხლისაგან დაცლილი და ნანგრევებად ქცეული, დანებდა ვესპასიანეს ძეს ტიტუსს (იუდეის გმირული ომი აღწერილი აქვს მის მონაწილეს, რომაელთა მხარეზე გადასულ იოსებ ბენ მათაფიას, რომელიც ანტიკურ მწერლობაში იოსებ ფლავიუსის სახელითაა ცნობილი).

რომში გრძელდებოდა რეპრესიები, სასამართლო პროცესები, კონფისკაციები. საღმა აზრმა საერთოდ დატოვა საიმპერატორო კარი. ნერონი აგრძელებდა თავის უწესო ცხოვრებას. გრძნობდნენ კატასტროფის მოახლოებას, მაგრამ მხსნელი არ ჩანდა, პროვინციებში იზრდებოდა მღელვარების ტალღა. უკმაყოფილო ლეგიონები აჯანყების ზღვარზე იდგნენ. საერთო რომაულ განწყობას ბიძგი მისცა გალიის იმპერატორმა გაიუს იულიუს ვინდექსმა. 68 წლის იანვარში ვინდექსმა იარაღი აღმართა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და გამოაქვეყნა მოწოდებების ვრცელი ჩამონათვალი. მრავალ მოთხოვნათა შორის ხაზგასმული იყო ნერონის სიგიჟენი და არა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი.

ვინდექსის აჯანყებას ნერონი მშვიდად შეხვდა. მისი რეაქცია იმით გამოიხატა, რომ სენატს უბრძანა გადაეყენებინა თანამდებობიდან აჯანყებული პროპრეტორი. მისი გულისწყრომა გამოიწვია ვინდექსის არაკორექტულობამ, რომელიც მას მოიხსენიებდა არა ნერონის, არამედ დომიციუს აგენობარბის სახელით. განსაკუთრებით აღაშფოთა მოწოდების იმადგილმა, სადაც ვინდექსი ნერონს კითარის ცუდ დამკვრელს უწოდებდა.

ვინდექსის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ევროპული პროვინციების პროკონსულები და პროპრეტორები. გაერთიანებულ ძალებს სათავეში ჩაუდგა გერმანიის გამგებელი ვერგინიუს რუფუსი. გაიმართა ბრძოლა, რომელშიც ვინდექსი დამარცხდა (გადმოცემით, დამარცხებულმა ვინდექსმა თავი მოიკლა). რომის საიმპერატორო ხელისუფლება იმდენად იყო მოშლილი, რომ მის დამორჩილებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ დასავლეთის გამგებლებმა წინადადებით მიმართეს ვერგინიუსს, გაეგრძელებინა ბრძოლა და ხელში აეღო იმპერიის მმართველობა. რუფუსმა წინადადებაზე უარი განაცხადა თავისი წარმომავლობის გამო (არ ეკუთვნოდა ძველ არისტოკრატიულ გვარს). მაშინ ევროპის გამგებლებმა არჩევანი შეაჩერეს მახლობელი ესპანეთის პროკონსულ სულპიციუს გალბაზე. 73 წლის გალბამ წინადადება მიიღო და ევროპის გამგებელთა ერთსულოვანი მხარდაჭერით დაიძრა რომის მიმართულებით (სულპიციუს გალბა რამდენიმე თვე, 68 წლის ივნისიდან 69 წლის იანვრამდე, ითვლებოდა იმერატორად).

ნერონმა კრიტიკულ სიტუაციაში ვერ განსაზღვრა, რა იყო მთავარი და რა მეორეხარისხოვანი. გადმოცემის თანახმად, ნერონმა, როცა გალბას აჯანყებულთა მხარეზე გადასვლა გაიგო, გული წაუვიდა, მაგრამ მოკეთებისთანავე თეატრს მიაშურა. თეატრში მისულმა დაინახა, რომ მაყურებლები რომელიღაც მსახიობს ტაშით აჯილდოებდნენ. ნერონი განაწყენდა და უსინდისო საქციელისთვის მსახიობს უსაყვედურა, რომელმაც თითქოს იმით ისარგებლა, რომ იმპერატორი დაკავებული იყო. ამ თითქოს უბრალო ეპიზოდის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ნერონი დიდი პოლიტიკისათვის არ იყო დაბადებული. ნაცვლად იმისა, რომ მოახლოებულ საშიშროებაზე ეფიქრა, ფიქრობდა თეატრზე და უცნობი მსახიობის ტაშით დაჯილდოება შეშურდა.

ვინდექსის აჯანყების დროს ნერონი ნეაპოლში იმყოფებოდა. რომში მოგვიანებით დაბრუნდა, მაგრამ მდგომარეობის მოწესრიგების თვალსაზრისით გონივრული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ყოველი მხრიდან საგანგებო ხმები მოდიოდა. მკვლელობისა და უზნეობის დიდოსტატ იმპერატორს არმია არ იცნობდა. ამიტომ ლეგიონები უყოყმანოდ გადადიოდნენ აჯანყებულთა მხარეზე. ერთდღერთ იმედად რჩებოდა პრეტორიანული გვარდია, მაგრამ ნებისმიერი ლეგიონის წინააღმდეგ მის გამოყვანას აზრი არ ჰქონდა.

68 წლის ივნისის დასაწყისში რომში მდგომი არმიის ნაწილები აჯანყე-


ბას შეუერთდნენ. პრეტორიანელებმა უარი თქვეს იმპერატორის დაცვაზე. პრეფექტმა ნიმიდიუს საბინმა ნერონი დაარწმუნა, რომ უსაფრთხოებისათვის უმჯობესი იყო რომის დატოვება.

ნერონი განსჯის უნართ არასდროს გამოიჩინა, მაგრამ მოახლოებულმა საფრთხემ სულ დაუბნელა გონება. დიდხანს არ უფიქრია, რა გზას დადგომოდა. მისი აზრით, ყველაზე ერთგული პროვინცია იყო ეგვიპტე და გადაწყვიტა იქ შეეფარებინა თავი. ბრძანება მიეცათ სანდო პირებს, შეკრებილიყვნენ ოსტიაში, საიდანაც გზას ალექსანდრიაში მიმით გააგრძელებდნენ.

ნერონმა დატოვა სასახლე და გაეშურა დათქმული ადგილისაკენ, თან მცირე ამაღლა ახლდა. მგზავრებს დააღამდათ და ღამის გასთევად შეჩერდნენ. დილით აღმოჩნდა, რომ პრეტორიანელებსა და სხვა მხლებლებს მიეტოვებინა, მხოლოდ ოთხი მსახური და სპორი დარჩენილიყო. უიმედოდ მდგომარეობაში ჩავარდნილებს ლიბერტინმა ფაონმა შესთავაზა, მის მამულში დამალულიყვნენ. ნერონი შეინიღბა, რომ ვინმეს არ ეცნო. ცხენებით მგზავრობაც სახიფათო იყო და ფეხით გააგრძელეს გზა. ამ დროს მათთვის ცნობილი გახდა სენატის დადგენილება, რომელიც ნერონს სამშობლოს მტრად და ძეხნილად აცხადებდა. გრძნობდნენ, რომ მღვერები კვალს ადგენენ და ყოველ წუთს შესაძლებელი იყო ალყაში მოქცევა. ნერონს ნიბლაუდა ტრაგიკული როლების შესრულება და განგებაამაც შესაფერისი ბედი არგუნა. უკანასკნელი როლიც შესანიშნავად შეასრულა. როდესაც დაინახა, რომ მღვერები უახლოვდებოდნენ, იმპერიის მრისხანე მბრძანებელმა საკუთარ სიცოცხლეს განაჩენი გამოუტანა. აიღო მახვილი, მაგრამ დამოუკიდებლად გამოყენება ვერ შეძლო და მსახურის დახმარებით გაიყარა ყელში. 68 წლის 9 ივნისს იმპერატორი სპორისა და რამდენიმე მსახურის თანდასწრებით გამოეთხოვა წუთისოფელს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო, „რა დიდი მსახიობი კვდება“. როდესაც მღვერები დაადგნენ თავზე, იგი ჯერ კიდევ სუნთქავდა.

ნერონის სიკვდილით დამთავრდა იულიუს-კლავდიუსების დინასტია.

მკვლელი და არტისტი იმპერატორი ისტორიაში ანტიქრისტეს სახელით შევიდა.



საბერძნეთის ეკლესიის ფინანსების სინოდის მოწოდება ხალხისადმი

„ეკლესია თანამედროვე კრიზისის პირისპირ“

საბერძნეთის ეკლესიის იერარქია, რომელიც ა.წ. 5-8 ოქტომბერს მორიგ სხდომაზე შეიკრიბა, გრძნობს აუცილებლობას, მიმართოს თავის მრევლს, ღმრთის ერს, და ასევე ყოველ არაგულგრილ ადამიანს, რათა ჭეშმარიტებისა და სიყვარულის ენით ესაუბროს.

ჩვენ ვცხოვრობთ მეტად რთულსა და კრიზისულ დროს. როგორც ქვეყანა ვიმყოფებით მძიმე ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც მრავალ ადამიანში დაუცველობის გრძნობასა და შიშს ბადებს. არ ვუწყით, რა მოგველის ხვალ. ჩვენი ქვეყანა, როგორც ჩანს, აღარ არის თავისუფალი, არამედ არსებითად ჩვენი კრედიტორების მიერ იმართება. ვუწყით, რომ ბევრი თქვენგანი ელოდებით მწყემსი ეკლესიისგან მისი პოზიციის გამოხატვას იმ მოვლენების მიმართ, რომელთა მოწმენიც ვართ.

ჭეშმარიტად, ის, რაც ჩვენს სამშობლოში ხდება, არნახული და შემადრწუნებელია. სულიერ, საზოგადოებრივსა და ეკონომიკურ კრიზისს თან ახლავს ყოველი სახის ცვლილება. შეინიშნება მრავალი ტრადიციის ამოძირკვისა და მოსპობის მცდელობა, რომლებიც დღემდე ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თავისთავადობას გვიჩვენებდა. ტრადიციათა და უფლებების მოსპობის მცდელობა მეტწილად ერთი უპრეცედენტო არგუმენტით მართლდება: ამ ზომებს ჩვენი კრედიტორები მოითხოვენ. მაშასადამე, ვაცხადებთ, რომ ვართ ოკუპირებული ქვეყანა და მბრძანებელთა — ჩვენი კრედიტორების — ბრძანებებს ვასრულებთ. იბადება კითხვა, მათი მოთხოვნები მხოლოდ ეკონომიკურსა და სადაზღვევო საკითხებს შეეხება თუ ჩვენი სამშობლოს სულიერსა და კულტურულ იერსახესაც.

ამ მდგომარეობის წინაშე აღმოჩენილი ყოველი გონიერი ადამიანი სვამს კითხვას: რატომ არ მივიღეთ ყველა ის მკაცრი ზომა, რომლებიც დღეს აუცილებლად ითვლება, უფრო ადრე? საზოგადოებრივი ცხოვრები-

• წყარო: ΠΡΟΣ ΤΟ ΛΑΟ: «Η Εκκλησία απέναντι στη σύγχρονη κρίση».

სა და ეკონომიკის ყველა იმ პათოლოგიას, რომელთა დაძლევასაც დღეს ასეთი ძალისხმევით ვცდილობთ, თავის დროზე რატომ არ ვუმკურნალეთ? რატომ უნდა მოვსულიყავით აქამდე: ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე სახეები უკვე ათწლეულებია არ შეცვლილა. როგორ მოხდა პოლიტიკური ღირებულების გამოთვლა, როცა იცოდნენ, რომ ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავდათ, დღეს კი თავს დაცულად გრძნობენ, რადგან მოქმედებდნენ როგორც სხვათა ბრძანებათა შემსრულებლები? დღეს ძირფესვიანი ცვლილებები ხდება, რომელთა გამოც ადრე მთელი საბერძნეთი ფეხზე დადგებოდა, ახლა კი მათ თითქმის წინააღმდეგობის გარეშე იღებს.

ჩვენი ეკონომიკური კრიზისი ძალიან მარტივი სიტყვებით აიხსნება, კერძოდ, წარმოებასა და მოხმარებას შორის დისბალანსით. წარმოების ნელი ტემპი ვერ ეწევა ცხოვრების მაღალ დონეს, რომელსაც შევეჩვიეთ. როცა მოხმარებული გაცილებით მეტია წარმოებულზე, ეკონომიკური ბალანსი გასაჯალთა მხარეს იხრება. ჩვენი ქვეყანა, პრობლემის გამკლავების მიზნით, იძულებულია საგარეო სესხი შერყეული ბალანსის გაუმჯობესების იმედით აიღოს. როცა ეს არ ხდება და კრედიტორები გასესხებულის პროცენტით დაბრუნებას ითხოვენ, კრიზისამდე და გაკოტრებამდე მივდივართ. ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ტანჯავს ჩვენს ქვეყანას და მბრძანებლობს მასზე, მხოლოდ აისბერგის მწვერვალია და სხვა, სულიერი კრიზისის შედეგსა და ნაყოფს წარმოადგენს.

დისპროპორცია წარმოებასა და მოხმარებას შორის არა მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი მოვლენაცაა, სულიერი კრიზისის ნიშანი, რომელიც ეხება როგორც ხელისუფლებას, ისე ხალხს: ხელისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო პასუხისმგებლობა აელო ხალხის წინაშე, რომელმაც ვერ შეძლო ან არ სურდა სიმართლის ენით ესაუბრა, რომელმაც წინ წამოსწია არასწორი იდეალები, რომელმაც ჩამოაყალიბა საჯარო ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და მისით სარგებლობის მიზნით; ხელისუფლებას, რომელიც, როგორც საქმით მტკიცდება, ქვეყნისა და ხალხის ნამდვილ ინტერესებს არსებითად ძირს უთხრია, და მეორე მხრივ, ერს, ჩვენ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ვმოქმედებდით. კეთილდღეობით ვტკბებოდით, ადვილად გამდიდრებასა და უზრუნველობას ვესწრაფოდით, თავი იოლ მოგებასა და ცდუნებას მივუძღვევით. არ დავინტერესებულვართ ჭეშმარიტი მდგომარეობით. კორპორაციების მიერ უფლებების თვითნებური მოთხოვნებისა და, მნიშვნელოვანწილად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საზოგადოების ერთობის მიმართ სრული გულგრილობის შედეგად მივიღეთ დღევანდელი მდგომარეობა.

სულიერი კრიზისის არსი ცხოვრების საზრისის არარსებობაშია, როცა ადამიანი სწორხაზოვან აწმყოში, მამასადამე, ეკონისტურ ინსტიტუტში იკ-

ეტება: აწმყოში — მომავლის გარეშე, ოცნების გარეშე; აწმყოში, რომელიც ერთფეროვნებისა და მონოტონურობისთვის არის განწირული. ეს არის ცხოვრების გარდაქმნა დროის მონაკვეთად, რომელიც მოიცავს პერიოდს, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს შორის, რომლის მხოლოდ ხანგრძლივობაა ჩვენთვის უცნობი. ამგვარ პერსპექტივაში უმიზნობა ეპაექრება აბსურდს და მუდამ ტრაგიკული იმარჯვებს. როცა ახალგაზრდებს მიმართავ შეკითხვით: „შვილო ჩემო, რატომ იღებ ნარკოტიკებს?“ და გაპასუხობენ: „თქვენ ის მითხარით, რატომ არ მივიღო? არაფრის იმედი არ მაქვს, არაფერს ველი, ჩემი ერთადერთი სიხარული წამლის გაკეთება და ასე ფრენაა“; ან როცა ახალგაზრდას მიუთითებ, რომ ნარკოტიკების მიღებით შეიძლება გარდაიცვალოს და იგი შენ ტრაგიკული ღიმილით გაპასუხობს: „თქვენ არ გესმით, რომ მე ნარკოტიკებს ვიღებ, რათა ვიცოცხლო“, მაშინ აცნობიერებ, როგორ წარმოუდგენლად ჭეშმარიტი და როგორ ტრაგიკულად დროულია ზემოთქმული სიტყვები. მამასადამე, ცხოვრების მიზნის ნაცვლად კეთილდღეობას, უზრუნველ ცხოვრებას, ეკონომიკურ სიძლიერეს გამოვედევნეთ. მაგრამ როცა ცხოვრებაში მომხმარებლობის გარდა სხვა ოცნება არ არსებობს, როცა ეკონომიკური სიძლიერე და მისი წარმოჩენა საზოგადოების მხრიდან აღიარების ერთადერთი საშუალება ხდება, მაშინ აღვირახსნილობა ცხოვრების ერთადერთ გზად იქცევა, რადგან თუ გარყვნილი არ ხარ, უგუნური გამოდიხარ. ასე იფიქრა და მოიქცა მრავალი, ასე მივედით ხელისუფლების, ჩვენი ერის ნაწილის გარყვნილებამდე. დოსტოევსკის დილემა „თავისუფლება თუ ბედნიერება?“ მთელი თავისი ტრაგიკულობით განვიცდით. მოჩვენებითი კეთილდღეობა ვარჩიეთ და პიროვნული თავისუფლება დაკარგეთ, ჩვენი ქვეყნის თავისუფლება დაკარგეთ. დღეს ადამიანი, შესაძლოა, სამართლიანად ცახცახებს მისი შემოსავლის საზარაუდო შემცირების გამო, მაგრამ ამგვარადვე არ დარდობს განათლების ნაკლებობაზე, რომელიც მის შვილებს ეხება, არ შფოთავს ბავშვებზე, რომლებიც უამრავ რამეზე დამოკიდებულებაში ინაულებიან, არ შფოთავს ადამიანის პიროვნულ სიმდაბლეს. აი, ეს არის ჭეშმარიტი კრიზისის არსიც და ეკონომიკური კრიზისის სათავეც, რომლითაც ასე დაუნდობლად სარგებლობენ თანამედროვე „ხალხით მოგატყუები“.

სინოდში ჩვენ, თქვენმა სულიერმა მამებმა, საკუთარი თავიც გააკრიტიკეთ, გვინდოდა პასუხისმგებლობაში შეგჯიბრებოდით და არსებულ კრიზისში ჩვენი შესაძლო პასუხისმგებლობის წილი გაბედულად მოგვეძებნა. ვუწყით, რომ რამდენჯერმე გაგამწარეთ, შესაძლოა, თავიც მოგჭვრით. პირდაპირ და დროულად არ მოგახდინეთ რეაგირება იმ ქმედებებზე, რომლებმაც თქვენ შეურაცხვეყს. ხალხსა და მის მწყემს ეკლესიას შორის კავშირის მიწასთან გასწორების მოსურნეებმა, რეალური თუ შეთხზული სკანდალებით ისარგებლეს და ეკლესიისადმი თქვენი ნდობის შერყევა სცადეს.

გვსურს გითხრათ, რომ ეკლესიას აქვს მომხმარებლობის, როგორც ცხოვრების წესის, საწინააღმდეგო საშუალება და ეს გახლავთ თავშეკავებული ცხოვრება – ასკეზა. და თუ მომხმარებლობა არის დასასრული, რადგან სიცოცხლე აზრს კარგავს, ასკეზა არის გზა, რომელსაც სიცოცხლემდე მივყავართ და რომელიც აზრის მატარებელია. ასკეზა არა სიამოვნებათა მოკლება, არამედ ცხოვრების აზრით გამდიდრებაა. ეს ათლეტის წინდახედულებაა, რომელსაც ბრძოლასა და ჯილდომდე მივყავართ. და ეს ჯილდო არის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს ამარცხებს, სიცოცხლე, რომელიც სიყვარულით მდიდრდება. ამ დროს ასკეზა თავისუფლების გზად გვევლინება, ყოველივე ზედმეტის მონობის საპირისპიროდ; იმ მონობისა, რომელსაც დღეს ჩვენ უსახსრობამდე დავუმდაბლებთ.

ჩვენ გვადელებს ჩვენი განათლების მდგომარეობა, რადგან დღევანდელი განათლების სისტემა მოსწავლეს უდგება არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც კომპიუტერს და ერთადერთი, რასაც აკეთებს, არის ის, რომ „ინფორმაციას აწვდის“, მაგრამ გულგრილია მთლიანად მისი პიროვნების მიმართ. ამის გამო ჩვენი შვილები სამართლიანად გამოხატავენ პროტესტს. ვშფოთავთ მე-10, მე-12 კლასების სახელმძღვანელოების გამო, რომლებიც მზადდება. გვწამს, რომ სასკოლო წიგნები სახელმწიფოს პასუხისმგებლობით იწერება, მაგრამ მისი შინაარსი თითოეულ ბერძენ მოქალაქეს ეხება, რომელიც ელის, რომ მისმა ეკლესიამ მოკრძალებული ხმა აღიმადლოს.

გვსურს, რომ ყველა ჩვენი სამრევლო ტაძარი გახდეს სტუმართმოყვარე ადგილი ჩვენი ახალგაზრდობისთვის. ასეთ ადგილად უმეტესობა მათგანი ისედაც გვევლინება. მათ მრავალი ახალგაზრდა მიმართავს აზრისა და იმედის ძიებაში.

ვიცი, რომ ჩვენგან, თქვენი მწყემსებისგან, გმირულ, ენერგიულ, წინასწარმეტყველურ, თანამედროვე, ახალგაზრდული სიტყვის მქადაგებელ ეკლესიას ითხოვთ, არა გაამსოფლიურებულს, არამედ ნაკურთხსა და მაკურთხებელს, თავისუფალ ეკლესიას, რომელიც სამწყსოს სულიერი ძალით მწყემსავს. ეკლესიას, რომელიც ამქვეყნიური ეშმაკური სისტემის მოგერიებას მაშინაც კი არ შეუშინდება, თუ წინააღმდეგობის გაწევა დევნასა და მარტვილობამდე მიიყვანს.

ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც უშუალოდ ადამიანთან ყოფნა და მხარში დგომა ძალუძს. მაგრამ ეკლესია ვართ ყველა ერთად, ამაშია მისი და ჩვენი ძალაც. კავშირი მწყემსებსა და ხალხს შორის ხალხით მოვაჭრეების სამიზნეს წარმოადგენს, ამიტომ ცდილობენ ამ კავშირისთვის ძალუძლად ხელის შეშლას. იციან, რომ თუ მწყემსს „ჩააჩუმებენ“, ცხვრებს ადვილად განაბნევენ და დაიმორჩილებენ. ისტორია გვასწავლის, რომ ღმერთთან ბრძოლაში საბოლოო სამიზნე ადამიანი და მისი ცხოველურ მდგომარეობამდე დამდაბლებაა. ღმრთის განკაცება კი, პირიქ-

ით ადამიანის პიროვნების უდიდესი დაფასება იყო. ეკლესია უპირისპირდება არა სახელმწიფოს, არამედ მათ, ვინც სახელმწიფოს იყენებენ, მისი ძალაუფლების უკან იმალებიან და ჩვენთვის იმედის წართმევას ცდილობენ. გახსოვდეთ, რომ ბევრი ეკონომისტის აზრით, არსებული კრიზისი არის გამოგონილი ვითარება იარაღი, კაცთმოძულე ძალებისათვის მსოფლიოზე კონტროლის დაწესების მიზნით.

ქრისტეს ეკლესიას აქვს უფლება დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობის შესახებ აზრის გამოთქმისა, რადგან მას სამყაროსა და ისტორიის ნაწილად ყოფნა არ შეუწყვეტია. არ ძალუძს შემწვანებლობა გამოიჩინოს არც ერთი სახის უსამართლობის მიმართ, არამედ ვალად აქვს აჩვენოს მზადყოფნა მოწმობისა და მოწამეობისათვის. ვიცი, რომ ჩვენს გვერდით ადამიანები შიმშილობენ, გაჭირვებაში არიან, ეკონომიკურ სიღუპს იჭირებს განიცდიან, სასოწარკვეთილება ხშირად მბრძანებლობს მათ სულებზე. ეს ვიცი, რადგან მათთვის პირველ სადგურს იმედის ძიებისას სამრევლო ტაძარი წარმოადგენს. ჩვენი მიზანი და მცდელობაა, რომ ყოველი სამწყსო ცენტრად გადაიქცეს, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ეკლესია თავისი მწყემსური მოღვაწეობით მთელ ადგილობრივ საზოგადოებას გულში ჩაიკრავს.

ჩვენი გადაწყვეტილებაა, შევქმნათ სოციალური პრობლემების ანალიზის ცენტრი, რათა ახლოდან ვადვენოთ თვალი და მეთოდურად გავუმკლავდეთ არსებული კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს. ჩვენი მიზანია, ავადორძინოთ თითოეული სამწყსოს საქმიანობა, რომელიც ეცდება, რომ არ იყოს არც ერთი ადამიანი, ვისაც ერთი თეფში საჭმელი არ ექნება. თავადაც მოგქსენებთ, რომ ამ მიმართებით ეკლესია უზარმაზარ საქმეს ასრულებს. ეს უწყით, რადგან მრავალი თქვენგანი თქვენი სამწყსოს ამ მცდელობას მხარში მოხალისედ უდგას და მას ეკონომიკურად აძლიერებს. მოგიწოდებთ, შეიკრიბოთ თქვენი სამწყსოს გარშემო, რათა ამ მძიმე დროს ერთობლივად შევებრძოლოთ.


ჩვენს ერს ძველადაც თავს დატყუებდა სიღარიბე და შიმშილი, მაგრამ გაუძლო და გაიმარჯვა, რადგან ჰქონდა იდეალები. ყველას ერთად შეგვიძლია დავემართოთ ერთს და ერთი – მრავალს. ღმერთმა ჩვენ არა ლაჩრული, არამედ ძლიერი და სიყვარულით სავსე სული გვიბოძა. ამ სულით, ჩვენი დიდი ოჯახის, ეკლესიის გარშემო დარაზმულნი, ჩვენი შეცდომების გათვალისწინებით და სიცოცხლის აზრის სიყვარულში ძიებით, ამ მძიმე მდგომარეობას თავს დავაღწევთ.

საბერძნეთის ეკლესიის იერარქია.

16 დეკემბერი, 2010.

სპეციალურად „სამი საუნჯისთვის“

ბერძნულიდან თარგმნა მათა კაკაშვილმა.



**ქრისტეს ზინდა მართლმადიდებლური
ეკლესიის “განჩინება”
ლათინთა ცრუ ნათლოზის შესახებ,* 1755 წ.**

„ლათინთაგან მოქცეულები
უდავოდ, აუცილებლად
უნდა მოინათლონ“.¹
წმინდა ათანასიოს პარიოსელი.

*ღირსი ნიკოდემოს მთაწმინდელის თანახმად,
„ლათინები არიან უძველესი ერეტიკოსები.“²*

პაპისტ ერეტიკოსებს, როგორც ცნობილია, არ აქვთ ნათლობა, არამედ სხურება, რაც, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური რწმენისა და ჩვენი ეკლესიის კურთხეული პრაქტიკის საწინააღმდეგოა.

ლათინთა სხურება, „რომელიც აღესრულება ერესში, ანუ ეკლესიის გარეთ, თავისთავად არის ცრუ, ამიტომ ლათინთა მოქცევისას არ გამოიყენება იკონომია** ნათლობის მიმართ, რამდენადაც ის არ აღსრულებულა“.

პაპისტების ნათლობის შესახებ, აკრიბიასა და იკონომიას შორის მერყეობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ 1755 წელს, მსოფლიო პატრიარქის კირილე V დროს, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

წმინდა კრების განჩინებას ხელი მოაწერეს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კირილემ, ალექსანდრიის პატრიარქმა მათემ და იერუსალიმის პატრიარქმა პართენიოსმა. იგი ანტიოქიის პატრიარქის სილვესტროსის მიერაც იქნებოდა ხელმოწერილი, იმ დროს რუსეთში რომ არ ყოფილიყო წაბრძანებული შემოწირულობის შესაკრებად და მისი არყოფნის დროს

* ჟურნალი „*Ορθόδοξος Ένωσις και Μαρτυρία*“, №3, აპრილ-ფენისი, 1986, გვ. 81-83.
** იკონომია (*oikonomia*), რაც თავისთავად განგებულებას ნიშნავს, აქ გამოყენებულია გამართლების მნიშვნელობით. ე. ი. საეკლესიო განგებულების მიხედვით, ლათინური წესით ნათლისღებას გამართლება არ მოეძებნა და ამიტომ სრულიად მიუღებლად იქნა მიჩნეული („ს.ს.“ რედ.).
¹ თეოდორიტი მონაზონი, მონაზვნობისა და ერესის შესახებ (ბერძ. ენაზე), გვ. 263, ათენი, 1977.
² წმინდა საჭევარი (ბერძ. ენაზე), გვ. 55, სქოლიო.

უზურპატორს მისი ტახტი მიტაცებული რომ არ ჰქონოდა.³

განჩინება „არის ამ საკითხის შესახებ მართლმადიდებლური ეკლესიის უკანასკნელი ოფიციალური გადაწყვეტილება“⁴ და იგი პირველად დაიბეჭდა 1756 წელს ქრისტოფოროს ეტოლოსის წიგნში „სხურების დაგმობა“.

მოცემულ ტექსტს ჩვენ ხელახლა ვბეჭდავთ ღრმად განათლებული პროტოპრესვიტერის გიორგიოს დ. მეტალინოსის შესანიშნავი ნაშრომიდან „ვაღიარებ ერთსა ნათლისღებასა“, ათენი, 1983, გვ. 79-81.

განჩინების ტექსტი (ორისი)

არსებობს მრავალი საშუალება, რომელთა წყალობითაც ჩვენ ღირსი ვხდებით ხსნისა, რომლებიც, ასე ვთქვათ, კიბის საფეხურების მსგავსად, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთმანეთს მისდევენ იმდენად, რამდენადაც ყველა ერთი მიზნისკენაა მიმართული. პირველი საფეხური არის ნათლობა, ღმრთის მიერ მოცემული წმინდა მოციქულებისათვის, რადგან მის გარეშე დანარჩენი საფეხურები უმოქმედოა: „ის, ვინც არ დაიბადა წყლისა და სულიწმინდისაგან, ვერ შევა ცათა სასუფეველში“ (ინ. 3,5). რადგან პირველ დაბადებას ადამიანი ამ ხრწნად ცხოვრებაში მოჰყავს, აუცილებელი იყო მოძიება სხვა დაბადებისა, უფრო საიდუმლო სახისა, რომელიც არც ხრწნისგან მომდინარე იქნებოდა და არც ხრწნით დასრულდებოდა და რომლის მეშვეობითაც ჩვენი ხსნის პირველწყაროს, იესო ქრისტეს მივბაძვდით.

რადგან შობის ემბაზში წყალი საშოს განასახიერებს, და, როგორც ოქროპირი ამბობს, შობილის [ხელახლა] შობა ხდება, წყალზე გარდამოდის სულიწმინდა ღმრთი, რომელიც ქმნის ნაყოფს და როგორც ის (ქრისტე) საფლავში დადებიდან მესამე დღეს დაუბრუნდა ცხოვრებას, ასევე მორწმუნენიც არა მინაში, არამედ წყალში სამჯერ შთაფვლით, გამოხატავენ სამდღიან მომზადებას აღდგომისათვის წყლის კურთხევისას სულიწმინდის გარდამოსვლით, რათა ხილული წყლით სხეული განიწმინდოს, ხოლო უხილავი სულიწმინდის მიერ – სული. როგორც ქვაბში წყალი იღებს სითბოს ცეცხლისაგან, ასევე წყალი ემბაზში სულიწმინდის მოქმედებით გარდაიქმნება ღმრთეებრივ ძალად, რომელიც განწმენდს მონათლულებს და ღირსჰყოფს მათ შვილებისა. სხვაგვარად აღსრულებული ნათლობა განწმენდის ნაცვლად წყვდიადის უწმინდური ძალების ნამოქმედარს წარმოადგენს.

და რადგან უკვე სამი წლის წინ წამოიჭრა საკითხი, შესაწყნარე-

³ იქვე, გვ. 63.
⁴ იქვე, გვ. 59.

ბელია თუ არა ჩვენთან გადმოსული ერეტიკოსების ნათლობა, რომელიც წმინდა მოციქულებისა და წმინდა მამების სწავლებითა და კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის დადგენილების მიხედვით არ აღსრულებულა, ერეტიკოსების მიერ ჩატარებული ნათლობა მიიღება ამგვარად:

ჩვენ, როგორც ღმრთის მონაწილეებით მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ აღზრდილნი და წმინდა მოციქულებისა და წმინდა მამების კანონების მიმდევარნი, რომლებიც ვცნობთ მხოლოდ ჩვენს წმინდა კათოლიკე (მსოფლიო) და სამოციქულო ეკლესიას, მის საიდუმლოებს და შესაბამისად ღმრთეებრივსაც, ერეტიკოსების საიდუმლოებს, რომლებიც ისე, როგორც ეს სულიწმიდამ წმინდა მოციქულების მეშვეობით დაადგინა და როგორც მათ ქრისტეს ეკლესია აღასრულებს, დღევანდელ დღემდე არ აღესრულება, ხრწნადი ადამიანების გამოგონებად ვთვლით, და როგორც განსხვავებულსა და უცხოს მთელი სამოციქულო ტრადიციისათვის, ზოგადი განჩინებით უარვყოფთ. და მათგან ჩვენთან მოსულებს ვიღებთ როგორც განუწმენდავებსა და მოუნათლავებს, ვართ რა მიმდევარნი ჩვენი უფალი იესო ქრისტესი, რომელმაც თავის მოწაფეებს უანდერძა მოენათლათ „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ და, რომელმაც ბრძანა მოენათლათ სამგზის შთაფლვითა და ადგომით, ხოლო თითოეული შთაფლისას წარმოეთქვათ წმინდა სამების ერთი ჰიპოსტასის სახელი; წმინდა და მოციქულთა სწორი დიონისიოსიც ამბობს: „უნდა მოვნათლოთ ემბაზში, რომელიც შეიცავს სამჯერ განწმენდილ წყალსა და ზეთს, განძარცვული ყოველგვარი სამოსისგან, ღმრთეებრივი ნეტარების სამი ჰიპოსტასის მოხმობით. და მონათლული მაშინვე აღვბეჭდოთ ღმრთეებრივი მირონით და მერე გავხადოთ იგი მონაწილედ ევქარისტის წმინდა მოქმედებისა“. მეორე და მეხუთე-მეექვსე წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დადგინდა, რომ ვინც არ მონათლულა სამჯერ შთაფლვით და ადგომით და თითოეული შთაფლვისას ღმრთეებრივი ჰიპოსტასებიდან თითოეულის სახელი არ წარმოეთქვამთ, არამედ სხვაგვარად არის მონათლული და მართლმადიდებლობას შეუდგება, მონათლულად არ ითვლება.

და ჩვენც, ღმრთეებრივი და წმინდა დადგენილების კვალდაკვალ, ერეტიკოსების ნათლობას, რომელიც განსხვავდება და უცხოა ღმრთეებრივი სამოციქულო დადგენილებისათვის და უსარგებლო წყალს, რომელიც, როგორც წმ. ამბროსიმ და ათანასე დიდმა თქვეს, არანაირად არაა განწმენდი მისთა მიმდებელთა და არანაირი სარგებლობის მომტანი ცოდვების განწმენდისათვის, უარსაყოფად და მიუღებლად ვთვლით.

და მათგან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე გადმოსულ მონათლულებს ჩვენ ვიღებთ როგორც მოუნათლავებს და უშიშრად ვნათლავთ, მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების თანახმად, რომლებზეც მტკიცედ არის დამყარებული ქრისტეს წმინდა სამოციქულო ეკლესია, ჩვენი ყველას საერთო დედა.

და ამ ჩვენი საერთო განსაზღვრებითა და გადაწყვეტილებით ჩვენ ვბეჭდავთ ამ განჩინებას სამოციქულო და მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებების თანახმად და ვამტკიცებთ მას ჩვენი ხელმოწერებით.


1755 წელი ხსნისა.


† *კირილე*, ღმრთის წყალობით კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ახალი რომისა და მსოფლიო პატრიარქი.

† *მათე*, ღმრთის წყალობით დიდი ქალაქის ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი და მსოფლიო მსაჯული.

† *პართენიოსი*, ღმრთის წყალობით წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი.

სპეციალურად „სამი საუნჯისათვის“
ბერძნულიდან თარგმნა *მაია კაკაშვილმა*.





ქართული პოეზიის ანთოლოგია

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში პრაქტიკულად დაკარგეთ არა მხოლოდ მრეწველობა და მეცნიერება, ვკარგავთ, ლიტერატურასა და ხელოვნებასაც. მათი ადგილი უკვე მკვიდრად დაიკავა ანტილიტერატურამ და ანტიხელოვნებამ. პოეზია, რომელიც ყოველთვის, ყველა ეპოქაში ქართული ლიტერატურის მოწინავე დარგი, მისი მწვერვალი იყო, დღეს ჩამკვდარია, სულს ღაფავს.

ჩვენმა ჟურნალმა გადაწყვიტა მკითხველს შესთავაზოს საკუთარი ვერსია ქართული პოეზიის ანთოლოგიისა, რომელიც **თეიმურაზ მირიანაშვილის** მიერ არის შედგენილი. დღეს გთავაზობთ უდროოდ გარდაცვლილი შესანიშნავი პოეტის **ალექსანდრე საჯიას** (1918-1944 წწ.) საუკეთესო ლექსებს. იგი არასოდეს ყოფილა სათანადოდ დაფასებული პოეტი, უდროოდ გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი ჩრდილში მოექცა. თუმცა მისი ზოგიერთი ლექსი გახალხურდა, სიმღერად იქცა და, ალბათ, ყველას სმენია.

თოვლის ქალი

ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და უყვარს მარტო თოვლი და თოვა.
იგი ლაჟვარდის ერთი თვალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა.
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია.

მან იცის ჩემთვის სიმღერა ერთი,
და რომ მიმღეროს, თურმე, რცხვენია,
მან შეინახა ცრემლები ჩემთვის,
მაგრამ არასდროს არ უცრემლია.

ჩვენი ამბავი ულამაზესი
ერთხელ ნიაჟმა თურმე გალექსა,
დას ნიაჟივით სურდა ალერსი,
მაგრამ შედრკა და არ მიაღერსა.

და განა მისთვის ვწუხდი ძალიან,
და განა მუდამ იქნება თოვა?
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა.

1937 წ.

ზამთარი

ვიყავ კახეთში, თოვაში ვიყავ,
ვამაყობ ხალხით, გზით და ნახულით...
მე ჩვენებური ზამთარი მიყვარს,
მაგრამ მათცებს უფრო კახური.

ღამე არ ტირის ქარი ობოლი.
ბაკურციხეში ღამე არც ცივა.
გვიან დაჰბერს და დიდი გომბორი
დაიგუგუნებს: „ბერიკაცი ვარ“...

გვიან დუღუნებს სახლი ყოველი,
წამი — და კახეთს სიფიცხე დაჰკრავს.
იღარა, გული რიჟრაჟს მოელის,
ინათა, ახლა ფანდურმა რა ჰქნას?!

ღვინო აცოცხლებს ვარსკვლავებს ჩამქრალთ,
ახალი მთვარე კახეთს უყურებს.
ასეთ ღამეში ფანდურმა რა ჰქნას,
როცა ბუხარიც ასე ღუღუნებს?!

1938 წ.

ცისარტყელა

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს.
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგავდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.

მჯერა: ნიავეიც ამოდ ქროდა,
არ მსურს ამოდ ვარსკვლავი ვთვალო...
შენ ღვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა, ქალო.

ჩვენ თვითონ ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
იღიმებოდი და საოცარი
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.

ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან...
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.
1939 წ.

კაფია

ვახტანგ ჭელიძეს

არაფერია, წვიმას აპირებს!
ქარი, ავდარი და მისტერია!..
ფიქრებმა ერთხელ მეც ამატირეს,
შენ კი მითხარი: — არაფერია!
ლამაზი იყო, მზე იყო მხოლოდ;
თეთრი სიზმარი, თეთრი ფერია.
მე სიყვარულიც დაუკარგე ბოლოს,
შენ კვლავ მითხარი: არაფერია!
ცრემლები დაშრნენ. დღეს დღენი მიჰყვა...

გზებს ია-ვარდი დაუფენიათ.
არაფერია, მე ბავშვი ვიყავ,
თორემ ცრემლებიც არაფერია...
მოიტათ ღვინო... სულში ფარული
არ დარჩეს კიდევ ჩრდილი პატარაც,
ვხედავ მეწვია მე სიხარულიც,
მაგრამ ძნელია მისი ატანაც.
მოიტათ ღვინო... ღვინო სისხლს ერთვის,
შეგათროლოებს და სისხლის ფერია...
ვგიჟდები... ახლაც მაღირსე ერთი,
ძმავ, ეგ ძვირფასი: — არაფერია!
1939 წ.

თოვლი თოვს

თოვლი თოვს, თეთრი ქარია,
თეთრ სამოსელით ვირთვები.
ჩიტებო, რა გიხარიათ,
რისთვის მღერიხართ ჩიტები.
დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამაც ასე ინებოს!
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ, ჩიტებო?
გადივლის, დაიფარება
ფიქრებით, თოვლის ქულებით...
თქვენ მაინც ვინ გეყვარებათ...
ამ პაწაწინა გულებით?
თოვლი თოვს, უფრო თოვდება,
თეთრ სამოსელით ვირთვები.
მივდივარ, აღარ მშორდება
მკერდგაღელი ჩიტები.
1939 წ.

* * *

ვერისაკენ, დებისაკენ,
ფიქრი შეუწყვეტელი...
მხოლოდ თოვლის სისპეტაკე,
მხოლოდ თეთრი კედელი.
ფრთაფარფატა ორი გედი,
ოქროს ბედი რომ არის...
და მრავალი ოქროს გვერდი
დაუწერელ რომანის.
ვარსკვლავებო, ვერისაკენ,
საით მიეხეტებით...
მხოლოდ თოვლის სისპეტაკე,
მხოლოდ თეთრი სვეტები...

1940 წ.

საბაზაფხულო სიმღერა

ეს აპრილია მდიმარი, ყელი რომ გადმოიდერა,
ეს — გაზაფხულის წვიმების ისმის ცეკვა და სიმღერა;
ვარდყვავილობის ჟამია, ვინ გასძლებს უმისჯამისოდ,
ზეგარდმო მათათა კალთები ბროლის ფიფქებით აივსო.
ქარიქარ მწვანე იშლება, ცის შუქით დაალებული,
გახელებული მდინარე, სიცოცხლე აღელვებული.
ატოტდნენ ატმის რტოები, თავი ნუ გემარტოება,
დღეს თოვლზე უფრო თეთრია ტყემლების შემოთოვება.
გაფრინდი, შენი ფრთათა ხმა და ქარი გაიმობილე,
შენი ამბორი სწადია ვარსკვლავებს ფრთადაწყობილებს.
გაფრინდი, ისევ გაფრინდი, მტერი დალახვრე ვერანი,
და ცეცხლში შემოაფეთე ატოტებული მერანი.
ეს — აპრილია მდიმარი, ყელი რომ გადმოიდერა,
ეს — გაზაფხულის წვიმების ისმის ცეკვა და სიმღერა.
როგორი წელიწადია, რამდენმა ვაზმა იხარა,
გადაგრეხილმა ვენახმა რქა რქაზე გადაიყარა,
ველად რბის ქარი ბუბუნით, ატამს გაფრენა სწადია,
ჭალას დასძახის გუგული: — რა კარგი წელიწადია!
დამეო გაზაფხულისა, თოვწამლის კვამლში ბოლავდი,
დილის მზეს შუქი ამოჰყვა სისხლით შედებილ ფოლადის.

კველი ამავე

საღამო იყო... — იწყება ამით
ამბავი იგი და არ თავდება.
მთას დაეცემა ანკარა ნამი,
ძილი მოუვლის და გაქვავდება.

რა რბილი არის ლაჟვარდი ცისა,
მზე ხომ სულ ცაზე რონინს უნდება.
საღამო იყო... — იწყება ისევ
ამბავი ძველი და არ სრულდება.

1939 წ.

სოფლელი ბიჭი

სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქული მეხურა,
მდელოზე წამოწვებოდი
და ვოცნებობდი გლეხურად:

— ნეტავ მე მომცა ის ზეცა,
ვარსკვლავი დამაკრეფინა,
იფნებთან ქარის ჩურჩული
მარტო მე გამაგებინა;
თუთრად კამკამა მწვერვალზე
კომკები ამაგებინა.

...ნეტავ ჩემი ქნა ის ქალი, —
გულში ვამბობდი გლეხურად;
კომკავშირელი ვიყავი,
გულს დარდი აღარ მებურა,
სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქული მეხურა.

1940 წ.

საფოტო ჩენია

დაეცი, შენი ცა დაგნათის...
 ნამიც ხომ იარებს გისველებს;
 სისხლიან მაჯაზე საათი
 ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
 განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, —
 გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
 კაპიტან, სიცოცხლე ჩვენია,
 ჩვენია სამშობლო, კაპიტან!
 ასეთი სიცოცხლე სად თქმულა,
 ბრძოლაში ენთო და იწვოდა,
 სიჩუმე ვით შესძლოს ამ გულმა,
 იმგვარი ხმაური იცოდა.
 დაღამდა. ძნელია ატანა;
 იტირო — ვარსკვლავნი გისმენენ.
 დაღამდა. ისარი პატარა
 ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
 რა იყო, დღეს წამმა თითომა
 იფეთქა და ხანძარს ვინ მოსთვლის...
 დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
 გენია სამშობლოს სიცოცხლის,
 რომ ჟამი გმირობის დღისთანა
 არ არის სხვა, ენით უთქმელი...
 რომ ბევრი წუთები ითვალა
 და არსად ასეთი წუთები;
 რომ მარად, დღეა თუ ღამეა,
 წამი წამს გაბმული არ იცდის,
 რომ ერთი ძვირფასი წამია
 სიკვდილი სამშობლო მხარისთვის.
 ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
 გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
 კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
 ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

1940-41 წწ.

ჩემი სოფელი

დღეს ჩენი სახლი ფიქრმა დაღალა
 და სიზმარიან ძილით იძინებს.
 ღამემ ჭალები შეაჭაღარა,
 დღეე მთვარის ლანდს მიაციმციმებს.

ტანს იმსუბუქებს ეზო, ბაღები,
 ცერებზე დგება ჭადარი ყველა,
 და ჰაეროვან ბაირაღებით
 გემივით მიდის სოფელი ნელა.

მიდის წინ, თითქოს ზღვა არის დიდი.
 ცაზე აანთეს დიდი ლამპარი.
 უხმოდ იშლება ნიავე მშვიდი
 და შუქი სცვივა, როგორც ზღაპარი.

აგერ ნაპირიც. მსუბუქი რხევით
 გემი მიადგა უცხო ქვეყანას,
 იელვა, შორით განათდა ხევი
 და კორდებს ცეცხლი გადმოეყარა.

გამოჩნდა ვაჟი ხმალშემართული,
 მოდის დაჭრილი ქარში წვალებით.
 ზარივით რეკავს მისი ქართული,
 ცეცხლივით იწვის მისი თვალები.

იცნო სოფელმა. შეჰკვივლა დედამ,
 მაგრამ აქ გაქრა ზმანება ტკბილი;
 მხემ რტო აყარა, გადმოიხედა,
 კვლავ ახმაურდა ცხოვრება დილის.

ასე ყოველთვის გვიან სოფლი,
 ყველა სახლი და ჭადარი ყველა
 ტანს იმსუბუქებს, შუქით მოფენილს,
 და ხომალდით ირხევა ნელა.

1943 წ.

* * *

მეც შენთან, მწყრალი
 ენგურის წყალო,
 მე მთებს ვეწვიე ცაში წასულეებს,
 ტკბილი ხმაურით,
 აურხაურით
 შემეგებე და შუქი მასხურე.
 დადექი, ჩემო
 კრიალა ჩქერო,
 მე შენი ვიცი გზა და სავალი,
 თუ ცაში ნახე
 მწვერვალთა სახე,
 რად გენატრება ცის დასავალი?!
 დადექი, გული
 მოწყურებული
 დააშოშმინე ნათელ ფერებით,
 ციურ ბგერებით
 და სიმღერებით
 გააღერსებ და მოგეფერები.
 სად მიიჩქარი
 ზათქით და ზარით,
 მო ჩემთან, შმაგო, კისკისით მოდი.
 მეც ერთხელ ასე,
 გიჟი და სავსე,
 ჩემს გზაზე შენებრ მივიჩქაროდი.
 მე ვიცი, ჩქარა,
 შენაც ჩემგვარად,
 ცელქი ოცნების ნათელ ქარგებით
 დაცხრები, კრულო,
 მშფოთვარე სულო,
 დაიღვევი და დაიკარგები.
 დადექი, ჩემო
 კრიალა ჩქერო,
 მე უკვე ვნახე შენი სავალი.
 თუ ცაში ნახე მწვერვალთა სახე,
 რად გენატრება ცის დასავალი?!

1944 წ.

საბაზაფხულო

მაისის ვარდის მეიმედება,
 მაგრამ ეს მარტიც არ მემეტება,
 თოვლი, წვიმა და თქეში.
 მე დღეს მოფრენილ მერცხლებს ვენდობი
 თუ ამწვანდება ჩემი ფერდობი,
 მეც ვიშრიალებ ტყეში.

მეც დავირხვევი ჩვილი რტოებით
 განმარტოებით, განმარტოებით,
 სადმე მდინარის პირად.
 თუ გაზაფხული სითბოს მაჩუქებს,
 თუ მზე ჩემკენაც გამოაშუქებს,
 თუ წვიმა მოვა ხშირად.

მე მაღალ ალგებს დავეწყვილები,
 დავდგებით ცვარში დავერცხლილები,
 მკლავებს გავმართავთ ცაში.
 ზევით ნიაგთან ავხმაურდებით,
 ქვევით ბუჩქების მწვანე ხუნდები
 და მდინარეთა ტაში.

გაზაფხულია, ცა იკოცნება,
 ლაღობს, ოცნებობს ჩვილი ოცნება,
 მდინარის პირად რგული,
 ჩერდება მგზავრი... მზე მოგზაურობს,
 დღევ უცნაურო, წყარო ხმაურობს
 თუ ათამაშდა გული?!

1944 წ.

სვანური მოტივებიდან

1

სადამოთი შველი გადამელობა,
ას წელიწადს მაძებნია კვალი;
მთვარედ მექცა, ვარსკვლავებში შეტოპა,
მივდეკ ელვის მოგიზგიზე ხმალით.

სალოცავად ქართველობა მეყოფა,
საფიცავად — შენი თაფლის თვალი.

უშენობით გული დამიმიწდება,
ღვეის მკლავებს წაერთმევა ძალა;
კვალდაკარგულს ფეხი გადამიცდება,
გავტყდები და მომაშველებ დალალს;

მთის კაცი ვარ, ხელი ცამდე მიწვდება.
ქარის მუხლით მოგეწევი, ქალავ.

დავიწვი და ენგურსა ვთხოვ, მეგობარს,
მომასხუროს მკერდზე წმინდა წყალი.
შენი შუქი ბნელში გადამელობა,
ღრუბელზედაც ენახე შენი კვალი.

საამაყოდ ქართველობა მეყოფა,
საფიცავად — შენი თაფლის თვალი.

2

ქარს ღრუბლების ჯოგი მიჰყავს და
დაბრუნდება, იქნებ როდის.
შენ ღრუბელი ყოფილიყავ და,
მენაც ქარი ვიქნებოდი.

შენ უშბაზე დაიძინებ და,
მე ხევს ჩავალ ქარიმხლებით.
თუკი შევხვდით, ან ვიწვიმებთ და
ანდა სეტყვად დავიშლებით.

3

მზე მთის საფარს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება,
და ჩრდილები ხეთა
ფერად ნისლში იძირება,
აიენიდან იმზირება
მოწყენილი დედა.

1944 წ.

* * *

ეს დილა ოცნებას ჰგავს,
ცისფერი თვალებით, ცრემლიან თვალებით,
უძილო ღრუბელი უღონო მკლავებით
მისცურავს შორს, მისცურავს.

პირველად შენ გიმზერ, მთავ,
მინდა მოგაშორო ნისლის მოსასხამი,
მზე დილის ბურუსში თვალების ხამხამით
ნათელი წამწამის მარჯვანით გრთავს.

შუქსა ჰფენს სიშორე გულს,
შენ ფიქრებს იშორებ, შენ ღურბლებს იშორებ,
მე მიყვარს ეს ნაზი სიშორე
და სიახლოვე მძულს.

1944 წ.

კოშკები

ქარები, ქარები, ქარები იცოდა,
და ყოველ გაფრენას მოსდევდა ახალი...
ეს მისთვის ავაგე, ეს მისთვის მინდოდა,
ასეთი ძვირფასი, ასეთი მაღალი.

და მაშინ დასრულდა ამბავი იმ ღამის,
ათასი ვარსკვლავი ქარიქარ ვიდოდა.
კარები? სარკმელი ასეთი მაღალი,
ასეთი კოშკები მე მისთვის მინდოდა.

მაგრამ კვლავ მართო ვარ და ზეცას დაღვრემილს
ვარსკვლავი ბრწინვალე მეასედ მოსწყდება.
მხოლოდ ეს კოშკები, თეთრი და მაღლები,
მხოლოდ ის უმანკო პოეტის ოცნება.

* * *

წელს უთუოდ წერწეტა ლერწამს შეუყვარდები.
აი თვითონ გვირილა წელში გადატეხილი...
აი თვითონ მაისი მოზეიმე ვარდებით,
თოვლის ფერით, ღვინის ფერით შემოსილი ხეხილი,
აი თვითონ გვირილა წელში გადატეხილი.

...აი თითქოს მომესმა, წივის გველი მავთული,
შემზარავი ზრიალით მიჰქრის ავტომობილი...
მაგრამ ჩემი მანანა? სუროს გადახლართული,
აი ჩემი ენძელა, ჩემი კარგი ღობილი.


წელს უთუოდ წკრიალა წვიმებს შეუყვარდები,
ნეტავ კიდევ მაპკურა მზე და ცვარი ციური,
ნეტავ დიდხანს მამღერა ქება ამქვეყნიური...
აი ჩემი ბილიკი, აი ჩემი ვარდები,
წელს უთუოდ წკრიალა წვიმებს შეუყვარდები.


ნეტავ კიდევ მადირსა ხოშკაკალას კაკანი,
აგერ კუბო ფერადი, აი ჩემი აკვანი.
ო, სათქმელო სიმღერავ, ნუკი დამიოკდები,
კიდევ ცოტა და, უცხო ყვავილივით მოკვდები.

სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება
ურითმებოდ დავტოვო წყვილი ზრიზანტემები,
სიყვარული უმანკო, ცრემლით მინატოვები.
ეს მეტყველი ტყეები ცვარით დაინამება.
სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება,
უსიტყვებოდ დავტოვო ეს მეტყველი ტყეები.

აი, ისევ მეჩვენა, წივის გველი მავთული,
შემზარავი ზრიალით მიჰქრის ავტომობილი.
მაგრამ ჩემი მანანა? სუროს გადახლართული,
აი ჩემი ენძელა, ჩემი კარგი ღობილი.

1944 წ.





გორა შანიძე

მეფე და ალამიანი
(მოთხრობა)*

ალკანძმა დაასრულა მეფე დემეტრემ, წელზე მახვილი შეიბა და შედგა, თავისთავს დააკვირდა სარკეში, შემდეგ ჩაფიქრდა და სავარძელში ჩაჯდა.

ერანის მონღოლეთის ყაენის მიწვევით აპირებდა გამგზავრებას, უფრო სწორად, ყაენისაგან უკვე სიკვდილმისჯილი, თავისი ფეხით უნდა წასულიყო ჯალათთან და ეს გარდაუვალი იყო, რაც კარგად უწყობდა მეფემ.

მას შემდეგ, რაც არღუნ-ყაენის პირველი ვაზირის, ბულა ნონინის შეთქმულება გამჟღავნდა, ყაენი მაშინვე სასტიკად გაუსწორდა მეამბოხე ნონინის ყველა ახლობელსა თუ ნაცნობს. ულმოებლმა არღუნმა სიკვდილით დასაჯა ბულას ნათესავები, მეგობრები და ოჯახის წევრებიც კი. მეფე დემეტრე კი დიდი ხანია მის ერთ-ერთ ყველაზე ახლო მეგობრად ითვლებოდა. საქართველოში მყოფმა მეფემ შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდათ ეჭვით დააუადებელი ყაენი. მაშინვე დაიბარა დემეტრე და თან მიანიშნა, რომ თუ თავისი ნებით არ ეახლებოდა, მაშინ თვითონ შემოესეოდა მის ქვეყანას, მის სამეფოში ქვას ქვაზე არ დატოვებდა და ასე ადასრულებდა თავის შურისძიებას.

მეფე ფიქრებიდან გამოერკვა და ფანჯრიდან შემოსულ მზეს გახედა, დილის გრილი და მაცოცხლებელი სხივებით რომ ეფერებოდა ბუნებას. დამის სუსხით დაცვარული მთა-ბარიც ნეტარებით ეფიცებოდა მზის სითბოსა და სინათლეს.

წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. გული დაწყდა, რომ სულ მალე სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა ამგვარ სილამაზესა და მისით ტკობას. სიკვდილის სუსხმა დაუარა სხეულში. ხელები მკერდზე დაიკრიფა და შიშთან გაძლიანება სცადა. თავისთავს გამოუტყდა, რომ მართლაც შიშს გვრიდა სიკვდილი, ჯერ კიდევ ჭაბუკსა და სიცოცხლემოწყურებულს.

გულიც გამეტებით ძგერდა და ფეთქავდა. მოეჩვენა, თითქოსდა ვიღაც

* **ჟურნალ „სამი საუნჯის“ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული მოთხრობა, რომელიც შეიქმნა ხალხური გამონათქვამის თემაზე: „რატომ დიდგულობ სიკვდილო, სირცხვილზე მეტი ხომ არ ხარ?!“ (რედ.).**

აკაკუნებდა მის მკერდზე და გულში შეღწევა სურდა, თვითონ კი კარებს ჯიუტად არ უღებდა, რადგან იცოდა, რომ ეს სიკვდილი იყო; სიკვდილი, რომელიც დაუპატიჟებელ სტუმრად მოსულიყო და მის დაუფლებას ცდილობდა.

— მაგრამ რომ არ გაუფლო? — ჩაესმა უცებ გულის პასუხი, — ჰო, რომ არ გაუფლო კარები, შიში გულში შემოეშუშა და ჩემი სიცოცხლე სადღაც, მიუვალ მთებში გაეხიზნო?

მძიმედ ამოიოხრა და ხელები უმწეოდ ჩამოუშვა.

— მაშინ წაუა სიკვდილი და აუცილებლად მოვა სირცხვილი! — მუქარით მიუგო გონებას, — სირცხვილი, რომელიც აღარასოდეს მოგშორდება, როგორც მოუცილებელი ლაქა და ჭუჭყი! სირცხვილი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თანამდევ ჩრდილად გექცევა და არც სიკვდილის შემდეგ დაგტოვებს!

დემეტრემ გაფითრებული შუბლიდან თითებით უკან გადაიყარა ჩამოშლილი თმის კულულები.

მაშინ მართლაც მოვიდოდნენ მონღოლები და ერთიანად ააოხრებდნენ მთელს სამეფოს, გადაწვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ამოჟლეტდნენ ათასობით ალამიანს, წაასხამდნენ პირუტყვს, გაძარცვავდნენ ეკლესიებს და მონებად გაირეკავდნენ ტყვეებს. მას კი დარჩებოდა ლაჩრობის სირცხვილი და უსუსური მეფის სახელი, რომელსაც გამბედაობა არ ეყო გაჭირვებიდან ეხსნა თავისი ხალხი! რომელმაც ზურგი აქცია თავის ერსა და ღირსეულ მეფობას და გაქცევით თავის გადარჩენა არჩია!

— მაგრამ შენ ხომ იცოცხლებ? — ამოსძახა გულის სიღრმიდან განაწყენებულმა ხმამ, — შენ ხომ გადარჩები და იქნები ბედნიერი? მაშ, დატკბი ცხოვრების სიამით! შენ ეს შეგიძლია და ვერც ვერავინ დაგდებს ბრალს, რადგან მეფე ხარ!

დემეტრე გამოერკვა და მის ოთახში შემომავალ კარებს მიაჩერდა. ამ კარებს მიღმა, სამეფო დარბაზში, დიდი ხანია ელოდნენ მის შესვლას დიდებულები და მისი ოჯახი. ჯერ კიდევ გუშინ შეკრიბა დარბაზის ერი და გააცნო არღუნ ყაენის უსტარი. ყველამ ერთხმად ურჩია, დაეტოვებინა თბილისი და მთებში გახიზნულიყო, მაგრამ თვითონ, ქვეყნის აოხრებას და ხალხის აწოკებას, ისევ ყაენთან წასვლას ამჯობინებდა. სასწარმოვეთილები ცრემლებით ევედრებოდნენ მეფეს, არ წასულიყო აშკარა სიკვდილზე და საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინა, მაგრამ ამაოდ, იგი ჯიუტად დუმდა.

და ახლა, კარებს მიღმა მომლოდინე ხალხი მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, იმ იმედით, რომ მეფეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ექნებოდა.

გუშინ, ერთი პირობა, მართლაც მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ ეს მხოლოდ ცივი გონების კარნახი იყო. მისგან განსხვავებით, სიკვდილის

სიახლოვით შემკრთალი გული, მთელი ძალით ურყევდა სხეულს და სიცოცხლისაკენ ექაჩებოდა.

— გულს ნუ მოუსმენ მეფეო! — ცივი ხმით გაკიცხა გონებამ, — ქვეყნის მართვის დროს, გრძნობა ცუდი მრჩეველია მეფისათვის! მძიმეა სიკვდილი, მაგრამ სირცხვილი ბევრად აუტანელი და მტანჯველია!

მეფე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და კედელზე მიყრდნობილ მკლავს თავი ჩამოადლო. უჭირდა გამკლავება საკუთარ თავში ატეხილ ბრძოლასთან მეფესა და ადამიანს შორის, გრძნობისა და გონების მახვილებით უმოწყალოდ რომ ჩეხდნენ ერთმანეთს და მთელს მის სხეულს მტანჯველი ტკივილით იპყრობდნენ.

— განა რა სირცხვილი გაკრთობს და გაშინებს?! — გაცხარებით შეეკამათა გულში მბორგავი ადამიანი, — განა აქამდე ნაკლებად სამარცხვინო საქმენი ჩაგიდენია? გაიხსენე, თუ როგორ ეძლეოდი მთელი შენი ცხოვრება მრუშობას, თავაწყვეტილ ღრეობებსა და ლაღობას! ისიც გაიხსენე, თუ თავად როგორ უარყავი ქრისტიანული რჯული და ბიზანტიის კეისრის ასულის გარდა, შემდეგში კიდევ ორ ქალზე იქორწინე მონღოლთა ადათის მსგავსად!...

— მე ყოველთვის ქრისტიანი ვიყავი! — წამოიძახა ხმამაღლა მეფემ, რათა სიტყვა შეწყვეტილებინა გათამამამებელი გულისათვის, — იქნებ სუსტი, მაგრამ მაინც ქრისტიანი!

— ქრისტიანი იყავი, მაგრამ ქრისტიანისთვის შეუფერებელ საქმეებს ისე სწავლიდი, რომ სირცხვილისაგან ერთხელაც არ შემკრთალა შენი გონება; არც მაშინ დაგწყებია სინდისის ქენჯნა, როცა საქართველოს პატრიარქი ნიკოლოზი წყევლა-კრულვით შეგაჩვენებდა შენი ურჯულოებისათვის! მუდამუჟამ კვალში გედგა და გამხელდა, გიქადაგებდა, ყოფილიყავი შენი ხალხისათვის მისაბაძი პატრონი და წინამძღოლი. ისიც გაიხსენე, შენი უსაქციელობით დაღლილმა პატრიარქმა, საბოლოოდ კიდევ ერთხელ შეგაჩვენა, როგორც მწვალებელი, წყენის დასტურად პატრიარქობა დატოვა, რათა შენი ცოდვებისაგან შორს, განმარტოებულ სენაკში დაესრულებინა თავისი სიცოცხლე! ახლა კი მხოლოდ იმიტომ შფოთავ, რომ სიცოცხლე გსურს და გაქვს კიდევ ნება, იცოცხლო!

მეფემ უმწეოდ ჩამოუშვა კედელზე მიყრდნობილი მკლავი. მთელს ტანში სისუსტეს გრძნობდა.

— შეხედე! — არ ასვენებდა გრძნობის ძახილი, — შენს თავს შეხედე სარკეში!

დემეტრე მიბრუნდა და დიდ სარკეში დააკვირდა თავისთავს.

— კარგად დააკვირდი! შენ ჯერ კიდევ ჭაბუკი ხარ! სულ რაღაც ოცდარვა წლის! ახოვანი, სიცოცხლით სავსე, სახით მიმზიდველი! და გსურს, ეს ყოველივე შენივე ხელით მოკლა და გაანადგურო?! —

სინანული გამოკრთა დემეტრეს შხერაში და სევდით მიაჩერდა თავის ბრგე სხეულს. მართლაც და რა უნდა ყოფილიყო იმაში გასაკვირი, რომ ჯერ კიდევ ჭაბუკს არ სურდა სიკვდილი?

— ახლა კი ფანჯარაში გაიხედე მეფეო! — ფიქრები შეაწყვეტინა გონების ხმამ.

მეფე მორჩილად მიბრუნდა და ფანჯარაში გაიხედა.

— ხედავ მეფეო, დილის მზის სხივით განათებულ ამ ლამაზ ქალაქს, სადაც ასე სასოებით ცხოვრობენ მოხუცები, ლაღობენ ყმაწვილები, ოცნებობენ ქალწულები და იზრდებიან ბავშვები? ახლა ცოტა შორსაც გახედე მეფეო! როგორ მომხიბლავად შეფენილა მახლობელი მთების კალთებზე კოხტა სოფლები, როგორ მოწიწებით დაჰკანკალებენ ვენახის ზვრებს, ბაღბოსტნებსა და ნათესებს ჯაფით დაღლილი ადამიანები! ისინი ცხოვრობენ და უყვართ სიცოცხლე, რომელიც ახლა შენს ხელთ არის! შენ შეგიძლია დიდხანს იცოცხლო, მაგრამ იცი, რომ ამის სანაცვლოდ აღარ იქნება ასე ლამაზი ეს ქალაქი და მას მტერი ფერფლად აქცევს! უამრავ ჭაბუკს დაუბნელდება მზე, ბევრი ქალწული გაიტანჯება პატივის აყრის გამო, უბედურების მსხვერპლად იქცევიან ბაღლები და ტანჯვით სიკვდილისთვის გაიწირებიან მოხუცები! დაფიქრდი მეფეო! განა შეგიძლია ასეთი სილამაზე, სიკვდილის მიშის გამო, შენივე ხელით გაანადგურო? უნდა აირჩიო მეფეო, სიკვდილი თუ სირცხვილი! სხვა გამოსავალი არ გაგაჩნია!

მეფეს ტკივილის ცრემლი მოაწვა ყელში. იცოდა, რომ გონება მართალი იყო, მაგრამ ძალზე სტკიოდა გრძნობის გაწირვაც.

— ეს სილამაზე ხომ კვლავაც აშენდება და ხალხიც ისევ გამრავლდება, როგორც ეს ადრეც ათასგზის მომხდარა?! — არ ეშვებოდა სიცოცხლეს მოწყურებული, გრძნობით შეპყრობილი გული, — შენ კი სამუდამოდ გადაეგები!

— იქნებ აშენდეს კიდევ, მაგრამ არ მინდა, რომ იგი ჩემ გამო განადგურდეს! — თავისთავს ჩასძახა ხმამაღლა მეფემ და კარებისაკენ გაემართა, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის შემდეგ შეტორტმანდა და ისევ შედგა. — გემუდარები, მომშორდი! — წარმოთქვა გატანჯული ხმით.

— ვერ მოგშორდები, რადგან მე შენში ვცოცხლობ და შენშივე დაურჩები, ვიდრე ცოცხალი ხარ! — წინ გადაუდგა გული, — მითხარი, რად ჩადიხარ ამგვარ უგუნურებას? არც ის გახსოვს, თვითონ შენი მამა, მეფე დაჯიტი შენს მსგავსად რომ იხმო ყაენმა! მამაშენი არ დამორჩილდა ყაენის ბრძანებას და მიუვალ მთებს შეაფარა ოჯახით თავი! მთელს ქვეყანას შავი დღე აყარეს მაშინ მონღოლებმა, მაგრამ ამის გამო არც არავის გაუკიცხავს მეფე, რადგან მეფე იყო და ჰქონდა კიდევ სიცოცხლის ნება!

ცივი ოფლის ცვარმა დაუნაძა მეფეს სახე. გონება სულს იზიდავდა თავისკენ, გრძნობა კი — სხეულს და ორივეს ლამის ორად გაწვლიჩა იგი.

— ნუ შეგაკითხავს სიკვდილი მეფეო, — კამათს არ ეშვებოდა გონება, — ან რად გეშინია ასე ძლიერ სიკვდილის? განა იგი სირცხვილზე მეტია? ან განა სირცხვილით სიცოცხლე სჯობს ღირსეულ სიკვდილს?

— ეგ შენთვის ადვილი სათქმელია, რადგან მკვდარივით ცივი ხარ და სიკვდილივით უგრძობი!

— მაგრამ მევე ვარ ადამიანის ღირსება და ღირსებით უკვდავების მიმნიჭებელი! ამიტომ არის, რომ ასე ძლიერ მსურს შენი საქმით შენივე უკვდავება, მეფეო! შენ შეგიძლია იცოცხლო სირცხვილით კიდევ ათი წელი, ან ოცდაათი ან სულაც ასი, მაგრამ შემდეგ?... შემდეგ ხომ მაინც მოვა სიკვდილი? განა სირცხვილით სიცოცხლე გიხსნის ოდესმე სიკვდილისაგან? მაშინ რა მოხდება, როცა სიბერისაგან დაუძღურებულსა და საკუთარი სილაჩრის გამო სირცხვილით გატანჯულს მაინც გეწვევა სიკვდილი? მერე რა შეგრჩება ხელთ?...

მეფე მცირე ხანს იატაკს ჩასცქეროდა და გრძობის ღუმილს უგდებდა ყურს.

— მერე რა შეგრჩება-მეთქი?!

ნიშნის მოგებით ჩასძახა გრძობას ხმამაღლა, შემდეგ ადგილიდან მოსწყდა და მტკიცე ნაბიჯებით მიაშურა კარებს.

— დაიმახსოვრე, — ზურგიდან მოაძახა უარყოფილმა გრძობამ, — შენ ჯერ ადამიანი ხარ და შემდეგ მეფე!

მეფე ზედ კართან შედგა.

— მე სულ თერთმეტი წლისა ვიყავი, როცა მეფედ მაკურთხეს, — წამოიწყო დაღლილი ხმით, — და მას შემდეგ, მთელი ჩემი ცხოვრება ვიყავი მხოლოდ ადამიანი და არა მეფე! მაგრამ ახლა მინდა, რომ მოვკვდე მეფედ და ამ სიკვდილით, როგორც მეფემ, სამუდამოდ დავამარცხო ჩემში მრავალგზის სირცხვილით დაცემული ცოდვილი ადამიანი!

— მეფეც იყავი და ადამიანიც!

— ვერ შევძლებ! — თავის გრძობასთან ხმამაღლა საუბარს განაგრძობდა დემეტრე, — ვერ შევძლებ, რადგან ეს ჩემთვის ბოძებული არჩევანია! დღეს ჩემში ან მეფე უნდა მოკვდეს, ან ადამიანი.

— და ნუთუ შეგიძლია, ასე ადვილად გაიმეტო ადამიანი?!

— ვალდებული ვარ! — სიმწრით დახუჭა თვალები, — დაე, ჩემში მოკვდეს გრძობით შობილი სირცხვილი, რათა სიკვდილით გადარჩეს ღირსეული მეფე!

მეფემ თვალები გაახილა და კარის სახელურს ჩაავლო ხელი.

— თავიდან ამოიგდე ეგ სიამაყე და ცოცხალი დარჩი, ვიდრე ჯერ კიდევ შეგიძლია თავი გადაიარჩინო! — უკანასკნელად გაიბრძოლა მასში განწირულმა ადამიანმა, გულმა და გრძობამ.

— განვედი ჩემგან ეშმაკეულო სირცხვილო, რადგან მხოლოდ ღმრთი-

სათვის სათნო, ღირსეულ სიკვდილს ეკუთვნის ჩემი სული!

მტკიცე და მშვიდი ხმით მიუგო მეფე დემეტრემ და კარები სწრაფად გამოაღო, რათა აღარ ჰქონოდა ცდუნება სხვა არჩევანისა.

სამეფო დარბაზში მყოფი დიდებულები, რომლებიც აქამდე მოუთმენლად ელოდნენ მის გამობრძანებას, მაშინვე ფეხზე წამოიშალნენ. ყველანი დუმდნენ და მას მიჩერებოდნენ. სუნთქვაშეკრული და სულგანაბული ელოდნენ მეფის საბოლოო სიტყვებს.

მეფემ მზერა მოავლო დარბაზის ერს, მისი თანაგრძობის დანახვამ კიდევ უფრო გაამხნევა.

— დაუყოვნებლივ გამგზავრება მიბრძანებია! — სიჩუმე დაარღვია მეფის მშვიდმა ხმამ.

მთელი დარბაზი ერთბაშად შეირყა და შეჩოჩქოლდა.

— ოღონდაც გადაიფიქრე მეფეო! — მიცვივდნენ მეფეს.

— დარჩი და საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ დაგიცავთ მეფე! — წინ მიიწვედნენ ჭაბუკები.

— სიკვდილამდე გიერთგულებთ მეფეო! — არ ცხრებოდნენ ჭარმაგი დიდებულები.

მეფე დემეტრე სევდიანი ღიმილით მიაბიჯებდა მათ შორის და მზერით ემშვიდობებოდა.

უცებ მეფის გვერდით მოხუცი დაემხო მუხლებზე და მის ხელს დაეკონა ტუჩებით. ნიკოლოზი იყო — განდევნილი პატრიარქოფილი, ახლა რომ ღვარად გადმოსდიოდა თვალებიდან ცრემლი და ჭალარა წვერზე ეპკურებოდა.

— შემინდე, მეფე! — ქვითინით წამოიძახა მოხუცმა, — შემინდე მეფე შენ წინაშე ჩემი კადნიერება, რაც კი ოდესმე ჩამიდენია!

მეფემ ღიმილით წამოაყენა ყოფილი პატრიარქი.


— ეს მე შემინდე, უწმიდესო, ჩემი ყოველი ცოდვა და ბიწიერება, რითაც შენი სამართლიანი რისხვა და გულისწყრომა დავიმსახურე!

ამ სიტყვებზე მეფემ ცალი მუხლი მოიყარა მოხუცის წინაშე.

— ღმერთმა შეგინდოს შვილო ჩემო! — აცახცახებული ხელით ჯვარი გადასახა ნიკოლოზმა, — ვიდრე ბოლო ამოსუნთქვამდე, დღედაღამ შენთვის ვილოცებ, ღირსეულო მეფეო!

მეფე წამოდგა, თავი დაუკრა მოხუცს და მშვიდი ნაბიჯებით განაგრძო გზა. მასში უკვე აღარავინ ებრძოდა ერთმანეთს, რადგან ერთსულ და ერთხოც იყვნენ მეფეც და ადამიანიც.

გვამით სიკვდილის, მაგრამ სულით უკვდავების გზაზე მიაბიჯებდა — ადამიანური სირცხვილისაგან განწმენდილი გრძობით და მეფური გონებით სიკვდილზე ამაღლებული, მარადიული დიდებით მირონცხებული — მეფე დემეტრე თავდადებული.



მაგულიშვილითა მოსახსენებელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უჭმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (ერისკაცობაში — ქრისტეფორე მურმანის ძე ციციქიშვილი) — 140 (27.03.1873, ხარაგაული, ვერტყვიჭალა — 10.01.1932, თბილისი). 1895 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია, 1895-1922 წლებში მსახურობდა მღვდლად, ჯერ იმიერკავკასიის ოლქში, შემდეგ კი საქართველოს სოფლებში — ხიდისთავში, იტრიაში, ნაბახტევში, თბილისის ვერაზე არსებულ წმ. ნიკოლოზის ტაძარში. იყო სოფელ იტრიის ორკლასიანი სკოლის გამგე და საღმრთო სჯულის მასწავლებელი (1898-1905), გორის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე (1904-1905), თბილისის მეხუთე გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი (1905-1918), იქვე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას (1918-1921).

1905 წელს თბილისში თავმჯდომარეობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლო პირთა კრებას, რომელმაც შეიმუშავა და მთავრობას გაუგზავნა მოთხოვნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეგზარქოს ალექსისა და სასულიერო სემინარიის რექტორის ნიკანდრის წაქეზებით კაზაკებმა დაარბიეს კრება და მღვდელ ქრისტეფორეს აუკრძალეს სამღვდლო მოქმედება.

1922 წლის 18 მარტს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაიას) და წმიდა სინოდის წევრების მონაწილეობით დეკანოზი ქრისტეფორე ხელთდასხმულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად, შემდეგ იყო ურბნელი ეპისკოპოსი, პატრიარქის ქორეპისკოპოსი, 1923-25 წლებში ასრულებდა პატრიარქის მოვალეობას და დიდი წვლილი შეიტანა პატიმრობაში მყოფი პატრიარქის ამბროსის ციხიდან განთავისუფლებაში. 1925-27 წწ. იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას გარდაცვალების შემდეგ არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. გარდაიცვალა 1932 წლის 10 იანვარს, დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უჭმიდესი და უნეტარესი დავით V (ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი) — 110 (24.03, 1903, შორაპანი, სოფელი მირონწმიდა — 09.11.1977, თბილისი). 1917 წელს დაასრულა სოფელ სარგვემის არასრული სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმის დედათა მონასტერში. 1918 წელს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ანტონის ლოცვა-კურთხევით განაწესეს მირონწმიდაში, წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მედავითნედ.

1927 წლის 26 თებერვალს საჩხერის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში დაინიშნა მთავარდიაკვნად. მეორე დღეს, 27 თებერვალს აკურთხეს მღვდლად და განაწესეს სარგვემის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად. 1928 წელს ეპისკოპოს ვარლამის მიერ მოწვეულ კრებაზე არჩეულ იქნა ხარაგაულის მთავარხუცესად. 1930 წლიდან თბილისის სიონში მოღვაწეობდა. 1932-47 წლებში მსახურობდა ქაშვეთისა და კუკიის ტაძრებში, ხოლო 1947-ში დაინიშნა ქაშვეთის ტაძრის წინამძღვრად. 1956 წლის 25 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის პატივში, 28 აგვისტოს კი ხელთდასხმულ იქნა ეპისკოპოსად და დაინიშნა მარგვეთისა და ურბნისის ეპარქიის მმართველად. 1959-72 წლებში იყო პატრიარქის ქორეპისკოპოსი და პარალელურად მანგლელი მღვდელთმთავარიც.

1960 წლის 10 იანვარს, კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის (ფხალაძე) გარდაცვალების შემდეგ, მისივე წერილობითი ანდერძით დატოვებულ იქნა პატრიარქის მოსაყდრედ, მაგრამ იმხანად მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა. 1962 წლის 18 თებერვალს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის (სიღამონიძე) გარდაცვალების შემდეგ, 1972 წლის 1 ივლისს გამართულმა XI ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

გარდაიცვალა 1977 წლის 9 ნოემბერს. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

ალექსანდრე (საბა) ბრიგოლის კმ კლდიაშვილი — 140.

დაიბადა 1873 წელს რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, გრიგოლ კლდიაშვილისა და მსახიობ ეფროსინე კლდიაშვილის (ყიფიანი) ოჯახში. ეფროსინე, უაღრესად დახვეწილი ქალი და ნიჭიერი მსახიობი, წმიდა დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილი იყო. იგი შვილებს უდიდესი რწმენითა და სიყვარულით ზრდიდა.

საბას (ალექსანდრეს) უფროსი ძმა, ცნობილი ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი ასევე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა

XIX-XX საუკუნეების საზოგადოებაში; სწორედ მისი პროექტით აიგო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი. საბას ჰყავდა უმცროსი ძმა ანდრეა, რომელმაც გამოიგონა და დააპატენტა პურის ელექტროსაცხობი, რომელიც ელექტროინჟინერიის ტექნიკურ მიღწევად არის აღიარებული.

საბა კლდიაშვილი სწავლობდა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სამუშაოდ დარჩა და შექმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ქიმიის — „მოკლე მინერალური ქიმია“. მისივე ინიციატივით და ავტორობით შეიქმნა (ქართულ ენაზე) ქიმიური ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელმაც იმთავითვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ის პარალელურად მოღვაწეობდა გეტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, სადაც მიენიჭა პრიატ-დოცენტის სამეცნიერო წოდება.

ალ. კლდიაშვილს ეკუთვნის ფუნდამენტური და ორიგინალური გამოკვლევები დიკეტონებისა და ნახშირწყლების ქიმიაში. მანვე პირველმა მთელს მსოფლიოში შეიმუშავა გაუმჯობესებული მეთოდი სუფთა დექსტრინის მისაღებად (პროფ. ემელ ფიშერის ხელმძღვანელობით).

იგი ასევე ცნობილი იყო როგორც ადამიანის უფლებების დამცველი, რომელსაც შეეწირა კიდევაც. კერძოდ, 1905 წელს მან დარბევას გადაარჩინა ოდესელი ებრაელის ოჯახი, რის გამოც იგი შავრაზმელებმა მოკლეს.

დიმიტრი ვხნატის კე არაყიშვილი — 140 (23.02.1873 — 13.08.1953). სიჭაბუკის წლები დ. არაყიშვილმა გაატარა ჩრდილოეთ კავკასიაში — არმავირსა და ეკატერინოდარში (ახლ. კრასნოდარი). მუსიკისადმი სიყვარული გაუღვიძა ლადო ადნიაშვილის ქართულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელსაც პირველად არმავირში მოუსმინა 1890 წელს, 17 წლის ასაკში. ამავე პერიოდში შეიქმნა მისი პირველი ნაწარმოებები — რომანი „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“ (ი. ჭავჭავაძის ლექსის მიხედვით) და ქართული ცეკვა ფორტეპიანოსათვის. 1894-1901 წლებში დ. არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ილინსკის (კომპოზიცია), კრუგლიკოვის (თეორია) და კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით. მოსკოვში მოღვაწეობის დროს იგი გატაცებით კრებდა, იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართულ კლასიკურ ფოლკლორს. დაინტერესდა რა მოსკოვის უნივერსიტეტის სამუსიკო ეთნოგრაფიის კომისია არაყიშვილის პიროვნებით, დაავალა მას სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა საქართველოში, რომელიც ოთხჯერ (1901, 1902, 1904 და 1908) შედგა და დიდძალი, საინტერესო და უმნიშვნელოვანესი მასალა იქნა მოძიებული, რის საფუძველზეც გამოიცა კიდევ 3 დიდი კრებული.

1906 წელს დ. არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას“, სადაც თავადაც ასწავლიდა ორი წელი, მოსკოვშივე გამოსცა პროგრესული ჟურნალი «Музыка и жизнь», რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. 1918 წელს სამშობლოში გადმოსახლდა. მანამდე მოსკოვში შექმნა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1904), რომელიც 1919 წელს თბილისის ოპერის სცენაზე დაიდგა. 1921 წელს თბილისში მისი ინიციატივით დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოყალიბდა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1926-30 წწ. დ. არაყიშვილი იყო თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი; 1932 წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს.

დ. არაყიშვილის რომანსები გამოირჩევა მელოდიურობით, ფორმის პლასტიკურობითა და ლაკონიურობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ივერიის მთებზე“, „ნუ მღერი, ლამაზო“ (პუშკინი), „აღსდევ, შეინავარდე“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „სიოვ, ნაზო“ (ჰაფიზი), „ვარსკვლავიანსა დამეს“ (ა. ფეტი), „მე შენ გელი“ (დავიდოვა), „დამეა ბნელი“, „შემოღამება“, „ურმული“ (გ. ქუჩიშვილი). დ. არაყიშვილი სამართლიანად ითვლება XX საუკუნის გამოჩენილ მუსიკოსად და ქართული სამუსიკო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ის იყო საქ. სახალხო არტისტის (1922), საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1950).

მემედ იბრაჰიმის კე აბაშიძე — 140 (1873-1937, ბათუმი). მემედ აბაშიძემ დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის დახმარებითა და ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, სპარსულსა და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის 10-იან წლებში. მისი პუბლიცისტური წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში.

აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც სამჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში და სათავეში ჩაუდგა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. რამდენიმე თვეში თურქების დახმარებით ციხიდან გაიქცა, თბილისში ჩამოვიდა და დააარსა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. ასევე 1919-21 წლებში რედაქტორობდა გაზეთს „სამუსლიმანო

საქართველო“. აქტიურად მონაწილეობდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. იყო საოლქო რევკომის წევრი. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამისა და ნამიქ ქემალის ნაწარმოებები.

ფლო (ელენე) იოსების ასული ანდრონიკაშვილი — 130 (20.04.1883, კარდენახი — 12.03.1956). 1905-1907 წლებში სწავლობდა სორონის უნივერსიტეტში. 1912 წლიდან უკვე მოღვაწეობს თბილისის თეატრების სცენაზე როგორც პროფესიონალი მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლები დღემდე იწვევს თეატრმცოდნეთა აღფრთოვანებას; მას აღიარებენ როგორც უნიჭიერეს, უზადო და უაღრესად დახვეწილ ხელოვანს.

შექმნა დასამახსოვრებელი სცენური სახეები რუქაიასი და გაიანესი (სუმბათაშვილის „ღალატი“), ჰანელესი (ჰაუპტმანის „ჰანელე“), კატუშა მასლოვასი (ტოლსტოის „აღდგომა“) და სხვ. იყო თბილისის მოზარდმეგობრებელთა თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი; თარგმნა ოსკარ უაილდის „დელოფალი“, კადელმურგის „შავი ლაქა“, ა. ოსტროვსკის „უმზითო“, „უდანაშაულო დამნაშავენი“ და სხვ. ასევე უნაკლოდ ასრულებდა ქართულ და აღმოსავლურ ცეკვებს.

ანასტასია დავითის ასული აბაშვილი-ჰირსალაძე — 130 (11.11.1883, ქუთაისი — 05.09.1968, თბილისი). ან. ვირსალაძემ 1909 წელს წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია. ეს იყო პირველი ქართველი ქალი, რომელმაც მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება. მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი ა. ოსიპოვა. 1921-1968 წლებში აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1932 წელს აირჩიეს პროფესორად, იყო ასევე კათედრის გამგე. მაღალი პროფესიონალიზმის გამო ორჯერ იყო (1935-1937) საკავშირო პიანისტთა კონკურსის მთავარი ჟიურის წევრი. მისი ინიციატივით დაფუძნდა (1933) კონსერვატორიის „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი“ (1938-დან — ცენტრალური მუსიკალური ათწლედი). ა. ვირსალაძემ აღზარდა 100-მდე მუსიკოსი, რომელთაგან გამორჩეულია დ. ბაშკიროვი, ე. ვირსალაძე, ლ. ვლასენკო და სხვ.

აკაკი იოსებ ძე ინგოროვა — 120 (01.01.1893, ფოთი — 20.11.1983, თბილისი). პ. ინგოროვა დაიბადა ფოთში, იქვე დაასრულა ოთხკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი; 19 წლის ასაკში, 1912 წელს სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და სულ მალე, 1913 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“. 1914 წელს საგაზეთო

წერილების სახით დაიწყო ბეჭდვა ნაშრომისა „თარგმანება ფსალმუნთა წიგნისა“. 1915 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი (დიპლომი არ მიუღია) და სამშობლოში დაბრუნდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, მისი თანამედროვენი მას უწოდებდნენ „ყველაზე წარჩინებულ და გამორჩეულ სტუდენტს“.

1916 წელს გამოსცა წმიდა თამარ მეფის „გალობანი ვარძიისანი“. 1917 წლიდან აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯერ იყო ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი — პარლამენტის წევრი. 1924 წელს დააარსა ჟურნალი „აკაკასიონი“, რომელიც მალევე, 1925 წელს აკრძალეს. 1928 წელს დააფუძნა გამომცემლობა „ჭანური წიგნი“. 1924-28 წლებში დაიწყო აქტიური მუშაობა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე. 1929 წელს დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელად. 1936-38 წლებში იყო „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი სარედაქციო მიმართულების ხელმძღვანელი.

პ. ინგოროვას ერთ-ერთი ფუნდამენტური შრომაა „გიორგი მერჩულე“, რომელიც უღრმესი პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა მეუღლეს. 1938, 1940 და 1951 წლებში გამოსცა მონოგრაფიები ილიაზე, აკაკიზე და ნ. ბარათაშვილზე; მის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომა აფხაზეთის ოლქის შესახებ, რის გამოც უარი ეთქვა აკადემიკოსად არჩევაზე. ფლობდა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ძველ ბერძნულ, ლათინურ და იტალიურ ენებს.

ტიციან იუსტინეს ძე ტაბიძე — 120 (21.03.1893 — 12.12.1937). ტ. ტაბიძე დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1913 წელს შევიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი ლექსები დაიბეჭდა XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს. მისი ინიციატივით დაარსდა „ციცხერყანწელთა“ სიმბოლისტური გაერთიანება. რედაქტორობდა გაზეთ „ბარიკადს“. წერდა როგორც ლირიკულ ლექსებს, ისე პოემებს, ესეებს, მინიატურებს, წერილებს. თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1917 წლიდან ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას, მუშაობდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში, აშუქებდა პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ მოვლენებს. 1937 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით და ერთი ვერსიით გადაასახლეს ციმბირში, სადაც დაიკარგა; არის მეორე ვერსია, რომ იგი თითქოს დახვრიტეს. საფლავი უცნობია.

პოლიპარაჰ მაღსაზის ძე კაკაბაძე — 120 (23.02./07.03.1893, ზონი — 15.10.1972, თბილისი). პ. კაკაბაძემ 1911 წელს დაასრულა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. მისი პირველი ნოველა „ბრძენი მოქანდაკე“ დაიბეჭდა 1915 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№46). პ. კაკაბაძის

პირველი მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებია „გზაჯვარედინზე“ (1917), რომელიც პირველად დაიდგა ბაქოს სცენაზე 1918 წელს (რეჟ. ალ. წუწუნავა). 1919 წელს მისი პიესები „სისხლი სინათლემდე“ და „სამი ასული“ დაიბეჭდა მისივე დაარსებულ ჟურნალში „შვიდი მნათობი“ (№1, №2), ხოლო დრამა „ლისაბონის ტუსალები“ დიდი წარმატებით დაიდგა 1925 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე (რეჟ. დ. ანთაძე).

უდიდესი წარმატებითა და პოპულარობით სარგებლობდა პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“ (1928), რომელიც პირველად დაიდგა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით 1929 წელს, ხოლო ახალი ინტერპრეტაციით 1974 წელს რ. სტურუას რეჟისურით. კომედია „კოლმეურნის ქორწინება“, რომელიც 1937 წელს დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, მოიპოვა საკავშირო და მსოფლიო აღიარება. დრამატურგის აღიარებად იქცა ასევე XX ს. 40-50-იან წლებში შექმნილი პიესები „შეხვედრა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“... განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიესები „კახაბერის ხმალი“ („დავით მერვე“, 1954), „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1966), „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ (1967), „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1971). ზოგადად, პ. კაკაბაძემ ქართულ დრამატურგიაში შექმნა ერთი ყველაზე ღირსეული ეპოქა და სამართლიანად მოიპოვა დიდი დრამატურგის სახელი.

დიმიტრი ალექსანდრის ამ აბაშიძე — 120 (9/27.10.1893 — 12.02.1975, თბილისი). რეჟისორი, ქართული სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუძემდებელი. 1925 წლიდან მუშაობდა საქართველოს კინოსტუდიაში. მისი ფილმებიდან აღსანიშნავია „სილოსი“ (1929), „ერთი ცდის ამბავი“ (1959). ამ ფილმს მიენიჭა დიპლომები და სიგელები მინსკისა და ვარშავის კინოფესტივალებზე (1960-1962 წწ.). ასევე აღსანიშნავია „იერიში ღრუბლებზე“ (1961), „დაბრუნება ბეგრათა სამყაროში“ (1966), რომელმაც კიევის კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

ვანტანო ილიას ამ კოტატიშვილი (1893 — 1937). 1911 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1911-14 წწ. სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნერვოლოგიური ინსტიტუტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. 1918 წელს დაასრულა დერპტის (ტარტუ, ესტონეთის მეორე უდიდესი ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ 1632 წელს დაარსდა უნივერსიტეტი) უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, მოღვაწეობდა იქვე, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1919 წელს ჯერ მუშაობა დაიწყო თბილისის სკოლებში მასწავლებლად, ხოლო 1926

წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა თავდაპირველად ფოლკლორს, ხოლო 1929 წლიდან მის მიერვე შემოღებულ პოეტიკის კურსს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პარალელურად იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში იაკობ ნიკოლაძის ჯგუფში. 1928 წლიდან სამხატვრო აკადემიაში დაიწყო ლექციების კითხვა ქანდაკების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით. იმავედროულად იყო გაზეთ „ქართული სიტყვის“ რედაქტორი. ვ. კოტეტიშვილმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ-ფოლკლორულ ექსპედიციას. ის არის ქართული ფოკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და 1934 წელს გამოცემული „ხალხური პოეზიის“ პირველი ტომის რედაქტორი. ვ. კოტეტიშვილის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“ (1912), „შიო არაგვისპირელის შემოქმედება“ (1918), „უოლტ უიტმენი — პროლეტარიატის პოეტი“ (1921), „ალ. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“ (1925) და სხვ.

ლიტერატურა:

- გეგუჩაძე ვ., გაზ. „სახალხო განათლება“, „ა. კლდიაშვილი“, 1955, 19.10. ბეგაჯინოვი ა., დიმიტრი არაფიშვილი, თბილისი, 1953, გვ. 11-19. გერსამია ს., მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960. ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1954, გვ. 63, ტ. 5. ორჯონიკიძე გ., ქართული მუსიკის ისტორია, თბილისი, 1962, გვ. 37, 115.

რუბრიკას უძღვებიან:
მამუკა ცუხიშვილი და
გიორგი შავერდაშვილი.

ჩვენნი ავტორები

ილია თავზარიძე

დაამთავრა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. არის რამდენიმე წიგნის ავტორი: „მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“ (2005, 2010), „ღვთისკაცი - ექვთიმე თაყაიშვილი“ (2004, 2007) და „წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე“ (2006) სერიიდან „ქართველი წმინდანები“, „ჯუმათის მონასტრის სიძველეები“ (2005). გამოსცემს სერიას „პუბლიკაციები გურიის მატერიალური და კულტურული ფასეულობების ისტორიიდან“.

ვანტანო ვუპოლის კი ბერიკი (1914 - 2000)

ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1959), პროფესორი (1960). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის დირექტორი (1973-1988), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გვანცა ვანტანოს ასული კოპლათაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეოთხე გამოცემა, 2010), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

გულბაათი ვიქტორის კი რცხილაძე

პოლიტოლოგი და გერმანისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამ-

თავრების (1995 წ.) შემდეგ ჯერ სტაჟორად, შემდგომ – საერთაშორისო საკითხების რეფერენტად მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). 2000-იან წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში, პარალელურად კონსულტაციებს უწევდა გერმანულ კვლევით ცენტრებს კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ტენდენციებთან დაკავშირებით. 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ვერაზიის ინსტიტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

ბონდო ვალერიანის კი არაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ დაღადავდნენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

მამუკა ავთანდილის კი ცუსიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელი და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ვალერიან გიორგის კი მაჭარაძე (1920-2000)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ავტორია ნაშრომებისა: „იასე ცინცაძე“ (1990), „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (4 ტომად, 1968-2007 წწ.), „ასპინძის ბრძოლა“ (1957), „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა“ (1962), „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“ (1968), „გვიორგი ლეონიძე და რუმინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“ (1976).

თინათინ ვლადიმერის ასული ივალაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

ბორის შაქროს ძე ღარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); იაკობ შემოქმედელი (2009); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) (2011) და სხვ.

შოთა ძირიანის ძე ძირიანაშვილი

საქართველოს მთავრობის ფედერაციის პრეზიდენტი, თსუ გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალპინიზმში, სსრკ ჩემპიონატების (ალპინიზმში) ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების (7) მფლობელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. თსუ ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მრავალი პუბლიცისტური სტატიისა და ნარკვევის ავტორი, რომლებიც ძირითადად იბეჭდებოდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.

ბრანდი ვეფხიანის ძე ქავთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: კმები გრაკუსები(1990), ჰანიბალი(1979), სამეფაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1 (7), 2013
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ИЛИА ТАВБЕРИДZE
ТРИ ЭКСПЕДИЦИИ ЭКВТИМЕ ТАКАИШВИЛИ
В ТАО-КЛАРДЖЕТИ

Большая заслуга в исследовании Южной Грузии принадлежит истинному патриоту своей родины, канонизированного Грузинской Церковью Эквтиме Такашвили (человека Божьего). В этом, известной своей злополучной и трагической историей крае, ученый организовал три экспедиции. В изучении исторического наследия Тао-Кларджети самыми продуктивными оказались экспедиции 1902, 1907 и 1917 годов. Эти экспедиции создали целую эпоху в научном исследовании истории церквей и монастырей, исторических памятников, крепостей, архитектуры, надписей, эпиграфики, камнеизваяния и настенной живописи, существующих на территории Южной Грузии. 13 октября 1921 года, на основе Карсского договора, эти регионы Грузии Советским правительством были переданы Турции, что в последующие десятилетия сделало невозможным изыскание-исследование столь важного для нашей истории края – Тао-Кларджети. В дальнейшем труды грузинских ученых в основном основывались на наследие Эквтиме Такашвили и Нико Мара.

Целью экспедиций Эквтиме Такашвили был не только поиск и осмотр храмов. Ученый поехал в Южную Грузию вместе с другими специалистами и с максимальной точностью переснял надписи, фрески, измерил параметры церквей и обнаружил множество неизвестных храмов и крепостей. Во время экспедиции были обнаружены, зарисованы, измерены и сняты на фотоленку такие памятники, которые сегодня уже не существуют. Одним из важным достоянием научной экспедиции в Тао-Кларджети является изучение Бана. Материалы всех трех экспедиций Эквтиме Такашвили были изданы: 1902 года – сразу же после экспедиции, 1907 года – ученый издал в эмиграции, а 1917 года – было напечатано после возвращения в Грузию. В статье дан обзор целей и основных результатов трех важных экспедиций в Южной Грузии.

ВАХТАНГ БЕРИДЗЕ
НИКО ПИРОСМАНАШВИЛИ

Книга посвящена выдающемуся грузинскому художнику Нико Пиросманашвили (1862-1918). Пиросманашвили не получал специального образования, но благодаря своему большому таланту и жизненному опыту создал образцы высокого искусства, собственный мир художественных образов. Его тематика была многообразной: сцены сельской жизни, портрет, натюрморт, анималистический жанр; особое место в его творчестве занимали изображение обитателей старого Тбилиси, сцены кутежей; он оставил нам целую галерею предшественников различных социальных слоев.

ГВАНЦА КОПЛАТАЛЗЕ
ЭДУАРД-ГИОРГИЙ ШЕВАРДНАДЗЕ

Причину, по которой, окруженная в течении многих веков врагами, такая малая страна, как Грузия смогла сохранить национальную самобытность, следует искать в той высокой духовной культуре, которую грузинская нация, несмотря на непрерывные оборонительные войны, создала на протяжении своего существования. По-видимому, Эдуард Шеварднадзе управляя республикой как первый секретарь Коммунистической Партии Грузии, еще тогда хорошо осознавал значение культуры в сохранении самобытности нации. Как подтверждают известные деятели культуры, об этом свидетельствует поразительный подъем, наблюдающийся почти во всех сферах духовной культуры в Грузии в начале 70-80-ых годов XX века, что осуществлялось непосредственным содействием и покровительством Эдуарда Шеварднадзе.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ
**СТАРЫЕ И НОВЫЕ ПРИОРИТЕТЫ
ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ ГРУЗИИ**

Автор статьи рассматривает резолюцию, принятую парламентом Грузии в связи с внешнеполитическим курсом страны и выделяет причины принятия такого нестандартного для парламентаризма решения. Отмечаются как фактор внутривластной конъюнктуры, так и фактор внешнего вмешательства.

По мнению автора, в целом “Грузинской мечте” удалось, провести свои принципы в документе и защитить их от антирусской демагогии “националов”, но в пункте 18 все же заложено весьма невыгодное для Грузии требование: с самого начала исключается заключение с Россией не только таможенного, политического и военного союза, но и возможность восстановления с ней дипломатических отношений. Это обстоятельство будет препятствовать урегулированию как территориальной, так и проблемы визового режима, – отмечает автор.

В статье особое внимание уделено визиту Католикоса-Патриарха Грузии, Илия II в Москву в январе 2013 года. Автор призывает руководство государства, упрочнить результаты визита Патриарха и более активно работать с российским государством для углубления контактов, в то же время не обращать внимания на антирусскую и псевдо-патриотическую истерию, поднятую “Национальным движением” в пропагандистских целях.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ
**О НАЦИОНАЛЬНОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ
ЦАРИЦЫ ШУШАНИК**

Автор, на основе грузинских и армянских исторических источников, делает вывод, что святая царица Шушаник (V в.), дочь известного полководца Вардана Мамикониана, была грузинкой по национальности.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ
ЯКОВ ТАРАШВИЛИ – ВЕРНЫЙ РЫЦАРЬ

30 августа 1907 года (по н.с. 12 сентября) около Цицамури прекратилось биться сердце одной из великих эпох Грузии. Там убили Илья Чавчавадзе и вместе с ним Якова Тарашвили – неразлучного спутника и приемного сына Ильи. Яков, своей короткой, но полной героизма жизнью, занял достойное место среди прославленных сынов Грузии.

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ
ГЕОРГИЕВСКИЙ ТРАКТАТ

Георгиевский трактат, по которому царство Картли-Кахети (Восточная Грузия) добровольно приняло покровительство России, был первым двухсторонним международным договором во всей многовековой истории русско-грузинских отношений. Этим актом царь Ираклий «именем своим» и «наследников и преемников своих» официально объявил, что Восточная Грузия навсегда отказывается признавать верховную власть и покровительство Персии или иной другой державы, кроме России. Россия же обязывалась защищать Восточную Грузию от внешних врагов и заботиться о возвращении ей захваченных врагами земель, которые впредь будут оставаться во владении грузинских царей.

Георгиевский трактат наметил резкий поворот не только в русско-грузинских, но и грузино-персидских и грузино-турецких отношениях.

Георгиевский трактат как международный договор положил начало новому этапу в русско-турецких отношениях по грузинскому вопросу, который резко отличался от многовековых традиционных отношений. Более того, этот акт по-новому ставил кавказскую проблему.

ТИНАТИН ИВЕЛАШВИЛИ
РАЗОРЕННЫЙ ХРАМ АЦКУРСКОЙ БОГОМАТЕРИ

Оплакивая опустошение и разорение памятников грузинской культуры, расположенных на потерянной исторической территории, мы сегодня упускаем из виду не один исторический памятник в самой Грузии, которые на наших глазах разрушаются и угничтожаются. Среди них одна из важнейшая историческая христианская молельня – храм Ацкурской Богоматери.

Церковь Ацкурской Богоматери в Грузии своей архитектурой, пространственными измерениями и эпохальной значимостью является единственным памятником, соответствующим возрасту грузинских исторических памятников, расположенным на территории Турции. Если не реставрация, то хотя бы консервация этого храма, как и вышеуказанных памятников, не терпит отлагательства. Пока храм полностью не разрушен и сохранены первоначальные очертания, ему следует оказать срочную помощь.

БОРИС ДАРЧИА
ГДЕ БЫЛА РАСПОЛОЖЕНА БАИЛЕТСКАЯ ЦЕРКОВЬ?

В статье показано, что, в отличие от сегодняшней реальности, Баилети в прошлом располагался и на правой стороне реки Супса, где на стыке сегодняшних Джумати и Силаури, напротив дворца Гуриели стояла Баилетская церковь. Ее разрушили в конце 50-ых годов прошлого века.

ШОТА МИРИАНАШВИЛИ
ЛЕДНИК, ВЕФЛЕЕВСКАЯ ПЕЩЕРА И ВЕФЛЕЕВСКАЯ ЦЕРКОВЬ НА НАЦАРКЕДЕ

В статье уточнено, что в поэме Илья Чавчавадзе «Гандегили» («Отшельник») описан не тот монастырь, который был построен на Нацаркеди, разграничивающий в горах Кавказа ледники Гергети и Абано и сохранившийся в виде развалин, а высеченная в центре скалистого бастиона, на высоте приблизительно 4100 метра,

пещера. Следует отметить, что данная И. Чавчавадзе описание в точности совпадает с реальностью.

**ГРАНИ КАВТАРИЯ
НЕРОН. ДЕМОНЫ РИМСКОЙ ИМПЕРИИ**

Достоинным наследником бесчеловечных деяний Калигулы был его племянник Луций Домиций Агенобарб – император Нерон. Подобно дяде, его тоже не интересовала государственная политика. Если Калигула считал себя Богом, Нерон полагал, что являлся артистом и певцом от Бога. Ареной его действий был амфитеатр. Жертвами кровавого режима Нерона стали множество безвинных людей. Среди его бесчеловечных деяний следует особо выделить гонения первых христиан. В истории Рима Нерон вошел под именем зверя из бездны.

**SCIENTIFIC AND SOCIAL JOURNAL
“SAMI SAUNJE” (THREE TREASURES) №1 (7), 2013
(IN GEORGIAN)**

SUMMARY

**ILIA TAVBERIDZE
THE THREE EXPEDITIONS OF
EKVTIME TAKAISHVILI IN TAO-KLARJETI**

Ekvtime Takaishvili has performed an outstanding service in his research of Southern Georgia. He was a true patriot of his native land and he was canonized by the Georgian Church (Person of Divine). He organized and carried out three expeditions in this area tormented by a fateful and tragic history. The expeditions took place in 1902, 1907 and 1917 and were the most productive in examining the historical heritage of Tao- Klarjeti. These expeditions have created a whole epoch in the scientific study of the historic churches and monasteries, ancient monuments, castles, architecture, inscriptions, epigraphy, sculptures and wall paintings that existed in the territory of South Georgia. On October 13, 1921, these Georgian regions were transferred to Turkey by the Soviet Government by the Treaty of Kars; therefore, it became impossible to conduct any research of the area- Tao-Klarjeti, which was such a vital part of our history. Later works of Georgian scientists were largely based on the legacy of Ekvtime Takaishvili and Niko Marr.

The purpose of the expedition of Ekvtime Takaishvili was not just visiting the temples. The scientist went to South Georgia together with other professionals and copied inscriptions, frescoes and measured parameters of churches with utmost precision. He discovered many unknown temples and fortresses. Many monuments that were found, sketched, measured and photographed during the expedition no longer exist today. One of the important assets of the scientific expedition to Tao-Klarjeti was the study of Bana.

Ekvtime Takaishvili published the materials from all three expeditions in the following order: in 1902 - right after the expedition, in 1907 – while in exile in Paris, and in 1917 - after his return to Georgia. The article provides an overview of the objectives and key results of the three major expeditions to South Georgia.

VAKHTANG BERIDZE
NIKO PIROSMANASHVILI

The book is dedicated to the works of the famous Georgian artist Niko Pirosmanashvili (1862-1918). Pirosmanashvili did not receive any training, but thanks to his extraordinary talent and life experience, he created samples of high art, his own world of artistic images. Pirosmani's paintings were influenced by the social conditions of his time and place. His diverse works include scenes of rural life, portraits and still life. Pirosmanashvili's favorite works include images of the inhabitants of old Tbilisi, the scenes of revelry. He left us a gallery of different social strata.

GVANTSA KOPLATADZE
EDUARD-GIORGI SHEVARDNADZE

The reason a small country like Georgia was able to preserve its national identity despite constant enemy attacks and defensive fights throughout its existence should be sought in the high spiritual culture of the Georgian nation. Apparently, Eduard Shevardnadze, even when he was governing the republic as the first Secretary of the Communist Party of Georgia fully understood the importance of culture in the identity of the nation. This is evidenced by the dramatic rise in almost all the spheres of spiritual culture in Georgia in the early 70-80-s of the 20th century. As confirmed by well-known cultural figures, this was taking place by the support and patronage of Eduard Shevardnadze himself.

GULBAAT RTSKHILADZE
**OLD AND NEW PRIORITIES
 OF GEORGIA'S FOREIGN POLICY**

The author reviews the resolution accepted by the Georgian parliament in regards to the county's foreign policy. He highlights the reasons for such nonstandard decisions. He points out both the aspect of domestic political conjuncture as well as the aspect of external interference.

According to the author, in general, the “Georgian Dream” managed to maintain its principles in the document and shielded them from anti-Russian demagoguery of the “Nationals;” however, section 18 still con-

tains a highly unfavorable mandate for Georgia. As a result, not only customs, political and military alliance but also the ability to restore diplomatic relations with Russian is not possible. In the author's opinion, this circumstance will hinder achieving the solution in territorial as well as visa regime issue.

The author pays particular attention to the visit of CatholicosPatriarch of All Georgia Ilia II to Moscow in January 2013. The author calls on the state government to strengthen the results of the visit of the Patriarch and work more effectively with the Russian Government and improve the GeorgianRussian relationship. At the same time, the author advises ignoring the antiRussian and pseudopatriotic hysteria caused by the “National Movement” which the author claims is done solely for publicity purposes.

BONDO ARVELADZE
ABOUT THE NATIONALITY OF QUEEN SHUSHANIK

The author, based on the Georgian and Armenian historical sources, concludes that Holy Queen Shushanik (5th century), the daughter of Commander Vartan Mamikonian, was Georgian by nationality.

MAMUKA TSUKHISHVILI
IACOB TARASHVILI - A TRUE KNIGHT

On August 30, 1907 year (N.S.September 12th) the heart of one of the great eras of Georgia ceased beating near Tsitsamuri. Ilia Chavchavadze and his faithful companion of his later years, his adopted son, Iacob Tarashvili were killed. Iacob, with his short but heroic life has taken a righteous place among the famous sons of Georgia.

On August 30, 1907 year (N.S.September 12th) the heart of one of the great eras of Georgia ceased beating near Tsitsamuri. Ilia Chavchavadze and his faithful companion of his later years, his adopted son, Iacob Tarashvili were killed. Iacob, with his short but heroic life has taken a righteous place among the famous sons of Georgia.

VALERIAN MACHARADZE
TREATY OF GEORGIEVSK

The Treaty of Georgievsk was the first international, bilateral treaty concluded between the Russian Empire and the east Georgian kingdom of Kartli-Kakheti. The Kingdom of Kartli-Kakheti voluntarily accepted the patronage of Russia. With this act king Erekle II "in his name and the name of his heirs and successors of theirs" forever renounced recognition of any supreme power and patronage of Persia or any other country except Russia by the eastern Georgia. Russia pledged to protect eastern Georgia from foreign enemies, to assist in reclaiming lost lands, and the lands would continue to remain in the possession of the Georgian kings.

The Treaty of Georgievsk was a drastic change, not only in the Russian-Georgian relationship but also Georgian-Persian and Georgian-Turkish relationships.

The Treaty of Georgievsk marked a new beginning for the Turkish-Russian and Persian-Russian relationship related to Georgia as well as Transcaucasia as an international treaty. It would dramatically differ from the traditional relationships that took place for centuries. Furthermore, this act presented the issue of the Caucasus from an entirely different viewpoint.

TINATIN IVELASHVILI
THE DEVASTATED ATSKURI TEMPLE OF OUR LADY

While lamenting the desolation and destruction of Georgian cultural monuments located in the lost, historic, territory, we forget there are many historic monuments still located in Georgia; some monuments are being destroyed right in front of our eyes. Among these monuments is one of the most notable historical Christian Chapels Atskuri temple of Our Lady.

Atskuri temple of Our Lady is the only monument of corresponding age of Georgian historical monuments located on the territory of Turkey for its architecture, spatial dimensions and the epochmaking significance. If not restoration, at least the preservation of this temple should be considered a crucial matter. While the temple still has some of its original appearance (not totally destroyed), we should make this an urgent, top priority.

BORIS DARCHIA
WHERE DID BAILETI CHURCH USED TO BE LOCATED?

The paper demonstrates that, in contrast to current reality, Baileti used to be stretched to the right side of Supsa River. There, at the junction of today's Jumati and Silauri, Baileti church stood in front of the Gurieli palace. The church was destroyed in the late 50s of the 20th century.

SHOTA MIRIANASHVILI
GLACIER, BETHLEHEM CAVE AND BETHLEHEM CHURCH ON NATSARKEDI

The article explains that in the poem "Gandegili" (The Hermit), the author, Ilia Chavchavadze does not describe the monastery (currently in ruins) built in the Caucasus Mountains on Natsarkedi (ridge) dividing Gergeti and Abano glaciers. In actuality, he refers to a cave in the center of a rocky bastion at an altitude of about 4100 meters. It should be noted that the description provided by Ilia exactly matches in reality.

GRANI KAVTARIA
NERO. DEMONS OF THE ROMAN EMPIRE

Lucius Domitius Ahenobarbus - Emperor Nero was a worthy successor to the tyrannical acts of his uncle Caligula. Just like his uncle, he was not interested in the state policy. If Caligula considered himself God, Nero believed that he was a divine entertainer and singer. The stage of his actions was the amphitheater. Many innocent people fell victim to the bloody regime of Nero. He is notoriously known as an early persecutor of Christians. In the history of Rome, Nero entered as Nero the Beast.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №1(7), 2013

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.

ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23



Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1(7), 2013
(на грузинском языке)



Scientific and social journal
“SAMI SAUNJE” (Three treasures) №1(7), 2013
(in georgian)



პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.) ჩარიცხოთ ანგარიშზე:
საბანკო კოდი — TBCBGE 22
მიმღების დასახელება — შპს „სამი საუნჯე“
ანგარიშსწორების ანგარიში — GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს — ვებ-გვერდის
www.sinergia.ge საშუალებით.

ფასი 7 ლარი

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge